The Catholic missionaries became especially active in the Christian Orient in the 17<sup>th</sup> century. The Church of Rome tried to convince practically the members of all the confessions to agree with the union. The only confession, which entirely received the union, was the Maronite Church. In the rest of the communities a division took place, the majority preferred the traditional road, while some of them entered the jurisdiction of Rome, for example, there exist pre-Chalcedonian Gregorian Armenians and uniate Catholic Armenians, the same can be said about Jacobites and Nestorians (Assyro-Chaldeans). In the Middle East among the Greek Orthodox (Melkite) Patriarchates the missionaries could introduce the union only in Antioch. The Patriarchate of Antioch was divided, because certain part of the Melkites embraced the union.

The split of the Patriarchate of Antioch was a result of active missionary activities, at the same time, it is obvious, that the majority of the Mel-

kites remained faithful to Greek Orthodoxy and the decisive part in it took the position of Makarius ibn az-Za'im.

The following issues are discussed in the present paper: Western Christian missions in the Orient in the 17<sup>th</sup> century, their activities among the Melkites, Jacobites, Maronites, Armenians and Assyro-Chaldeans; the Patriarchate of Antioch on the way to the union before Makarius ibn az-Za'im's term, the struggle for power among the Melkites (1611-1628), Egnatius III Attiya as a Patriarch (1628-1634), the activities of Melethyios Karma (as a Mitropolit /1612-1624/ and as a Patriarch /1634-1635/), the term of Euthimios III (1635-1647) and Makarius' activities before his second visit to the Christian countries, finally, his second visit to the Christian countries and rejection of the union.

The vast scholarly literature exists towards the above mentioned issues. In the given paper there is an attempt to present the reasons of the split within the Patriarchate of Antioch and to make evident controversial data in the various historiographies about the division under question.

## სალომე ბობოხიძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **პოსტსაბჭოთა ეპოქის რეაქცია ნაირა გელაშვილისა და კრისტა ვოლფის რომანებში**

მეოცე საუკუნის 90-იან წლებში საბჭოთა კავშირის დაშლისა და ბერლინის კედლის დანგრევის შემდეგ საქართველოსა და აღმოსავლეთ გერმანიის საზოგადოება ერთნაირმა შიშმა, გაუცხოებამ და დაბნეულობამ მოიცვა, ეს იყო შიში მომავლისა, რომელიც არავინ იცოდა, რას უქადდა ქვეყანას. ამ მოვლენებმა სრულიად შეცვალა ადამიანთა ცხოვრება, მათი მიზნები, ოცნებები.

ამ მხრივ, საყურადღებოა ორი რომანის: გერმანელი მწერლის, კრისტა ვოლფის „ანგელოზების ქალაქისა“ და ნაირა გელაშვილის „პირველი ორი წრე და ყველა სხვა“ შედარება. ორივე ავტორის ტექსტების ცენტრალური პრობლემა გარდამავალი ეპოქის საზოგადოების ტრაგიკული მდგომარეობის წარმოჩენაა.

საინტერესოა, რომ რომანებში მხატვრულ გამონათხრობთან ერთად დიდია ავტობიოგრაფიული ნარატივის წილი. რა თქმა უნდა, არც ერთი მათგანი არაა დოკუმენტური ჟანრის ტექსტი, თუმცა ეს ის შემთხვევებია, როდესაც დოკუმენტების, ასევე ავტორისეული ხედვებისა და ტკივილების ერთიანობა თავიდან განგვაცდევინებს მკითხველს ამ ორი პოსტსოციალისტური ქვეყნის არეულ თავგადასავალს.

როდესაც გარეთ, სამყაროში ახალი ქვეყნები იზადება თუ ერთმანეთს ერწყმის, ამ რომანების გმირებმა თითქოს ნაჭუჭში მოიქციეს თავი, თავიანთი სამყარო შექმნეს და იმ სამყაროდან აკვირდებიან გარეთ მიმდინარე მოვლენებს, თუ კრისტა ვოლფის შემთხვევაში ეს სამყარო თავისი სამშობლოდან მოშორებით, ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ქალაქში – ლოს ანჯე-

ლესშია, ნაირა გელაშვილის რომანის გმირები ქვეყნის შიგნით, მოვლენების ეპიცენტრში, „მთარგმნელობით კოლეგიაში“ მუშაობენ და სწორედ ამ შენობიდან ადევნებენ თვალს, თუ როგორ იცვლება ირგვლივ ყველაფერი.

მოხსენების მიზანია, თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდოლოგიების მოშველიებით დაადგინოს ლიტერატურული პარალელები, მსოფლმხედველობრივი და ესთეტიკური კავშირები გარდატეხის პერიოდის გერმანელი მწერლის – კრისტა ვოლფისა და პოსტსაბჭოთა ეპოქის ქართველი მწერლის – ნაირა გელაშვილის რომანებში.

**Salome Bobokhidze**

*PhD Student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **RECEPTION OF THE POST-SOVIET EPOCH IN THE NOVELS OF CHRISTA WOLF AND NAIRA GELASHVILI**

In the 1990s, after the collapse of the Soviet Union and the fall of Berlin wall, Georgian and German societies were in similar situation. They were engulfed by the similar fear, chaos, and confusion. It was the fear of the future, which no one knew what would bring to the country. These events drastically altered the lives of people, their dreams and goals.

From this point of view it is interesting to compare two novels, “City of angels” by German writer Christa Wolf and “The first two circles and everything else” by Georgian writer Naira Gelashvili. The central problem for both writers is to show the tragedy of transitive society.

It is interesting that in these novels together with fiction there is a huge part of autobiographical narrative. Of course none of them is a documentary text but these are the cases when the unity of the documents, the visions and pain of the authors make the reader experience the deranged adventure of these two post-soviet countries again.

When in the outside world the new countries are being born or two countries being merged into one, the characters of these novels decided to lock themselves into shell, create their own universe, and observe the events taking place outside from this universe. If in the case of Christa Wolf this universe is far from her home, in one of the cities in USA – Los Angeles, the characters of the novel by Naira Gelashvili are inside the country at the very centre of events, working in “Translator’s collegium” and looking at how everything changes around them.

Our aim is to analyze, and as a result find the literary parallels between the novels of Georgian and German writers, ideal and aesthetic connections using the modern methods of literary studies.

## ეთერ ბოკელავაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **საქართველოსა და იერუსალიმის მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობები XX საუკუნის 70-80-იან წლებში**

საქართველოსა და იერუსალიმის მართლმადიდებელ ეკლესიათა ურთიერთობები სათავეს ჯერ კიდევ ადრექრისტიანულ ეპოქაში იღებს. საერთო სარწმუნოებრივმა ტრადიციებმა მჭიდროდ დააკავშირა ერთმანეთთან ქრისტეს ორი მოციქულის (წმინდა იაკობისა და ანდრია პირველწოდებულის) საყდარი. ადრეშუასაუკუნეებიდანვე ქართველი ბერები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ წმინდა მიწაზე სამონასტრო ცხოვრების განვითარების საქმეში, რაც ქართული საეკლესიო-კულტურული სავანეების დაარსებასაც გულისხმობდა.

ქართველ და იერუსალიმის საეკლესიო მოღვაწეთა ურთიერთობები, გარდამავალი ინტენსივობით, მრავალი საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა. თუმცა, რთული საერთაშორისო თუ შიდაპოლიტიკური ვითარების გამო, დროთა განმავლობაში, ქართველთა პოზიციები წმინდა მიწაზე შესუსტდა. XIX საუკუნიდან კი საქართველოს ეკლესიის რუსეთის ეკლესიის დაქვემდებარებაში გადასვლის, ხოლო მოგვიანებით, ქვეყანაში არსებული საბჭოთა რეჟიმის პირობებში, იერუსალიმის ეკლესიასთან ურთიერთობების აღდგენის ყოველგვარი მცდელობა უშედეგოდ დასრულდა.

ორ უძველეს სამოციქულო ეკლესიას შორის ისტორიული ურთიერთობების აღდგენაზე მუშაობის დაწყება მხოლოდ გასული საუკუნის 70-იანი წლების მიწურულსა და 80-იანი წლების დასაწყისში გახდა შესაძლებელი, რაც უმთავრესად, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის სახელთან არის დაკავშირებული.

მოცემულ ნაშრომში განხილული გვაქვს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ღვაწლი საქართველოს ეკლესიის იერუსალიმის საპატრიარქოსთან ტრადიციული ურთიერთობების აღდგენის საქმეში; ორმხრივი ვიზიტები; დიალოგი წმინდა მინაზე არსებულ ქართველთა ისტორიული, ჯვრის მონასტრის დაბრუნების საკითხის ირგვლივ; ურთიერთობა ისრაელის ხელისუფლებასთან და საქართველოსა და იერუსალიმის სასულიერო და აკადემიურ მოღვაწეთა ურთიერთანამშრომლობის განახლების ტენდენციები. შეფასებული გვაქვს ყოველივე აღნიშნულის მნიშვნელობა, როგორც საქართველოს ეკლესიის, ისე საქართველოსა და იერუსალიმის ეკლესიათა შორის ურთიერთობებისა და საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების ისტორიაში.

**Eter Bokelavadze**

*PhD Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **RELATIONS BETWEEN ORTHODOX CHURCHES OF GEORGIA AND JERUSALEM IN 70-80S OF THE XX CENTURY**

Relations between Orthodox Churches of Georgia and Jerusalem start in the early Christian era. The common faith traditions have connected closely Christ's two disciples' (St. Jacob and Andrew the First) churches to each other. In Early Middle Ages Georgian monks played an important role in the development of monastic life on the holy land which meant forming of the Georgian ecclesiastical and cultural habitats.

Relations between Georgians and the church pilgrims of Jerusalem continued for many centuries. However, due to the difficult international or internal political situation, the positions of Georgians had waned. Since the XIX century, the Church of Georgia was subordinated to the Russian

Church, and later, in the conditions of the Soviet regime in the country, all attempts to restore relations with the Church of Jerusalem resulted vain.

The restoration of historical relations between the two ancient Apostolic Churches became possible only at the end of the 70s and early 80s of the last century which is mainly related to the Catholicos-Patriarch of Georgia – Ilia II.

In this work we have reviewed the accomplishments of the Catholicos-Patriarch of Georgia – Ilia II, who greatly contributed to the restoration of traditional relations between Georgian and Patriarchate of Jerusalem, in order to make bilateral visits, conduct dialogue regarding the return of the historical, Jvari Monastery of Georgians on the Holy Land, and build relations with Israeli government, to renew cooperation between Georgian and Jerusalem clerical and academic figures. We have evaluated the importance of this as the relationship between the Church of Georgia and Churches of Georgia and Jerusalem, the history of relations between Georgia and Israel.



## ზურაბ ბოლქვაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **თანამედროვე საზოგადოების ლინგვისტური განვითარების ინტერპრეტაცია**

გლობალიზაციის ეპოქაში ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარებამ და საინფორმაციო ნაკადების ზრდამ მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებასა და არსებული მიზანდასახულობების და შეხედულებების ახლებურ შეფასებასა და გააზრებას. ფაქტია და შეუქცევადი პროცესი, რომ თანამედროვე კონსტელაციები სოციუმის ლინგვისტურ განვითარებაზე რელევანტურად აისახება. ტექნოლოგიების ინტეგრაციამ ყოფით და ოფიციალურ სფეროში ლინგვისტიკის სივრცე მოდერნიზებული ელემენტებით გაამდიდრა და გაამრავალფეროვნა.

თანამედროვე საზოგადოება, რომელსაც სტრუქტურირებული მთლიანობის სახე აქვს, გლობალიზაციის ეპოქაში გამოირჩევა მზარდი სოციალური პროგრესით, ახალი ღირებულებებითა და იდეების ტრანსფორმაციით. შესაბამისად, სოციალური დისკურსი მდიდარი რეფერენტული სივრცით, განსხვავებული მნიშვნელობებითა და ლინგვისტური მახასიათებლებით ხასიათდება.

მოხსენებაში ვისაუბრებთ ენის, როგორც სოციალური ფენომენის როლზე, ასევე, თანამედროვე საზოგადოების ლინგვისტურ დონეზე, ენის არსებობის ფორმების კავშირზე სოციალურ პროცესებთან, გავლენებთან, რომლებსაც სოციალური ფაქტორები ახდენენ ენაზე.

Zurab Bolkvadze

*Doktorand/*

*Staatliche Iwane-Dschawachischwili-Universität Tbilissi*

## **DIE INTERPRETATION DER LINGUISTISCHEN DIMENSIONEN DER MODERNEN GESELLSCHAFT**

Die Entwicklung der Informationstechnologien und die zunehmenden Informationsströme im Zeitalter der Globalisierung haben die Bildung der Zivilgesellschaft, sowie das neue Verständnis und neue Bewertung der existierenden Zielstreben und Meinungen bedingt. Es ist ein irreversibler Prozess und eine Tatsache, dass moderne Konstellationen auf die linguistische Dimension des Soziums eine relevante Auswirkung haben. Die Integration der Technologien im alltäglichen und offiziellen Bereich hat den linguistischen Raum mit modernistischen Elementen bereichert und vielfältig gemacht.

Moderne Gesellschaft, die eine strukturelle Einheit bildet, wird im Zeitalter der Globalisierung durch einen wachsenden sozialen Fortschritt, neue Werte, sowie transformierte Ideen gekennzeichnet. Dementsprechend wird sozialer Diskurs durch einen reichen Referenzraum, andere Bedeutungen und linguistische Eigenschaften charakterisiert.

Der Vortrag berichtet sowohl über die Rolle der Sprache, als eines sozialen Phänomens und das linguistische Niveau der modernen Gesellschaft, als auch über den Zusammenhang der sozialen Formen der Sprachexistenz mit sozialen Prozessen, den Einflüssen, die soziale Faktoren auf die Sprache ausüben.

Tatyana Bondareva

*Arkalyk State Pedagogical Institute named after I. Altynsarin*

*/Arkalyk/Kazakhstan/*

**ADAPTATION OF STUDENTS  
TO THE DEVELOPMENT OF INTELLECTUAL-CREATIVE POTENTIAL:  
THE THEORETICAL ASPECT**

One of the priority goals of its programs, many educational institutions lay down the development of the intellectual and creative potential of students. Development of intellectual and creative potentials in educational institutions is understood differently, most often they mean specifically intellectual abilities or decorative and applied creativity, less often the search for new ways (methods) of solving problems (heuristic, non-standard, aimed at developing logical thinking); even less real research activities aimed at finding new methods, technologies, authoring developments. As a rule, such intellectual and creative potential is inherent in a small number of students with a high level of motivation and possessing an activity of interest to them.

Analysis of psychological and educational literature on intellectual and creative potential research allows us to define the intellectual and creative potential – as the integrative ability of a person, the use of individual and personal resources, the actualization of one's own thinking abilities, life experience, knowledge, skills, direction, personality motivations to self-development and creative self-realization. Since the development of intellectual and creative potential is aimed at the activation of individual and personal resources, they are inherently innovative, and consequently, obey the rules of human behavior formed in an innovative environment (educational environment).

We consider the educational environment in the context of development, namely, how the developing educational environment is a state (substance) of the educational environment, the interconnection of its

components allows the person to pass dynamically the following phases of development: object, subject-functional, subject, transformation, thereby passing from one qualitative state development in another.

When evaluating the product of intellectual and creative potential, it is necessary to take into account the personal and subjective attitude to his society. When organizing a process that ensures adaptation to the development of intellectual and creative potential in an educational institution, it is necessary to take into account the conditions under which such adaptation is carried out. Practice shows that the learning process is more productive if its organization is conducted taking into account the factors influencing the adaptation process.

## შალვა ბუაძე

დოქტორანტი

*აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
ქუთაისის/საქართველო*

### ახალი მასალები

#### **გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქუთაისისათვის**

ქუთაისი განეკუთვნება იმ უძველეს დასახლებათა რიცხვს, რომლებმაც თანმიმდევრული განვითარების გზით თითქმის ყველა ეპოქა გაიარეს. დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე პირველ-მოსახლენი ქვედა პალეოლითში ჩნდება და მას შემდეგ თითქმის უწყვეტად მომდინარეობს.

ქუთაისის სიძველეების მეცნიერულ კვლევას საფუძველი დიუბუა დე მონპერემ (XIX ს-ის 30-იანი წლები) ჩაუყარა. მასვე ეკუთვნის „ქუთათისიუმის“ ლოკალიზაციის პირველი მცდელობა.

არქეოლოგიურ ძეგლებს ქუთაისში პირველად მწერალმა და საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელმა 1870-იან წლებში მიაკვლია.

ქუთაისის კვლევის მნიშვნელოვანი წილი ძვ. წ. I ათასწლეულის ძეგლების შესწავლას მიეძღვნა. აღნიშნულ საქმეს მეცნიერული საფუძველი აკადემიკოსმა ოთარ ლორთქიფანიძემ ჩაუყარა. უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში ჩატარებული კვლევების შედეგად „არქიელისა“ (ბაგრატის ტაძრის მიდამოები) და „გაბაშვილ-დათეშიძის გორების“ ტერიტორიაზე გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ვრცელი, გამაგრებული საქალაქო ტიპის სამოსახლო, რომლის ბაზაზეც ადრეანტიკური ხანაში აღმოცენდა ასევე ქალაქური ტიპის დასახლება, რომელიც დაახლოებით 10 ჰექტარზე ყოფილა განფენილი.

1984-90 და 2005-17 წლებში „გაბაშვილის გორასა“ და ბაგრატის ტაძრის მიდამოებში ჩატარებული კვლევების შედეგად გამოვლინდა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მძლავრი კულტურული

ფენები. განსაკუთრებით გამოსაყოფია 2014 და 2017 წლის საველე არქეოლოგიური სეზონი, რომლის დროსაც დაფიქსირდა საქალაქო ცხოვრებისთვის დამახასიათებელი არაერთი დეტალი.

დღემდე ჩატარებული სამუშაოები ცხადად უჩვენებს გვიან-ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ქუთაისის არქეოლოგიური ძეგლების კვლევის პერსპექტივებს.

**Shalva Buadze**

*PhD student*

*/Kutaisi Akaki Tsereteli State University/*

*Kutaisi/Georgia*

### **NEW MATERIALS FOR KUTAISI OF LATE BRONZE–EARLY IRON AGE**

Kutaisi belongs to those ancient settlements, which have subsequently undergone almost all the ages of development. At the territory of the modern city, first settlers emerge in Lower Paleolithic Period, and afterwards the settlement process never stopped.

Dubois de Montpéreux started to study Kutaisi antiquities scientifically (30s of 19<sup>th</sup> century). He, for the first time attempted to allocate “Kutatisium”.

The writer and the public figure Giorgi Tsereteli found archeological monuments in Kutaisi in 1870s.

Significant part of researches of Kutaisi was dedicated to the studies of the first millennium B.C. that was studied scientifically by the academician Otar Lordkipanidze. As a result of the researches implemented during the last 50 years, at the territories of Archieli (Bagrati Temple surroundings) and Gabashvili-Datesidze Mounts, Late Bronze and Early Iron Age vast reinforced urban type settlement was revealed, at the base of which in Early Antique Age the urban type settlement appeared, spread over approximately 10 ha.

As a result of the digs carried out at the territory of Gabashvili Mount in 1984-90 and 2005-17 strong cultural layers of the Late Bronze and Early Iron Age were found. Especially, the field archeological season of 2014 and 2017 should be distinguished, when several details characteristic of the urban life were verified.

The conducted works demonstrate the prospects of studies of the archaeological monuments of Kutaisi of the Late Bronze and Early Iron Age.

## ლატავრა ბუკია

დოქტორანტი

საქართველოს ანდრია პირველწოდებულის სახ.

ქართული უნივერსიტეტი /

თბილისი/ საქართველო

### **თედო სახოკია საქართველოში საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანის შესახებ**

*(ერთი გვერდი 1905 წლის რევოლუციის ისტორიისა)*

თედო სახოკია XIX ს.-ის 90-იან წლებსა და XX ს.-ის პირველ ნახევარში მოღვაწეობდა. მისი, როგორც ისტორიკოსის, როლი საქართველოს ისტორიოგრაფიაში ფასდაუდებელია.

საქართველოს ისტორიაში თედო სახოკია ცნობილია, როგორც საბჭოთა პერიოდში მოღვაწე ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი, პედაგოგი, ფოლკლორისტი და სხვა.

თედო სახოკიას გამოუქვეყნებელი ხელნაწერი, რომელიც ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, თედო სახოკიას ფონდში, აღწერილობათა ნიგნი N73, დათარიღებულია 1931 წლის 27 მარტით. ხელნაწერის მოცულობა შეადგენს 90 გვერდს. გადმოცემულია ცნობები, 1905 წელს საქართველოში შემოტანილი იარაღის შესახებ. კერძოდ, საქართველოს საოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ხელმძღვანელობით, საფრანგეთში მყოფი პარტიის ერთ-ერთი ლიდერის გიორგი დეკანოზიშვილის მიერ საქართველოში მიმდინარე მოვლენების – მოახლოებული რევოლუციის, იაპონიის სამხედრო მთავრობის დახმარებით შვეიცარიაში შექმნილ იქნა (თოფები, თავისი ვაზნებით) იარაღი. საქართველოში პარტიის ლიდერთა შორის, ამ მისიას უშუალოდ ხელმძღვანელობდა შავიზღვისპირა ზოლში თედო სახოკია.

თედო სახოკიას ხელნაწერში აღწერილი აქვს საქართველოში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერის გიორგი ლასხიშვილის, პარტიის წევრთა მიერ, იარაღის მისაღებად განეული საქ-



მიანობა. დეტალურად აქვს აღწერილი, იარაღის შექმნა, აგრეთვე გემ „სირიუსის“ და მისი ეკიპაჟის წევრთა ისტორია. გემიდან იარაღის გადმოტვირთვა, წინასწარ მომზადებულ საწყობშივე დალაგება, შემდეგ გატანა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და ხალხის შეიარაღება. სარეგოლუციო კომიტეტების დაარსება ფოთში, ბათუმსა და სოხუმშიც.

აღწერილია რეპრესიები და სადამსჯელო ოპერაციები. აგრეთვე იმ პერიოდის მოვლენების ამსახველი, საგაზეთო კორესპონდენციები, დამნაშავეთა დასჯისა და დაკავების სასამართლო პროცესები.

ვფიქრობ, აღნიშნული ხელნაწერის მიხედვით, საქართველოს ისტორიაში ამ ისტორიული მოვლენის, შეფასება, საუკუნის შემდეგ ამ მოვლენების გახსენება, იქნება იმ ადამიანების დაფასება, რომლებმაც თავიანთი სამშობლო ქვეყნის ისტორიაში, საკუთარი სიცოცხლით მიაგეს პატივი, ერის თვითგამორკვევას.

**Latavra Bukia**

*PhD Student*

*/St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/  
Tbilisi/Georgia*

## **TEDO SAKHOKIA ABOUT ARMS IMPORT FROM ABROAD**

*(A page of the 1905 revolution)*

Tedo Sakhokia worked in the 90s of the XIX century and the first half of the XX century. As a historian he is of major importance. Moreover, he opposed actively the political regime.

In the history of Georgia Tedo Sakhokia is known as a historian, ethnographer, lexicographer, translator, folklorist etc.

The unpublished manuscript of Tedo Sakhokia is kept in the National Center of Manuscripts, in the Tedo Sakhokia Foundation, book N73, dated by 27 March 193, it consists of 90 pages. The volume tells about the arms smuggled into Georgia in 1905. The arms were bought in France by the

leaders of the Georgian – Federalist party leadership, namely Giorgi Dekanozishvili, by the aid of the Japanese government and the forthcoming expected revolution in Georgia. Tede Sakhnokia party leaders. was among the Among the leaders of the The described event was entirely directed by Tede Sakholia at the Black Sea coast.

Tedo Sakhokia's manuscript was described by Giorgi Laskhishvili, Leader of the Socialist-Federalist Party in Georgia, regarding the party members taking up the arms, all the details, of the purchase of weapons, as well as the history of the ship ~Syrius~ and its crew. Unloading of weapons from the ship, sorting them in the prepared warehouse, then sending out the weapons to the different parts of Georgia. Establishment of the Communist Party Committees in Poti, Batumi and Sokhumi.

Repressions and punitive operations are described. As well as newspaper correspondences, legal proceedings, detentions and punishment of the perpetrators.

I think, century later recollection of those events and will be greatly appreciated by the public and particularly those who are interested in history of their homeland, honoring the nation's self-determination.

# ლანა ბურკაძე

დოქტორანტი

*ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი/*

*ბათუმი/საქართველო*

## რომაული სტრატეგიული ინტერესები

### სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში IV-VI საუკუნეებში

სამხრეთ-დასავლეთ საქართველო რომის ინტერესის სფეროში ჯერ კიდევ ძვ.წ. I საუკუნეში მოექცა. ამის ნათელი დადასტურებაა პომპეუსის ლაშქრობა იბერია-კოლხეთში, არისტარქეს კოლხეთში ხელდასმა, შემდგომში კი, პოლემონის პონტოს სამეფოში შესვლა და კაბადოკიის პროვინციის გამგებლობაში მოქცევა.

უკვე ახ.წ. 70-იანი წლებიდან, რომაელებმა დაიწყეს სტრატეგიული პუნქტების დაარსება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, მათ შორის იყო აფსაროსი, ფაზისი და უფრო ზემოთ დიოსკურია და პიტინტი. ეს სიმაგრეები მიმართული იყო, იმისაკენ რომ დაეცვათ იმპერია ჩრდილოეთით მცხოვრები მომთაბარე ტომების შემოსევებისაგან.

რომში მიმდინარე მოვლენები ყოველთვის აისახებოდა მის მიერ დაქვემდებარებულ ტერიტორიებში, პროვინციებში.

IV საუკუნისათვის მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება რომის იმპერიაში. რესპუბლიკის ხანაში და ადრეული იმპერიის (პრინციპატის) პერიოდში წარმოებული დაპყრობითი ომების შედეგად იმპერიამ გრანდიოზული მასშტაბები მიიღო. მის შემადგენლობაში შედიოდნენ სხვადასხვა მოდგმის ხალხები და ტომები, რომლებიც სრულიად განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ დონეზე იდგნენ. თანდათან აშკარად ხდებოდა, რომ ამ უზარმაზარი სახელმწიფოს ერთი ცენტრიდან მართვა შეუძლებელი იყო, განსაკუთრებით კი რომის აღმოსავლურ პროვინციებში.

IV ს.-ის მეორე ნახევრიდან აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) პოზიციები აღმოსავლეთში მნიშვნელოვნად შეიწყა. აქედან გამომდინარე, ბიზანტიის იმპერიას აღმოსავლეთში მორჩილ ვასალ-

ზე მეტად ძლიერი მოკავშირე სჭირდებოდა. იგი ამ დროს იძულებულია, არა მარტო შეურიგდეს ლაზეთის სამეფოს გაძლიერებას, არამედ ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს მას. ლაზიკის ძლიერი სამეფო ბიზანტიას სჭირდებოდა რათა თავი დაეცვა გუთებისა და ჰუნების შიდა ტერიტორიაზე შემოჭრისგან.

ყოველივე ეს აიძულებდა ბიზანტიას შერიგებოდა ლაზიკის გაფართოებას, გაძლიერებას და მისი დამოუკიდებლობის გაზრდას. IV საუკუნიდან ლაზიკის ტერიტორიაზე, თვით მის ზღვისპირა სიმაგრეებშიც კი აღარ იდგნენ რომული გარნიზონები. ბიზანტიელი მწერლები გარკვევით წერდნენ, რომ ლაზები არც ხარკს იხდიდნენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდნენ რომაელებს. გარდა იმისა, რომ მტკიცედ იცავდნენ საზღვრებს, რათა ჰუნები რომაელთა მიწა-წყალზე არ შემოჭრილიყვნენ. ლაზთა მეფის რომზე დამოკიდებულება მხოლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ მას ტახტზე იმპერატორი ამტკიცებდა.

ამრიგად, როგორც რომის იმპერიისათვის, ასევე შემდგომ ბიზანტიის იმპერიისათვისაც, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო წარმოადგენდა მნიშვნელოვან ტერიტორიას, რადგან ეს იყო ტერიტორია, რომელიც წარმოადგენდა იმპერიის თვდაცვით ზოლს, ჩრდილოეთიდან მომავალი მომთაბარე ტომებისაგან. სწორედ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ ლაზიკა წარმოადგენდა იმპერიის გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიას, რომელიც იმავდროულად დამოუკიდებლობით სარგებლობდა.

**Lana Burkadze**

*PhD student*

*/Batumi Shota Rustaveli State University/*

*Batumi/Georgia*

## **ROMANS STRATEGIC INTERESTS IN SOUTH-WEST GEORGIA IN IV–VI CENTURY A.D.**

South-West Georgia was always a sphere of interest for Romans in 1th century BC. First of all, we should mention Pompey's campaign in Ibe-

ria, designation of Artagi in Cochi. After this, Colchis were under the Polemon's Ponto and ended as the part of Cappadocia.

Already around 70 AD. Rome started to established strategic point in South-West Georgia. Including: Afsarus, Phasis, Dioscuria and Pitiunt. These fortifications were to to protect Rome and its provinces from the invasions of nomadic tribes living in the north.

The current affairs from Rome always were reflected in the provinces, which were subordinates to it.

In the 4<sup>th</sup> century, significant changes were made in the Roman Empire. In the era of the Republic and the early Empire (Principality), the empire received grandiose magnificence of territory. These territories were comprised from the defence of peoples and tribes. Who stood on a completely different social, economic and cultural level. Gradually it was clear that the management of this huge state from one point was impossible, especially the long-distance and eastern provinces of Rome.

In 2<sup>nd</sup> -3<sup>rd</sup> centuries A.D. eastern and western parts of the empire were already different. Despite this distinctions, the Empire was maintaining formal integrity, but the formal condition ended in the end of the 40<sup>th</sup> century when Emperor Theodos I (379-395) died, before his death he broke empire into two parts for his sons in 395. Since gthan the Eastern provinces have been established as a separate state-Eastern Roman Empire. And Southwest Georgia was part of the Byzantine.

From the second half of 4<sup>th</sup> century AD, the Byzantine positions in the East were significantly shaken. Consequently, the Byzantine Empire more needed a strong ally in the East than the weak obedience. They were forced not only to reinforce and strengthen the Kingdom of the Laz but also to support them. Byzantines needed power of Lazica in order to avoid the invasions of its territory from Huns and Goths.

All of this compelled Byzantine to conciliate Lazicas expansion, strength and independence. From the 4<sup>th</sup> century A.D. on the territory of Lazica, even on a coastal area, there were no state garrisons of Romans. The Byzantine writers clearly wrote that the Laz did not pose threat to Romans and they were not subduing them. Besides, they stood firm on the

borders, and the Hunts were not allowed to cross the Roman land. The role of Romans was only to show that the throne was given to the Lazi king by them.

Thus, South-west Georgia was an important territory for the Roman Empire, and later for Byzantine Empire, as it had a good location for defending empire from the invasion of northern tribes. This was the reason that Lazica was the subordinate of the empire, enjoying at the same time independence.

## მზისა ბუსკივაძე

ფილოლოგიის დოქტორი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### ქალთა ტიპები თურქ ხალხთა დესტანებში

თანამედროვე საზოგადოების განვითარების ერთ-ერთ სტრატეგიად საზოგადოებაში ქალის როლის და ადგილის განსაზღვრა შესაძლოა მივიჩნიოთ. საზოგადოების სტრუქტურირების, სოციალური ყოფის, კულტურული და სულიერი მემკვიდრეობის ასახვა, ანარეკლს ლიტერატურაში პოულობს. ამა თუ იმ ერის ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შესახებ ნათელ წარმოდგენას წერილობით ლიტერატურასთან ერთად, ზეპირსიტყვიერი ლიტერატურაც გვიქმნის. ფოლკლორის სხვა ჟანრებთან შედარებით გავრცელების და მრავალფეროვნების კუთხით, ეპოსის ჟანრი მეტ ყურადღებას იმსახურებს. თურქული ფოლკლორული სამყარო საგმირო ეპოსით ძალიან მდიდარია. დესტანები თურქ ხალხთა სოციალური ყოფის, საზოგადოებრივი მოწყობის, სამყაროს შესახებ რწმენა-წარმოდგენების ახლოდან გაცნობის საშუალებას გვაძლევს. თურქ ხალხთა დესტანებში მთავარი გმირების გვერდით მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ქალი პერსონაჟები. თურქ ხალხებში ქალისადმი დამოკიდებულება თანასწორი ურთიერთობიდან, ქალის პასიურ აქტორად ქცევის პროცესამდე სხვადასხვა ეტაპებს გადის. ორჰონის წარწერებში ჰანის გვერდით, ხათუნიც მოიხსენიება. სახანოსთან დაკავშირებულ გადანყვეტილებას ისინი ერთობლივად იღებენ. მე-11 საუკუნის წერილობით ძეგლში “Kutagu Bilig” დამოკიდებულება მკვეთრად შეცვლილია. აღნიშნული ცვლილება ისლამის რწმენასთან არის დაკავშირებული. ქალთა ტიპების კვლევის პროცესში მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება ისლამამდელ, თუ ისლამის შემდგომ პერიოდს ეკუთვნის ესა თუ ის დესტანი. ერთი შემთხვევაში ვხვდებით ქალის აქტიურ და მე-

რძოლ ტიპს, მეორე შემთხვევაში კი შედარებით – პასიურს. „ოლუზ კალანის“ დესთანში ქალს საკრალური ფუნქცია აქვს მინიჭებული. „მანას“ დესთანში მანასის მეუღლე, ხშირ შემთხვევაში თავად მანასზე მეტი გამჭრიახობით და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩევა. „ქოროლლუს“ დესთანის თურქმენულ ვარიანტში ქოროლლუს მეუღლე აგაიუნუსი ქოროლლუს გადანყვეტილებებზე დიდ გავლენას ახდენს. იგი ავტორიტეტული, ძლიერი და გონებაგამჭრიახ პერსონაჟს წარმოადგენს. ჰაკასების ცნობილი დესთანის „ალთინ აღირი“ მთავარი გმირი ქალია. ქალთა ტიპების კლასიფიცირებისას გამოიყოფა ქალთა შემდეგი ტიპები:

1. მებრძოლი ქალის ტიპი;
2. ბრძენი ქალის ტიპი;
3. პასიური ქალის ტიპი.

აღნიშნული კლასიფიკაციის საფუძველს თურქ ხალხთა მომთაბარე ცხოვრების სტილი, რელიგია და ოჯახის სოციალური ინსტიტუტი განაპირობებს. დესთანებში მოცემული ქალთა ტიპების გაანალიზება საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ ქალთა სოციალური როლისა და სტატუსის შესახებ. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია იმის დადგენაც, რამდენად დიდი გავლენა იქონია მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლამ ქალთა მიმართ შემდგომ დამოკიდებულებაზე.

## Mzisa Buskivadze

*Doctor of philology*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

### **TYPES OF WOMEN IN THE DASTANS OF TURKIC PEOPLES**

One could consider determination of women's role and place in the society as one of the development strategies for the contemporary society. Structuring of the society's, social life, cultural and mental heritage is reflected in the literature. Together with the written literature, the oral literature provides clear vision of the processes in the life of one or another



nation. In comparison with the other genres of folklore, epos deserves particular attention with respect of dissemination and versatility. Turkic folklore world is very rich with heroic epos. Dastans allow gaining insight into the social life, social order, beliefs and views about the world. In the dastans of Turkic peoples, side by side to the main characters female personages play significant roles. In the Turkic peoples, attitude towards women has passed various stages from equal relations to turning them into the passive actors. In Orkhoninscriptions, together with Han, Khatun is mentioned as well. Decisions related to the khanate were made jointly. In the written monument of 11<sup>th</sup> century “KutadguBilig” the attitude is absolutely different. Such change is related to Islam. In the process of studying of the women types it is significant to take into consideration whether the dastan belongs to the pre-Islamic or Islamic period. While in the former case there are active and fighting women, in the latter they are relatively passive. In dastan of “OghuzKhagan” woman has a sacral function. In the dastan of “Manas”, Manas’s spouse is distinguished with greater smartness and combative spirit than her husband. In Turkmen version of “Koroghlu” dastan, Koroghlu’s wife, Agaiunus has great influence over his decisions. She is an authoritative, powerful and smart character. Main character of Khakas-dastan “AltinAghir” is a woman. In classification of the women’s types the following types were identified:

1. Fighting women type;
2. Wise woman type;
3. Passive woman type.

Basis of this classification is provided by the nomadic lifestyle of Turkic peoples, their religion and family social institute. Analysis of the women’s types in the dastans allows to clarify of the women’s social status and role. In addition, it is significant to find out, how switching to the settled life impacted the attitude to women.

## ნანა გაბადაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **ქართული და რუსული ენების ლინგვო-კონცეპტუალური ველის კვლევის ზოგიერთი დებულება**

ენობრივმა ნიშან-კონცეპტებმა კვლევაში შექმნეს სისტემა, კონცეპტთა სიმრავლე, რომლებიც მექანიკური გროვა როდია, ესაა მონესრიგებული სიმრავლე, სადაც ყოველ ნიშანს მიჩენილი აქვს გარკვეული ადგილი ნიშანთა სიმრავლეში. ისმის კითხვა: რის მიხედვით? იმის მიხედვით, თუ როგორია მისი მიმართება, ერთის მხრივ, აღსანიშნავ და მეორეს მხრივ, სხვა ნიშან-კონცეპტებთან, გავარკვიეთ, რომ ენობრივ ნიშან-კონცეპტთა შორის სიტყვათა მარაგია (ლექსიკა) ენის ძირითად ნიშან-კონცეპტთა მატერიალურ ფონდს რომ ქმნის, მორფოლოგია, სინტაქსი, სტილისტიკა. ამ ფონდის გამოყენების შესაძლებლობას ითვალისწინებენ მორფოლოგიური ინვენტარი, სინტაქსის დებულებანი. ესაა ფორმულები, რომლებიც აღნიშნავენ, თუ რა ადგილი უკავია სიტყვებსა და მათ ვარიაციებს ენობრივი სისტემის შიგნით.

მნიშვნელობის (აზრის) ორი ფუნქცია, სუბიექტური, რომელიც ადამიანის მდგომარეობის განმსაზღვრელია და ობიექტური, რომელიც წინადადების, სიტყვის თუ ფრაზის ჭეშმარიტება-მცდარობას განაპირობებს, ამ უკანასკნელის რაიმე რწმენით წარმოთქმას გულისხმობს, მისი კონცეპტუალიზაციის პირობაა, სამყაროს ფრაგმენტს წარადგენს, სისტემატიზაციას ექვემდებარება.

რწმენა, რომელიც ამა თუ იმ სიტყვის გამოყენებას, ე.ი. მის ფუნქციონალობას, განაპირობებს, აღნიშნავს შემეცნებითი თუ სხეულის, ან ორივეს ერთად, მდგომარეობას, მათი კომბინირებული სახით წარდგენას.

სიტყვას აქვს „მნიშვნელობა“, აღნიშნავს ფუნქციონალობას, ასოციაციათა მწკრივს, თუ გინდაც, პირობით რეფლექსს, რომელიც აკავშირებს მას, სიტყვა-კონცეპტს, რაღაც განსხვავებულთან.

ყველაფერი რაც სამყაროშია, ფაქტად იწოდება, რომელიც რაიმე მტკიცებულებას ქვემარტება/მცდარობის ელფერს ძენს. ხოლო ქვემარტების პირობას, ჩვენს შემთხვევაში, განაპირობებს რწმენასა და ფაქტთან კავშირი, სიტყვა კონცეპტების კონცეპტოსფეროს კვლევა, რომელიც ფაქტ-ვერიფიკატის სახით წარვუდგინეთ ლინგვო-კულტურულ საზოგადოებას, გამომდინარე იქიდან, რომ ენობრივი ხედვა წარმოადგენს უკვე ჩამოყალიბებული ღირებულებათა პრიზმიდან კულტურის დანახვას, სადაც ენობრივი ცნობიერება კულტურულ ფასეულობებთან მოიაზრება, რომელიც, თავის მხრივ, უშუალო კავშირშია სამყაროს ხატთან, რომელიც ღირებულებათა სისტემას წარმოგვიდგენს ორივე შეპირისპირებულ ენაში.

**Nana Gabadadze**

*Phd Student*

*/ Iv. Javakishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **RUSSIA AND GEORGIA SOME LINGVO-CONCEPTION**

### **SEARCHING STATUE**

Word – concept research reveals that material aspect of word – concept helps us to understand its linguistic aspect, as they both are based on idea. So, it would be great if each part of linguistic meaning would have its identical meaning from external aspect . Although it can't be carried out materially. Generally, the external aspect of word – concept is extended and implies the variety of word – concepts associated with it. so in one word area a plenty of lexico – semanticalvariants are found – “varieties of meaning” that don't influence on each separate concept negatively.

All in all it contributes to development and functioning of linguistic units and a braining proof depends on structures of semantic field which represents variety of linguistic-semantic stylistic – associate field in both research languages (Russian / Georgian), materialization of ethno-cultural memory and civilized forms and helps to perceive individual knowledge flow on the basis of dictionary definitions. And it turns into the subject matter of speaking in both research languages.

Linguistic unit combines us in relation to universe language and speaking is connected to thinking and perception.

Awareness and language determines Ethno and Culture Linguistic view implies to see cultures from the points of sophisticated values' perspective.

Ethno-linguistic awareness is regarded in terms of cultural values. Ethno-linguistic awareness is connected with the icon of universe, which constitutes system of values. Perception and language totally reflects the universe. Awareness and thinking, party studies the one.

Universe perception is possible by means of logics and motions.

Comparison of Linguistic phenomena (at the example of Russian and Georgian languages), Is one the most considerable preconditions for carrying out perception principle, and as our research proves it is of a great importance.

## ზინა გაბიჩვაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **მეღვინეობის სალექსიკონო მასალა**

დღეს, როდესაც ასე აქტუალური გახდა ღვინის წარმოება და მსოფლიო ბაზარზე ქართული ღვინის წარმოჩენა, მიგვაჩნია, რომ მეღვინეობაში ლინგვისტური კუთხითაც ბევრი რამ არის გასაკეთებელი. აუცილებელია, შეძლებისდაგვარად, ყველა იმ სიტყვისა და ტერმინის შეკრება-მოძიება, რომლებიც ღვინოს უკავშირდება. დღემდე არ არსებობს ლექსიკონი, რომელშიც სრულყოფილად არის შეკრებილ-გაანალიზებული აღნიშნული სფეროს ლექსიკა.

უძველესი ნივთიერი საბუთი საქართველოში ვაზისა და მევენახეობა-მეღვინეობის, როგორც დარგის, არსებობის შესახებ ენოლითის ხანას (ძვ. წ. აღ. V-IV ათასწ.) ეკუთვნის. აქედან მოყოლებული მევენახეობა-მეღვინეობა ქართველთა მეურნეობის ძირითად დარგთაგანი იყო და ბუნებრივია ეს ენაშიც აისახა. ამიტომ მევენახეობა-მეღვინეობის ტერმინების ჩასახვას ქართულ ენაში დიდი ისტორია აქვს, მისი გენეზისი საუკუნეთა სიღრმეში იკარგება.

სასოფლო მეურნეობის ყველა სხვა დარგისგან მევენახეობა იმით განსხვავდება, რომ მის საგანს და მთელ საზრუნავს ერთადერთი მცენარე, ვაზი წარმოადგენს. ამ დარგს ძველი საქართველოს ეკონომიკაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

ვაზსა და ყურძენთანა დაკავშირებული ქართული მეღვინეობის ლექსიკის ჩამოყალიბებაც, ამ ტერმინთა უმეტესობა მეტყველი და ტევადია. ვფიქრობ, მეღვინეობის ხალხური ლექსიკის შესწავლა და დარგის ტერმინოლოგიის შევსება დღეს აუცილებელია, რადგან ტექნიკური პროგრესის გამო თანდათან იკარგება ან იცვლება ე.წ. ნეოლოგიზმებით ძველი, ქართული ლექსიკა. მეღვინეობის სამეცნიერო ტერმინოლოგიაში გვხვდება ისეთი ტერმინები, რომელთა

ფარდი შესატყვისი, შეიძლება უფრო ტევადიც, გვაქვს ხალხურ ლექსიკაში, რომელთა უმეტესობაც დავინყებულები ან დაკარგულია. შევეცადეთ დიალექტური, ძველი და ახალი სალიტერატურო ენისა და სხვადასხვა დარგის ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში არსებული სასურველი მასალა მეტ-ნაკლები სისრულით აღგვენუსხა, თავი მოგვეყარა და, შეძლებისდაგვარად, ერთიანი სახე მიგვეცა. საანალიზო მასალა თემატურ ჯგუფებად არის დაყოფილი.

ტერმინოლოგიის სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებების შესწავლისას საჭიროა ამ ტერმინთა ლინგვისტური აღწერა, მისი აღნაგობისა და შედგენილობის დადგენა, სიტყვანარმოებითი შესაძლებლობების გამოვლენა, ტერმინოლოგიურ ერთეულთა აგების ზოგადი ტენდენციების განსაზღვრა, რა სახეები თუ სისტემები გამოიყოფა ამ ტერმინებში, რა კანონზომიერებით იქმნებოდა, იცვლებოდა ან იკარგებოდა ესა თუ ის ტერმინი და რა ადგილი აქვს მას დღევანდელ სამეცნიერო ტერმინოლოგიაში.

მიუხედავად იმისა, რომ შესწავლილი ვაზის კულტურასთან დაკავშირებული, მევენახეობის ლექსიკა (ვაზი (ნაწილები, ზრდა, ავადმყოფობა), ვენახი და მასთან დაკავშირებული სამუშაოების ლექსიკა), არ გვაქვს ამ ტერმინთა ლექსიკონი. ვფიქრობთ, ლექსიკონში აუცილებელი თუ არა სასურველი მაინც იქნება მეღვინეობისა და მევენახეობის ტერმინთა გაერთიანება. თუმცა თავდაპირველად შემოგთავაზებთ მხოლოდ მეღვინეობის ლექსიკის სალექსიკონო მასალას.

**Zina Gabichvadze**

*PhD Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **DICTIONARY MATERIALS FOR WINE-MAKING**

Today, as wine-making is popular again and Georgian wine is gaining global presence, we think, that there is much to be done in linguistics of vi-

ticulture. It is necessary to seek and gather all words and terms related to wine. To this day, there is not a single dictionary which contains all words related to this field.

The evidence, that wine-making was part of Georgian agriculture, dates back to V-IV centuries BC. From this period wine-making was one of the main parts of Georgian farming culture and of course this factor is represented in Georgian language. Thus, terms related to wine-making have rich history, genesis of those is lost in time.

The difference between other fields of agriculture and viticulture is that, wine-making is centered around vine itself, the plant had a vital role in Georgian economics since ancient times.

Forming of vocabulary related to the wine-making is mostly linked to the vine and grapes, most of these words and terms are expressive and capacious. In my opinion, it is essential to study and replenish terminology of the field, because as a result of technological progress ancient Georgian words are lost or substituted by neologisms. Forgotten Georgian words sometimes are better or equal match for scientific terms used in wine-making. We tried to find and collect words, that were in old and new literature and dictionaries of other fields. Materials for analysis are divided in thematic groups.

When studying individuality of these words, it is important to describe their linguistic characteristics, to determine their structure and composition, to show their ability to produce new words, to determine general tendencies of terminological unit construction, to find what systems stand out in these terms, with what regularity they were formed, changed or lost, and what place do they have in today's scientific terminology.

Even though vocabulary related to vine and vineyards has been researched, we don't have specific dictionary for these terms. In our opinion, it is essential, that terms related to both wine-making and vine-growing will be collected in one dictionary, but at this point we would like to present you only wine-making terminology.

## **Samantha Guthrie**

*Master of Public Policy  
/University of Virginia/  
USA*

### **UNCOVERING CONTEMPORARY LIVED IDENTITY IN THE CHECHEN REPUBLIC**

A generation of Chechens was born in the late 1980s and early 1990s, on the cusp of the fall of the Soviet Union. This generation was raised not only in the uncertainty and chaos of the new Russia, but in an active war zone for no less than 4 years, and in the *insurgent* phase of the Second Chechen War for nearly another decade. The constant upheavals of the past two and a half decades created conditions for a crisis of identity for young Chechens. While Chechnya today is stable, the refinement of a new Chechen identity instigated by the crises of the 1990s continues. The honest, organic expressions of self that young people share through social media reveal the birth of a new Chechen identity – one that is heavily influenced by war, economic instability, “traditional” pre-Russian Chechen culture, Soviet culture, the reigns of Vladimir Putin and Ramzan Kadyrov, and globalized popular culture. I sought to answer the question: **How do lived expressions of identity, as seen through the crafted behaviors of Chechen young people, help us redefine and better understand the archetypes of contemporary Chechen identity?** In my research on Chechnya’s most popular social media sites, centered in the political and historical context, I developed five main social archetypes that young people in contemporary Chechnya project as conscious, crafted self-image, and broke down these archetypes in the frames of place, religion, and gender. Understanding the lived identity of young, urban Chechens is the key to understanding and predicting the Republic’s future trajectory, which has implications for all of Russia and the Caucasus region.



## ქეთევან გარაყანიძე

დოქტორანტი

*/ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტი/*

*ბათუმი/საქართველო*

### **მზის დაბალეზა თხოთის მთაზე და მეფე მირიანი, როგორც ინიციატივის ადვოტი**

მირიანის ნადირობა და მზის დაბნელების ეპიზოდი ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „მოქცევაი ქართლისაის“ კრებულში დაცული ისტორიებიდან. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ხშირად გვხვდება მსჯელობა სხვადასხვა დროის სამეცნიერო პუბლიკაციებსა და მონოგრაფიებში. საკითხით სადისერტაციო თემის („წარმართობის კვალი ადრეული პერიოდის ქართულ ჰაგიოგრაფიაში“) ფარგლებში დავინტერესდით და ნაშრომის ერთ-ერთი ქვეთავი სწორედ ამ პრობლემის ახლებურ გააზრებას დავუთმეთ. ჩვენი მიზანი მზის დაბნელების სცენის ანტიკურ მისტიკებთან დაკავშირება და მირიან მეფის გამორჩეულობის ჩვენებაა. ვცდილობთ, მისი თავგადასავალი გავიაზროთ ქურუმთა საქმიანობასთან პარალელურად და წარმოვაჩინოთ პირველი ქრისტიანი მეფე, როგორც უფლის მიერ ხელდასმული ადამიანი (ადეპტი), რომელიც ფლობს დიდ რელიგიურ საიდუმლოებასა და ცოდნას სამყაროს მარადიულობის შესახებ.

Ketevan Garakanidze

*PhD Student*

*/Batumi Shota Rustaveli State University /*

*Batumi /Georgia*

**A SOLAR ECLIPSE ON MOUNT TKHOTA AND KING MIRIAN  
AS AN ADEPT OF SPIRITUAL INITIATION**

The episodes of King Mirian's hunting on Mount Tkhota and a solar eclipse are of a particular importance among the stories included in chronicles of "Conversion of Kartli". The issue attracted our attention and interest within the dissertation theme and one of the sub-chapters is dedicated to analyzing the problem in a novel way. Our objective is to relate the scene of a solar eclipse to ancient mysteries and reveal otherness of King Mirian. We try to draw a parallel between the king's experience and old Egyptian oracles' mystic activities and present the first Christian king as an adept appointed by God who acquires a great religious mystery and knowledge about eternity just like an oracle.

## თამარ გასიტაშვილი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### სპარსულიდან ქართულში დამაკვიდრებელი ჭურჭლის აღმნიშვნელი ტერმინები „რუსუდანიანის“ მიხედვით

ქართველ და ირანელ ხალხებს, როგორც მუდამ ერთ გეოგრაფიულ და კულტურულ არეალში მცხოვრებთ, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სახითა და ფორმით, ყოველთვის ჰქონდათ ერთმანეთთან ურთიერთობანი, მაგრამ იგი ისეთი მჭიდრო და მრავალფეროვანი არასოდეს ყოფილა, როგორც XVI-XVIII საუკუნეებში.

ქართულში შემოსულია როგორც ძველი, ისე საშუალო და განსაკუთრებით ახალი სპარსული ლექსიკა.

ახალი სპარსული ლექსიკის შემოდინება ქართულში ძირითადად ორ ნაკადად მოხდა, პირველად XI-XII, ხოლო მეორედ – ჩვენთვის საინტერესო XVI-XVIII საუკუნეებში.

ჩვენი ნაშრომიც სწორედ ამ ხანის უცნობი ავტორის (XVII ს.) ქართული საგმირო-სათავგადასავლო ჟანრის ნაწარმოების – „რუსუდანიანის“ დარგობრივ, კერძოდ, ჭურჭლის აღმნიშვნელ სპარსულ ლექსიკას ეძღვნება.

ჩვენ მიერ გამოვლენილი და გაანალიზებულია შემდეგი ლექსიკური ერთეულები:

**ნალბაქი** არაბ. – სპ. نعلبكي [na'lbakī], **შუშა** სპ. شیشه [šiša (-e)], **ზარფუში** სპ. سرپوش [sarpūš], **ფისოსი** სპ. پی سوز [pīsūz] // پیه سوز [pīhsūz], **ფიდანი** სპ. پیه دان [pīhdān], **მათარა** არაბ.-სპ. متاره [matāra(-e)], **ქუზა** სპ. کوزه [kūza (-e)], **ალთაფა** სპ. آبابه [ābtāba (-e)] // آفتابه [āftāba (-e)], **თუნგი** სპ. تنگ [tong], **თეფში** სპ. تپشی [tepešī // tepšī], **ლანგარი** სპ. لنگری [langarī], **ბარქაში** სპ. بارکش [bārqaš // bārqeš].

ამ ტერმინების ფონეტიკური, მორფოლოგიური, სემანტიკური და, ამავე დროს, ისტორიულ-ეტიმოლოგიური ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ სიტყვები შემოსულია გარკვეული ფონეტიკური და სემანტიკური ცვლილებებით, რომლებიც ქართული ენის დიალექტებში გვხვდება სხვადასხვა ვარიანტებით. ყურადღება მიიქცია ზოგიერთი სიტყვის საინტერესო ეტიმოლოგიამ.

Tamar Gasitashvili

*PhD Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **SOME VESSEL TERMINOLOGY SETTLED FROM PERSIAN INTO GEORGIAN ACCORDING TO “RUSUDANIANI”**

The Georgian and Iranian people, having inhabited permanently in the same geographic and cultural area, in different periods of time, always had relationships in various outlook and forms, but it had never been so close and various, as in the XVI-XVIII centuries.

Both old and middle and especially modern Persian vocabulary has been introduced in Georgian language.

Forthcoming of modern Persian vocabulary into Georgian language basically occurred in two flows, firstly in XI-XII centuries, and the second one – in XVI-XVIII centuries.

Our thesis is dedicated to the Persian vocabulary of the Georgian heroic – adventure writing – “Rusudaniani” of the unknown author of this era (XVII c.).

We have demonstrated and analyzed the following lexical units:

Georgian **nalbaki** < Arabian – Persian نعلبکی [na'lbakī], Georgian **shusha** < Persian شیشه [šīša (-e)], Georgian **zarpushi** < Persian سرپوش [sarpūš], Georgian **pisosi** < Persian پی سوز [pīsūz] // پیه سوز [pīhsūz], Georgian **pidani** < Persian پیه دان [pīhdān], Georgian **matara** < Arabian – Persian مناره [matāra(-e)], Georgian **kuza** < Persian کوزه [kūza (-e)], Georgian **altapa** < Persian آبتابه [ābtāba (-e)] // آفتابه [āftāba (-e)], Georgian **tungi** < Persian تنگ [tong], Georgian **tepši** < Persian تپشی [tepešī // tepšī], Georgian **langari** < Persian

**tepši** < Persian تپشی [tepešī // tepšī], Georgian **langari** < Persian لنگری [langarī], Georgian **barkashi** < Persian بارکش [bārqaš // bārqeš].

As a result of phonetic, morphological, semantic, and simultaneously, historical-etymological analysis, it has been clarified that the words had been entered with some phonetic and semantic modifications, which are in Georgian dialects in different versions. Interesting etymology of some words have been drawn attention.

## ლევან გელაშვილი

დოქტორანტი/

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო

### „ვეფხისტყაოსანი“ და კინო

ნაშრომში განხილულია „ვეფხისტყაოსნისა“ და კინოს ურთიერთგადაკვეთის წერტილები, ეკრანიზაცია და ეკრანიზაციის ისტორია და პოემის ეკრანიზაციაში ლიტერატორების და კინომუშაკების ჩართულობა. მხატვრული ნაწარმოების წარმოსახვის თავისუფლება შეფარდებითია. რამდენადაც იგი შემოფარგლულია აღსაქმელი ნაწარმოების ფორმითა და შინაარსით. მიუხედავად ამისა, ერთი მკითხველის აღქმა იმავე ტექსტის სხვა მკითხველის აღქმისგან განსხვავებულია. ოციან წლების ერთ-ერთ ჟურნალში კინო, როგორც ტექნოლოგიური სიახლე განხილული იყო ვეფხისტყაოსნის მაგალითზე. სტატიაში შესწავლილია ისტორიულად როგორ ვითარდებოდა ვეფხისტყაოსნის ადაპტაციის მიდგომები, კინო როგორც ახალი მედია ეტაპობრივად ამუშავებდა პოემის მხატვრულ-შინაარსობრივ მხარეს. კინოს სოციალურ გარემოში პედაგოგიზაციასთან ერთად მოხდა პოემის ტექსტის და სიუჟეტის კინონარატივად და ბლოკბასტერად აღქმა. შეიძლება ლიტერატურული თხზულება სულაც არ იყოს კინემატოგრაფიული ხედვის ტექსტი, მაგრამ ტექსტის წაკითხვის გარკვეული სტრატეგიები ქმნიდეს მასში კინემატოგრაფიულ აქტს. ზოგი ლიტერატურათმცოდნე მიიჩნევს, რომ ტექსტის მნიშვნელობა მკითხველის გამოცდილებაა. ტექსტი ადამიანის გონებაში პროეცირებს კითხვასა და აღქმას შორის. კითხვის დროს კონკრეტულ სააზროვნო ლოკაციურ არეალში წარმოიქმნება აზრი, რომელიც ისტორიის ტრადიციისა და კულტურის აზრობრივ არეში ექცევა. ელიოტის აზრით, პოეტური ტექსტი, უკვე არსებულ ხელოვნების ნიმუშებთან შედარებისას გამოხატავს აზრს იური ლოტმანის თვალთახედვით ისტორიული

კანონზომიერებანი რეალიზდება არა პირდაპირ, არა უშუალოდ, არამედ ადამიანის ფსიქოლოგიური მექანიზმების მეშვეობით.

Levan Gelashvili

*PhD Student*

*/ Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/ Georgia*

### **“THE KNIGHT IN THE PANTHER’S SKIN” AND CINEMA**

The research presents the discussion of the following issues: intersection points between the poem "The Knight in the Panther's Skin" and the movie, the filming of the poem and the history of filming, the involvement of writers and cinema workers in the process of filming. The freedom of imagination of work of art is relative. As it sets bounds to the form and content of the perceivable creation. The perception of same texts are different for each reader though. In ae magazine of the 1920's the movie was discussed as the technological innovation based on the example of the poem "The Knight in the Panther's Skin". This article presents the process of developing the approaches of the poem adaptation historically, cinema as a new media was gradually refining the artistic-substantive aspects of the poem. Together with pedagogization of the film in the social environment the poem text and plot were perceived as film narrative and blockbuster. It is quite possible that literary work may not be the vision of cinematographic text, but some strategies of reading the text may create cinematographic acts in it. Some literary critics think that the meaning of the text is the experience of the reader. Text in our mind provokes between reading and perception. While reading in some specific cognitive zones concepts are formed, which comes to the tradition of history and culture. Eliot thinks, poetic text, expresses the idea only by comparing them to the already existed masterpieces. Yuri Lotman says, that historical regularities are realized not directly and immediately, but with the help of human's psychological mechanism.

## ლინდა გიორგაძე

მაგისტრანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **ტრანსპორტის ტერმინოლოგიის რედაქციის საკითხებისათვის**

რუსულ-ქართული ლექსიკონის რედაქციისას წავაწყდით საჭიროებას, განსაკუთრებული ყურადღება მიგვექცია ისეთი ლექსიკური ჯგუფისათვის, როგორცაა ავტონაწილებისა და ზოგადად, ტრანსპორტის ტერმინოლოგია. რადგან დღესდღეობით სატრანსპორტო ტექნოლოგია სულ უფრო ვითარდება, შესაბამისად, ჩნდება ახალი ცნებებიც, რომელთა ქართული შესატყვისების შექმნა მნიშვნელოვანია. სწორედ თარგმნითი და ტერმინოლოგიური ლექსიკონების შევსება-განახლებას ემსახურება ჩვენ მიერ შესრულებული სამუშაო.

შევისწავლეთ ავტონაწილების ტერმინთა რუსულ-ქართული შესატყვისები, მოვიძიეთ ინგლისურენოვანი ეკვივალენტები ჩვენს ხელთ არსებულ თითქმის ყველა ელექტრონულ თუ ბეჭდურ, სხვადასხვაენოვან ლექსიკონში. შევეცადეთ, შეგვეგროვებინა ავტონაწილებთან დაკავშირებული ტერმინების შესატყვისები რამდენიმე ენაზე, ასევე შევისწავლეთ ქართველ ხელოსნებთან უკვე დამკვიდრებული ტერმინები.

ზოგიერთი ტერმინს ქართული შესატყვისი არ მოეპოვება ან დავიწყებულია ქართული და დამკვიდრებულია რუსულის გავლენით შემოსული ხელოსნური ტერმინები.

მოხსენებაში განვიხილავთ ჩვენ მიერ დამუშავებულ მასალას, წარმოგიდგენთ კვლევის შედეგებს და იმას, თუ რა სახის ტერმინების შეტანა მიგვაჩნია საჭიროდ რუსულ-ქართული ლექსიკონის ახალ რედაქციაში. ასევე ვისაუბრებთ მუშაობის პროცესში წარმოქმნილ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე.



Linda Giorgadze

*MA Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **THE ISSUES OF EDITING OF TERMINOLOGY OF TRANSPORTS**

While editing Russian-Georgian dictionaries we have faced the necessity to pay special attention to the specific lexical group of words, which are names of car parts and the transport terminology in general. As in the modern world transport equipment is improving to-day, accordingly appears many new concepts, so it's important to create Georgian equivalents for this kind of words. Our job serves for editing and updating terminological and translation dictionaries.

We have researched equivalents of Russian, English and Georgian transport terms in each available electronic and printed source and found out barbarisms in this sphere, we also studied the terms which are already established with georgian mechanics.

Some of technical terms have not Georgian equivalents at all, or usually they are just in passive vocabulary, and are established as barbarisms from Russian language.

In our report we'll represent the processed materials, we'll show the results of our research and share our opinions about what kind of terms we support to add in updated Russian-Georgian translation dictionary. What's more, we'll talk about the main problems we have faced during our work and about the ways of solving them.

## ეკატერინე გოგალაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### თავმდაბლობა-თავაზიანობის გამოხატვა

#### თუ საუბრის სტრატეგია

*(სპარსული და ქართული სამეტყველო ეტიკეტის მიხედვით)*

მოხსენება ეხება ქართულსა და სპარსულში თავმდაბლობის გამომხატველ ვერბალურ საშუალებებს. მოხსენების მიზანია დაიძინოს თანამედროვე ქართულსა და სპარსულში თავმდაბლობის გამომხატველი ემპირიული მასალა და მოხდეს მათი კლასიფიცირება.

თავმდაბლობა თავაზიანობის გამოხატვის ერთ-ერთი საშუალებაა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით ასე განიმარტება: „**თავმდაბლობა (თავმდამლობისა) თავმდაბლის თვისება, – მოკრძალებულობა, მორიდებულობა“**. სპარსულ ენაში თავმდაბლობის აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვები: **forutan; tavazo' gardan – motavaze', khaze', khashe'**. თავმდაბლობა ამასთანავე საუბრის წარმართვის პროცესში ერთგვარი სტრატეგიაა დასახული მიზნის მისაღწევად. იგი ერთდროულად ავლენს ადრესატისა და ადრესანტის ურთიერთდამოკიდებულების სახეს – პატივისცემას, მოკრძალებას და ამასთანავე შეიძლება მოგვევლინოს საუბრის მონაწილეთა მიერ გამოყენებულ მიზნის მიღწევის ვერბალურ იარაღად. თავმდაბლობის ვერბალური გამოხატვა ქართულსა და ირანულ ყოფაში ისმის ძირითადად კომპლიმენტის, საჩუქრის მიღებისას, მადლობის ან შეთავაზების საპასუხოდ და ა.შ.

მოხსენებაში განხილულია თანამედროვე ქართულსა და სპარსულში თავმდაბლობის გამომხატველი ძირითადი ფრაზეოლოგია. აღნიშნული შინაარსის მატარებელი ფრაზები და გამოთქმები დაჯგუფებულია და აღწერილია ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით. ქართულსა და სპარსულ ენაში არსებული ემპირიული მასალა

გავანალიზეთ ცალ-ცალკე; მოვახდინეთ არსებული მასალის **შეპირისპირებითი** ანალიზი; ემპირიული მასალის გაანალიზების **შედეგად** დადგინდა ქართულ და ირანულ ყოფაში თავმდაბლობის გამომხატველი ფრაზეოლოგიის გამოყენების მიზანი და სიხშირე ეტიკეტურ სიტუაციათა მიხედვით. განისაზღვრა თავმდაბლობის გამომხატვის თავაზიანობის ხარისხი ირანულ და ქართულ ყოფაში.

Ekaterine Gogaladze

*PhD student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**MODESTY –**

## **EXPRESSIONS OF COURTESY OR STRATEGY OF SPEAKING**

*(According to Persian and Georgian etiquette)*

The report refers to verbal expressing of humility in Georgian and Persian. The **report aims** at finding empirical material expressing humility in modern Georgian and Persian and classifying them.

Modesty is one of the means of expressing courtesy. According to the definition of the Georgian explanatory Dictionary: “Humility (humbleness) is the quality of humility, – modesty, mildness” („თავმდაბლობა (თავმდაბლობისა) თავმდაბლის თვისება, – მოკრძალებულობა, მორიდებულობა“). In the Persian language a number of terms are used to mark Modesty: **forutan; tavazo’ qardan , motavaze’, khaze’, khashe’**. Humility In the process of the conversation may be considered as well as strategy of conversation. Humility will be the verbal tools of achieving the goals.

The report presents the main phraseology expressing humility in modern Georgian and Persian. Phrases and expressions of this content are classified and described according the Etiquette Situations.

The empirical material in Georgian and Persian languages were separately analyzed. The analysis of empirical material has been determined the frequency of using the Phraseology of modesty in Georgian and Persian. The level of the modesty expression was defined in Iranian and Georgian everyday life.

## ზაალ გოგენია

ასისტენტ პროფესორი

*ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **„მონარქისტული შთქმულება“ ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ და ფაშისტური იტალია**

ესპანეთის სამოქალაქო ომის მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედი მონარქისტული ძალები უფრო იყვნენ დაინტერესებული იტალიის რეჟიმთან ურთიერთობებით, ხოლო იტალიის ინტერესები ოკაზიონალური იყო. რომი რეაგირებდა ესპანელი მონარქისტების სხვადასხვა ინიციატივაზე, მაგრამ ჰქონდა კორექტული ურთიერთობები კანონიერ მთავრობასთან. მიუხედავად ამისა, სხვადასხვა დოკუმენტებისა და ლიტერატურის შესწავლა აჩვენებს, რომ ურთიერთობები იყო უფრო კომპლექსური და იტალია საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე აქტიურად ცდილობდა საჭირო კონტაქტების დამყარებას ესპანეთში.

იტალიაში მხარდაჭერას ეძებდნენ ესპანური ფალანგა და სხვადასხვა მონარქისტული ჯგუფი. მონარქისტების ერთ ნაწილთან შეთანხმებაც გაფორმდა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მუსოლინი მტრულად იყო განწყობილი რესპუბლიკის მიმართ და ნაკლებად უწევდა ანგარიშს იდეოლოგიურ მოსაზრებებს. პოლიტიკური რეალიზმი კარნახობდა მას, რომ ესპანეთში მხარი უნდა დაეჭირა კონსერვატიული ჯგუფებისთვის, ახალბედა ფაშისტური ჯგუფების ნაცვლად. საყურადღებო ასპექტია ის, რომ ესპანეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ მებრძოლებს მუსოლინიმ დახმარების შესახებ მზაობა ერთგვარი დათქმით დაუდასტურა: საუბარი იყო დახმარების შესაძლებლობაზე არა აჯანყების ორგანიზებისა და მომზადებაში, არამედ მხოლოდ მისი დაწყების შემდეგ.

აჯანყების დაწყებამდე რომში ბევრი ინფორმაცია დაგროვდა, რომლის საფუძველზეც იქ ჰქონდათ საკმარისი წარმოდგენა ესპანეთის მოვლენებთან დაკავშირებით. გოიკოეჩეას და ოლასაბალის დეტალური ანგარიშები, სან სებასტიანში იტალიის კონსულის პატერნოს დეპეშა, დე როსის ორი დეპეშა ადასტურებს, რომ თუ რომისთვის მოულოდნელი იყო აჯანყების დაწყება, ეს იყო არა ინფორმაციის ნაკლებობის ბრალი, არამედ იმის, რომ სხვადასხვა წყაროებიდან მოსულ ინფორმაციას ნაკლებ ანგარიშს უწევდნენ.

Zaal Gogenia

*Assist. Prof.*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**“MONARCHIST CONSPIRACY”  
AGAINST THE SPANISH REPUBLIC  
AND FASCIST ITALY**

Some researchers of the Spanish Civil War consider that Spanish monarchist groups were more interested in relations with Italy, while the Italian interest was the occasional. The official Rome simply was reacting to some initiatives of monarchists but at the same time it still had normal relations with the Spanish republican government. Nevertheless, the documents show that the relations were much more complex and Italian government was trying to establish contacts in Spain in order to achieve its interests.

The Italian assistance was sought by the Spanish Falange and the monarchist groups. The latter were even able to sign an agreement with the Italian government. This fact shows that Mussolini was opposing the republic in general and did not pay much attention to the ideological issues. The political realism was dictating him to support the conservative groups in Spain, instead of the newly-founded fascist organizations. It is also significant that he made some kind of precondition to his assistance: Mussolini was ready to help the rebels only after the outbreak of the hostilities and not in the preparation of the revolt.

There was sufficient information in Rome before the outbreak of the hostilities in Spain. Nevertheless, the beginning of the rebellion was unexpected to some level. The detailed reports of Goicoechea and Olazabal, the telegram of Paterno, the Italian consul in San Sebastian, two telegrams of de Rossi confirm that the unpreparedness of the Italian government to the beginning of revolt was caused not by the lack of data but by the fact that the Italians paid little attention to the received information.

## ქეთევან გონგაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **იკონოგრაფიული პროგრამების ურთიერთკავშირები მაცხვარიშის თარინგზელის ეკლესიასა და ზემო სვანეთის მოხატულობას შორის**

მთავარანგელოზთა დარბაზული, XIII-XIV საუკუნეების ეკლესია ზემო სვანეთში, ლატალის თემის სოფელ მაცხვარიშში, მაცხოვრის ამალღების ეკლესიის სიახლოვეს არის აღმართული. მოხატულობის იკონოგრაფიული სქემა შეიცავს სვანური ეკლესიებისათვის დამახასიათებელ ტრადიციულ ქრისტოლოგიურ ციკლს და ცალკეულ წმინდანთა გამოსახულებებს. სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლებზე ორ-ორი საუფლო სცენაა წარმოდგენილი, ისევე როგორც კამარის ჩრდილოეთ და სამხრეთ ფერდებზე ორ-ორი. ხოლო დასავლეთ კედელზე კი სამი სცენაა გადმოცემული. სამივე კედლის ქვედა რეგისტრი წმინდა მეომართა და წმინდა დედათა ფიგურებს ეთმობა. პილასტრებზე კი გადმოცემულნი არიან წინასწარმეტყველნი, მოციქულნი, უვერცხლო მკურნალნი. კამარაში კი წარმოდგენილია „ამალღება“, „წმინდა მანდილიონი“, „ქრისტე ძველი დღეთა“. ეს მოხატულობა განსაკუთრებულია, რადგან ზემო სვანეთში XVI ს-ით სხვა ეკლესიათა ფრესკები არ თარიღდება. შეიძლება ითქვას, რომ თარინგზელის ეკლესია მიჰყვება პალეოლოგოსური პერიოდის მონუმენტურ მხატვრობას სქემატური აგებისა და იკონოგრაფიული პროგრამის მხრივ. აქვე აღსანიშნავია ზემო სვანეთის სხვა ეკლესიათა მოხატულობები, რომლებიც X-XVII საუკუნეებს მოიცავს. მიუხედავად ეპოქათა განსხვავებულობისა, ამ ნიმუშთა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირებია, უპირველეს ყოვლისა – ტრადიციული მხატვრული ხედვისა და პრინციპების თვალსაზრისით. საუკუნეთა მანძილზე შენარჩუ-

ნებულია ერთიანი, უწყვეტი სტილი, ორიგინალური კომპოზიციები, ემოციური გამომსახველობა და მდიდარი ფერადოვნება. ამასთან ერთად, მოგვიანო პერიოდში ხშირად მიმართავენ ცალკეულ იკონოგრაფიულ მოტივებს, რაც განაპირობებს მოხატულობათა ერთიან სახეს.

ჩვენს მოხსენებაში გვსურს განვიხილოთ მაცხვარიშის თარინგზელის ეკლესიისა და ზემო სვანეთის მხატვრობის მოხატულობის იკონოგრაფიული პროგრამების ურთერთმიმართებები, რასიახლე შეაქვს მაცხვარიშის თარინგზელის მოხატულობას ზემო სვანეთის მხატვრულ სკოლაში და როგორ უკავშირდება იგი მანამდე არსებულ ფრესკულ ნიმუშებს.

**Ketevan Gongadze**

*PhD student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University /*

*Tbilisi/Georgia*

**ICONOGRAPHIC INTERRELATIONS  
BETWEEN MATSKHVARISHI TARINGZELI CHURCH  
TO UPPER SVANETIAN MURALS**

Matskhvarishi Taringzeli 13-14th c. church is situated in Upper Svaneti, in the village Matskhvarishi, near Christ's Ascension church. The iconographic scheme is created according to Upper Svanetian church mural compositions. On the south and north walls and vaults there are two Christological scenes. On the west wall there are three scenes. On the lower register there are depictions of warrior saints and holy mother. On the pilasters there are depicted prophets, apostles, healers. In the line of the ceiling vault there are represented: "Ascension of the Christ," "holy mandilion of the Christ" and "Christ of old days". The murals of Taringzeli church is distinguished, because this is an only example dated by 16<sup>th</sup> c. in Upper Svaneti. The iconographic program of Taringzeli church follows the paleo-Ikonographic style in the way of schematic construction and iconographic program.



Mural paintings in Upper Svaneti date from 10<sup>th</sup> to 17<sup>th</sup> centuries. In spite of different characteristics of various epochs, there are strong connections between those murals, which are revealed in traditional artistic views and principles. There is one continuous style, distinctive compositions, emotional expressions and rich color. In the late middle centuries churches there are taken particular iconographic motives, which provide one entire character.

In our thesis, we would like to discuss iconographic interrelations between Matskhvarishi Taringzeli church to Upper Svanetian murals, what kind of innovation does Taringzeli church suggest and how it is connected to previous mural paintings in Upper Svaneti.

## **მანუჩარ გუნცაძე**

*დოქტორანტი*

*/ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი /საქართველო*

### **ცხინვალის რეგიონის კონფლიქტის**

### **ეკონომიკური მხარე**

*(ისტორია და თანამედროვეობა)*

ცხინვალის რეგიონში არსებული კონფლიქტი სათავეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდში იღებს, შესაბამისად, მისი შესწავლაც სწორედ აღნიშნული პერიოდიდან უნდა დავიწყოთ. კონფლიქტის დაწყებას და მის მსვლელობას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა და პოლიტიკურ-სამხედრო მოვლენებთან ერთად ხშირად ეკონომიკური ფაქტორიც მნიშვნელოვანი იყო.

კონფლიქტის მსვლელობისას ეკონომიკური ფაქტორი კარგად ჩანს როგორც მის საწყის პერიოდში, ასევე თანამედროვეობაშიც. ეს მოიცავს როგორც ესკალაციის წარმოქმნის მიზეზებს, ასევე კონფლიქტის გაყინული მდგომარეობის პერიოდში ეკონომიკური ურთიერთობის ფორმებს, რომლებსაც თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები ჰქონდათ.

საკვლევი თემა მოიცავს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე არსებულ ეკონომიკური ფაქტორების ანალიზს, თუ რა როლს ასრულებს ეკონომიკური რეფორმები და ურთიერთობები კონფლიქტის გაღვივებასა და მის დარეგულირებაში.

Manuchar Guntsadze

*PhD Student*

*/ Ivane Javakishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **ECONOMIC SIDE OF THE CONFLICT**

### **IN TSKHINVALI REGION**

*(History and Modernity)*

The conflict in Tskhinvali region emerged at the time of the Democratic Republic of Georgia. It means, we should study it from its very beginning. The conflict factors are considered to be not only military and political issues, but economic as well.

Conflict economic factor can be observed in its starting period and nowadays too. This includes not only the causes of escalation, but economic relation forms at the period of conflict stability that had positive and negative sides.

The aim of my paper is to analyze economic factors from the period of the First Democratic Republic of Georgia up to status quo, also How are economic reforms reflected in conflict's formulation and regulation.

## მარიამ გურგენიძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **ინგლისში ეთნიკური იდენტობისა და დანიელთა ადაპტაციის საკითხისათვის**

ინგლისური იდენტობის ჩამოყალიბება, ვიკინგებთან დაპირისპირების, ბრძოლის მიზეზების ძიება, წარმოჩენა, გაგება შესაძლებელია ანგლო-საქსონური ქრონიკების ტექსტებიდან.

მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ სახელწოდება ვიკინგი, უფრო აღწერითი ხასიათისაა, ვიდრე ეთნიკური. აღწერითი მათი საქმიანობიდან, ბრძოლის მეთოდებიდან გამომდინარე. კავშირშია მათ იერიშებთან.

სახელწოდება „ვიკინგი“ საერთოა ნორვეგიელი, დანიელი და შვედი ხალხისათვის, როგორც უცხოტომელთათვის, ანუ ერთი იდენტობის აღმნიშვნელია, რომელიც მიენიჭა მათ თავდასხმების საპასუხოდ.

ინგლისის მეფის ალფრედ დიდის (849–899 წწ.) მიზანი იყო შეექმნა საერთო ისტორია ინგლისელთათვის, საერთო მემკვიდრეობა, რწმენა, ენის, კულტურისა და რელიგიის დახმარებით. ტექსტებში სულ უფრო ხშირად ჩნდება ტერმინი „ინგლისელი“. ალფრედის მითითებით შექმნილი ტექსტები გამოიყენებოდა საგანმანათლებლო დანიშნულებითაც, რომელსაც უნდა შეექმნა „თავისუფალი ინგლისელი ახალგაზრდა ადამიანი“.

საყურადღებოა ბრუნანზურჰის ბრძოლის (937 წ.) ამსახველი ლექსი, სადაც ჩანს თუ როგორ ზეიმობენ ათელსტანი და მისი მეომრები ვიკინგებზე, შოტლანდელ და სტარსკლაიდელ ბრიტონებზე გამარჯვებას. ლექსს აქვს მკაფიო პროპაგანდისტული ტონი, ათელსტანის მიმართვა წინაპრებისადმი, გადმოცემული გმირული

ისტორიები ანგლო-საქსონური ბრძოლებისა. ლექსი აშკარა მაგალითია ისტორიული მეხსიერების შექმნის მცდელობისა.

შეიძლება ითქვას, რომ დანელო იყო ადგილი, სადაც დანელი ვინაობაზე მეტად სოციალურ მდგომარეობს გამოხატავდა. მატერიალური კულტურის ნიმუშები, ქრისტიანობის გავრცელების ნიშნები, მიუთითებს ინგლისური და სკანდინავიური ენის, რელიგიისა და კულტურის ასიმილაციაზე.

**Mariam Gurgenzidze**

*PhD student/*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/ Georgia*

**FOR THE ISSUE OF ETHNIC IDENTITY AND ADAPTATION  
OF DANISH PEOPLE IN ENGLAND**

The development of English Identity, the confrontation with Vikings, the search for reasons of fighting, can be understood from the texts of Anglo-Saxon chronicle.

Part of the researchers believe that the name of Viking is more descriptive than ethnic. Descriptive from their activities, based on the methods of fighting. They are in contact with the attacks.

The name “Viking” is common to the Norwegian, Danish and Swedish peoples as for the aliens, or the one identification, which was awarded in response to their attacks.

The aim of the King Albert Alfred (849-899) was to create a common history with the English, common heritage, faith, language, culture and religion. In the texts the term “Englishman” appears more often. The texts created with reference to Alfredi were also used for an educational purpose, which was meant to create a “free English young man”.

It is worth mentioning the poem depicting the Battle of Brunanburg (937), showing how Athens and his warriors celebrate Vikings, Scotland and Starcidade Britons.

It is noteworthy that the lexis have a clear propaganda tone, Adelman's appeal to the ancestors, heroic stories of Anglo-Saxon battles. The poem is an obvious example of an attempt to create historical memory.

It can be said that there was a place where Danny was more social about his identity. Marks of material culture, signs of spreading Christianity, indicate the assimilation of English and Scandinavian language, religion and culture.

## სალომე დავითულიანი

დოქტორანტი

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
/თბილისი/საქართველო*

### ჰაროლდ პინტერის ქართული თარგმანები

ნაშრომში განხილულია მესამე ათასწლეულის სამყაროს მახასიათებლები. აქცენტი გაკეთებულია გლობალიზაციაზე და აქვე, იმ როლზე, რასაც თარგმანი ასრულებს გლობალიზაციაში. საუბარია, იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს ზოგადად კარგი თარგმანი და როგორი თავისებურებებით ხასიათდება სხვადასხვა ჟანრის თარგმანები, როგორცაა პოეზიისა და პროზის თარგმანი. ნაშრომში განხილულია ბრიტანელი დრამატურგის, ჰაროლდ პინტერის შემოქმედება და მისი ქართული თარგმანები. ძირითადად საუბარია იმაზე, რომ ძალიან მცირე რაოდენობით მოიპოვება მისი შემოქმედების თარგმანები და ერთმანეთთანაა შედარებული ერთ-ერთი მისი პიესის “Ashes to Ashes”, ორიგინალი და თარგმანი ვარიანტები. ასევე, საუბარია იმაზე, თუ რამდენად მარტივი ენითაა ნაწერი პინტერის დიალოგები და რამდენად დიდი სიფრთხილე სჭირდება მთარგმნელს, რომ ამ სიმარტივის გადმოქართულებისას არ დაიკარგოს ის მნიშვნელოვანი განცდა აბსურდულობისა და იმავდროულად ნაცნობი რეალობისა, რასაც ორიგინალ ტექსტში, სწორედ დიალოგებთა ასეთი სიმარტივით შეიგრძნობს მკითხველი. აქვე, აღნიშნულია, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია, იმ ფრაზათა სიზუსტის შენარჩუნება, რასაც ორიგინალში ვხვდებით, რადგანაც სწორედ ასეთი სიზუსტე და ასეთი გაცრეცილი, ყოველდღიური, თითქოს განმეორებადი და უმნიშვნელო ფრაზები სძენენ ორიგინალ ტექსტს იმ ემოციას, რასაც ავტორისეული ჩანაფიქრი წარმოადგენს. ნაშრომის დასკვნით ნაწილში საუბარია იმაზე, თუ რა არ არის ნათარგმნი პინტერის შემოქმედებიდან და რომ აუცილებელია

მისი თარგმნა არა მხოლოდ ლიტერატურის სფეროს გასამდიდრებლად, არამედ დრამატურგიისთვისაც, სადაც პინტერი, ნამდვილად, ერთ-ერთ მსოფლიო მნიშვნელობის ფიგურად მიიჩნევა საკუთარი ნამუშევრებით.

## Salome Davituliani

*PhD student*

*/Ivane Javakishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

### **GEORGIAN TRANSLATIONS OF HAROLD PINTER**

The work includes the characteristics of the third decade world. The focus is made on globalization and the role of translation in it. The talk is about what kind of translation should be considered perfected, and what kind of peculiarities does the different genre translations, like prose and poetry have. The theses addresses Harold Pinter's drama and the Georgian translations. Lack of Pinter's translations is considered mainly. It is given the comparison of the original play, "Ashes to Ashes", with the translated version. Pinter's plays are written with the very simple language, so the translator needs to be really careful, not to lose the essential sense of the absurdity and, at the same time, the sense of the well known reality which is caused exactly with this simplicity in the original text. Also, there is mentioned that, it is quite important to keep accuracy of the phrases, because, exactly this kind of pallid, daily, repetitive and insignificant phrases, make us to see the author's intention in the original text. In the final part of the work, the issue concerns what a large part of Pinter's works is not translated. It is necessary to translate Harold Pinter's works, not only for the literature but also, for the theatre. Pinter is considered one of the modern world's famous dramatists.



## **ნინო დათუნაშვილი**

*დოქტორანტი*

*საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახ.*

*ქართული უნივერსიტეტი/*

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი/*

*თბილისი/საქართველო*

### **რიტუალური სამოსი**

ტრადიციული სამოსი ქართული მატერიალური კულტურის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია, რომლის სახეს საუკუნეთა მანძილზე ქვეყანაში არსებული ბუნებრივი პირობები, კულტურულ-პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება განაპირობებდა. გარდა ფუნქციური დანიშნულებისა, სამოსს უძველესი დროიდან სიმბოლური დატვირთვაც გააჩნდა. მასში იმალება ეპოქისმიერი მსოფლმხედველობა, ესთეტიკა, ტრადიციები, და უძველესი რწმენა-წარმოდგენები.

ამჯერად ჩვენს ყურადღებას შევაჩერებთ რიტუალურ სამოსზე, რომელსაც ერთ-ერთი წამყვანი ფუნქცია ენიჭება რიტუალის არსის გაანალიზებაში. სხვადასხვა რიტუალებს შორის განვიხილავთ ხალხურ დღეობებსა და რელიგიურ დღესასწაულებს, ასევე საინტერესო მასალას გვაძლევს ბავშვის დაბადებასთან, ქორწილთან და გლოვასთან დაკავშირებული სამოსის კვლევა. ცალკე გამოვყოფთ მეფედ კურთხევის წესსა და ხელოსნობის დარგებთან დაკავშირებულ რწმენა-წარმოდგენებს. განვიხილავთ დღევანდელ ყოფაში შემორჩენილ ტრადიციებს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ მიუხედავად სამოსის მრავალმხრივი შესწავლისა, რიტუალური სამოსის ასეთი, ერთიანი სახით კვლევა და მისი ანალიზი ჯერ არ ყოფილა წარმოდგენილი, რაც გარკვეული სიახლეა სამოსის კვლევით დაინტერესებული პირებისათვის.

Nino Datunashvili

*PhD Student/*

*St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/*

*Georgian National Museum /*

*Tbilisi/Georgia*

## **RITUAL CLOTHING**

Traditional clothing represents one of the components of Georgian material culture, stipulated by natural conditions, cultural-political, economic and social situation in the country for centuries. Apart from its functional purpose, the clothing has symbolic meaning from the ancient times comprising epochal worldview, aesthetics, traditions, and beliefs.

In this research I will consider ritual clothing as a tool for analyzing the essence of the ritual. Among the various rituals I will consider folk festivals and religious holidays. Study of clothing related to child birth, wedding and mourning provides interesting material as well. As part of my research I have analyzed practices and beliefs connected to coronation and workmanship as well as the traditions still been practiced today.

Despite the comprehensive study of the subject, such extensive research on ritual clothing and its analysis have been conducted for the first time and in this regard can be considered as novelty in this field.

## მაია დამენია

დოქტორანტი

*/ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **XVII საუკუნეში მოღვაწე კათოლიკე მისიონერის – გაეტანო რასპონის „რელაცია სამეგრელოს შესახებ“ და მისი პროსოპოგრაფია**

ახალგაზრდა მეცნიერთა საერთაშორისო სიმპოზიუმისთვის წარმოვადგენთ XVII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში მოღვაწე მისიონერის – გაეტანო რასპონის დღემდე გამოუცემელ ხელნაწერს სახელწოდებით – „რელაცია სამეგრელოს შესახებ“. ამ რელაციის ციფრული ვერსია ჩამოიტანა სამეცნიერო ექსპედიციამ, რომელიც კულტურის სამინისტროს მიერ იყო ორგანიზებული 2011-2012 წლებში, თვით ხელნაწერი კი ინახება რომში, თეათინელთა გენერალურ არქივში. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის სადოქტორო პროექტების გრანტით დაფინანსების ფარგლებში მოვამზადეთ სტატია საერთაშორისოდ რეფერირებადი ჟურნალისთვის, რომლის დანართშიც პირველად გამოქვეყნდება ამ რელაციის სრული ტექსტი იტალიურ ენაზე.

აღნიშნული წყარო უმნიშვნელოვანესია რელიგიური, კულტურული, ფილოლოგიური, სოციალური, სამართლებრივი, პოლიტიკური, ისტორიული პერსპექტივიდან. მისი შესწავლა ციფრული ჰუმანიტარიის უახლესი მეთოდების გამოყენებით, კერძოდ, კი ფაქტოიდებზე დამყარებული პროსოპოგრაფიული მონაცემთა ბაზაში ინტეგრირებით, საშუალებას მოგვცემს ვიკვლიოთ ამ პერიოდის სოციალური ისტორიის მნიშვნელოვანი პრობლემატიკა, მოვახდინოთ მათი ვიზუალიზება და ყოველივე ამის საფუძველზე კი უკვე ჩამოყალიბებული სტერეოტიპული მქსსიერების რევიზია.

ეს წყარო უნიკალურია თავისი მნიშვნელობით, რადგან მასში დეტალურად არის აღწერილი ევროპელი კათოლიკე მისიონერის

მიკროისტორია. ამ სახის ნარატივებით ნამდვილად არ არის მდიდარი ქართული საისტორიო მწერლობა.

მოხსენებაში მოკლედ განვიხილავთ სამეცნიერო ლიტერატურაში გაეტანო რასპონის შესახებ არსებულ ცნობებს. კერძოდ, მის წარმომავლობას, განათლებას, სასულიერო კარიერას და სამეგრელოში მისიონერული მოღვაწეობის დაწყების სურვილს. რელაციაზე დაყრდნობით დანვრილებით აღვწერთ მისი მისიონერული მოღვაწეობის მიკროისტორიას და ყურადღებას გავამახვილებთ მასში დაცულ პროსოპოგრაფიულ მასალაზე, რომელიც აღწერს XVII საუკუნის დასავლეთ საქართველოს პოლიტიკურ, რელიგიურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებას.

Maia Damenia

*Phd Student*

*/Ilia State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **XVII CENTURY CATHOLIC MISSIONER – GAETANO RASPONI'S “RELATIO ON MEGRELIA” AND HIS PROSOPOGRAPHY**

For the International Symposium for Young Scholars in the Humanities we present the unpublished manuscript – “Relazione sulla Mingrelia” by Gaetano Rasponi who was involved in missionary activity in Western Georgia in the end of the 17<sup>th</sup> century. Digital photos of this manuscript were brought by the research expedition organized by the Ministry of Culture in the 2011-2012. The manuscript is kept in the General Archive of Theatines in Rome. With the financial support of the doctorate grant of the Shota Rustaveli National Science Foundation of Georgia we have prepared the article for peer-reviewed journal. *Editio princeps* of this manuscript in Italian language will be published in the appendix of this article.

This source is invaluable from the religious, cultural, philological, sociological, legal, political and historical point of view. To study this manuscript with the latest methodology of Digital Humanities, in particular the in-

tegration into the prosopographic database with visualizations will provide us the possibility to research the important aspects of social history. Based on this methodology we can revise the already developed stereotypical memory.

This source is unique in its meaning because it describes in meticulous details the micro-history of the European catholic missionary in Georgia. There are not many of this kind of narratives in the Georgian historiography.

In our presentation we will briefly discuss the information about Gaetano Rasponi in scientific literature. In particular about his origin, education, spiritual career and desire to start missionary activity in Samegrelo. Based on the manuscript we will describe in details the micro-history of his missionary activity and will pay our attention on the prosopographic material that describes the political, religious, sociological and cultural life in the 17<sup>th</sup> century Georgia.

Olha Dovbush

*Doctor of philology*

*/Ternopil Volodymyr Hnatiuk National Pedagogical University/*

*Ternopil/Ukraine*

## **THE RHETORIC OF SELF-QUEST IN ERICH SEGAL'S NOVEL "OLIVER'S STORY" AND ITS FILM VERSION**

The interdisciplinary character of current comparative studies activates the role of semiotics. Nowadays we may notice higher number of investigations dedicated not only to the problems of communication between different literatures, but also inter-semiotic dialogues. The possibility of such works would appear to lie in the broad semiotic interpretation of the notion "text", which allows scholars to treat the latter not only as some chain of graphical signs but also as some cultural product or even as culture in its entirety. Therefore, the paper treats the text as a complex mechanism grounded in three levels – syntactic, semantic and pragmatic and seeks to study each of them as a constituent part of a complex phenomenon.

Any writer, especially one working for the mass market, dreams of his work being trendy and recognizable to a large number of people. In the age of popular culture such a desire of an author to increase and diversify his readership can no longer be classed as strange, but even natural. One of the main means to help the reader escape reality and feel genuine emotinal catharsis is the sentimental novel. Though originating in 18<sup>th</sup> century, the latter continues functioning as a dominant genre nowadays due to its ability to move the recipient, make him introspect and search for the inner wholeness. Sentimental pathos of Erich Segal's novel "Oliver's Story" is that very pragmatic means that bridges all the elements of the liteary text under study and defines the character of their interrelations. In the same way, confessional nature of the narration of the source text delineates the rhetoric of its cinematographic interpretation. The objective of our research lies in the establishment of the main narrative strategies used to reveal the inner contours of the protagonist's self by means of semiotic comparing Erich Segal's novel "Oliver's Story" and its film interpretation.

## ანა დოლიძე

მაგისტრანტი

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახ.*

*ქართული უნივერსიტეტი/*

*თბილისი/საქართველო*

### **თრადიციულ ქართულ ზნე-ჩვეულებათა თრანსფორმაციის პროცესი XVII საუკუნეში**

მართლმადიდებელ სარწმუნოებას საქართველოში ოდითგანვე განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. სარწმუნოება იყო ქართველი ერის იდენტობის, კულტურისა და ზნეობის განმსაზღვრელი, რის დაცვასა და შენარჩუნებასაც საუკუნეთა მანძილზე ასიათასობით ქართველი ეწირებოდა მეფეებიდან დაწყებული რიგითი მოქალაქეებით დასრულებული.

XVII საუკუნიდან საქართველოში მკვეთრად შეიცვალა ვითარება. ჯერ ოსმალთა და შემდეგ – ყიზილბაშთა ბატონობამ მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართველთა ზნეობრივ მდგომარეობაზე. ამასთანავე, 1633 წლიდან (როსტომ-ხანის გამეფებიდან) სპარსეთის შაჰის მიერ ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე ბაგრატიონების დასამტკიცებლად აუცილებელი იყო მუსლიმობის მიღება, რითაც დაიწყო ზნეობრივი გადაგვარების პროცესი საქართველოში.

ასეთ რთულ პერიოდში ქართველობის შენარჩუნება მხოლოდ მართლმადიდებელი სარწმუნოების დაცვის შემთხვევაში იყო შესაძლებელი, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, მართლმადიდებლობა აღარ იყო ერთადერთი სარწმუნოება საქართველოში. მართლმადიდებლების სასტიკად დევნის ფონზე დაიწყო ქართველთა მასიური „გათათრება“, „გასომხება“, „გალეკება“ და „გაფრანგება“.

გარეგნულად გამუსლიმებული, მაგრამ გულით მართლმადიდებელი ქართველი მეფეები გრძნობდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას ერისა და ქვეყნის წინაშე და ამიტომ როსტომ-ხანის (1633-1658 წ.წ.)

მიერ დაწყებული ზნეობრივი გადაგვარების გამოსწორება ჯერ ვახტანგ V-მ (1658-1675 წ.წ.) სცადა ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობით, რაც შემდეგ გიორგი XI-მ (1675-1688 წ.წ., 1703-1709 წ.წ.) და ვახტანგ VI-მ (1703-1714 წ.წ., 1716-1724 წ.წ.) განაგრძეს.

XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც გარესამყაროში ვითარება ჩვენ სასარგებლოდ შეიცვალა, ქართველი მეფეები ცდილობდნენ, სწორად გამოეყენებინათ ხელსაყრელი პირობები ქვეყნის საკეთილდღეო საქმიანობისათვის, რის შედეგადაც 1744 წლის 1 (14) ოქტომბერს ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე აღდგა ქრისტიანულად მირონცხებული მეფობა. ეს იყო ქართველობის კიდევ ერთი დიდი გამარჯვება, რისთვისაც ღირსეული მამულიშვილები საუკუნეზე მეტ ხანს იღვწოდნენ.

Ana Dolidze

*MA in History*

*/St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate Georgia/*

*Tbilisi/Georgia*

## **THE PROCESS OF TRANSFORMATION OF GEORGIAN TRADITIONAL CUSTOMS AND BEHAVIOURS IN THE XVII CENTURY**

Orthodoxy has always been a great importance in Georgia. Religion was the determination of the identity, culture and morality of the Georgian nation, therefore religion was protected by hundreds of thousands of Georgians over the centuries.

The situation has changed from the XVII century. The Ottomans and then the Persian domination had a negative impact on the moral conditions of Georgians. They began to fight for full invasion of our country for which the moral and spiritual degeneration of Georgians was necessary.

In such difficult situation the only way to save Georgians and their freedom was possible in preserving the Orthodox faith, but the persecution of Christians was followed by "Tatarization" and "Armenization" of Georgians.



Therefore, correction of moral and spiritual degeneration begun by Rostom Khan (1634-1658 years) first was tried by Vakhtang the V (1658-1675), after which George the XI (1676-1688, 1703-1709) and Vakhtang the VI (1603-1614, 1616-1624 years) continued.

In the XVIII century, when the situation in the world has changed in our favor, Georgian Kings were trying correctly to use the possible favorable conditions for the welfare of the country.

Their effective work had not gone in vain, in 1744, accession to the throne under Christian rule in Kartl-Kakheti region was restored. This was another great victory of Georgians, for which Georgian patriots struggled more than a century.

## **მარიამ დოლიძე**

*დოქტორანტი*

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **ფრაზების ურთიერთშეთანადება ქართულ-გერმანულ ხეთა პარალელურ ბანკში**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხეთა პარალელური ბანკების შექმნა განსაკუთრებით აქტუალური გახდა. ხეთა პარალელური ბანკი მოიცავს სინტაქსურად ანოტირებულ ტექსტებს ორ ან მეტ ენაზე, სადაც ორი ერთმანეთის ეკვივალენტი წინადადება ურთიერთშეთანადებულია სიტყვების, ფრაზებისა და სხვ. დონეზე.

ფრაზის შეთანადების საფუძველზე შესაძლებელია დავინახოთ, ერთ ენაზე არსებული წინადადების რომელი ნაწილები შეესაბამება მეორე ენაზე არსებული პარალელური წინადადების რომელ ნაწილებს. ხშირად წინადადებაში ცალკეულ სიტყვათა შეთანადება შეუძლებელია, თუმცა შესაძლებელია ამავე სიტყვის შემცველი ფრაზის სტრუქტურის ანოტირება.

წინამდებარე ნაშრომში მიმოვიხილავთ ქართულ-გერმანულ პარალელურ ხეთა ბანკში ნომინალური და ზედსართაული ფრაზების ურთიერთშეთანადების პრინციპებს და მათი შემდგომი გამოყენების პერსპექტივებს.

Mariam Dolidze

*PhD Student*

*/Ivane Javakishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**PHRASE ALIGNMENT  
IN GEORGIAN-GERMAN PARALLEL TREEBANK**

This paper presents the results of phrase alignment in Georgian-German Parallel Treebank, that is currently under development. Our parallel treebank contains around 125 sentences from the text of organic law of Georgia in each language. Phrase alignment in treebanks shows which part of a sentence (word or phrase) in one language is equivalent to which part of a corresponding sentence in another language. For this purpose we created alignment links manually on the sentence, phrase and word levels with the help of the Stockholm TreeAligner – a tool for aligning parallel treebanks. The goal is to align as many phrases as possible to show translation equivalence.

## **ფიქრია ვარდოსანიძე**

*დოქტორანტი*

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **ბარე შეფასების პრაქტიკული განხორციელება განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში საქართველოს მაგალითზე**

*(შედეგები, გამოწვევები, მოლოდინები)*

საქართველო ტრანსკონტინენტური ქვეყანაა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და **დასავლეთ აზიის** გასაყარზე. ჩვენი ქვეყნის გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ქართული კულტურა ვითარდებოდა და ვითარდება დასავლური და აღმოსავლური კულტურის ქრილში, თუმცა სოციოპოლიტიკურად და კულტურულად ის ევროპის ნაწილია.

საქართველოში უმაღლეს განათლებას აქვს გენეზისის ხანგრძლივი და რთული პერიოდი და მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს (განსაკუთრებით 1918, 1991 წლები, საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდები). საქართველო ბოლონის პროცესს შეუერთდა 2005 წელს, ბერგენის სამიტზე და ამ პერიოდიდან ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო სფერო ხელმძღვანელობს ბოლონის დოკუმენტების, რეგულაციების მიხედვით. თანამედროვე საქართველოს საგანმანათლებლო სივრცე მრავალი გამოწვევის წინაშე დგას: ხორციელდება არაერთი საერთო საერთაშორისო პროექტი განათლებისა და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მუდმივად განახლებადა საგანმანათლებლო პროგრამები, როგორც ბოლონის წევრი ქვეყანა ინტენსიურად მონაწილეობს ოფიციალურ შეხვედრებში, ხდება უცხოური გამოცდილების გაზიარება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინება არ უარყოფს ჩვენი ქვეყნის ღირებულებებს, მენტალიტეტს. საკუთრივ ბოლონის რეგულაცი-

ებიც ცხადად მიუთითებენ ინსტიტუციური ავტონომიის აუცილებლობის შესახებ. ბოლონიის წევრმა ქვეყანამ ეს პროცესი უნდა მიიღოს ნაციონალური კულტურის და ტრადიციების გათვალისწინებით. **ყველა დოკუმენტს ახლავს ეს შემოთავაზება.**

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული სააგენტოს მასალები, ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები, შიდა და გარე შეფასების მეთოდები, პრინციპები, პროცედურები. ჩვენ ხელთ არსებული მასალები შევადარეთ საქართველოს საგანმანათლებლო სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის მონაცემებს. კვლევისათვის გამოყენებულია კომპარატივისტული ანალიზის მეთოდი. განხილულია განათლების ხარისხის შეფასება, განსაკუთრებით, გარე შეფასების სტრუქტურა; საზგასმულია შეფასების პროცესში აქტიური ჩართულობის მნიშვნელობა; აღწერილია ორგანიზაციის/-ების მუშაობის პროცედურა გარე შეფასებისა და შედეგების განხილვისათვის; განხილულია ხარისხის სააგენტოს მხარდაჭერა გარე შეფასების პროცესში; გამოკვეთილია თუ რამდენადაა შესაძლებელი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება შეფასების პროცესში და მოცემულია შესაბამისი დასკვნები.

**Pikria Vardosanidze**

*PhD student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**PRACTICAL IMPLEMENTATION OF EXTERNAL EVALUATION  
IN EDUCATION QUALITY ASSURANCE ACCORDING  
TO THE CASE OF GEORGIA**

*(Results, Challenges, Expectations)*

Georgia is a transcontinental country on the crossroad between Southeastern Europe and Western Asia. Due to our country's geopolitical location, Georgian culture was developed and this process continues in the

context of western and eastern culture. However, socio-politically and culturally it represents the part of Europe.

Higher education in Georgia possesses a long and complicated stage of origin and it consists of several important phases (particularly 1918 year, 1991 year, and periods of Georgian Independence). Georgia has joined the Bologna process in 2005 at Bergen Summit and since from this period the educational sphere of our country is guided by the documents and regulations of Bologna. Educational area of contemporary Georgia faces numerous challenges: many common international projects are implemented for improving the quality of education and learning; Educational programs are renewed gradually; Georgia, being a member country of Bologna, participates in the official meetings intensely. Foreign experience is shared. However, it ought to be noted that foreseeing of international knowledge does not deny value and mentality of our country. Bologna regulations evidently indicate the requirement of institutional autonomy. The member country of Bologna ought to receive this process in view of national culture and traditions. **Each document is enclosed by this offer.**

In the present article materials of European agency of quality assurance, quality enhancement standards, methods of internal and external evaluation, principles, and procedures are reviewed. We compared available materials to quality assurance data of Georgian educational area. Comparative analysis method is used for the research. Assessment of educational quality, in particular structure of external evaluation is discussed. The meaning of active engagement in evaluation process is underlined; the working procedure of organization/s for external assessment and discussing of the results are described. The support of quality agency in the process of external evaluation is discussed. It states the possibility of avoiding the conflict of interests in the evaluation process and thus relevant conclusions are provided.

## ნათია ზოიძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **ლიბერალური თარგმანის გამოწვევები – ვირჯინია ვულფის ქართული თარგმანები**

ოცდამეერთე საუკუნეში, როდესაც გლობალიზაციის პირობებში ყველაფერი დაჩქარებულია, სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს თარგმნის ხელოვნება, რამეთუ საერთო ღირებულებების დანერგვას, რაც არის ქვეყნების ურთიერთგაგებისა და კეთილდღეობის საწინდარი, უპირობოდ სჭირდება სხვადასხვა კულტურის მატარებლებისათვის ფასეულობებისა და იდეების მშობლიურ ენაზე მიწოდება. შესაბამისად, პრაქტიკული ასპექტით თუ განვიხილავთ თარგმნის დანიშნულებას, შეგვიძლია ვთქვათ, რომ თარგმნის იდეა, გადმოსცეს ზუსტად ის რაც ორიგინალში ითქვა, ყოველ ნუთს ეფექტურად ხორციელდება. განსხვავებულ მოცემულობა გვაქვს ხელოვნების სფეროში, კერძოდ ლიტერატურაში, რადგან მხატვრული ტექსტის თარგმნისას „ზუსტად იგივე აზრის“ გადმოცემა ერთი ორად რთულდება.

ვოლტერ ბენიამინი სტატიაში: „მთარგმნელის დანიშნულება“, ამბობს, რომ ხელოვნება ესაა ადამიანის არსებობის განუყოფელი ნაწილი, თუმცა არცერთი ხელოვნების ნიმუში არ იქმნება იმ მიზნით, რომ ის რომელიმე კონკრეტულმა მკითხველმა ნაიკითხოს. მისი აზრით ხელოვნების სამყაროში დიდი განსხვავებაა ორიგინალსა და ნათარგმნს შორის, რადგან რთულია დაადგინო თუ ზუსტად რას ამბობს ხელოვნების ნიმუში.

მართლაც საინტერესოა, როგორ უნდა განსაზღვროს მთარგმნელმა ამა თუ იმ ლიტერატურული ტექსტის „სათქმელი“ ისე, რომ ის უნებურად არ დაკარგოს ან შეცვალოს ნათარგმნში. ასევე საინტერესოა რა დანიშნულება აქვს ლიტერატურულ თარგმანს,

არის ეს კომერციული, სოციალური, თუ მთარგმნელის გემოვნებაზე მინდობილი? რა ტიპის ტექსტები ითარგმნება უფრო ხშირად და რა დოზით ცდილობენ მთარგმნელები ერის წინაშე მდგარ სოციალურ პრობლემებთან უცხოური ლიტერატურული ნიმუშების დახმარებით გამკლავებას, ან მათ გარშემო არსებული პრობლემების სინათლეზე გამოტანას. ჩემი მოხსენება შეეხება ვირჯინია ვულფის თარგმანებს, რომლებიც ზემოთ დასახელებული გამოწვევების კუთხით იქნება განხილული.

**Natia Zoidze**

*PhD student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **CHALLENGES UPON THE TRANSLATORS OF FICTION - GEORGIAN TRANSLATIONS OF VIRGINIA WOOLF**

In the twenty first century partly due to the globalization the pace of life gets faster, therefore the art of translation becomes more and more important. Sharing values determine the understanding among nations and it is vital for society's well-being, thus delivering information to the people through their mother tongue is vital. In terms of this, the task of the translator is to express exactly the same as was conceived originally. If so, we can regard that every day the task of translator is done successfully. However, when it comes to the translation of fiction, the case becomes more problematic as delivering exactly what the author meant or said , is twice as difficult.

Walter Benjamin in his article "the task of the translator" says that art is an indivisible part of a human and none of the artists create their art for the concrete receiver. He believed that in the realm of art there is a huge difference between the original and the translation.

Obviously , it is very important to know how the translator is to determine what is the main message of the concrete novel, how he/she should



do her/his job, without omitting parts or transforming the idea. Furthermore, it is intriguing to know what the actual goal of translating fiction is: is it purely commercial, is it linked to the social context, or rests upon the aesthetic sentiments of the translator. What type of fiction is selected for the translation and are translators trying to deal with the vulnerable issues with the help of foreign literary works, are they trying to translate the books that offer the solutions to the social problems around them. My paper is about the translations of Virginia Woolf. Every single translation will be scrutinized from the perspective of the above mentioned challenges.

## **აპოლონ თაბუაშვილი**

*ასოციირებული პროფესორი*

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობები**

#### **საქართველოს სახელმწიფო შემოსავლების შესახებ**

#### **XII-XIV საუკუნეებში**

*(ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივის მიხედვით)\**

ირანელი ავტორი ჰამდალაჰ ყაზვინი (XIV ს.-ის I ნახევარი) თავის ნაშრომში მიუთითებს, როგორც ჰულაგუიდების სახელმწიფოში საქართველოს გადასახდელ ყოველწლიურ ხარკის ოდენობას (120 თუმანი), ასევე, მონღოლებამდელ პერიოდში საქართველოს სახელმწიფო შემოსავლებს (500 თუმანი). ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობებზე ქართველი ისტორიკოსებიდან თავდაპირველად ყურადღება გაამახვილა აკად. ივ. ჯავახიშვილმა თავის ნაშრომში „საქართველოს ეკონომიური ისტორია“ (ტფ. 1930, გვ. 115-118), სადაც მხოლოდ წყაროს მნიშვნელობაზეა მსჯელობა. ავტორი აქვე აანონსებს, რომ ამ ცნობების დეტალური ანალიზი „სათანადო ადგილას“ იქნება მოცემული. მოგვიანებით, 1940 წელს, ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით შედგენილ ნაშრომში – „საქართველოს ისტორია უძველესი ხანიდან ჩვენს დრომდე“ (თანავტორები: ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, გ. ხაჭაპურიძე) ძალიან მოკლედ აღნიშნულია XII-XIII საუკუნეების საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები და შედარებულია მეზობელ სახელმწიფოების შემოსავლებთან. აღნიშნული ფრაზა შეტანილია, ასევე, ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯა-

---

\* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. გრანტი № YS-2016-92, „ფასები ფეოდალური ეპოქის საქართველოში“.

ვახიშვილის და ს. ჯანაშიას ავტორობით 1943 წელს გამოცემულ სასკოლო სახელმძღვანელოში და „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნის დამატებაში, რომელიც ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდგომ დაიბეჭდა.

აღნიშნულ აბზაცში დაშვებული მნიშვნელოვანი შეცდომა შენიშნა ვარლამ დონდუამ – საქართველოსა და მეზობელ ქვეყნების შემოსავლების შედარებისას საქართველოს შემთხვევაში მოტანილია ცნობა მონღოლებამდელ ეპოქიდან, ხოლო მეზობელი ქვეყნების შემთხვევაში აღებულია XIV საუკუნის მონაცემები. რ. კიკნაძის აზრით კი, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობაში უნდა იგულისხმებოდეს არა საქართველოს სახელმწიფო შემოსავლები XII საუკუნეში, არამედ სელჩუკთა სახელმწიფოში გადასახდელი ხარკი. სხვადასხვა მოსაზრების მიუხედავად, ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობის დეტალური ფისკალური ანალიზი არც ერთ ავტორს არ შემოუთავაზებია.

ჩვენი აზრით, ივ. ჯავახიშვილის თანაავტორობით შედგენილ ნაშრომში დაშვებული შეცდომა რედაქტირების შედეგია და არ ეკუთვნის ივ. ჯავახიშვილს. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას იძლევა კ. კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ივ. ჯავახიშვილის პირადი არქივი, სადაც ხელნაწერი სახით, სხვა საკითხებთან ერთად, მოცემულია ვრცელი გამოკვლევა (# 310) ჰამდალაჰ ყაზვინის ცნობების შესახებ. მოხსენების ფარგლებში აღნიშნული გამოუქვეყნებელი ნაშრომის ანალიზი იქნება წარმოდგენილი.

Apolon Tabuashvili

*Asotiate Professor*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**ACCOUNTS OF ҲAMDALLĀH QAZVĪNĪ  
ABOUT GEORGIA'S STATE REVENUE  
IN XII-XIV CC.**

*(According to the Personal Archive of Ivane Javakhishvili)\**

Iranian author namdallbh Qazvīnī (The first half of 14<sup>th</sup> c.) refers to the annual payment of Georgia to Ilkhanate (120 *tomans*), also, the state revenue of Georgia before the Mongolian Period (500 *tomans*). The first among the Georgian researchers who paid attention to the accounts of namdallbh Qazvīnī was Ivane Javakhishvili in his “Economic History of Georgia” (Tbilisi, 1930, pp. 115-118). The importance of above-mentioned historical source is discussed in this book. The author announces that the detailed analysis of this source will be given in “the appropriate place”. Later, in 1940 Ivane Javakhishvili participated in composition of the work entitled as – “History of Georgia from Ancient times to Present-day” (co-authors: S. Janashia, N. Berdzenishvili, G. Khatchapuridze). Sufficiently short overview of the state revenue of Georgia in 12<sup>th</sup>-13<sup>th</sup> cc. and its comparison with the revenues of neighboring countries is provided there. The same phrase appears in the secondary school textbook of the Georgian History (published in 1943) written by N. Berdzenishvili, Iv. Javakhishvili and S. Janashia and, also, in appendix of the second volume of Ivane Javakhishvili’s “History of the Georgian Nation”, which was published posthumously.

Varlam Dondua attested that this phrase contains important mistake – during the comparison of the revenues of Georgia and neighboring countries

---

\* This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF). Grant № YS-2016-92. “Prices in Feudal Georgia”.

the data provided for Georgia is about pre-Mongolian Period while state revenues of the neighboring countries are from the 14<sup>th</sup> century. According to R. Kiknadze's opinion, account of namdallbh Qazvīnī implies not the state revenues of Georgia of the 12<sup>th</sup> century, but the tribute that was paid to Seljuk Empire. Despite the different opinions the detailed analysis of the account of namdallbh Qazvīnī was not provided by any other researchers.

According to our opinion, the mistake that appears in Ivane Javakhishvili's work written with co-authors is the result of editorial board and does not belong to Ivane Javakhishvili. Those conclusions are drawn from the personal archive of Ivane Javakhishvili preserved in Korneli Kekelidze National Center of Manuscripts, where handwritten research is preserved (No 310) about the accounts of namdallbh Qazvīnī. During our presentation this unpublished work of Ivane Javakhishvili will be analyzed.

## შორენა თავაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **X-XIV საუკუნეების მოხატულ ოთხთავთა სტრუქტურული ანალიზი**

ქართული ხელნაწერი წიგნები ეროვნული საგანძურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ხალხის სულიერი ცხოვრება, მისი მდიდრული კულტურული მემკვიდრეობა ხელით გადანერილ წიგნებშია ასახული. ავტორი, მთარგმნელი, დამკვეთი, წიგნის შემქმნელი ოსტატები და მომხმარებელი – ეს ის პიროვნებებია, რომლებმაც მხატვრული კულტურის განვითარების გზა განაპირობეს. ქართული ხელნაწერი წიგნის წარმოება გულისხმობს როგორც საწერი მასალის თავისებურებებს, ასევე წიგნის ორგანიზაციის, მისი სტრუქტურის ჩამოყალიბების საკითხებს.

შუა საუკუნეების მოხატული ხელნაწერი წიგნის შექმნა ერთმანეთზე დამოკიდებულ თანმიმდევრულ შრომით პროცესებს მოიცავს. ესენია: ეტრატის შექმნა, საწერი ფურცლის მომზადება, დაკანონვა, რვეულებად შეკვრა, გადანერა, მოხატვა, აკინძვა, ყდაში ჩასმა (შემოსვა) და მოჭედვა. ხელნაწერი წიგნის შემქმნელნი განსწავლული ოსტატები იყვნენ.

X საუკუნიდან მოყოლებული ოთხთავის მხატვრული გაფორმება შეიცავს, ერთი მხრივ, ორნამენტულ დეკორს – კამარების, თავსამკაულების, მოხატული საზედაო ასოების, ევსებიოსის წერილის შემკულობის სახით, ხოლო მეორე მხრივ – მინიატურებს, კერძოდ, თავფურცლის კომპოზიციას, მახარებელთა პორტრეტებს და შინაარსის დამასურათებელ სიუჟეტებს.

რთული შრომითი პროცესების დაუფლებამ, საფერწერო ტექნოლოგიის ღრმა ცოდნამ, ქართველ ხელოვანთ საშუალება მისცა შეექმნა მოხატული წიგნის უნიკალური ნიმუშები. შუა სა-

უკუნეების ხელით გადანერვილი ნიგნის შექმნის დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ტექსტის კალიგრაფიულ მხარეს და ხელნაწერი გვერდების დეკორაციულ მორთულობას. მდიდრული იყო ხელნაწერი ნიგნის მხატვრული ანსამბლი. მინიატიურული კომპოზიციებით დასურათება და ტექსტის ორნამენტული მოტივებით შემკობა ქართველ ხელოვანთა დაუშრეტელი, შემოქმედებითი ფანტაზიის შედეგი იყო. ნიგნის საერთო მხატვრულ გაფორმებაში კი განსაკუთრებული ადგილი საზედაო ასოებს ენიჭებოდა, ისინი ტექსტის მხატვრულ იერსახეს ქმნიდნენ.

ყურადღებას ვამახვილებთ X-XIV სს. ოთხთავების (ჯრუჭი IH-1660, გელათი QQ-908, ჯრუჭი IIH-1667, მოქეი QQ-902) სტრუქტურაზე – სტრიქონის, გვერდის, მუხლებად და თავებად განაწილებას, დეკორატიული ელემენტებისა და მინიატიურების თავისებურ სისტემაზე, მათთვის დამახასიათებელ თავისებურებაზე.

X-XIV სს. ხელნაწერების სტრუქტურის და სისტემის ანალიზმა, გამოავლინა ხელნაწერებისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. მოხატული ხელნაწერები გაფორმების ხელოვნებითა და საფერწერო ტექნიკით მსოფლიო შედეგებს წარმოადგენენ.

**Shorena Tavadze**

*PhD student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University /  
Tbilisi/Georgia*

## **STRUCTURAL ANALYSIS OF GEORGIAN ILLUSTRATED FOUR GOSPELS FROM X-XIV CENTURIES**

Georgian manuscripts occupy a special place in the Georgian national treasure. Manuscripts depict spiritual life and rich cultural heritage of people. Authors, translators, clients, masters and consumers – these are the persons who influenced the development of Georgian culture. Production of Georgian manuscript includes characteristics of materials, organization and structure of the book.

The Process of creating medieval manuscripts include sequential, co-dependent processes, such as: production of parchment, preparation of sheets, ruling the guidelines, forming a quire, re-writing, illustrating, binding, enclosing, and decorating the cover. The creators of the manuscripts were skilled masters.

From the X century decoration of Georgian manuscripts consists of two parts: ornaments/graphical décor (arches, headpieces, decorated initial letters, and Eusebius's letter) and miniatures, including title-page composition, portraits of Evangelists and illustrated scenes.

Mastering the hard working procedures and in-depth knowledge of painting technology enabled Georgian artists to create unique specimens of decorated books. While creating the hand-rewritten books in middle ages, special dedication was given to calligraphy and décor of the handwritten pages. Artistic ensemble of handwritten book was very ostentatious. Illustrating with diminutive compositions and adorning text with ornamental motifs was the result of inexhaustible fantasy of Georgian artists. Special attention was given to initial letters as they represented artistic image of the whole text.

We give special emphasis to four gospels structure of X-XIV centuries (Jrutchi I H-1660, Gelati Q-908, Jrutchi II H-1667) – line, page, article and chapter distribution, specific system of decorative elements and miniatures as well as their characteristics.

Structure and system analysis of X-XIV centuries' hand writings revealed specific characteristics for hand writings in general. Painted hand writing with their art design and painting techniques represent world masterpieces.



## თეა თვალავაძე

დოქტორანტი

*/იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **ბრიგოლ ორბელიანის პირადი წერილების დათარიღება**

ტექსტის შესასწავლად და გამოსაქვეყნებლად დათარიღება ერთ-ერთი ძირეული საკითხია, რასაც ზოგადთეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს შემდგომი ტექსტოლოგიური და ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევებისთვის. მასალის ქრონოლოგიური პრინციპით განლაგება აკადემიური გამოცემის ერთ-ერთი პრინციპია. ამ პრინციპით ლაგდება ტექსტები და ინფორმაცია როგორც თხზულებათა სამეცნიერო კრებულებში, ისე მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანეში და, ბუნებრივია, რომ ამ პრინციპით განლაგება ვერ მოხდება მასალის დათარიღების გარეშე.

პროექტის – „XIX-XX საუკუნეების ქართველ მწერალთა ეპისტოლური მემკვიდრეობა“ ფარგლებში გრიგოლ ორბელიანის წერილების ექვსი ტომია გამოცემული; შესაბამისად, ჩატარებულია ტექსტოლოგიური კვლევები და დათარიღებულია წერილების უმრავლესობა. დათარიღების მთელი რიგი სიძნელეების გამო, დაუთარიღებელ წერილებს მიახლოებითი თარიღები აქვს მიცემული; ამდენად, დასაზუსტებელია პირობითი წლები და დასადგენია აქამდე გამოუქვეყნებელი წერილების თარიღები.

დასახული მიზნის მისაღწევად, ვიყენებთ კვლევის სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის, გამორიცხვის, დედუქციურს, კორპუსულსა და სხვა.

წერილები დასათარიღებლად ვიყენებთ შემდეგი სახის ინფორმაციას: ქალაქის ტიპი, ჭვირნიშანი, მელნის ფერი; შინაარსობრივი მონაცემების შედარება; წერილში მოყვანილი ისტო-

რიული ან კულტურულ-საზოგადოებრივი ფაქტები; მოხსენიებულ პირთა დაბადება-გარდაცვალებისა და სახელობის დღე, ქორწინების თარიღი, ოჯახში მომხდარი სხვა მოვლენები; კონკრეტული პირის მიერ გარკვეული თანამდებობის დაკავების ან მისი დატოვების წლები; ადრესატის ან ადრესანტის ადგილმდებარეობა; წერილში მოხსენიებული ზუსტი თარიღითა და კვირის დღით წლის განსაზღვრა.

დასათარიღებლად ვიყენებთ მეორეხარისხოვან წყაროებსაც, მათ შორის: ჩანაწერებს, სხვათა წერილებს, მოგონებებს, ბიობიბლიოგრაფიებს.

თემა წარმოაჩენს, რომ თარიღის დადგენა ტექსტოლოგიური მეცნიერებისთვის მეტად აქტუალური საკითხია. იგი შემდგომი კვლევების საყრდენია და საშუალებას იძლევა, სწორად იქნას გააზრებული როგორც მწერლის, ასევე მისი შემოქმედების მნიშვნელობა თანადროულ ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ გარემოში.

## Tea Tvalavadze

*PhD Student*

*/ Iakob Gogebashvili Telavi State University/*

*Tbilisi/ Georgia*

### **DATING OF GRIGOL ORBELIANI'S PERSONAL LETTERS**

In text study and publishing, dating represents one of the fundamental issues, which possesses general theoretical and practical meaning for further textual and literary studies. The chronological principle of ordering the material is one of the principles of academic edition. The texts and information are drawn up based on this principle both in the scientific literature and annals of a writer's life and his/her creative works. It is natural that ordering of the material according to this principle is impossible without dating.

Six volumes of Grigol Orbeliani's letters have been released in the frames of the project "Epistolary Heritage of the Georgian Writers of the XIX-

XX Centuries". Accordingly, textual studies had been performed and the majority of letters had been dated. Due to a number of difficulties in dating, some dated letters have approximate dates. Thus, conditional years are to be verified and dates of letters that have not been released yet are to be determined.

We use different methods of study to achieve the aim, including exclusion, deduction, corpus studies, etc.

To date the letters, we use the following information: type of paper, watermarking, colour of ink; comparison of the content of the data; historical or sociocultural facts; days of birth and death of the mentioned people, date of marriage; other events, taking place in the family; years of occupying and leaving the posts; location of addressee and recipients; determination of the year by means of exact date and day of the week mentioned in the letter.

We use sources of secondary importance to date, including records, letters of other people, reminiscences and bibliography.

The topic reveals that dating is one of the urgent issues for textual scientists. It provides the basis for further studies and allows correct understanding of the importance of the writer and his/her creativity in the accompanying literary and public environment.

## ნინო თოდუა

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **პ. კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერი“ და საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა**

პოლიკარპე კაკაბაძეს იმ ეპოქაში მოუხდა მოღვაწეობა, როცა ადამიანებს ეკრძალებოდათ თავისუფალი სიტყვის თქმა. ცენზურა გასაქანს არ აძლევდა თავისუფალი აზრის დინებას და ებრძოდა ინდივიდუალიზმის ყოველგვარ გამოვლენას. ვინც ამ „კალაპოტს“ მოერგებოდა, გადარჩენის შანსი ჰქონდა, ვინც არა – იღუპებოდა ფიზიკურად, ან ნადგურებოდა მორალურად. ამ ურთულეს ვითარებაში პ. კაკაბაძემ მოახერხა დარჩენილიყო საკუთარი მორალური პრინციპების ერთგული. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკა მის შემოქმედებას ტენდენციურად განიხილავდა და ცდილობდა წარმოეჩინა მწერალი საბჭოთა რეჟიმის მომხრედ, როგორ ჩანს, ხელისუფლებას არ გამოჰპარვია დრამატურგის რეალური დამოკიდებულება არსებული სინამდვილისადმი და ამიტომ ცხადად თუ ფარულად დევნიდა კიდეც მას.

პოლიკარპე კაკაბაძის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია პიესას „ყვარყვარე თუთაბერი“. ამ ნაწარმოებით დრამატურგმა შექმნა უკვდავი სახე უპრინციპო, მოძალადე, მედროვე, გაიძვერა ადამიანისა. ამ თვისებათა ერთობლიობა ლიტერატურულ კრიტიკაში ყვარყვარიზმის სახელწოდებით დამკვიდრდა.

კომუნისტური რეჟიმი მძიმე მხოლოდ მწერლებისთვის არ ყოფილა, მის მარწუხებს ვერც კრიტიკოსები გაურბოდნენ და შესაძლოა, სწორედ ეს იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ საბჭოთა ლიტერატურულმა კრიტიკამ ყვარყვარეს სახეში მხოლოდ მენშევიკი დაინახა, რომლის არსებობაც ბოლშევიკური მთავრობის ზეობის

ხანაში წარმოუდგენელი იყო, რადგან, თურმე, ბოლშევიზმი ამარცხებს ყოველგვარ ბოროტებას და, აქედან გამომდინარე, იმ მანკიერ თვისებებსაც, რომლებიც ადამიანს გაჩენის დღიდან თანსდევს. საბჭოთა კრიტიკის ტენდენციურობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ პიესის მეორეხარისხოვანი პერსონაჟები განხილულნი არიან მხოლოდ ყვარყვარეს ხასიათის გახსნისთვის აუცილებელ ელემენტებად და არა დამოუკიდებელი მხატვრული ფუნქციის მქონე სახეებად.

თავისი პიესით პ. კაკაბაძემ შთამბეჭდავად წარმოაჩინა მძაფრი ზნეობრივი კრიზისით აღბეჭდილი ეპოქის სულისკვეთება. ამ გარემოებას საბჭოთა ლიტერატურულმა კრიტიკამ მიზანმიმართულად აუარა გვერდი. ამ კონკრეტული ნაწარმოების ირგვლივ გამოქვეყნებული კრიტიკული ნაშრომების ანალიზი თვალნათლივ ავლენს საბჭოთა ლიტერატურათცმოდნეობის ბუნებასა და ზოგად თავისებურებებს.

Nino Todua

*PhD Student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

### **P. KAKABADZE'S "KVARKVARE TUTABERI" AND THE SOVIET LITERARY CRITICISM**

Polikarpe Kakabadze had to live in an era, in which people were deprived of freedom of speech. Censorship watched closely to stop the stream of free thinking and fought against all forms of individual expression. Those who could fit into this "frame bed", had a chance to survive. Those who could not assimilate were destroyed either physically or morally. Under such oppressing conditions P.Kakabadze managed to stay true to his best moral principles. Despite the fact that the Soviet literary criticism tried to interpret his literary works in the light of Soviet propaganda and acknowledged him as a soviet writer, who was on the side of the Soviet regime fig-

hting against its enemies of class, the Soviet government must have understood the writer's critical attitude to existing reality as he was oppressed secretly as well as openly.

Among the literary works of P.Kakabadze "Kvarkvare Tutaberi" stands out as the most important legacy,through which the playwright created unfading and everlasting character of an unprincipled, opportunistic,wicked and violating man, whose name has been used in Georgian literary criticism as a generalization of all these human features, called "Kvarkvarism".

The iron grasp of the Soviet regime affected not only writers, but also critics and that must be the reason why Kvarkvare was seen as a Menshevik, whose existence was impossible during the upheaval of The Bolshevism, because Bolshevism defeats evil and therefore can eradicate all the dark sides of human nature creating only pure men. The Soviet propaganda is easy to trace in the critical discussion according to which the other characters are considered to be introduced only to sum up the main character Kvarkvare as small details to full opening of his character. They are not seen as independent characters having their own metaphorical meaning or features.

P. Kakabadze made an impressive disclosure of the era which was stressed by acute moral crisis, but The Soviet literary criticism has intentionally overseen it. The analysis of critical works published during that period reveals the tendencies and general particularities of the Soviet literary studies.

## ინგა ისიანი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **ჟ. დონის პოეტური ციკლი: ამ ციკლის მეთათება და მისი კონცეპტუალური სტრუქტურა, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა**

იმისთვის, რომ ადეკვატურად ვიკვლიოთ ჯონ დონის პოეტური ციკლი, უნდა დავეყრდნოთ ერთი მხრივ, პოეტური ციკლის თანამედროვე ცნებას, მეორე მხრივ კი, ტექსტის ლინგვისტურ თეორიას.

დონისეული პოეზიის ენობრივი ასპექტის განმსაზღვრელ ფაქტორებად უნდა იქნას მიჩნეული ერთი მხრივ, გამჭოლი მეტაფორულობა, მეორე მხრივ კი, ამ მეტაფორულობის შინაგანი კავშირი ბაროკოსთან, როგორც დონისეული ეპოქის ესთეტიკურ-მხატვრულ პარადიგმასთან.

კვლევის მეთოდოლოგიად უნდა იქნას მიჩნეული ინტერდისციპლინარულობა და ამ ინტერდისციპლინარულობის ლინგვისტურად ცენტრირებულობა. მოცემულ შემთხვევაში, ინტერდისციპლინარულობა უნდა ნიშნავდეს დონისეულ ტექსტთა ენობრივ ასპექტზე ყურადღების შეჩერებას.

იქიდან გამომდინარე, რომ კვლევის საგანს წარმოადგენს დონისეული პოეტური ციკლის კონცეპტუალური სტრუქტურა, აუცილებელია იმის დადგენა, თუ რა მნიშვნელობით უნდა ვიხმაროთ კვლევის პროცესში ტერმინი „კონცეპტი“. ტერმინი „კონცეპტი“ უნდა დავეუკავშიროთ ერთის მხრივ, დონისეული პოეტური ენის მეტაფორულობას, მეორეს მხრივ კი, კითხვას იმის თაობაზე, თუ რა მიმართებაშია ერთმანეთთან როგორც დონისთვის, ისე ზოგადად ბაროკოსეული კულტურისთვის სიყვარულისა და სიკვდილის კონცეპტები.

იმის შემდეგ, როცა უკვე დაკონკრეტებულია ისეთ ცნებათა მნიშვნელობა, როგორიცაა ციკლი და კონცეპტი, საჭირო ხდება მათი დაკავშირება ისეთ ცნებასთან, როგორიცაა კულტურული კონსტანტის ცნება.

კვლევის საკვანძო პრობლემად უნდა მივიჩნიოთ ბაროკოს როგორც მხატვრულ-ესთეტიკური პარადიგმისა და სიყვარულისა და სიკვდილის კონცეპტთა დონისეული კორელაციის ურთიერთ-მიმართება. შესაბამისად, უნდა დაისვას კითხვა იმის თაობაზე, თუ რა მიმართებაშია სიყვარულისა და სიკვდილის დონისეული კორელაცია ბაროკოსეულ კულტურულ კონსტანტასთან.

Inga Isiani

*PhD Student*

*/ Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**POETIC CYCLE OF J. DONNE:  
THE META-THEME OF THE CYCLE AND ITS  
CONCEPTUAL STRUCTURE AS THE LINGVO-CULTURAL PROBLEM**

In order to adequately clarify John Donne's poetical cycle, we should base our research on the one hand on the modern notion of poetical cycle and on the other hand on linguistic theory of the text.

In order to focus on linguistic aspect of Donne's poetry, the determining factors of this linguistic aspects should be on the one hand the accompanying metaphorism and on the other hand the inner connection of this metaphorism to Baroque style as aesthetical fictional paradigm of Donne's period.

Inter discipline should be considered as researching methodology as well as linguistically centered inter discipline. In the given case inter discipline should mean to focus on linguistic aspects in Donne's texts.

As the subject of the research is the conceptual structure of Donne's poetical cycle, it is crucial to determine in what meaning we should use the



term “concept”. The term “concept” should be related to Donne’s poetical metaphorism and to the question of what relation is between love and death concepts not only for Donne but also for Baroque culture.

After defining the meaning of the notions as cycle and concept, it is necessary to connect them to such notion as cultural constanta.

The main problem of the research should be considered the inter relation between Baroque as fictional or aesthetical paradigm and love and death concepts by Donne’s correlation. Accordingly, we should set the question about the relation between Donne’s correlation of love and death and Baroque cultural constanta.

Жайнагуль Кадыркулова

*Докторант*

*/КНУ им.Ж.Баласагына/*

*Бишкек /Кыргызстан*

## **ГЕНДЕРНЫЕ АСПЕКТЫ ТРУДОВОЙ МИГРАЦИИ НА ПРИМЕРЕ КЫРГЫЗСТАНА**

Международная трудовая миграция является неотъемлемой частью современной мировой экономики и политики. На сегодняшний день в миграционный трудовой обмен вовлечены практически все страны. По оценкам ООН, только регулируемых трудовых мигрантов в мире насчитывается от 120 до 200 млн. человек.

В Кыргызстане миграционные процессы являются результатом политической и социально-экономической ситуации, сложившейся в стране с момента обретения независимости, и в частности, за последние десять лет. Тем не менее, следует отметить, что вследствие масштаба этого явления миграционные процессы, в некоторой степени, сами повлияли на основные события в социально-экономической и общественной сфере в стране. По данным Государственной службы миграции при правительстве Кыргызстана, около 700 000 граждан Кыргызстана работают за пределами страны, при общей численности населения в 5,836 миллионов человек. Специалисты по вопросам миграции считают, что официальные данные занижены и что почти 20% населения Кыргызстана находятся сегодня в положении трудящихся-мигрантов (до одного миллиона человек). По данным Единого доклада по миграции КР, женщины составляют около 40% мигрантов. В этом смысле, Кыргызстан является исключением среди стран отправления Центральной Азии. В Таджикистане и Узбекистане мигрантами являются в основном мужчины, чаще всего оставляющие дома женщин с детьми. Несмотря на то, что в Кыргызстане миграция затрагивает как мужчин, так и женщин, это явление не является нейтральным в ген-

дерном отношении. Чтобы понять конкретные последствия миграционных процессов для женщин, необходимо рассматривать миграцию женщин с точки зрения отсутствия гендерного равенства, традиционных ролей женщин, рынка рабочей силы для мужчин и для женщин, широкой распространенности имеющего гендерную основу насилия и происходящей во всем мире феминизации нищеты и миграции рабочей силы.

**Zhaina Kadyrkulova**

*Candidate of Philosophy  
/Doctoral KNU named after Zh. Balasagyn/  
Bishkek/ Kyrgyzstan*

## **GENDER ASPECTS OF A LABOR MIGRATION ON THE EXAMPLE OF KYRGYZSTAN**

The international labor migration is an integral part of modern world economy and policy. Today practically all countries are involved in migration labor exchange. By estimates of the UN, there are from 120 to 200 million people of only adjustable labor migrants in the world.

In the Kyrgyzstan migration processes are the result of political and socio-economic situation prevailing in the country since independence and, in particular, over the past ten years. However, it should be noted that the scale of the phenomenon of migration processes, to some extent, themselves were influenced by the major events in the socio-economic and public sphere in the country. According to the State migration service of the Kyrgyz Government, about 700 000 citizens of Kyrgyzstan are working outside the country, with a total population of 5.836 million. Migration specialists believe that official data are underreported and that almost 20% of the population of Kyrgyzstan are today in the position of migrant workers (up to one million people). According to the Uniform report on migration of KR, women make about 40% of migrants. In this sense, Kyrgyzstan is an exception among the countries of departure of Central Asia. In Tajikistan and

Uzbekistan migrants are generally the men who most often leave women with children at home. In spite of the fact that in Kyrgyzstan migration affects both men, and women, this phenomenon isn't neutral to gender. To understand the specific impact of migration on women, their migration must be considered in terms of the lack of gender equality, the traditional roles of women in the labor market for both men and women, wide prevalence of gender-based violence and the ongoing worldwide feminization of poverty and migration of the labor force.

## ნათია კაკაბაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### საბჭოთა რეალობა

#### რეზო ინანიშვილის მოთხრობებში

დღეს საყოველთაო კვლევის საგანია საბჭოთა ტოტალიტარული ეპოქა, რომელმაც დალი დაასვა კულტურის ყველა სფეროს. ამჯერად ჩვენ მხოლოდ მწერლობაზე ვისაუბრებთ.

ხელისუფლების მხრიდან მკაცრად კონტროლირებად ლიტერატურაში პარტიულობის პრინციპი მოქმედებდა. მწერლები იძულებულნი ხდებოდნენ ეპოქისათვის ხარკი გადაეხადათ, თუმცა სითამამესა და გულახდილობაზე ბოლომდე მაინც ვერ ახერხებდნენ უარის თქმას. სამოციანი წლების გაბედული თაობის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია რეზო ინანიშვილი, მწერალი რომელმაც შეძლო თავის ნაწერებში შეენარჩუნებინა უმნიშვნელოვანესი – ეროვნული სული, ეროვნული სივრცე, შინაარსი, რასაც რეჟიმი ყველაზე მკაცრად ებრძოდა. ყოფილიყო გულწრფელი. ეწერა არა მხოლოდ სამშობლოზე, სოფელზე, სიკეთეზე, სიყვარულზე, უბრალო, გულთბილ ადამიანებზე... რეზო ინანიშვილის მხატვრულ პროზაში ვხვდებით თემასაც, რომელზეც ვრცლად, ცალსახად რატომღაც არ, ან ძალიან იშვიათად საუბრობენ კრიტიკოსები.

ამჯერად, ჩვენ სწორედ ამ ნაკლებად შესწავლილ თემაზე გავამახვილებთ ყურადღებას. ვიკვლევთ თემას რომელსაც ჰქვია – 1937 წლის ტრაგედია და საბჭოთა რეჟიმის ტერორი.

რეზო ინანიშვილი XX საუკუნის იმ იშვიათ მწერალთაგანია, რომელმაც გვერდი არ, თუ ვერ აურა რეალობას და „ხალხის მტრის“ შვილის მოგონებები პროზაულ ნაწარმოებებად აქცია. ვფიქრობ, საინტერესოა ისიც, რომ მოთხრობების პარალელურად მოხსენებაში ვიკვლევთ რეზო ინანიშვილის „სამაგიდო რვეულებ-

საც“, რომელშიც მკვეთრად იკვეთება მწერლის უარყოფითი დამოკიდებულება საბჭოთა რეჟიმის მიმართ. უდავოა, რომ რეზო ინანიშვილის მოთხრობები და „სამაგიდო რვეულები“ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა არა მხოლოდ საბჭოთა რეჟიმის, არამედ მწერლის პიროვნების, მისი მრწამსის შესახებაც.

## Natia Kakabadze

*PhD Student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

### **SOVIET REALITY IN REZO INANISHVILI'S WORKS**

Today the Soviet totalitarian epoch is an issue of the public research. It was an epoch, which had a negative influence on every cultural field. In the frame of this research we will talk about literature.

Under strict control of government in literature the principle of Party-spirit was acting. Writers were forced to pay a tribute to the epoch, but at the same time they were trying to keep their courage and sincerity. One of the eminent person of 60s courageous society, was Rezo Inanishvili. The writer who kept in his writings: national spirit, national space, essence, the features that were the most important for our country. These were the values that soviet regime confronted so much. He was sincere and was writing not only about homeland, village, kindness, love, modest and warm people, we also see in his writing the issue, which is neglected by other writers and critics.

In the frame of the paper we will discuss the issue, which is not well studied. This is 1937 tragedy and the terror of the soviet regime.

Rezo Inanishvili was one of the rare writers of the 20th century, who turned “people’s enemy’s” son’s memories into prose. In this paper, we also research his “table-top notebooks” where we see writer’s negative attitude to the soviet regime. It’s indisputable that Rezo Inanishvili’s works and “table-top notebooks” give us important information not only about the soviet regime, also about his personality and belief.

## დიანა კაკაშვილი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი/  
თბილისი/საქართველო

### წარმომავლობის სახელები წოვა-თუშური ენაში

წოვა-თუშური ენის სიტყვანარმოებით სისტემაში სხვა, აქამდე ცნობილი სემანტიკური ჯგუფების გვერდით, ცალკე უნდა გამოიყოს წარმომავლობის სახელები. როგორც დანარჩენ შემთხვევებში, აქაც ოდენ სუფიქსური წარმოება გვაქვს. ადამიანთა სადაურობას, წარმომავლობას **-ოვ** და **-რე<sup>6</sup>** სუფიქსები აწარმოებს. ისინი დაერთვის ადგილის აღმნიშვნელ სახელებს და გამოხატავს მოცემული ადგილის მკვიდრს. მაგ., ჩინლ-ოვ „ჩინელი“ (შდრ. ჩინეთ „ჩინეთი“); ქიზყ-ოვ „ქიზიყელი“ (შდრ. ქიზიყ „ქიზიყი“); ქალქ-ოვ „ქალაქელი“ (შდრ. ქალიქა, ქალაქა „ქალაქელი“); ფჰეხ-ოვ „სოფელი“ (შდრ. ფჰე „სოფელი“) და სხვ. ამავე სემანტიკური ჯგუფის მეორე მანარმოებლად გვხვდება – **რე<sup>6</sup>** სუფიქსი. მაგ., ფჰე-რე<sup>6</sup> „სოფელი“; ქალქი-რე<sup>6</sup> „ქალაქელი“; ლომ-რე<sup>6</sup> „მთიელი“ და სხვ. რიგ შემთხვევებში **-რე<sup>6</sup>** სუფიქსი ადამიანთა კლასში არმყოფი საგნების წარმომავლობასაც აწარმოებს., მაგ., ქალქირე<sup>6</sup> - გარდა ქალაქელისა, ქალაქურსაც აღნიშნავს.

ზემოთ მოყვანილი სუფიქსებით წარმოები ეთნონიმების გარდა გვაქვს ქართულიდან ნასესხები ისეთი წარმოების სახელებიც, რომლებიც არ არის გაფორმებული არანაირი დერივატიით. მაგ., რუს „რუსი“; ლეკ „ლეკი“; ქისტ „ქისტი“ და სხვ.

აღნიშნულთან ერთად მოხსენებაში განხილული იქნება წარმომავლობის სახელების წარმოების სხვა, სპორადული შემთხვევები, აგრეთვე, დერივატების დართვისას სახელის ფუძეში მომხდარი ფონეტიკური ცვლილებები, მოცემულ დერივატთა სხვა ფუნქციები, პარალელები ახლომონათესავე ჩეჩნურ და ინგუშურ ენებთან და აფიქსთა გენეზისის ცდა.

Diana Kakashvili

*TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics/  
Tbilisi/Georgia*

## **WORDS DENOTING ORIGIN IN TSOVA-TUSH LANGUAGE**

The names of origin should be identified as a separate semantic group in the word-formation system of the Tsova-Tush language among other already known ones. Similarly to other cases, we have only suffixation in evidence. There are two suffixes referring to a person: -ov and re<sup>n</sup>. They are added to the names of the places and denote the native or inhabitant of a particular place. For example: zinl-ov “Chinese” (comp. zinet “china”); kiziq-ov “qizikian” (comp. Qiziq “qiziqi”); kalk-ov “town-dweller” (comp. kalika, kalajka “city”); pex-ov “villager” (comp. ph<sub>3</sub>e “village”) and etc.

In addition to the above-mentioned, there is one more suffix for this semantic group: – re<sup>n</sup>, for example: pe-ren “villager”; kalki-ren “town-dweller”, lom-ren “mountain-dweller”; In some cases -re<sup>n</sup> is used not only for nouns that define a person but also for other nouns. For example: kalki-ren means both a person from the city as well as all things that come from the city too.

Besides above mentioned suffixal formation, there are loanwords from Georgian language, which do not take any derivatives. For example: rus “Russian”; lek “the Lezgi people”; qist “qist” etc.

The report will also analyse the sporadic cases of formation of this semantic group, correlation between roots and affixes, phonetic processes related to the word formation, other functions of the given affixes, while taking into consideration the data of the Chechen and Ingush languages, which are closely related to the Tsova-Tush language.



## გიორგი კალანდაძე

დოქტორანტი

*/იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თელავი/ საქართველო*

### **გაბრიელ მცირეს „სამოთხის ყუავილის“ თხრობათა წარმომავლობის საკითხი**

ქრისტიანულ ლიტერატურაში ფართოდ იყო გავრცელებული თხრობები წმინდა მამათა შესახებ და მათგან ხშირად ადგენდნენ ვრცელ კრებულებს, რომლებსაც ჰომილეტიკური დანიშნულება ჰქონდა. ამ თხრობებს ეკლესიაში მთელი წლის განმავლობაში კითხულობდნენ.

გაბრიელ მცირეს პატერიკულ კრებულში „სამოთხის ყუავილი“ სულ ასი თხრობაა, რომლებიც ათ თავად არის დაყოფილი. ტექსტის წინასიტყვაობიდანვე ვიგებთ, რომ მისი შემდგენელი ეყრდნობოდა კრებულს სათაურით: „სამოთხე“.

გასარკვევია, თუ რომელ კონკრეტულ კრებულს გულისხმობდა იგი. ამ დასახელების კრებული ქართულ ხელნაწერებში რამდენიმეგან გვხვდება: 1. იოანე მოსხის (550-634) პატერიკების კრებული (VII ს.); 2. სტეფანე დეკანოზის მიერ გადაწერილი – წმიდათა მამათა და დედათა საქმეთა და განგებათა კრებული, დათარიღებული 977 წლით, ოშკის სამოთხედ წოდებული; 3. თეოფილე ხუცესმონაზვნის XI-XII საუკუნის წმიდა მამათა სწავლათა და თხრობათა კრებული; 4. ჩვენამდე მოუღწეველი და აწ მხოლოდ ლიტერატურული წყაროებით ცნობილი „სკიტის სამოთხე“.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ „სამოთხის ყუავილში“ შემავალ თხრობათა სიუჟეტების უმეტესობა შინაარსობრივი თვალსაზრისით ყველაზე მეტ თანხვედრას თეოფილე ხუცესმონაზვნის ხელნაწერთან ამჟღავნებს; გარკვეულ თანხვედრაშია „ანბანურ პატერიკთან“; მცირე შინაარსობრივი მსგავსება აქვს იოანე მოსხის „სამოთხესთან“.

„სამოთხის ყუავილის“ თხრობათა დასაწყისი და დასასრული ნაწილები უმეტესწილად შთაგონებულია ხელნაწერით: „კრებული-სწავლანი“ (S 1139), ან, სავარაუდოდ, ჩვენთვის უცნობი, თუნდაც მოუღწეველი ამგვარი წყაროთი.

შესაბამისად შესაძლოა, გაბრიელ მცირის „სამოთხის ყუავილში“ შემავალ თხრობათა წარმომავლობის ორი ვერსია გავიაზროთ:

1. გაბრიელ მცირეს ძირითად წყაროდ გამოყენებული აქვს თეოფილე ხუცესმონაზვნის კრებული სახელწოდებით: „სამოთხე“ და შევსებული აქვს სხვა წყაროებით. ამ აზრს განამტკიცებს შემდეგი: „სამოთხის ყუავილის“ ტექსტის თეოფილე ხუცესმონაზვნის ხელნაწერთან შედარებისას აღმოჩნდა, რომ ასიდან ოთხმოცდაცამეტი თხრობა შინაარსობრივად ერთმანეთს ემთხვევა.

2. ვფიქრობთ, არსებობის უფლება აქვს ასევე ვარაუდს, რომ საქართველოში არსებობდა წყარო, რომელიც გაბრიელ მცირის მიერ „სამოთხის ყუავილში“ შეტანილ თხრობებს სრულად მოიცავდა, დღეს კი იგი სიძველეთსაცავებში არ იძებნება.

**Georgi Kalandadze**

*PhD Student*

*/Iakob Gogebashvili Telavi State University/*

*Telavi/ Georgia*

**THE ISSUE COVERING THE ORIGIN OF THE PATROLOGICAL  
COLLECTION OF GABRIEL MTSIRE – “SAMOTKHIS QUAVILI”  
("THE FLOWER OF THE PARADISE")**

In Christian literature there was a widespread narratives about the Holy Fathers, and they often had extensive collections, that had a holistic purpose. These narratives were read in the church throughout the year.

“The Flower of the Paradise” is divided into ten chapters, each of which has a general, uniting title: I – “On Humbleness and Meekness in Re-

semblance of Christ"; II – "On Obedience to Jesus Sweet Lord"; III – "On Confession and Repentance Giving Joy to Angels", etc.

Each chapter consists of ten spiritual narratives and is entitled according to its contents. The titles of the sub-chapters of "The Flower of the Paradise" reflect ten main issues, that are necessary to guide the God-pleasing life of a Christian person: 1. Humbleness and meekness; 2. Obedience; 3. Confession and repentance; 4. Patience; 5. Fasting and prayer; 6. Mercy; 7. Righteousness and truth; 8. Purity; 9. Faith; 10. Love.

At the end of the manuscript is "bechedi" (seal) Gabriel Mtsire writes: "This divinely inspired writing is called "The Flower of the Paradise", because it is compiled by means of selection from the book of the Fathers which is "Samotkhe" (The Paradise)." It is obvious from this evidence, that "The Flower of the Paradise" is made up of the narratives, selected from the existing literary source, entitled – "The Paradise", "compiled by means of selection".

In Georgian sources several texts are known under the title "The Paradise": 1. Collection of the Paterics by John Moschus (550-634) (7th c.); 2. Collection of Acts and Rules by Holy Fathers and Mothers, made by Archpriest Stephane, dated to the year 977, referred to as "The Oshki Paradise"; 3. Collection of teachings and narratives of the 11th-12th-cc. Holy Fathers by Hieromonk Theophilus; 4. "The Scete Paradise", known only from literary sources.

"The Flower of the Paradise" bears certain resemblance to the 7th c. text, authored by John Moschus: "The Leimonarion" (Leimzn). It is noteworthy, that "The Flower of the Paradise" shows semantic (non-literal) similarity with the texts, which are entered in the book: "The Alphabetic Patericon. Selected Teachings of Fathers of the Scete". "The Flower of the Paradise" displays the most resemblance with the book "Teachings and Narratives of the Holy Fathers" by Hieromonk Theophilus. Ninety-three narratives of "The Flower of the Paradise" show semantic similarity with the narratives included in the manuscript of Hieromonk Theophilus. It is also noteworthy, that the style and language of "The Flower of the Paradise" by Gabriel Mtsire differs from the above-mentioned manuscripts.

Accordingly, we assume two versions of the origin of the narratives included in “Samotkhis Quavili” (The Flower of the Paradise):

1. Mostly, the collection by Hieromonk Theophilus entitled “The Paradise” was used and the text was complemented from other sources.

2. A source was used, which entirely covered the narratives included by Gabriel Mtsire in “The Flower of the Paradise”, which is not known till now.

## თამარ კახეთელიძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### რომანისა და ფილმის სცენარის ლინგვისტური ანალიზი

წინამდებარე ნაშრომის პრობლემატიკა ეხება ორი სრულიად განსხვავებული ტექსტის სახეობის, რომანისა და ფილმის სცენარის ლინგვისტური ანალიზს, რომელიც ინფორმაციის გადატანის საკითხს ლიტერატურული ტექსტიდან არალიტერატურულ ტექსტში განიხილავს. საანალიზო მასალად შერჩეულია ბერნჰარდ შლინკის რომანი „წამკითხველი“ (der Vorleser) და მის საფუძველზე შექმნილი ფილმის სცენარი.

რომანი თხრობითი ლიტერატურის, ეპიკურ ჟანრს მიეკუთვნება, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფიქტიური (მხატვრული) სამყარო, ფიქტიური გმირები და მოქმედება, თავისებური დროითი სტრუქტურა. ამისაგან განსხვავებულ სურათს გვაძლევს ფილმის სცენარი, რომელიც გამოყენებით ტექსტის სახეობებს მიეკუთვნება, თუმცა დრამისათვის დამახასიათებელი სტრუქტურით გამოირჩევა (სამაქტიანი სტრუქტურა), მასში ვხვდებით როგორც ინსტრუქციულ, ასევე ნარატიულ (დრამატულ) ასპექტებსაც, თუმცა ფილმის სცენარის ძირითადი ფუნქცია, რომანისაგან განსხვავებით, ისტორიის (ამბის) თხრობაა ვიზუალური სურათებით, ამიტომაც ეს უფრო რაიმეს კონკრეტულად ჩვენებაა და არა მხოლოდ ამბის მოთხრობა.

ტექსტების შედარების საფუძველს წარმოადგენს ტექსტის ლინგვისტური ანალიზი, რომელიც ემყარება კლაუს ბრინკერის ტექსტის ლინგვისტური ანალიზის ინტეგრალურ მოდელს, რომლის მიხედვითაც შევეცდებით გამოვაპირობოთ თემატურ-ფორმალური, ენობრივი მსგავსება-განსხვავებულობა, რომანსა და ფილმის სცენარს შორის. ვინაიდან ლიტერატურული ტექსტი შექმნილია გერმანული კულტურის სივრცეში, ხოლო მის საფუძ-

ველზე შექმნილი ფილმის სცენარი ამერიკული კულტურის სივრცის პროდუქტია, დამატებით წინ წამოინია საკითხმა თუ რამდენად განაპირობებს ინფორმაციის ცვლილებას განსხვავებულ კულტურათა არეალში ტექსტის პროდუცირების პროცესი.

**Tamar Kakhetelidze**

*PhD student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **LINGUIST ANALYSIS OF NOVEL AND FILM SCENARIO**

The paper concerns two fully different types of texts: novel and film and linguistic analysis of their scenario, it exploits its task to transfer the information from literary to non-literary text. The selected material for analysis is Bernhard Schlink's novel "The Reader" (Der Vorleser) and its screen-script that was created based on the novel.

The novel belongs to narrative literature, epic genre, for which is characterized by fictive (artistic) world, fictive heroes and actions, specific time structure. Film scenario gives us different picture, which belongs to the usable text types, however it can be characterized by using typical structure that is common for the drama (three acts structure), where we observe not only instructive, but also narrative (dramatic) aspects, but main function of the film scenario is different from novel, as it represents the narration of history (story) with the help of visualized pictures, So basically it is about showing some concrete image rather than narration of the story.

The base for comparing texts is the linguist analyze, it draws upon the integral method of linguistic analysis by Klaus Brinker's, according which we try to distinguish thematic-formal, linguistically similar or different features of among the novel and the film scenario.

Due to the fact that literary text is created in German cultural space and the film scenario, based on the novel, is a product of American cultural space, the following issue comes forward, it is interesting to figure out how much does the different cultural spaces define the change of information.

Merlin Kirikal

Tallinn University/

Talin/ Estonia

## **GENDERED REPRESENTATIONS OF CREATIVITY IN JOHANNES SEMPER'S PROSE**

This paper is analyzing the prose of the Estonian writer Johannes Semper (1892–1970) who has a controversial reputation in Estonian cultural history. Due to his novel *Red Carnations* (1955), which was written in socialist realist manner and his opportunistic political views during Soviet occupation in Estonia, his prose is nowadays almost excluded from the Estonian literary canon, although his merits as literary organizer, noted translator, essayist and sophisticated poet are still highly valued. Having said that I still believe that some of his earlier prose – for example, an innovative collection of short stories *Ellinor* (1927) narrated by a New Woman or his novel *Jealousy* (1934) – is truly worth looking into.

Much earlier, in 1918, Semper issued his prose debut, a collection of five short stories called *Chain of China*. The protagonist of the last three short stories is Tarm, a male painter, who is actively looking for an ideal woman and who takes pleasure in analysing the meaning and function of art. In his essays, Semper returns to the questions of art over and over again. It is clear that to him a great artist (or rather the myth of this kind of figure) controls her/his instincts, lives analytically and with full knowledge of her/his actions. How does this kind of artistic attitude relate to Semper's Tarm? The focus of this paper is to examine the construction of artist and his/her creativity in Semper's prose. In order to do that I aim to analyse the value system, gender relations and the sociocultural context of 1920s and 1930s.

## ნათია კენჭიაშვილი

დოქტორანტი

/ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო

### შედარების გამოხატვის ენობრივი საშუალებები VIII-XVIII სს. ქართული რიტორიკული ტექსტების მიხედვით

შედარება რიტორიკული სტილის ტექსტებისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი და გავრცელებული სტილისტური ხერხია. ორატორი ემოციისა და შეფასებითი დამოკიდებულების გამოსახატავად იყენებს სხვადასხვა სახის გრამატიკულ (მორფოლოგიურ და სინტაქსურ) საშუალებებს, მათ შორის: აფიქსებს, თანდებულებს კონსტრუქციებს, კავშირებით სიტყვებს, რომელთაც შედარებების შექმნის ფუნქცია აქვთ.

**VIII-XVIII საუკუნეების ქართული მჭევრმეტყველებითი** ტექსტების შესწავლის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა მორფოლოგიური და სინტაქსური საშუალება, რომელთაც აქვთ შედარებების შექმნის ფუნქცია. ესენია:

1. თანდებულები: *-ვით, -ებრ (-ებ, -მებრ), -ებრივ (-ებრი);*
2. მარტივი კავშირებითი სიტყვები: *ვითარცა / როგორც;*
3. რთული კავშირებითი სიტყვები: *ვითარცა..., ესრე / ვითარცა..., ესრეთვე / ვითარცა..., ეგრეთვე / ვითარცა..., ეგრე / ვითარცა..., ეგრეცა და როგორც..., ეგრეთვე / როგორც..., ისე / ისე, როგორც / ისე..., როგორც.*

აღნიშნული ენობრივი საშუალებები ქმნიან შედარებებს, თუმცა – არა ყოველთვის. სიხშირულად ყველაზე მეტ შედარებას ქმნის *ვითარცა* მარტივი კავშირებითი სიტყვა.

ქრონოლოგიურად, *-ებრ* თანდებული – *ვით* თანდებულს წინ უსწრებს. რაც შეეხება *ვითარცა* და *როგორც* მარტივ კავშირებით სიტყვებს, ახალ ქართულ მჭევრმეტყველებაში (XIX ს.-დან) *ვითარ-*



ცა ფორმამ ნელ-ნელა დაკარგა თავისი სემანტიკური ფუნქცია და მას აქტიურად ენაცვლება **როგორც** კავშირი.

ფუნქციურად **-ებრ** და **-ვით** თანდებულები ერთმანეთს თავისუფლად ენაცვლებიან ისევე, როგორც **ვითარცა** და **როგორც** მარტივი კავშირებითი სიტყვები.

Natia Kenchiashvili

*Phd Student*

*/Iv. Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/ Georgia*

### LINGUISTIC TOOLS OF EXPRESSING COMPARISON ON THE EXAMPLE OF GEORGIAN RHETORIC TEXTS OF THE VIII AND XVIII C.

Comparison is one of the characteristic and common stylistic techniques for rhetorical style texts. The orator uses various grammatical (morphological and syntactic) tools to express emotions and evaluations, including: constructs, constructed, conjunction with words that have the function of creating comparisons.

As a result of study of Georgian rhetoric texts of the VIII-XVIII centuries, various morphological and syntactic tools have been identified, which have the function of creating comparisons. These are:

1. Postposition: **-ვით [vit]**, **-ებრ [-ebr]** (**-ებ [-eb]**, **-მებრ [-mebr]**, **-ებრივ [-ebriv]**;
2. Simple connecting words: **ვითარცა [vitarca]** / **როგორც [rogorc]**;
3. Complex connecting words: **ვითარცა..., ესრე [vitarcap, esre]** / **ვითარცა..., ესრეთვე [vitarcap, esre]** / **ვითარცა..., ეგრეთვე [vitarcap, esre]** / **ვითარცა..., ეგრე [vitarcap, egre]** / **ვითარცა..., ეგრეცა [vitarcap, egreca]** და **როგორც..., ეგრეთვე [rogorc, esretve]** / **როგორც..., ისე [rogorc, esretve]** / **ისე, როგორც [rogorc, esretve]** / **ისე..., როგორც [rogorc, esretve]**.

All of those morphological and syntactic tools can create comparisons, but not always. Frequently, the most common comparisons are made with using simple connecting word *ვითარცა [vitarca]*.

Chronologically, postposition *-ებრ [-ebr]* is much older than *-ვით [vit]* postposition, as a consequence of the precedent. What about simple connecting words – *ვითარცა [vitarca]* / *როგორც [rogorc]* – in modern Georgian rhetoric (from XIX c.), *–ვითარცა [vitarca]* gradually loses the semantic function, it is actively replaced by the another connecting word *როგორც [rogorc]*.

Functionally *-ებრ [-ebr]* and *-ვით [vit]* postpositions can freely interchange each other, as well as as simple connecting words – *ვითარცა [vitarca]* / *როგორც [rogorc]*.

## ლევან კოჭლამაზაშვილი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### ხათურ-ქართველური ლექსიკონის თანხმდრის გამო

მოხსენება ეძღვნება ხათური ენის ლექსიკური ერთეულების შესწავლას, რომელთაც შესატყვისები გამოუვლინდათ ქართველურ ენებში. ამ ეტაპზე შერჩეულ იქნა ტექსტებში დამონმებული რამდენიმე სახელური და ზმნური ძირ-ფუძე: **kurt** „ფოთოლი“, **ka** „რქა“, **kup-** „ტური, კბილი“, **kawaḥ** „მოხმოზა“, **ḥukur** „დანახვა“, **kir** „დაძახება“, **tiu** „დატოვება“, **zuḥ** „ტანისამოსი“.

კვლევა ცხადყოფს, რომ ხანგრძლიობის მიუხედავად მეტნაკლებად შენარჩუნებულია ფონეტიკურ-სტრუქტურული და სემანტიკური სიახლოვე ქართველურ და ხათურ ძირთა შორის. ის ცვლილებები კი, რაც კი მცირეოდენ სხვაობას გვიჩვენებს, ექვემდებარება ქართველურ ენებში ისტორიულად მოქმედ ფონეტიკურ კანონებს, რაც სისტემური ხასიათის მატარებელია:

- ხათ.           **kurt-** „ფოთოლი“  
ქართ.       **კვირტი-ი** „კვირტი“  
კოლხ. ---  
სვან.       **კუირტ** „კოკორი“
- ხათ.           **ka-** „რქა“  
ქართ.       **რქა**  
კოლხ.       **ქრა-ლ-ეფ-ე** (ლაზ.), **ქა-ლ-ეფ-ი** (მეგრ.) „რქები“  
სვან.       ---
- ხათ.           **kup-** „კბილი“  
ქართ.       **კბ-ილ-ი**

კოლხ. კიბ-ირ-ი „id“  
სვან. ---

■

ხათ. **kawaḥ-** „მონმოზა“  
In the paper work we pay attention to some aspects of the ration of subcultural innovations and fashion trends. These issues are interaction of subcultural west mental rules and high fashion; adaptation of group benchmark code in Georgian mass consumption sphere. The problem is discus-



sed on the pattern of clothes of youth movements. In the work the special role of the event in formation of new aesthetic ideals is outlined – the refined beauty established in high fashion and ideals of young environment have been merged and the beauty etalons were transformed.

As a result of discussion of subcultural costumes (so called “anti fashion”, Streetstyle) the actuality of the topic have been determined as follows: by absence of common term in the native researches and Streetstyle as obscurity form the event; Streetstyle as social-cultural event requires complex study; Historical moment (for the end of XX century to the beginning of XXI), which gives us opportunity objectively estimate the events that exist in the fashion.

The mentioned event is beyond the proper attention. The practical importance and theoretical uncertainty of the problem shows the topicality and novelty of our research.

## ნინო მეგენიშვილი

დოქტორანტი

*/სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **გარეჯულ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერების წარმომცოდნეობითი მნიშვნელობა**

გვიანფეოდალური ხანის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში დავით გარეჯის სამონასტრო კომპლექსს მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრა. XVII-XVIII საუკუნეების საქართველოში იგი იყო ყველაზე მსხვილი შემოქმედებითი ცენტრი, რომელიც ცოცხლად ინახავდა და ავითარებდა საზღვარგარეთული ქართული მონასტრებისა და ქვეყნის შიგნით არსებული საგანმანათლებლო კერების კულტურულ ტრადიციებს. გარეჯის ცენტრს გათვალისწინებული ჰქონდა ის პრობლემები, რომელიც ანუხებდა ქართველ ხალხს და ცდილობდა თავისი წვლილის შეტანას მათ გადაწყვეტაში. ეკლესიამ, როგორც იდეოლოგიის მძლავრმა იარაღმა და გარეჯის ცენტრმა, როგორც მისმა აქტიურმა ნაწილმა, თავს იდო ხალხში ეროვნული მუხტის გაღვივება რწმენისა და მამულისათვის თავშენიშნული ადამიანების ღვაწლის წინ წამოწევის გზით. ამ მიზნით მათ დაიწყეს ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიულ-ლიტურგიკული ანთოლოგიების შედგენა.

ცნობილია, რომ მე-17 – მე-18 საუკუნეებში გარეჯის მონასტრს ჰქონდა უმდიდრესი ბიბლიოთეკა, ხელნაწერი წიგნები. ამ ბიბლიოთეკით სარგებლობდნენ სხვადასხვა იერარქიულ საფეხურზე მდგომი საერო და სასულიერო პირები. გარეჯული ხელნაწერი ფონდის აღწუსება, ანდერძ-მინაწერების შესწავლა წერაკითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას დაუვალებია პ. კარბელაშვილისთვის 1886 წელს, რომელიც მას გამოუქვეყნებია კიდევაც გაზეთ ივერიაში. ამის მცდელობა ჰქონდა ექ. თაყაიშვილსაც, როცა მან იმოგზაურა დავით გარეჯში. გარეჯულ

ხელნაწერთა არაზუსტი სია შეტანილი აქვს ლ. მენაბდეს წიგნში „ძველი ქართული მწერლობის კერები“. არცერთი დასახელებული ნაშრომი და დღეს არსებული ფონდი არ ემთხვევა ერთმანეთს. აქვე დავძენ, რომ არსებობს 2008, 2010 წლებში 2 ტომად გამოცემული გარეჯული ისტორიული დოკუმენტების კორპუსი, მაგრამ იქ არ არის შეტანილი ინფორმაცია ხელნაწერებიდან. ჩვენ კი სწორედ ხელნაწერთა ანდერძ-მინაწერებით დავინტერესდით, რადგან ხელნაწერი ინახავს არა ტექსტებს, თხზულებებს, არამედ მნიშვნელოვან თარიღებსა და მოვლენებს ისტორიიდან, სწორედ ამის გამო ხელნაწერებში დაცულ მინაწერებს აქვს უდიდესი ნყაროთმცოდნეობითი მნიშვნელობა.

Nino Megeneishvili

*PhD Student*

*/Samtskhe-Javakheti State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **COLOPHONS OF THE COLLECTION FROM GAREJI-RESEARCH AND ITS IMPORTANCE IN HISTORY AND SOURCE STUDIES**

David Gareji monastery complex has an important function in the cultural life of Georgia of the Late-Feudal period. In Georgia of XVII-XVIII cc it was the largest center of creative work, which preserved alive and developed cultural traditions of the Georgian monasteries abroad and educational centers inside the country. David Gareji center took into consideration the problems, which troubled the Georgian people and tried to put its contribution in their settlement. The church, as a powerful instrument of ideology, and Gareji center, as its active part, shouldered the task to stir up national charge in the people by putting in the foreground faith and the contribution of persons, who sacrificed their life to the home country. With this aim in view they started to compile volumes of hagiographic and hymnographic works.

It is known that in XVII-XVIII cc Greji monastery had the richest library, manuscript books. Secular and religious persons standing at different hierarchical stage used this library. Registering of the Gareji manuscript fund, study of wills-colophonc (notes) was assigned by the Society for spreading literacy to P. Karbelashvili in 1886, which he published in the newspaper "Iveria". Eq.Takaishvili also tried to do this, when he travelled in Gareji. Incomplete list of the Gareji manuscripts is given by L. Menabde in his book "Old Georgian Literary Centers". Not a single named work and today existing fund coincide with one another. I can say here that in 2008, 2010 existed body of historical documents were published in two volumes, but it has no information from the manuscripts. Our interest is just in wills-colophons (notes), because a manuscript preserves not only texts, works, but also important dates and events from history. Just because of this the colophons (notes) preserved in the manuscripts are of great importance in study of sources.

## ლილი მეტრეველი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

## თათია ობოლაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### სოციალისტური დისკურსი: ტექსტი და ქვეტექსტი

საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის პირობებში სალიტერატურო სივრცეში სოციალისტური რეალიზმი ერთადერთ უალტერნატივო დისკურსად ფორმდება. წმინდად სოცრეალისტური ნარატივების გვერდით ჩნდება ტექსტები ქვეტექსტებით, რომელთა დროითი დისტანციიდან „სწორი ნაკითხვა“ საშუალებას მოგვცემს არა მხოლოდ მართებულად განვსაზღვროთ ავტორის ინტენცია, არამედ სრულყოფილად აღვადგინოთ საბჭოთა რეალობა.

ქართველი დრამატურგის პოლიკარპე კაკაბაძის პიესა „კოლმეურნეს ქორწინება“ (1938 წ.) საბჭოთა კრიტიკაში სოცრეალისტური დისკურსის კლასიკურ ნიმუშად იყო გააზრებული. ჩვენი მიზანია, მოხსენების ფარგლებში წარმოვადგინოთ ტექსტის განსხვავებული ინტერპრეტაცია.

პოლიკარპე კაკაბაძემ ტრაგიკომიკური პასაჟების მონაცვლეობით, იუმორის მხატვრული ხერხის, როგორც საბჭოთა ცენზურისგან თავდაცვის ერთადერთი მექანიზმის, გამოყენებით ამხილა ტოტალიტარული რეჟიმი; გვიჩვენა, რა ემართება საზოგადოებას იდეოლოგიური დიქტატურის პირობებში; როგორ კარგავს იგი განსჯის უნარს და იქცევა ერთგვაროვან, მართვად ბრბოდ; ეჭვქვეშ დააყენა სოციალური თანასწორობის იდეა.

ამდენად, ავტორის ჩანაფიქრი არა სოცრეალისტური დისკურსის შექმნა, არამედ საბჭოთა იდეოლოგიის მხილება, „ბედნიერი სახელმწიფოს“, ე.წ. „სოციალისტური დემოკრატიის“ აბსურდულობის ჩვენებაა.

**Lili Metreveli**

*PhD Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/ Georgia*

**Tatia Oboladze**

*PhD Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/ Georgia*

## **SOCIAL REALISTIC DISCOURSE: TEXT AND SUBTEXT**

In the conditions of soviet totalitarian government socialist realism was formed as a single discourse without any alternatives in the literature. Alongside with the purely socialist narratives there appeared the texts with the subtexts, “correct reading” of these subtexts, from the time distance, allows to reasonably determine not only author’s intention but also properly restore the soviet reality.

Piece “Kolkhoznik’s Wedding” (1938) by Polikarpe Kakabadze, Georgian dramatist was regarded as a classic example of socialist realism discourse in the soviet criticism. Our goal is to present different interpretation of the text within the scopes of this report.

By alteration of the tragicomic passages, using artistic device of humor, as the only mechanism for self-protection from the soviet censorship, Polikarpe Kakabadze unmasked the totalitarian regime, showed what happens to the society in the conditions of ideological dictatorship; how it loses the ability of reasoning and turns into homogenous, controllable crowd; put in doubt the idea of social equality.

Thus, the author's intention was not creation of the socialist realism discourse, rather unveiling of the soviet ideology, demonstration of absurdness of the "happy state", so called "socialist democracy".

## ლელა მიქაბერიძე

დოქტორი

*/აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია/  
თბილისი/საქართველო*

### **არქეოლოგიური წარმოშობის ბრინჯაოს ექსპონატების წინასაკონსერვაციო კვლევა\***

ლითონისგან დამზადებული არქეოლოგიური წარმოშობის ნივთები მრავალფეროვანი და მრავლობითი დაზიანებებით შეიძლება ხასიათდებოდეს. ბრინჯაოს ექსპონატების საკონსერვაციო მეთოდის და შემდგომი პრევენციული ღონისძიებების სწორად დასაგეგმად მნიშვნელოვანია სრულად იქნეს შესწავლილი თითოეული ექსპონატის დაზიანების სახე და ხარისხი.

საკვლევად შერჩეული იქნა ლითონის ექსპონატები, რომლებსაც განსხვავებული ტიპისა და ხარისხის დაზიანებები აქვთ. მათი სრული დიაგნოსტიკისათვის კი მივმართეთ არადესტრუქციული კვლევის ოთხ განსხვავებულ მეთოდს – ვიზუალური კვლევა, სპექტრული ანალიზი, რენტგენოგრაფიული კვლევა და ელემენტარულ-მორფოლოგიური ანალიზი.

ვიზუალური შესწავლის საშუალებით განხორციელდა თითოეული ექსპონატის მდგომარეობის პირველადი შეფასება. ასევე, განისაზღვრა თითოეული ნივთის დამზადების ტექნოლოგია.

ლითონის ნივთების დაზიანებების გამომწვევ ფაქტორებს შორის ერთერთი მნიშვნელოვანი მათი ქიმიური შედგენილობაა. ამიტომაც, შერჩეულ ექსპონატებს ჩაუტარდათ სპექტრული ანალიზი, რომელმაც საკმაოდ მრავალფეროვანი სურათი მოგვცა.

კვლევის შემდგომი ეტაპი ლითონური ღეროს დიაგნოსტიკა იყო. გამოვიყენეთ რენტგენოგრაფიული კვლევის მეთოდი, რამაც

---

\* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი # DP2016-9).



საშუალება მოგვცა ექსპონატების მდგომარეობა ზუსტად შეგვეფასებინა.

ლითონის ექსპონატის კარბონატული ფენის შედგენილობისა და სტრუქტურის დასადგენად ელემენტარულ-მორფოლოგიურ ანალიზს მივმართეთ. ჩატარებულმა კვლევამ გვიჩვენა ბრინჯაოს კაზმისა და მისი კოროზიის შედეგად მიღებული პროდუქტების შედგენილობებს შორის განსხვავება.

ჩატარებული კვლევა საშუალებას იძლევა ზუსტად შეფასდეს არქეოლოგიური წარმოშობის ბრინჯაოს ნივთების მდგომარეობა და ყველა თავისებურების გათვალისწინებით განხორციელდეს რესტავრაცია-კონსერვაციისა და შემდგომი პრევენციული ღონისძიებები. ამ კვლევების შედეგად მიღებული ინფორმაცია მომავალში მნიშვნელოვანი კომპონენტი იქნება თითოეული ნივთის დაზიანების გამომწვევი მიზეზების კვლევაში.

Lela Mikaberidze

*PhD*

*/Tbilisi State Academy of Arts/*

*Tbilisi/Georgia*

## **THE ARCHEOLOGICAL ORIGIN BRONZE EXHIBITS PRE- CONSERVATION RESEARCH\***

Archeological origin things made of metal maybe characterized with various and multi damages. For bronze exhibits conservation methods and after prevention measurements it is important to plan correctly to fully study each exhibit's damage-type and quality.

---

\* This research was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) (grant # DP2016-9).

For research there were selected metal exhibits, which have different kinds and different quality damages. For their full diagnosis we applied for four different methods of condestructive research – visual research, spectral analyze, X-rays research and elementary- morphological analyze.

With visual study first evaluation of each exhibit's conditions was realized. Also, the preparation technology for the things was defined.

Among the important facts that caused damages of the metal things is their chemical consistence. That is why the selected exhibits were treated by spectral analyze, which gave us a various picture.

The next step of the research was diagnostic of the metal stem. We used X-rays research method, what gave us ability to evaluate conditions of the exhibits' exactly.

In order to determine metal exhibits carbonate layer consistence and established structure we applied elementary-morphological analyze. The results showed us the difference between bronze casma and consistence of the given products after corrosion.

The conducted study gives us ability to evaluate the condition of the archeological origin bronze things and it gives us the opportunity for restoration-conservation by taking into consideration all the particularities. It enables us to take after prevention measurements. The research outcomes will become an important component for examining the future reason for each damaged thing.

## სოფიო მოდებაძე

ფილოსოფიის დოქტორი

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი / საქართველო*

### **მუსიკა, როგორც ფილოსოფიური კვლევის საგანი**

მუსიკა კაცობრიობის სულიერი მოვლენაა, რომელიც საუკუნეების მანძილზე არა მხოლოდ ადამიანის სულიერი და ემოციური სამყაროს გამოვლინებას ემსახურებოდა, არამედ თავის საუკეთესო შინაარსში ეძებდა კიდევ უმაღლეს, მეტაფიზიკურ დონეს ან ფენას – რელიგიურს ან ფილოსოფიურს, რომელიც ასახავდა ყოფიერების სულიერ ფორმებს. ამიტომ მუსიკა ყოველთვის იყო ფილოსოფოსთა განსაკუთრებული კვლევის საგანი.

მუსიკალური ხელოვნების ფილოსოფიურ-ესთეტიკური გააზრების ცალკეულ მხარეებთან დაკავშირებით მთელ რიგ საყურადღებო მოსაზრებებს ვხვდებით სხვადასხვა სამეცნიერო ნაშრომებში. ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში პითაგორას, ჰერაკლიტეს, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს ფილოსოფიურ-ესთეტიკურმა კონცეფციებმა დიდი გავლენა მოახდინეს მუსიკალური ესთეტიკის ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე, შექმნეს ის საფუძველი, საიდანაც მომდევნო საუკუნეებში არა მარტო მუსიკის შედევრები ამოიზარდა, არამედ დადგა მუსიკასა და ფილოსოფიას შორის მიმართების საკითხი.

შუა საუკუნეებში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია სასულიერო მუსიკაზე. ამ მხრივ საინტერესოა ავგუსტინეს მოსაზრებები გალობის შესახებ, ასევე იოანე ოქროპირის, დიონისე არეოპაგელის, იოანე პეტრიწის შრომები.

ახალ დროში გერმანულმა ფილოსოფიურმა ესთეტიკამ დიდი წვლილი შეიტანა მუსიკის სტრუქტურისა და დიალექტიკური არსის, მისი სახეობის ახსნა-განმარტებაში. გარდა რაციონალური კონცეფციებისა მნიშვნელოვანია მუსიკის ირაციონალური კონცეფციები ამ მხრივ საინტერესოა შოპენჰაუერისა და ნიცშეს შრომები.

განსაკუთრებული სირთულეებით ხასიათდება XX საუკუნე, რადგან სცინენტიზური და ტექნიციზტური ტენდენციების გაძლიერების შედეგად მუსიკაში განხორციელებულმა ცვლილებებმა დღის წესრიგში დააყენა ხელახლა განესაზღვრათ მუსიკალური ხელოვნების აღქმისა და შეფასების, არსისა და დანიშნულების საკითხი.

პოსტმოდერნულ ეპოქაში მუსიკა ქაოსის წინაშე აღმოჩნდა, რადგან ტრადიციული მსოფლმხედველობისაგან განსხვავებით, რომელიც იერარქიულ სტრუქტურებს ქმნიდა, პოსტმოდერნის სამყარო გვთავაზობს ქაოტურ მოდელს, სადაც არ არსებობს მთავარი და მეორეხარისხოვანი. პოსტმოდერნული მუსიკა, რომელშიც ასახვა ჰპოვა პოსტმოდერნული ეპოქისათვის დამახასიათებელმა ნიშან-თვისებებმა (ინტერტექსტუალობა, ეკლექტიზმი, პლურალიზმი), ხასიათდება ანარქიულობით, რომელსაც არ გააჩნია დასაწყისი, კულმინაცია ან ფინალი, რაც მუსიკის გაგების სიძნელეს ქმნის. ამიტომ კიდევ უფრო რთულია მუსიკის ფილოსოფიური ასპექტების განსაზღვრა.

ამრიგად, ფილოსოფიური კვლევის თვალსაწიერში მუსიკის კვლევას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან მუსიკის ფილოსოფიური არსის, ზოგადი კანონზომიერების დადგენის გარეშე შეუძლებელია მუსიკალური ხელოვნების მხატვრულ-ემოციური, იდეურ-შინაარსობრივი თუ ცალკეული გამომსახველობითი ხერხების კვლევა და მათი კომპლექსური გააზრება.

## Sophio Modebadze

*Doctor of Philosophy*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University*

*/Tbilisi/ Georgia*

### **MUSIC AS A SUBJECT OF PHILOSOPHICAL RESEARCH**

Music is a spiritual phenomenon of manhood, which for centuries served not only as a manifestation of spiritual and emotional world, but in its content has been looking for even higher, metaphysical level or layer – religious or philosophical, reflecting spiritual forms of existence. Therefore music has always been a particular subject of research for philosophers.

In the various scientific works we meet a number of important opinions about certain aspects of philosophical-aesthetic understanding of the musical art. Yet in the antique era the philosophical and aesthetic concepts of Pythagoras, Heraclitus, Socrates, Plato, Aristotle had a great influence on the formation and development of musical aesthetics; they created the foundation, from which for the following centuries, arose not only masterpieces of music, but the issue of the relationship between music and philosophy became vivid.

In the Middle Ages the main attention was paid to the Sacred music. In this regard Augustine's opinion about the chant is interesting, so are the works of John Okropiri, Dionysius the Areopagite, John Petritsi.

In modern time German philosophical-aesthetic has great contribution in the structural-dialect sense of the music, and description of its species. While studying music except rational concepts irrational concepts play a vital role too, in this regard, Schopenhauer and Nietzsche are of a great importance.

XX century is characterized by particular difficulties, because as a result of strengthening of scientific and technical tendencies the changes in music were caused, therefore the perception and assessment of musical art needed a re-definition.

In the post-modern era music faced chaos, because unlike to traditional worldview, which formed hierarchical structure, the post modern world offers chaotic model, where there are no major and minor. Postmodern music, which has been reflected features of postmodern era (intertextuality, eclecticism, pluralism), that is characterized by anarchism, which does not have a beginning, culmination or ending, which creates the difficulties of understanding the music. Therefore, it is even more difficult to define philosophical aspects of music.

Thus, In the philosophical view, the study of music has a special meaning, because without determination of the philosophical essence and general regularities of music, it is impossible to study artistic – emotional, ideological-contextual or separate expressive methods of musical art and complex understanding.

## ივანე მჭედელაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **პოეტიკის საპრალიზაცია/დესაპრალიზაცია: ტარას შევჩენკო მოდერნისტულ და პოსტმოდერნისტულ უკრაინულ კულტურაში**

თანამედროვე ევროპულ ლიტერატურათმცოდნეობასა და კულტურის კვლევებში გააქტიურდა პოეტების როლის კვლევა ნაციონალური იდენტობის და ლიტერატურული კულტურის ფორმირებაში. ამ მხრივ ცნობილია სლოვენელი მკვლევრის, მარიან დოვიჩის მიერ შედგენილი ვებგვერდი „ნაციონალური პოეტები და კულტურული წმინდანები ევროპაში“ (<http://cultural-saints.zrc-sazu.si/en/>), რომელიც არის „ევროპაში რომანტიკული ნაციონალიზმის ენციკლოპედიის“ პარტნიორი პროექტი.

ვებგვერდზე განთავსებულია ევროპის რუქა და ყოველი ქვეყნის გამორჩეული ნაციონალური პოეტი და მის სტატუსთან ახლოს მდგომი სხვა პოეტებიც. ევროპის რუკაზე უკრაინაც არის დატანილი და უპირველეს პოეტად სრულიად სამართლიანად აღიარებულია პოეტი-რომანტიკოსი ტარას შევჩენკო, მის სტატუსთან ყველაზე დაახლოებულ უკრაინელ პოეტებად პუბლიკაციის ავტორი, კულტუროლოგი თ. ჰუნდოროვა ასახელებს ი. კოტლიარევსკისა და ი. ფრანკოს.

ტარას შევჩენკოს, როგორც უკრაინელი ნაციონალური პოეტის, იმიჯის კანონიზაციაში გამოყოფილია რამდენიმე ეტაპი: 1840 წ. პირველი კრებულის „კობზარის“ გამოცემა, 1857-1858 წლები – გადასახლებიდან დაბრუნება, 1861 წელი – გარდაცვალება, 1911-1914 პოეტის 100 წლის იუბილეს აღნიშვნა უკრაინაში და 2014 წელი. უკანასკნელი თარიღი დაემთხვა ორ დიდ მოვლენას პოეტის 200 წლის იუბილესა და ევრომაიდნის ეპოქალური ცვლილებებს. ტრი-

ბუნებიდან ისმოდა უკრაინელი პოეტის ცნობილი ციტატები, ქალაქის ქუჩებზე, კედლებზე, გამოჩნდა წარწერები შევჩენკოს ნაციონალური ხასიათის პოეზიიდან, საპროტესტო აქციები გადაივსო ბანერებით, მაიდნის ერთგვარი არტეფაქტებით „**იბრძოლეთ და გაიმარჯვებთ**“ (პოემიდან „კავკასია“). 2013-2014 წლის ევრო-მაიდნის მოვლენების „სულიერ გეტმანად“ სწორედ ტარას შევჩენკო მიიჩნეოდა.

თუმცა მთელი ორი საუკუნის განმავლობაში შევჩენკოს ავტორიტეტმა განიცადა საინტერესო ევოლუცია, მისი გარდაცვალების დღიდან უკრაინაში დაიწყო პოეტის, როგორც კულტურული ფიგურის საკრალიზაცია. შევჩენკო მიიჩნეოდა „უკრაინელი ერის წინასწარმეტყველად“, „მეფსალმუნედ“. მისი ფიგურა ყოველ ისტორიულ და კულტურულ ცვლილებაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა. რუსული კოლონიალიზმის პირობებში იგი გაიგივდა უკრაინის დამოუკიდებლობის იდეასთან, „უკრაინულ ეროვნულ მითთან“. საბჭოთა კრიტიკაში კი ტ. შევჩენკო აღიარებული იყო როგორც რევოლუციონერი პოეტი. მოხსენებაში განვიხილავთ უკრაინელი პოეტის რეცეფციის ორ მნიშვნელოვან ფაქტორს: საკრალიზებული პოეტის პროფანაციას ავანგარდისტულ და პოსტმოდერნისტულ კულტურულ მოდელებში.

შევჩენკოს ავტორიტეტის პირველი რევიზია დაიწყო ისტორიული ავანგარდის პერიოდში, რომელიც კლასიკური მემკვიდრეობისგან გათავისუფლების ფუტურისტული განწყობილებით იყო ნაკარნახევი, მსგავსი განწყობილებები გაჩნდა პოსტმოდერნული პერიოდის უკრაინულ კულტურაში. პოსტმოდერნული კულტურა ნეოავანგარდისტული ტენდენციების მატარებელია და ტიპოლოგიურ კავშირშია ისტორიულ ავანგარდთან. ჩვენ მიერ მოძიებულ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით, თანამედროვე თეორიული ნაზრევის კონტექსტში განვიხილავთ ნაციონალურ კულტურულ კანონში ტ. შევჩენკოს, როგორც ნაციონალური პოეტის ფიგურის ევოლუციას საკრალიზაციიდან დესაკრალიზაციამდე.

Ivane Mchedeladze

*PhD Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**FROM SACRALIZATION OF A POET TO DESACRALIZATION:  
TARAS SHEVCHENKO IN MODERN AND POSTMODERN  
UKRAINIAN CULTURE**

In modern European literary studies and cultural researches we see a new trend of researching the role of poets in forming national identity and literary culture. In this field a well-known source is a web page “National poets and cultural saints of Europe” (<http://cultural-saints.zrc-sazu.si/en/>) by Slovenian researcher Marijan Dovich, this web-page is a partner project of an “Encyclopedia of Romantic Nationalism in Europe”.

On the webpage we see a map of Europe and an outstanding poet of each country and other poets close to his/her status. On the map of Europe there is Ukraine and as its most outstanding poet we see Romanticist-poet Taras Shevchenko, the author of the publication, culturologist T. Hundurova names I. Kotliarevsky and I. Franko as the closest poets to his status.

There are three stages in canonization of the image of Taras Shevchenko as national poet of Ukraine: 1840 the publication of “Kobzar”, 1857-58 return from exile, 1861 – death, 1911-1914 celebration of 100-year anniversary and 2014. In 2014 two big events happened, 200-year anniversary of the poet and historical changes known as Euromaidan. His most popular quotes from his poems with nationalism character were everywhere, you could hear them from the tribunes, you could read them in streets on the walls, protest actions were filled with banners, kind of artefacts “fight and you will win” (from poem “Caucasia”). The “spiritual Getman” of Euromaidan events is believed to be Taras Shevchenko.

In this two centuries authority of Shevchenko underwent an interesting evolution, after his death began a process of sacralizing him as a cultural figure. Shevchenko was perceived as a “prophet of Ukrainian nation”,



„psalm-chanter”. His figure played a decisive role in every historical and cultural change. During Russian colonialism he was identified with the idea of independency, “with Ukrainian national myth”. In Soviet Critics T. Shevchenko was recognized as a revolutionary poet. In this report we discuss two important factors of reception of this Ukrainian poet – profanation of this sacralized poet in avant-garde and postmodern models.

The first revision of authority of Shevchenko began in period of historical avant-garde, which was dictated by futuristic attitude to free literature from classic heritage, similar attitude appeared in Ukrainian literature’s postmodern period. Postmodern culture carries Neo-Avant-garde tendencies and has typological connections with historical avant-garde. Relying on empirical materials, in context of modern theoretical thoughts we discuss Taras Shevchenko in national cultural law, as a figure of national poet from sacralization to desacralization.

## თამარ მჭედლიშვილი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **საბჭოთა კავშირის კოლაფსი და ქართული ავანგარდული ხელოვნების პირველი ნაბიჯები ევროპაში**

XX ს-ის 80-იანი წლების ბოლოსა და 1990-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მომხდარმა პროცესებმა საბჭოთა სისტემის შესუსტება გამოიწვია. როდესაც, 1985 წელს მიხეილ გორბაჩოვმა და მისმა მომხრეებმა „გარდაქმნის“ პოლიტიკა დაიწყეს, საზოგადოებაში გაიზარდა პოლიტიკური აქტივობა, ჩამოყალიბდნენ მასობრივი, მათ შორის ეროვნული, მოძრაობები და ორგანიზაციები. წარმოქმნილი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი შედეგად 1991 წლის 26 დეკემბერს საბჭოთა კავშირი ოფიციალურად დაიშალა. საზოგადოების პროტესტი ფარულად, მაგრამ ინტენსიური სახით ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო. ამ პერიოდისათვის კონტრკულტურა, როგორც ტერმინი უკვე იკიდებს ფეხს ქართულ ხელოვნანთა ფარულად ჩამოყალიბებულ წრეებში, რომელთა წარმომადგენელნიც აქტიურ პროტესტს განიცდიდნენ საბჭოთა დიქტატორული სისტემის წინააღმდეგ. სოცრეალიზმით გაჯერებული ნამუშევრების პარალელურად იქმნება ინოვაციური თემებზე აგებული ინდივიდუალური ხედვითა და შესრულების მანერით გამორჩეული ერთეული კომპოზიციები. ახალგაზრდა ხელოვნები ხვდებიან, რომ ამ პერიოდისათვის მხატვრობა თავისი აზრითა და მისიით უფრო მეტია, ვიდრე ზოგადად ტექნიკურად კარგად შესრულებული ნახატი და უკვე ფარულად შექმნილ ჯგუფებში იწყება ინოვაციური თემების ათვისება, რომელთა დემონსტრირებაც ჯერ დახურულ არაფორმალურ

სივრცეში ხდება, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა დღის სინათლეზეც გამოდის. ავანგარდისტი მხატვრების პირველი საჯარო გამოსვლა 1974 წელს ფიქსირდება, როდესაც ერთ-ერთი მხატვარ აბსტრაქციონისტთა ფარული დაჯგუფება არაფორმალურ გამოფენას საჯაროდ მართავს. თუკი ახალგაზრდების პირველი ინიციატივა, დამოუკიდებლად გამართონ სტუდენტური გამოფენა მშვიდობიანად ჩაივლის, მათი მომავალი ღონისძიებები დარბეულ და აღკვეთილ იქნა. მსგავსი შეზღუდვები, ე.წ. „პერესტროიკის“ წლებამდე გრძელდება. თუმცა, მიუხედავად მკაცრი ცენზურის არსებებისა, მხატვართა ნაწილი ევროპაში გასვლას უკვე 1983 წლიდან ახერხებს. რადგან ევროპული ქვეყნებისათვის საბჭოთა სივრცეში ჩაკეტილი მხატვრების შემოქმედება ეგზოტიკური და საინტერესო აღმოჩნდა, მიუხედავად დახურული საზღვრებისა, მაინც ხერხდება გამოფენებსა და სახელოვნებო პროექტებზე მოლაპარაკებები. 1990-იანი წლების დასაწყისში სიტუაცია იცვლება, იხსნება საზღვრები, საქართველოში ომი მძვინვარებს, ავანგარდისტი მხატვრების ნაწილი ემიგრაციაში მიდის.

**Tamar Mchedlishvili**

*PhD student*

*Avane Javakhishvili Tbilisi State University /*

*Tbilisi/Georgia*

## **THE COLLAPSE OF THE SOVIET UNION AND THE FIRST STEPS OF GEORGIAN AVANT-GARDE ART IN EUROPE**

The events, which occurred in the social and political life of the Soviet Union in the late 80's and early 90's of the XX century, caused the weakening of the Soviet system. When Mikhail Gorbachev and his supporters initiated the political reforms in the year 1985, the political activity in the society began to grow, mass, among them national, movements and organisations began to form. As a result of the economic and political crisis, the Soviet Union officially collapsed on 26 December of 1991. The protest aga-

inst Soviet dictatorship started secretly but intensively in 1970's in art circles. For this period, counterculture as a term is already being used by secret circles of Georgian artists. In parallel with the artworks of social realism few compositions on innovative themes with prominent technique and individual artistic vision are being created. Young artists realise, that for this period, the art of painting is much more by its mission and idea than just technically well-drawn composition. At first, the works are demonstrated in closed spaces, later works slowly start to emerge to light. The first informal and open exhibition of students was opened on May 8, 1974, in the apartment of one of the young Georgian artists. 22 students from the Academy of Arts were involved in this exhibition. The main concept of exhibition was "freedom" and its understanding. The second independent exhibition of the young artists inspired by freedom, was dispersed by Komsomol activists in the same year, while the third attempt of the exhibition was never realized, because of the intervention of the State Security Committee, the Union of the Soviet artists and the Ministry of Culture. From the 70's to the 90's the Georgian counterculture was represented by three main avant-garde groups. The first group included painters (Levan Chogoshvili, Irakli Parjiani, Gia Bugadze and Ketii Matabeli), who linked innovation with Georgian traditional elements and thus were creating interesting synthetic easel paintings. The members of the second group of the artists, who were noticed to be activist students (Gia Edzgeradze and Iliko Zautashvili) were considered to be the followers of abstract expressionism. In 70's they were already writing scandal manifests and conceptions. The third line of artists, who named themselves as "10th floor group", gathered in one of the studios of the Academy of Arts. The figurative and abstract compositions of enormous size created by them were characterized by the influence of expressionism and neo-wilderness. This is the group, which first introduced the concept of installation and performance in the history of Georgian avant-garde art. In the late 80's and early 90's, when the Soviet Union is on the verge of the collapse, the borders of the Union open and a great number of contemporary artists start to work in different countries. Irakli Parjiani started to work in Berlin studio in 1989-1990, Levan Chogoshvili and his fellows have an exhibition in several cities of France by the invitation of Le-

on Della Granville, the president of the association of critics, in 1990. Cannes festival occurred most successful for them, where they were awarded the President's prize for the "best national team" (L. Chogoshvili, L. Lasareishvili, G. Bugadze, I. Chitadze).

The 10<sup>th</sup> floor artists, during their co-existence, in general, outside the country, as well as in Eastern and Western Europe have several exhibitions. In particular, they have exhibition in Eastern Berlin in 1987. In 1988 they arrive in Narva, where they take part in the Narva art festival by the name of "the board of free artists". In the same year one part of the artists exhibit their works in François Friedrich's gallery, in Köln. *In 1989 the 10<sup>th</sup> floor artists arrive in Western Germany, where they organize two exhibition showcases and visit François Friedrich's gallery for the second time in the same year, where Karlo Kacharava, Georgian art critic, also worked in 1991. Gia Edzveradze, among other Georgian artists is invited on Sotheby's international auction in 1989, where he sells three big canvas. Interest in Georgian avant-garde, which started in the period of the Soviet Union, is still topical in 90's. Because of the political and economic crisis in Georgia, great number of Georgian artists go to Europe and continue active work till today.*

## მარიამ ნავაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### აუდიტორიულად მსგავსი ხმის ნიმუშების აკუსტიკური ანალიზი

სასამართლო პროცესებზე შეინიშნება ციფრული სახის მტკიცებულებების გამოყენების მზარდი ტენდენცია, შესაბამისად, უფრო და უფრო ხშირდება ამ სახის მტკიცებულებათა ფაბრიკაციის შემთხვევები. ფაბრიკაციის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საშუალებად მიიჩნევა სუბიექტის მეტყველების ჩანაცვლება აუდიტორიულად მსგავსი ხმის მქონე, ე.წ. მიმბაძველის მეტყველებით. ხმის ნიმუშების აუდიტორიული მსგავსება ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი აკუსტიკური პარამეტრების მიხედვითაც მსგავსი იქნებიან. ამიტომ აუცილებელია, ფონეტიკური ექსპერტიზა არ დაკმაყოფილდეს მხოლოდ და მხოლოდ აუდიტორიული ანალიზით. ნაშრომი ორიენტირებულია სწორედ ამ ტიპის ფაბრიკაციის გამოაშკარავების საშუალებებზე.

ჩვენ ჩავატარეთ კვლევა ორი აუდიტორიულად მსგავსი ხმის ჩანანერის საფუძველზე. შევადარეთ სუბიექტისა და მისი მიმბაძველის მეტყველება, რომლებიც აუდიტორიული ანალიზის შედეგად შეფასდა, როგორც „ძალიან მსგავსი“, და შევეცადეთ შემდეგი აკუსტიკური პარამეტრების მიხედვით შეგვედარებინა ისინი: ფუნდამენტური სიხშირე (F0), პირველი ფორმანტი (F1), მეორე ფორმანტი (F2), მესამე ფორმანტი (F3), მეოთხე ფორმანტი (F4), ინტენსივობა (დბ) და გრძლივობა (წმ).

თავდაპირველად ორივე აუდიოჩანანერი გავწმინდეთ ფონური ხმაურისგან ციფრული ფილტრების საშუალებით. აუდიტორიული ანალიზის შედეგად მიღებული ტრანსკრიფტი ვაქციეთ მონაცემთა ბაზად და გამოვთვალეთ ყველაზე ხშირად განმეორებადი

მარცვლები. გაზომვები გავაკეთეთ ორი ტიპის მასალაზე: 1. [ა] ხმოვანი /ქარ/ მარცვლიდან სიტყვა „საქართველოს“ ფარგლებში (13 ტოკენი) და 2. [ა] ხმოვანი /პარ/ მარცვლიდან შვიდი სიტყვის ფარგლებში (ეპარქია, დეპარტამენტი, მოლაპარაკება, მოლაპარაკებები, პარალელი, პარალელები, პარლამენტი). მიმბაძველის მეტყველება ეყრდნობა სუბიექტის ტრანსკრიპტს და არ არის სპონტანური. სუბიექტის აუდიოჩანაწერის ხანგრძლივობაა 8:09 წუთი, ხოლო მიმბაძველისა 8:31.

დადგინდა, რომ:

გამოყენებული პარამეტრებიდან ექსპერტიზის პროცესში ქართული ენისთვის ყველაზე ღირებულ პარამეტრს წარმოადგენს ფუნდამენტური სიხშირე და ინტენსივობა, რაც შეეხება მესამე და მეოთხე ფორმანტს, ისინი ძალიან კარგად ასახავენ მეტყველი პირების ინდივიდუალურ თავისებურებებს, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში შიდასპიკერული ვარიაციების მაღალი ხარისხის გამო ექსპერტიზის მიზნებისთვის შეიძლება უსარგებლო აღმოჩნდეს ბრალდების ჰიპოთეზის გასამყარებლად.

Mariam Navadze

### **AUDITORICALLY SIMILAR AND ACOUSTICALLY DIFFERENT SPEECH SAMPLES**

Digital evidences are very often used in the courts and there are many facts of fabrication for this type of evidences. One of the most common fabrication ways is to change speaker's speech with imitator's speech. If two speech samples are very similar by the auditory analysis, yet it doesn't mean that this speech sample belongs to one speaker. They should necessarily be compared by the acoustic analysis. Our work is concentrated on how we can make obvious the differences shown in the auditorically similar but acoustically different speech samples.

We conducted research on the base of two auditorically similar speech samples which were rated by the auditory as "very similar". We tried

to compare these samples by the following parameters: Fundamental frequency (F0), first formant (F1), second formant (F2), third formant (F3), fourth formant (F4), intensity and duration.

First of all we've utilized special filters to make clear speech sample from background noise and made measurements on the two types of data: 1. vowel [a] from the syllable /k<sup>h</sup>ar/ in the bounds of the word "sa kzar-thvelo" (13 token) and 2. vowel [a] from the syllable /par/ in the bounds of the following words: eparkhia, deparJamenJi, molaparaóeba, molaparaóe-bebi, paraleli, paralelebi, parlamenJi. Imitator's speech is based on the speaker's speech transcript and so it's not spontaneous speech sample. The speaker's speech sample duration is 8:09 and imitator's speech sample duration is 8:31.

conclusions:

In our opinion, for Georgian language the most valuable parameters of forensic phonetic analysis are fundamental frequency and intensity. As for third and fourth formants, they reflect well individual differences between the speakers, but because of the high degree of the inter-speaker variations they may be useless for the forensic phonetic purposes.



## მაია ნაჭყეპია

დოქტორანტი

*ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
ქუთაისი/ საქართველო*

### **ჯ.დ. სელინჯერის ნოველისტიკა და მოდერნისტული ქვეთქსტი**

*(„ცხრა მოთხრობის“ ემპირიულ მასალაზე დაყრდნობით)*

1. იმისათვის, რომ სიღრმისეულად იქნას გაანალიზებული **ჯ.დ. სელინჯერის** ნოველისტიკა, საჭიროა, განვიხილოთ იგი, როგორც ამერიკული მოდერნისტული ლიტერატურის გარკვეული ეტაპი და დავსვათ კითხვა: რა მიმართებაშია ერთმანეთთან ამერიკული მოდერნისტული მხატვრული დისკურსის ის ნიშან-თვისება, რომელიც ცნობილია „აისბერგის პრინციპის“ სახელით და **სელინჯერისეული ნოველისტიკა?**

2. ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა, სიღრმისეულად იქნას გაანალიზებული სელინჯერისეული ნოველისტიკის **ის ასპექტი**, რომელიც ნაგულისხმევია თავად „აისბერგის პრინციპის“ მიერ და, შესაბამისად, სელინჯერისეულ კრებულში **“Nine Stories”** შემავალ ნოველათა ერთობლიობა განხილულ იქნას როგორც **ციკლი**, ხსენებული ციკლის სტრუქტურა კი აღქმულ იქნას შემდეგანაირად: ამ ციკლის **„დამფუძნებელ“ ნოველად** უნდა მივიჩნიოთ **პირველი მოთხრობა – “A Perfect Day for Banana-fish”**, ხოლო ციკლში შემავალ ნოველათა როგორც **პერსონაჟული**, ისე **სიუჟეტური სტრუქტურა** ქვეტექსტურად უნდა უკავშირდებოდეს პირველი ნოველის როგორც პერსონაჟულ-ქვეტექსტურ სტრუქტურას, ისე მის **ტრაგიკულ ფინალს**;

3. იმისთვის კი, რომ სელინჯერისეული ნოველისტიკა სიღრმისეულად დაუკავშირდეს „აისბერგის“ ზემოთ ხსენებულ პრინციპს, აუცილებელია, დავეყრდნოთ ერთდროულად **ორ** შემდეგ **ანალიტიკურ პრინციპს**: ა) ინტერდისციპლინარული კვლევის აუც-

იღებლობიდან გამომდინარე მივმართავთ ავსტრიელი ფსიქოლოგ-ანალიტიკოსის ვ. ფრანკლის „**ეგზისტენციალურ ფსიქოლოგიას**“ და ბ) როგორც ამ ფსიქოლოგიაზე, ისე სელინჯერის ნოველათა ციკლურობაზე დაყრდნობით, ვცდილობთ, მოვუწახოთ **ადგილი** ამ ნოველისტიკას „**აისბერგის პრინციპის**“ როგორც ისტორიულ დროში რეალიზებული **ტენდენციის სტრუქტურაში**;

4. თუ ვ. ფრანკლი ლაპარაკობს „**ეგზისტენციალურ ფრუსტრაციაზე**“, როგორც თანამედროვე ადამიანური არსებობის ძირითად მახასიებელზე, სელინჯერისეულ ნოველისტიკაში ხდება **ეგზისტენციალური ფრუსტრაციის ეგზისტენციალურ ტრაგიზმად ტრანსფორმირება** და, შესაბამისად, სწორედ **ფრუსტრაციის ტრაგიზმად ტრანსფორმირება** უნდა იყოს მიჩნეული როგორც **სელინჯერისული ნოველისტიკის ცენტრალურ შინაარსობრივ ასპექტად**, ისე მთლიანად „**აისბერგის პრინციპით**“ ნაგულისხმევი მოდერნისტული ლიტერატურის **პრინციპულად ახალ ეტაპად**.

Maia Nachkepia

*PhD Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Kutaisi/Georgia*

## **J.D. SALINGER'S SHORT STORIES AND MODERNIST SUBTEXT**

*(Based on the Empirical Material of "Nine Stories")*

1. In order to study Salinger's short stories profoundly, it is necessary to discuss them as a certain stage of **American modernist literature** and raise a question: what is the interrelation between that property of American modernist literature, which is known as "**The Iceberg Principle**" and Salinger's literary narrative;

2. In order to answer the above-mentioned question, it is necessary to study profoundly that aspect of Salinger's short stories, which is implied by

the “Iceberg Principle” and, accordingly, to discuss his collection of short stories as a **cycle** and perceive the **structure** of this cycle in the following way: we should consider his first story -“**A Perfect day for Bananafish**” as the “**constitutive**” story and subtextually connect the **personal** and **thematic** structure of other stories to the personal-thematic structure and tragic end of the first one;

3. And in order to connect Salinger’s short stories to the above-mentioned “Iceberg” Principle”, it is inevitable to depend upon **two analytical principles**: a) according to the peculiarity of interdisciplinary research we utilize the “**Existential Psychology**” of Austrian analyst **V. Frankl**, and b) based on both this psychology and cyclic character of Salinger’s short stories, we try to find the appropriate **place** of these novels in the historical tendency of “Iceberg Principle”;

4. If V. Frankl speaks about “existential frustration” as the principal characteristic of human existence, in Salinger’s stories this frustration turns into “**existential tragizm**” and accordingly, we should think that this transformation of existential frustration into existential tragizm is the main aspect of Salinger’s short stories as well as a principally new stage of modernist literature.

## ნონა ნებერიძე

დოქტორანტი

/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო

### ლეონდებულის ფუნქციები ებრაულ ენაში

არასრული ანუ დამხმარე სიტყვების რაოდენობა ენაში შეზღუდულია და ისინი, ჩვეულებრივ, მრავალმნიშვნელობით გამოირჩევა. პოლისემანტიკურობით ხასიათდება ებრაულ ენაში ხმარებული წინდებულებიც, მათ შორის ერთმარცვლიანი წინდებულები ო.

ეტიმოლოგიურად ო ელემენტს უკავშირებენ ცალკე მდგომ ႁ (-კენ) წინდებულს, ႁ წინდებულის თავდაპირველი მნიშვნელობაც მიმართულების აღნიშვნა უნდა ყოფილიყო მოძრაობის გამომხატველ ზმნებთან, მაგრამ შემდგომ მას გადატანითი მნიშვნელობები შეუძენია, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია მიცემითი ბრუნვის გადმოცემა. ამის გამო წინდებულს “nota dativi“-ს უწოდებენ.

ო წინდებულის უმეტესად ძველ ებრაულში, იხმარება აგრეთვე გენიტივის გამოსახატავად, ერთეულ შემთხვევებში კი აკუზატივის მარკერადაც გვხვდება.

საანალიზო წინდებულის გვხვდება კომბინაციაში სხვადასხვა მეტყველების ნაწილთან, უფრო ხშირად არსებით სახელებთან და ნაცვალსახელებთან, აგრეთვე ინფინიტივთან, მაგ. **וּכְתֹב** „წერა“, სადაც ის დესემანტიზაციას განიცდის (შდრ. ინგ. to write „წერა“).

წინადადების შემადგენლობაში წინდებულს არ უკავია დამოუკიდებელი სინტაქსური პოზიცია და არ წარმოადგენს დამოუკიდებელ წევრს, ის ქმნის დამოკიდებულ სიტყვასთან ერთად ერთიან სინტაქსურ ჯგუფს.

Nona Nebieridze

*PhD Student*

*Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **THE MORPHOLOGICAL FUNCTIONS OF THE ל PREFIX IN THE HEBREW**

Generally, in any language the number of the auxiliary words is restricted and these words usually have several meanings. Polysemia is characteristic of the prepositions in Hebrew as well, for instance onesyllable preposition ל.

Etymologically ל element is connected with separately used preposition לך ("to"). Supposedly, the initial function of the preposition ל, used with the verbs of motion, was denotation of direction. Later the preposition gained figurative meanings, among which the most commonly used was designation of the Dative. For this reason the preposition is called "nota dativi".

The preposition ל, mostly in Old Hebrew, is used also for denoting Genitive and very rarely as a marker for Accusative.

The preposition ל is found in combination with the different parts of speech, most frequently with nouns, pronouns and infinitives, for instance לכתב "to write". In the latter combination the desemantization of the preposition occurs (compare with "to write").

In the sentence the preposition ל doesn't occupy an independent syntactical position and doesn't represent an independent member of a sentence, but forms one syntactical group only in combination with an independent word.

## ანა ნემსაძე

დოქტორანტი

*/თბილისის აპ. ქუთათელაძის სახ. სახელმწიფო სამხატვრო აკადემია/  
თბილისი/საქართველო*

### **პოსტსაბჭოთა საქართველოს ვიზუალური ისტორია**

(ანალიზი)

თანამედროვე ეპოქას და საზოგადოებას პოსტინდუსტრიულ ეპოქას და პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას ან/და ინფორმაციულ ეპოქას და ინფორმაციულ საზოგადოებას უწოდებენ. ინფორმაციის ცნების განსაზღვრა და თანამედროვე საზოგადოებაში მისი მნიშვნელობის, როლის და ფუნქციის გააზრება სამეცნიერო კვლევების ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა დღეს. ინფორმაციული ეპოქის ძირითად მახასიათებლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ინფორმაციის და საკომუნიკაციო საშუალებების საფუძველზე სოციალური სივრცის ორგანიზება და საზოგადოებრივი პროცესების მართვა. თავის მხრივ, ეს განსაზღვრა იმ ტექნოლოგიურმა ცვლილებებმა, რაც განხორციელდა კულტურაში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში.

დღეს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო ქვეყნის საინფორმაციო დისკურსის შექმნის აუცილებლობის წინაშე დგას. ამისთვის საჭიროა იმ პოლიტიკური და სოციალური მოვლენების შესწავლა, რომლებიც ქვეყანაში განხორციელდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რადგან ისინი თვითნებურად ხდება ქართული საზოგადოების ანმეოს და მომავლის განმსაზღვრელი.

ამ კვლევის მიზანია საქართველოს უახლესი ისტორიის პოლიტიკური მოვლენების გაანალიზება კულტურის და ინფორმაციის წრილში, კონკრეტულად იმის გამოვლენა, თუ რომელმა პოლიტიკურმა მოვლენებმა შეცვალეს პოსტსაბჭოთა საქართველოს სოციალური ცხოვრება ყველაზე მეტად, ვინ განხორციელეს ეს

პოლიტიკური მოვლენები და რომელი ვიზუალური და ვერბალური მესიჯებით გავრცელდა თითოეული პოლიტიკური მოვლენა.

ამ საექსპერტო კვლევის მეთოდია ინტერვიუ დარგის ექსპერტებთან. მასში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებმა, რომელთა საქმიანობა უკავშირდება კულტურაზე რეფლექსიას და ვიზუალურ კომუნიკაციის თემას. ესენი არიან ფილოსოფოსები, სოციოლოგები, ჟურნალისტი, მედიის მკვლევარი, პოლიტოლოგი, მხატვარი. რესპოდენტებმა ჩამოთვალეს პოლიტიკური მოვლენები და ცალ-ცალკე გააანალიზეს ისინი. კვლევის შედეგად გამოვლინდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სოციალური მოვლენების ვიზუალურ-ვერბალური ნარატივი. კვლევის შედეგები ასევე აღწერს პოსტსაბჭოთა საქართველოს პოლიტიკური და სოციალური მოვლენების ვიზუალურ-ვერბალური ნარატივის სხვა დეტალებს. ეს გვაძლევს შანსს, დავიწყოთ შემდგომი რეფლექსიები.

**Ana Nemsadze**

*PhD Student*

*/Apollon Kutateladze Tbilisi State Academy of Art/*

*Tbilisi/Georgia*

## **POST-SOVIET GEORGIA IN VISUAL HISTORY**

*(Analysis)*

Contemporary era and society are called postindustrial era and postindustrial society and/or informational era and informational society. Today science intends to define concept of information and comprehend information's role and function in contemporary society. Organization of social environment and governance of public processes on the base of information and tools of communication are main characteristics of informational era. This was defined by technological changes which were accomplished in culture in the second half of twentieth century. Today Georgia as an independent state needs to create an informational discourse of the country and therefore it is very important to study political and social cases

which accomplished in the country after collapse of the Soviet Union because they start to define the present and the future of the country. The purpose of this study is to analyze political cases of the latest history of Georgia in terms of culture and information, concretely to elucidate which political cases transformed social life of post Soviet Georgia most of all who accomplished these political cases which visual and verbal messages was each political case spread with.

The research is conducted on the basis of the interview. Participants of the interview are people of various specializations. Their professional activity is related to reflections on culture and theme of visual communication. They are philosophers, sociologists, a journalist, media researcher, political scientist, a painter. The participants of the interview enumerated political cases and analyzed them separately. The research revealed visual-verbal narrative of important social and political cases. The results of the study also reveal other details of visual verbal narrative of political and social cases of post Soviet Georgia. This gives a chance to start further reflection.



## მარიამ ნუცუბიძე

დოქტორანტი

*პარიზი-სორბონის უნივერსიტეტი/*

*პარიზი/საფრანგეთი*

### ექვთიმე მთაწმიდელი –

### პირველი ქართველი კანონისტი

ექვთიმე მთაწმიდელის მთარგმნელობით მოღვაწეობას არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა და მისი მეთოდების თავისებურება საყოველთაოდ არის ცნობილი. ჩვენი მოხსენების მიზანია, წარმოვადგინოთ ექვთიმე სრულიად სხვა რაკურსით და ნათელი მოვფინოთ მის კანონმდებლობით შემოქმედებას.

ექვთიმე მთაწმიდელის მიერ X საუკუნის ბოლოს შედგენილი „მცირე სჯულისკანონი“ პირველ ქართულ კანონიკურ კრებულს წარმოადგენს. ის შეიცავს ბერძნულიდან თარგმნილ შემდეგ საეკლესიო დადგენილებებს: 1. ტრულოს კრების კანონები (691-692) 2. კონსტანტინოპოლის პატრიარქ იოანე მმარხველის მიერ შედგენილი „კანონნი შეცოდებულთანი“ ორ ნაწილად 3. ბასილი დიდის „კანონნი დღითი-დღეთა ცთომათანი“ ორ ნაწილად 4. მერვე მსოფლიო საეკლესიო კრების ძეგლისწერა (843), რომლის მხოლოდ ქართული ვერსია არის შემორჩენილი.

ეს ძეგლი უნიკალურია თავისი შედგენილობით, მას არ მოეძებნება ანალოგი კანონიკურ ლიტერატურაში. ექვთიმე ბერძნული დედნისგან საკმაოდ განსხვავებულ თარგმანს გვთავაზობს, ის ცდილობს მსოფლიო საეკლესიო კრებების მიერ დადგენილი „ხელშეუხებელი“ საეკლესიო განწესებების ქართული რეალობისთვის მორგებას და ამ მიზნისთვის არ ერიდება მათში ცვლილებების შეტანასაც კი.

სწორედ ამიტომ „მცირე სჯულისკანონი“ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ეპოქის სოციალური, კულტურული და რელი-

გიური ისტორიის შესასწავლად და აუცილებელია ამ წყაროს ახლებური გააზრება.

ჩვენი მოხსენების მიზანია, თვალნათლივ წარმოვაჩინოთ ექვთიმეს კანონშემოქმედების რამდენიმე ასპექტი, კერძოდ:

- რითი ხელმძღვანელობდა ექვთიმე „მცირე სჯულისკანონის“ შემადგენელი განწესებების არჩევისას;
- რამდენად გამართლებული იყო ექვთიმეს ცნობილი „შემატება-კლების“ მეთოდი „ხელშეუხებელ“ საეკლესიო კანონებთან მიმართებაში და რა მოტივი ამოძრავებდა მას;
- არსებობს თუ არა კანონზომიერება ექვთიმეს დამატებებში.

ამ საკითხების განხილვისას „მცირე სჯულისკანონთან“ ერთად შევისწავლით ექვთიმეს კანონიკურ წერილებს, რომელთა ადრესატებს წარმოადგენენ ვინმე ბერი გიორგი და თეოდორე საბანძიდელი. ასევე პარალელს გავავლებთ ბიზანტიურ და სომხურ საეკლესიო სამართალთან.

## Mariam Nutsbidze

*PhD Student of Paris-Sorbonne University  
/Paris /France*

### **EUTHYMIUS THE HAGIORITE – THE FIRST GEORGIAN CANONIST**

The *Small Nomocanon*, developed by Euthymius the Hagiorite at the end of the 10th century, is the first preserved source of the Georgian canon law. This collection contains several normative texts translated from Greek, in particular the canons of the sixth ecumenical council (of the Council Quinisexte of 692), the canons of the punishment, attributed to John the Faster, the Epithimies, attributed to saint Basil the Great and the charter of faith of the council of 843.

ნებისმიერი ტექსტის სხვა ენობრივ კულტურაში სრულყოფილი ტრანსლაცია რეციპიენტის მშობლიური ენის კოდირების სისტემაში მის გადაყვანას, დეკოდირებას გულისხმობს. მთარგმნელისაგან ეს პროცესი არა მხოლოდ ლექსიკური შესატყვისების მოძიებას გულისხმობს, არამედ აუცილებელია ერთი კულტურული მენტალობის სხვა კულტურისათვის დამახასიათებელ კონსტრუქციებში გადაყვანა, თარგმნა, კულტურული კონცეპტების, მენტალური ველების სხვაობათა გათვალისწინება, რათა მაქსიმალურად შენარჩუნდეს სათარგმნი ტექსტის ეროვნული კულტურისათვის დამახასიათებელი კონტექსტი. თარგმანის თანამედროვე თეორიულ გააზრებას რომელი უფრო პრიორიტეტულია, შინაარსი თუ ავტორისეული სტილის გადმოცემა, ტექსტის კულტურული კონტექსტის გადმოცემის პრობლემაც ემატება. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა კატერინა რაისის მიერ შემოთავაზებული ტექსტის ტიპების კლასიფიკაცია, ესენია:

1. **ინფორმაციული** – მარტივი კომუნიკაცია ფაქტებით (აქცენტი კეთდება შინაარსზე).
2. **ექსპრესიული** – შემოქმედებითი შიგთავსი (აქცენტი კეთდება ავტორზე).
3. **ოპერატიული** – ქცევითი რეაქციების გამონვევა (აქცენტი კეთდება ადრესატზე).

ეს სამი ფუნდამენტური კატეგორია წარმოადგენს ტექსტის ტიპების პოტენციური რეალიზაციისა და განსხვავებული მთარგმნელობითი მეთოდების დასაბამს. აღსანიშნავია ისიც, რომ რაი-

სი ალიარებს ჰიბრიდულ ტექსტებსაც და განიხილავს მათ ერთ ტექსტში რეალიზებულ მრავალჯერად ფუნქციებს, სადაც, როგორც წესი, ერთს დომინანტად მიიჩნევენ.

წინამდებარე ნაშრომში განვიხილავთ და ერთმანეთს შევადარებთ შემოსხენებულ ტიპებს იმ საკომუნიკაციო არხების მეშვეობით, რომლის მიხედვითაც:

1. ტექსტი არის **ზეპირი ან წერილობითი**;
2. ნარმოადგენს **აზრთა ურთიერთგაცვლის საშუალებას** (**ზეპირი**: სატელეფონო საუბრები, პირისპირ საუბარი, ლექცია, ქადაგება, ტელევიზიით გამოსვლა, და ა.შ.; **წერილობითი** ტიპი გულისხმობს გაზეთებს, ჟურნალებს, მხატვრულ და დოკუმენტურ პროზას, პოეზიას, ინტერნეტს და ა.შ.).

Shota Rodinadze

*Doctor of Philology*

*/Batumi Shota Rustaveli State University/*

*Batumi/Georgia*

## **TYPES OF TEXTS**

### **AND THEIR REALIZATION IN TRANSLATION**

The perfect transmission of any text in any of the other linguistic texts implies decoding, i.e. transmitting it into the encoding system of recipient's native language. This process implies not only finding lexical correspondences by a translator, but also requires a transmission of one cultural mentality into the structures characterized to other culture, translation, taking into account cultural concepts, differences of mental fields in order to maintain the national culture-specific context of the source text. Contemporary theoretical understanding of the translation – which is the most priority, the content or the author's style – the problem of converting the cultural context of the text is also added. In this regard, it is interesting to classify the type of text offered by Katharina Reiss:

1. **Informative** – “plain communication of facts” (focus on content);
2. **Expressive** – “creative composition” (focus on author );
3. **Operative** – “inducing behavioral responses” (focus on addressee).

These three fundamental categories give rise to a large number of potential realizations of text type and their resulting relationship to translation methods. It is important to note that Reiss recognizes hybrid texts and speaks about multiple functions being realized within a single text, but generally with one being dominant.

In the present work we will review and compare each of the above types through the communication channels, according to which:

1. Text is **verbal** or **written** and
2. The medium **of exchange**(**oral**: telephone conversations, face to face, lecture, sermon, televising, etc. **Written** types include newspaperjournals, magazines, prose fiction, prose non-fiction, poetry, internet, etc.).

## ირინე საგანელიძე

დოქტორანტი

*ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **მზითვის ტრადიცია საქართველოში**

მზითვის ტრადიცია ქართული ისტორიისა და ეთნოკულტურის განუყოფელი ნაწილია. ამ ტრადიციას უკავშირდება გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდი, ასევე, ის ნათლად მეტყველებს ჩვენს ქვეყანაში ცივილიზაციის, ყოფითი კულტურის ძირითად აქცენტებზე და საქართველოში მიმდინარე ისტორიულ პროცესსა და სხვადასხვა ქვეყნის კულტურების ზეგავლენასაც გვიჩვენებს. საინტერესოდ და მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ამ ძირძველი ტრადიციის განხილვა სხვადასხვა წრილში: თუ როგორი იყო ქალის როლი, მნიშვნელობა, სოციალური ადგილი იმდროინდელ საზოგადოებაში, ინტელექტუალური განვითარების საფუძვლები და ზოგადი განათლების ძირითადი ტენდენციები. მზითვის ტრადიცია თვალსაჩინოს ხდის საქართველოში ძლიერი თვითმყოფადი კულტურის არსებობას; ის ყოფით ელემენტებს, საჭიროებებს, ცხოვრების წესსა თუ იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნებს აერთიანებს. ასევე, ძალზე მნიშვნელოვანი და მრავლისმეტყველია ისტორიული წყაროები ლიტერატურული ტრადიციების თუ რელიგიის ადგილის შესახებ ქართულ საზოგადოებაში.

ზემოაღნიშნული კვლევა ქართული საქორწინო წეს-ჩვეულებების შემადგენელი ნაწილის – მზითვის ტრადიციის თავისებურებების შესწავლას ემსახურება და მრავალ საინტერესო ასპექტს მოიცავს, რომელიც იმდროინდელი საქართველოს ისტორიულ პროცესებსა და საზოგადოების განვითარების შესახებ მნიშვნელოვან წარმოდგენას გვიქმნის.

Irine Saganelidze

*PhD Student*

*Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **TRADITION OF WEDDING GIFT (“MZITVI”) IN GEORGIA**

Tradition of “Mzitvi” (Dowry) is an integral part of Georgian history and ethno-culture. This tradition is associated with a significant period of late medieval history of Georgia. It also clearly demonstrates basic highlights of the civilization and everyday culture of our country, as well as ongoing historical processes in Georgia and the influences of the cultures of different countries.

We think it is interesting and important to discuss this ancient tradition within various contexts: What were the roles of women, their importance and social place in the society, the basics of intellectual development and the general trends of general education.

The tradition of “Mzitvi” reveals the existence of a strong, unique culture in Georgia; It combines the elements, needs, lifestyle, or demands of the society of that time. Historical sources on the literary traditions and place of religion in the Georgian society are also significant.

The above research serves to study the characteristics of the integral part of the Georgian wedding traditions – “Mzitvi”, and contains many interesting aspects that give us an important view of the historical processes of Georgia and the development of the society of that time.

## ქეთევან სამადაშვილი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### ქალის სახე ქართულ სიმბოლისტურ დისკურსში

„ცისფერი ორდენის“ წარმომადგენლებმა ევროპაში აღმოცენებული მოდერნიზმი ორგანულად შეუთავსეს აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე ჩამოყალიბებულ ქართულ პოეზიას. ხელოვნობის პრიმატის გაფეტიშება, სტილის ორიგინალობის მკაცრად დაცვა, სიმახინჯის ესთეტიზება, პოეტური ნიღბების სიუხვე – ქართული სიმბოლისტური სკოლის თავისებურებების არასრული ჩამონათვალია.

მრავალფეროვანია ცისფერყანწელთა პოეტური შემოქმედების შინაარსობრივი მხარეც: ქალაქი თავისი მომხიბვლელობითა თუ სიტლანქით, ისტორიის, ლიტერატურისა თუ მითოლოგიის „მკვდრეთით აღმდგარი“ პერსონაჟები, სამყაროს დრამატული აღქმა, ვნებამორეული თუ პლატონური ტრფობა და მის ობიექტად ქცეული მანდილოსნები...

კვლევის მიზანს წარმოადგენს ქალი და მისი სახე-როლი ქართულ სიმბოლისტურ დისკურსში. უფრო ზუსტად – ინტერესის სფეროა ის მეთოდი, ფორმა და მოდელი, რომელთა მეშვეობითაც წარმოგვიდგენს ცისფერყანწელთა პოეზია ქალთა სახეებს.

ნაშრომის სიახლედ მოვიაზრებთ სიმბოლისტური შემოქმედების მოარულ პერსონაჟთა როლისა და ხასიათების ურთიერთშედარებას, უცხო ასპექტების წარმოჩენასა და გააზრებას.

კვლევისათვის გამოვიყენეთ სიმბოლისტთა თხზულებების ანალიზისა და ჩვენთვის ნიშანდობლივი ნაწარმოებების დეტალური ანალიზის მეთოდი.

აღსანიშნავია თხზულებათა ურთიერთშედარებითი კვლევა პერსონაჟთა ტიპების მსგავსება-განსხვავების ძიების მიზნით.

ნაშრომისათვის სრულყოფილი სახის მისაცემად ნიშანდობლივია საანალიზო ელემენტების მხატვრული გააზრება – ცისფერყანწელთა მხატვრული სამყაროს კვლევა, რაც თავისთავად გულისხმობს სიახლეს – ინდივიდუალურად აღქმულ ლიტერატურულ სამყაროს. ამავდროულად, საფუძველს უყრის დაინტერესებული მკითხველის გარკვეულ მზაობას ტექსტების გაცნობისას.

ცისფერყანწელთა დასში, ასურელ მამათა მსგავსად, საკრალური მისიით შეკავშირებული ცამეტი პოეტი ერთიანდება. საკვლევი თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, განვიხილავთ ქალის თემატიკას მხოლოდ ოთხი სიმბოლისტი ავტორის შემოქმედების ჩრდილში. საკითხის მეტად დასაკონკრეტებლად და მასალის უკეთ აღსაქმელად, გამოვყავით ყველაზე ხშირი მიძღვნის ობიექტი ქალები და ნაშრომის ძირითადი ნაწილი დავყავით შემდეგ ოთხ ქვესათაურად: 1. ვალერიან გაფრინდაშვილი და ოფელიას აჩრდილი; 2. ტიცთან ტაბიძის პორტრეტი კაფე „ქიმერიონის“ კედელზე; 3. პაოლო იაშვილის „მეორე მეს ლირიკული დღიურები;“ 4. შალვა კარმელის აზიური მაგია.

**Ketevan Samadashvili**

*PhD Student*

*Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **FEMALE IMAGE IN GEORGIAN SYMBOLIST DISCOURSE**

The members of “the Blue Order” candidly combined Georgian Poetry (sprouted at the Crossroad of Europe and Asia) with European Modernism. Fetishism of Artificiality, Accuracy of the style authenticity, Aestheticism of Ugliness, Diversity of Poetic Camouflages – incomplete records of the characteristic features of the Georgian school of Symbolism.

Diversified content was the main aspect of “The Blue Horns” movement; city with its own fascination and clumsiness, “resurrected” protagonists, dramatic scope, women as the objects of passion and Platonic lovep.



Research aims to analyze the female image and role through the Modernist discourse.

Novelty of the work is considered to study the mutual comparison of the role and characteristics of protagonists and to depict and analyse its obscure aspects.

Conducted research includes an analytical method, to be more precise, we conducted an accurate investigation of significant literature compositions.

Research underscores associated comparison of the types of characters and inquires their resemblance and divergence.

Concerning completion of the scientific work we analyzed art elements – through researching creative world of “The Blue Horns” movement, that implies novelty – exclusive perceptibility of the world of literature, and simultaneously sharpens comprehension and preparedness of reader.

“The Blue Horns” movement united 13 Georgian Symbolist Poets and writers like the thirteen Assyrian holy Fathers.

Due to the particularity of the topic, we considered to analyze the female thematic through 4 symbolist writers’ point of view and perspective of their creative work. In this regard, to be more explicit we designated 4 female protagonists with special concern and divided our work into 4 subtitles: 1. Valerian Gaprindashvili and the shadow of Ophelia; 2. Titsian Tabidze, the portrait on the wall of “Kimerioni” (Chimera café), 3. Paolo Iashevili, “Lyrical diary of alter-ego”. 4. Shalva Karmeli, “Asian Magic”.

## აბდურაჰმან სეჩქინი

დოქტორანტი

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახ.

ქართული უნივერსიტეტი/

თბილისი/საქართველო

### ქართულ-თურქულ ურთიერთობების შესახებ თურქეთში გამოქვეყნებული ლიტერატურა

ძვ.წ.VIII საუკუნიდან დაიწყო თურქეთ-საქართველოს ურთიერთობები. სამხრეთ კავკასიაში ჩამოსული კიმერიელები და სკვითები ერთად იწყებენ საქმიან ურთიერთობებს. ამ ურთიერთობამ გამოიწვია საქართველოში ჰუნებისა და ხაზარების შემოსევები. XI საუკუნის შემდეგ, მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება. იწყება სელჩუკთა და ქართველთა ომები.

თემურლენგი აყ-ყოიუნლუ და ყარა-ყოიუნლუ სახელმწიფოების საქართველოში, ლაშქრობის შედეგ, საქმიან ურთიერთობებს აყალიბებს და ოსმალების მხრიდან ტრაპიზონის აღების შემდეგ საქართველო-ოსმალეთის მეზობლობა იწყება.

ქართულ-თურქული ურთიერთობების ისტორია 2500 წლის წინ დაიწყო. ამ ღრმა ურთიერთობებმა საფუძველი ჩაუყარა თურქეთში ქართველების/საქართველოს ისტორიასა და კულტურის შესახებ უამრავ სფეროში აკადემიური მონაცემების შექმნას.

ამ კვლევაში გამოყენებული იქნება, თურქეთში, ქართულ-თურქულ ურთიერთობებზე ისტორიულ სფეროში არსებული შემდეგი ლიტერატურა: ნიგნები, სტატიები, სამაგისტრო/სადისერტაციო ნაშრომები და ასევე სიმპოზიუმების ნაშრომები. სწორედ ზემოთ აღნიშნულ ნაშრომების მიხედვით იქნება ეს თემა განხილული.

ამ კვლევის მიზანი კი ქართველი თურქოლოგებისთვის ახალი ლიტერატურას გაცნობაა.

Abdurrahman Seckin

*PhD student*

*/St. Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia/  
Tbilisi/Georgia*

**LITERATURE ON GEORGIAN-TURKISH RELATIONSHIP,  
PUBLISHED IN TURKEY**

Turks and Georgians are two neighboring nations that have been involved since B.C. XII. But the relations had begun with Kimmers and Scythians, who migrated to the south of the Caucasus.

It is known that the Hazaras organized several expeditions to today's Georgia. After those attempts in the early age, the beginning of the Seljuk-Georgian battles became the breaking point of relations between two nations. Then the gaza and jihad activities of the Timur, Akkoyunlu and Karakoyunlu states in Georgia developed the relations.

The neighboring relations began with the conquest of Trabzon by Ottoman Empire.

In fact, the history of Turkish-Georgian relations dates back to 2500 years. This deep-rooted relationship has naturally led to different academic studies in the field of Georgian history and Georgian culture, in Turkey.

This study will include the historical literature-related articles, master thesis, doctoral thesis and papers reported in History congresses in the field of Turkish-Georgian relationship.

The purpose of this study is to introduce and highlight the new literature to the academicians who work in the field of Turkology in Georgia.

## რამაზ სვანიძე

ასოც. პროფ.

*საკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
ქუთაისის/საქართველო*

### თარგმანის თეორიული და პრაქტიკული საკითხები

თარგმანი საუკუნეების განმავლობაში დიდ როლს თამაშობდა ნებისმიერი ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში. ამ მხრივ, დღესაც მთარგმნელის, როგორც სხვადასხვა კულტურისა და აზროვნების დამაკავშირებლის, წვლილი შეუფასებელია. ის აძლევს საშუალებას საკუთარ ხალხს, დაენაფოს სხვა კულტურის ფასეულობებს, ხელს უწყობს ენისა და საზოგადოების განვითარებას, ასევე კულტურათა შორის დიალოგს. თუმცა თარგმანისადმი ყოველთვის ერთგვაროვანი დამოკიდებულება არ სუფევდა. მოხსენებაში განვიხილავ სხვადასხვა ავტორის (ჰუმბოლდტი, გოეთე, შლაიერმახერი, ლუთერი და სხვა) დამოკიდებულებას თარგმანის პროცესისადმი. ასევე შევხები თარგმანის თეორიის მნიშვნელოვან საკითხებს: რამდენ ნაწილად იყოფა თარგმანის პროცესი? როგორ მიიღწევა ორიგინალისა და თარგმანის თანაფარდობა? ენობრივ-სტილური ასპექტების გარდა კიდევ რა ფაქტორებია მნიშვნელოვანი? რას მოიცავს სათარგმნი ერთეული? ლიტერატურულ ტექსტებთან მიმართებაში რა დამატებითი სირთულეები იჩენს თავს? როგორ უნდა გადმოსცეს მთარგმნელმა ნორმის დარღვევის შემთხვევები? რომელი საშუალებებით უნდა ჩაიქარგოს ასეთი ერთეულები მხატვრულ ტილოში? რას გულისხმობს ტერმინი *ეკვივალენტობა*? რას ნიშნავს დენოტაციური, კონოტაციური, პრაგმატული, ფორმალურ-ესთეტიკური და ტექსტობრივი ეკვივალენტობა? რომელ ტექნიკას უნდა მიმართოს მთარგმნელმა, როცა ეკვივალენტური ერთეული არ არსებობს? რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს კარგი თარგმანი?

თეორიული საკითხების მიმოხილვის შემდეგ მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სულისა“

და ნინო ხარატიშვილის „ჩემი საყვარელი ორეულის“ ლინგვისტური, ინტერკულტურული და მთარგმნელობითი ანალიზი. ამ ნაწარმოებებს აერთიანებს ის ფაქტი, რომ პირველად გერმანიაში გერმანულ ენაზე გამოიცა. თარგმანები ორიგინალის გამოცემიდან სხვადასხვა დროითი ინტერვალით შესრულდა: პირველი – რამდენიმე ათეული წლის, მეორე კი – სულ რაღაც ოთხი წლის შემდეგ, რაც სხვადასხვა ფაქტორით იყო განპირობებული.

ამ ტიპის კვლევები აუცილებელია, რადგან ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი ანალიზი ჯანსაღი კრიტიკის განვითარების საფუძველია. ჯანსაღი კრიტიკა ობიექტური კრიტერიუმების საშუალებით აღწერს და ასაბუთებს იმ კომპონენტებს, რომლებიც თარგმანის წარმატებას ან წარუმატებლობას განაპირობებენ. ჩემი აზრით, ამ საკითხისადმი პროფესიონალური მიდგომა ხელს შეუწყობს თარგმანის ხარისხის ამაღლებას.

**Ramaz Svanidze**

*Assoc. Prof.*

*/Akaki Tsereteli State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **THEORETICAL AND PRACTICAL ISSUES OF TRANSLATION**

For centuries, translation played an important role in the cultural life of every country. In this regard, even today the contribution of a translator, as a connector of different cultures and thinking modes, is invaluable. He gives his people the opportunity to learn the values of other cultures, promotes the development of language and society, as well as dialogue between cultures. Nevertheless, the attitude towards translation has not always been this homogenous. In the report I will discuss the attitude of different authors (Humboldt, Goethe, Schleiermacher, Luther, etc.) towards the translation process. I will also touch upon the important issues of translation theory: How many parts is the translation process divided by? How is it possible to achieve the original-translation ratio? Besides lingu-

istic and stylistic aspects, what other factors are important? What does a translation unit contain? What additional difficulties are raised in relation to literary texts? How should a translator convey the cases of the norm violation? What means should be used for such units to be embroidered in the artistic canvas? What does the term *equivalence* mean? What does denotative, connotative, pragmatic, formal-aesthetic and textual equivalence mean? Which technique should the translator apply to when there is no equivalent unit? What criteria should a good translation meet?

After reviewing the theoretical issues, the report will provide linguistic, intercultural and translational analysis of Grigol Robakidze's "The Killed Soul" and Nino Kharatishvili's "My Favorite Double". These works are combined with the fact that they were first published in Germany in German. The translations were done with different time intervals from the original: the first one – several decades later, the other – only four years later, which was due to various factors.

This type of research is necessary because the contrastive analysis of the original and translation is the basis for the development of healthy criticism. Healthy criticism, by means of objective criteria, describes and substantiates the components which determine success or failure of a translation. In my view, a professional approach to this issue will help enhance translation quality.

Сергей Сидоров

*Тартуский университет*

*/Тарту/Эстония*

## **ВИРТУАЛЬНАЯ ЭКСПЕДИЦИЯ КАК МЕТОД СОХРАНЕНИЯ ПОЛЕВЫХ МАТЕРИАЛОВ**

В процессе сбора этнографического материала из д. Енабердино Менделеевского района Республики Татарстан, возник вопрос, каким образом можно в дальнейшем использовать накопленный материал так, чтобы он соответствовал современной информационной, или еще называют электронной эпохе. Исходя из этого, появляется необходимость обращения к мультимедиа технологиям, которые интенсивно развиваются в различных областях, включая, образование, искусство, рекламу, индустрию развлечений, медицину, технику, математику, бизнес, а также научные исследования и пространственно-временные приложения.

Одним из них таких мультимедиа продуктом может стать «виртуальная экспедиция». Главной целью которой является создание условий для самостоятельного наблюдения, сбора необходимых фактов.

Основными преимуществами данного метода являются:

1. возможность осмотра значимых мест, объектов и собранных материалов, не выезжая на место;
2. возможность осмотра в любое время и в любом месте;
3. возможность многократного просмотра экспедиции и прилагаемой информации;
4. возможность дополнять информацию;
5. экономия времени и средств.

В нашем случае, виртуальная экспедиция проходит на территории южных удмуртов, на примере д. Енабердино Менделеевского района Республики Татарстан. Она представляет из себя интерактивную схе-

матическую карту этих территорий с отмеченными на ней местами для молений, жертвоприношений, памятниками имеющих культовое значение для местных жителей. Ко всем топонимам прикреплены фотографии, фотопанорамы, подробные описания, собранные входе интервью, беседы в виде текста или аудио.

Виртуальная экспедиция как метод сохранения архивных и собственных полевых материалов, позволит удаленно познакомить традиционной культурой народа, определяющую перспективу их использования в научной работе, в образовательных программах, в интерактивных музеях и в интернет среде. Такая экспедиция послужит платформой для сохранения, актуализации, популяризации культурного наследия народа.

Sergei Sidorov

*University of Tartu/*

*Tartu /Estonia*

## **VIRTUAL EXPEDITION AS A METHOD FOR SAVING FIELD MATERIALS**

At the process of gathering ethnographic material in village of Enaberdino, Mendeleevski district, Republic of Tatarstan, I encountered a question, how to use gathered information in a way, that it suits today's standards of technology, or known as technological epoch. Based on this, we have to consider using multimedia technology, which is intensively developing in many areas, including: education, art, advertisement, entertainment industry, medicine, technology, mathematics, business, and also scientific research and highly developed applications.

One of such multimedia products may be «virtual expedition». It's main goal is creating possibilities for individual observation and collecting necessary facts for your own purposes.

Greatest advantages of this method are:



- The opportunity to get known with a place, object or some other sort of information from the comfort of your home.
- The opportunity to rewatch at any time or place.
- The opportunity to complement information.
- The opportunity to save money and resources.

In my case, virtual expedition passes on the territory of northern Udmurtia. For example in village of Enaberdino, Mendeleevski district, Republic Tatarstan. It represents itself as an interactive schematic map of those territories with pointed out places for praying, sacrificing and monuments that importance for the native people. On all places are attached photographs, panoramas, detailed descriptions, which are collected during an interview, dialogue in a video or audio form.

Virtual expedition, as a method of saving archives and individual field materials, which allows to remotely become familiar with the traditions and culture of the people living there, defining the perspective of usable information in scientific research, educational programs, interactive museums and in world wide web. This expedition will serve as a platform for saving, updating and popularization of cultural heritage of people.

## ნიკოლოზ სილაგაძე

ისტორიის დოქტორი

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისის/საქართველო*

### **ცნების „გვიანანტიკური ხანის“ ახლებური გააზრებისათვის**

გვიანანტიკური ხანა წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიისთვის უმნიშვნელოვანესი ეტაპია, რომელსაც ბევრი საეტაპო მნიშვნელობის მოვლენა (მაგალითად, ქრისტიანობის ფართოდ გავრცელება, რომის იმპერიის დაცემა, ხალხთა დიდი გადასახლება) უკავშირდება. ისტორიაში მისი როლისა და ადგილის განსაზღვრა ბევრ სადისკუსიო პრობლემასთანაა დაკავშირებული.

ისტორიკოსების ერთი ნაწილი გვიანანტიკურ ხანა რომის იმპერიის დაცემა-დაქვეითების პერიოდად მიიჩნევს. მათთვის ეს ცნება რომის იმპერიის არსებობის ბოლო ორ საუკუნეს გულისხმობს. ამგვარ მიდგომას საფუძველი XVIII საუკუნეში ცნობილმა ინგლისელმა ისტორიკოსმა ედუარდ გიბონმა ჩაუყარა ცნობილი წიგნით – „რომის იმპერიის დაცემა“.

მკვლევართა მეორე ნაწილი გვიანანტიკურ ხანას დამოუკიდებელ, ელინიზმის მსგავს, ისტორიულ ეპოქად აღიქვამს. ეს იდეა ინგლისელი მკვლევარის, პიტერ ბრაუნის 1971 წელს გამოცემული წიგნიდან – „გვიანანტიკური სამყარო“ მომდინარეობს.

მოხსენებაში დასმულია საკითხი – მართებულია თუ არა გვიანანტიკური ხანის დამოუკიდებელ ისტორიულ ეპოქად განხილვა? ეს საკვლევი კითხვა „რომის იმპერიის III საუკუნის კრიზისის“ დახასიათების ფონზე განიხილება. კერძოდ, აქ გამოყოფილია ფაქტორები (არასტაბილურობა სახელმწიფოში, არმიის როლის ზრდა, ბარბაროსების შემოსევები, იმპერატორის ხელისუფლების ბუნების ტრანსფორმაცია, სოციალური პრობლემები – „რევოლუციური“ განწყობები, მუშახელის შემცირება, ეკონომიკური პრობლემები, პროვინციების გააქტიურება, რელიგიური და მორალური

კრიზისი), რომლებიც III საუკუნის რომის იმპერიაში მცხოვრებ ადამიანს თანამედროვეობის (ანუ III საუკუნის) კრიზისის ეპოქად აღქმისკენ უბიძგებდა? მათი ანალიზის ფონზე მოცემულია მცდელობა პასუხი გაეცეს თანამედროვე ისტორიოგრაფიისთვის აქტუალურ შეკითხვას – III საუკუნის მოვლენების სახით მართლაც ანტიკური სამყაროს დასასრულის დასაწყისთან გვაქვს საქმე, თუ ახალი, არანაკლებ საინტერესო, ისტორიული პერიოდის დასაწყისი ეტაპთან?

**Nikoloz Silagadze**

*PhD*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

### **THE REVISION OF THE CONCEPT OF “LATE ANTIQUITY”**

The Late antiquity is a crucial stage for the history of the Western Asian and Mediterranean history, which is associated with many landmark events (*such as the spread of Christianity, the decline of the Roman Empire and the Migration Period*). Determining its role and place in history is related to many issues under discussions.

Certain historians think that the Late Antiquity is a fall-down period of the Roman Empire. This approach was based on the famous book “the Decline and Fall of the Roman Empire” by well-known English historian Edward Gibbon of the XVIII century.

Other historians perceive the Late Antiquity as an independent historical epoch similar to Hellenistic period. This idea derives from the book “The World of Late Antiquity” published in 1971 by Peter Brown, an English scholar.

The report presents the question – *is it right to consider the Late Antiquity as an independent historical epoch?* This research question is discussed in the background of the “Third Century Crisis of the Roman Empire.” In particular, the factors here (*instability in the state, reinforcement of the*

*role of the army, „barbaric“ invasions, the transformation of the nature of the Emperor’s authority, social problems, that is, “revolutionary” moods, reduction of workforce, economic problems, activity of provinces, religious and moral crisis) encouraged the residents of the Roman Empire in the III century to perceive the contemporaneity (that is, the third century) as an epoch of crisis. Against the background of their analysis, an attempt is made to answer the question that is vital for the contemporary historiography – Are the events of the third century considered the beginning of the end of the Antique world or the beginning of a new, no less interesting historical period?*

Sarah Slye

*PhD (probationary)*

*/University of Cambridge/*

*USA*

**VOLNY GORETS – A MOUNTAINEER SOCIAL DEMOCRATIC  
JOURNAL IN TBILISI IN 1919**

Most historical research on the Caucasus between the Russian Revolution and Bolshevik takeover focuses on individual national narratives or the tension between socialist and nationalist ideologies. My research recognizes these important angles but moves beyond them to explore the debate surrounding the idea of regional unity, which was also promoted by significant political figures 1917 to 1921. In a presentation earlier this year, I treated the attitude of Georgian National Democrats towards the potential for political unity in the Caucasus—or at least some degree of cooperation and mutual understanding between the Caucasian nations—as set forth in their mouthpiece *sakartvelo* (“Georgia”) in 1917.

For the presentation at the International Symposium for Young Scholars, I will analyze the contents of the Tbilisi-based journal *Volny Gorets* (“Free Mountaineer”). It contains a total of 22 issues covering a four month timespan from 8 September to 29 December 1919. The editor of the journal was Akhmed Tsalikaty, an Ossetian Menshevik and influential Muslim leader in Russia who identified as a Mountaineer. Considering his background and ideological tendencies, my article will draw upon the materials in *Volny Gorets* to gain insight into the following questions: 1) Did Mountaineer Mensheviks see any potential for cooperation between the North Caucasus and Transcaucasia, 2) Did a Mountaineer who was also a socialist identify more strongly with fellow Mountaineers, who were mainly capitalists of a nationalistic turn, or the social democratic leadership of Georgia, and 3) What new can we learn from this source about worker movements

and military developments in the North Caucasus in late 1919? This presentation will also showcase the published opinions of some of the editor's salient Georgian and Azerbaijani contemporaries (Valiko Djugeli, Spiridon Kedia, Khamid Sultanov, etc.) concerning the possibility of political recognition for the Mountain Republic by the Transcaucasian republics.

## ნინო სურმავა

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **დასავლეთი და აღმოსავლეთი: სივრცის იმპროლოგია მიხაილ ნუაიშის ლიტერატურულ ტექსტებში**

აღმოსავლეთი და დასავლეთი კულტურაში, ლიტერატურასა და ფილოსოფიაში მოიაზრება როგორც მსოფლალქმისა და საზოგადოებრივი მოწყობის ორი არსებითად განსხვავებული ტიპი. „აღმოსავლურ-დასავლური“ საკითხის მიმართ ინტერესს ინტელექტუალური საზოგადოების პოლემიკის რამდენიმე საუკუნოვანი ისტორია აქვს, ეს ინტერესი განსაკუთრებით უკანასკნელ ათწლეულებში გამძაფრდა. აღმოსავლურ-დასავლური პრობლემატიკა მრავალი სამეცნიერო ცენტრის შესწავლის საგანია. შეიქმნა მნიშვნელოვანი სოციალური და კულტუროლოგიური თეორიები. გლობალიზაციისა და მზარდი მიგრაციების ფონზე კიდევ უფრო აქტუალური ხდება ცივილიზაციათა დიალოგის, კულტურათა ურთიერთზიარებისა და სინთეზის თემა. დიალოგის შესაძლებლობა და საერთო ენის გამონახვა ამ ორ რადიკალურად განსხვავებულ რეგიონს შორის, პირველ ყოვლისა, პოლიტიკური აქტუალობით არის ნაკარნახევი, თუმცა სოციალურ მეცნიერებათა სფეროდან ჰუმანიტარულ მეცნიერებებშიც გადმოინაცვლა. აღმოსავლეთ-დასავლეთის შეხვედრის თემამ ნაყოფიერი ასპარეზი პოვა მეოცე საუკუნის არაბულ ლიტერატურაში.

ახალმა არაბულმა ლიტერატურამ, რომელსაც აქტიური პოლიტიკურ-ისტორიული და ლიტერატურული კონტაქტები ჰქონდა დასავლურ სამყაროსთან, მდიდარი გამოცდილება დააგროვა უცხოეროვნული თემატიკის მხატვრული დამუშავების თვალსაზრისით. დასავლეთის იმიჯი საკმაოდ მრავალფეროვნად არის წარმოდგენილი მეოცე საუკუნის არაბულ ლიტერატურაში. დასავლეთ-

თი, როგორც სხვა, აღმოსავლეთთან დაპირისპირებული კულტურული სივრცე არაბულ ლიტერატურულ ტექსტებში გულისხმობს როგორც ევროპულ ქვეყნებს, ისე ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. ევროპული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, აშშ-ს და არაბულ სამყაროს ერთმანეთთან არ აკავშირებს საერთო კოლონიალური ისტორია. ზოგიერთი არაბისთვის, განსაკუთრებით, ლიბანის ქრისტიანი ემიგრანტებისთვის, ამერიკა მეოცე საუკუნის დასაწყისში სტუმართმოყვარეობის სიმბოლოს წარმოადგენდა, ის სთავაზობდა მათ უკეთეს და უფრო თავისუფალ ცხოვრებას, რეპრესიული ოსმალური რეჟიმისგან და ეკონომიკური სიდუხჭირისგან თავდახსნას. ემიგრანტთა შორის იყვნენ მწერლებიც, ეს უკანასკნელნი თავიანთ ნაწარმოებებში ასახავდნენ ურთიერთობას მასპინძელ ქვეყანასთან, რომელსაც ჰქონდა განსხვავებული კულტურა, ღირებულებები და ცხოვრების წესი. ბუნებრივია, შეუძლებელია ერთი მოხსენების ფარგლებში ჩავტიოთ ზოგადი არაბული ლიტერატურული წარმოდგენები აშშ-ზე, ამიტომ ჩვენი ინტერესის ფოკუსში ამჯერად მიხაილ ნუაიმეს მოთხრობები „გუგულის საათი“, „ერთი კოლოფი ასანთი“ და მისი ესეისტიკა მოექცა.

Nino Surmava

*PhD Student*

*/ Ivane Javakishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **WEST AND EAST: IMAGIOLOGY OF SPACE IN LITERARY TEXTS OF MIKHAIL NAIMY**

Interest in the “East-West” issue has a long history of polemics of the intellectual society. Problems of the East and West are the subject of study for numerous scientific centers. Significant theories were developed in social and culture sciences. Against the background of colonization, globalization and increasing migration, the theme of dialogue between civilizations, sharing of cultures and their synthesis was put forward. Possibility of dialo-



gue and finding something common between these two drastically different eastern and western regions dictated, primarily, by the political significance, though it spread from the sphere of social sciences to the humanities as well. And where, if not in the literature this eternal theme of meeting of the cultures could find the fertile soil?!

Meeting of the east and west, their mutual perception is not a new theme for the literature and it has always been under the interest of authors from both sides: east and west. Problem of cultural identity and integration that happens as a result of two-world influence, is still very important.

In 20<sup>th</sup> century Arabic literature the issue of meeting of the east and west was brought in to the literature from the Syrian-American philosophical-literary school, while the issue of new understanding of the substance of east and its attitude and relation with the western (European-American) cultures in literary essays originated from "Mahjar literature". Litterateurs are aware that this school unified the writers who carried two cultures, absolute majority of its representatives were from Syria-Lebanon and their contribution to development of new Arabic literature is indeed grand. The product created by them was called "Mahjar Literature" (literature of emigrants). In early 20th century the Syrian and Lebanese writers who migrated to America commenced cultural and literary activities there. Arabic intellectuals who shared the western civilization paid great attention to studying of the problem of interrelations between west and east, attempts for overcoming the barriers between the material and spiritual worlds. Since 10-20-ies of the 20th century this issue was reflected in the literature, essays by the representatives of Syrian-American school and further this line developed in the early Arabic novels.

The object of our paper is fiction and essays of famous representative of "Mahjar" literature – Mikhail Naimy, who is a writer contemporary to Rihani. He is the significant figure of Mahjar school, with the attitude towards American and western civilization different from Rihani.

## ნინო ტაბეშაძე

დოქტორი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **ნარატივის სემიოტიკური შაბლონის ჩამოყალიბების პროცესი 2008 წლის 12 აგვისტოს შემდეგ**

კოლექტიური მეხსიერების კვლევებმა განსაკუთრებული მნიშვნელობა თანამედროვე ეპოქაში შეიძინა. ზოგი მკვლევარის აზრით, წარსულისადმი საზოგადოებების მასიური მიბრუნება და საკუთარი თვითმყოფადობის კვლევა გამოიწვია გლობალიზაციის, როგორც გაერთგვაროვნების საფრთხის აღქმამ. გარდა ამისა, საერთო წარსულის აღქმა აყალიბებს ერს, როგორც მნემონიკურ (მეხსიერებით გაერთიანებულ) ერთობას.

წარსულის გაზიარება და აღდგენა მეხსიერების საფუძველზე ხდება. ფართოდ გავრცელებული მნიშვნელობით, მეხსიერება გულისხმობს ინდივიდების, ჯგუფებისა და სახელმწიფოთა მცდელობას, განსაზღვრონ საკუთარი რაობა ისტორიის ინტერპრეტაციით, დაგროვილი გამოცდილების ასახვითა და ღირსშესანიშნავად მიჩნეული მოვლენების დაფიქსირებით [Kansteiner 2006: 8]. მეხსიერება შუამავალია წარსულსა და აწმყოს შორის, მას გამოაქვს დავიწყების განაჩენი ან სიცოცხლეს ანიჭებს წარსულს, შესაბამისად, ერთმანეთთან აკავშირებს ერთობებს ან განაცალკევებს მათ. მისი კვლევა სამ ძირითად დონეზე მიმდინარეობს: ინდივიდუალურ (ძირითადად, სწავლობენ ფსიქოლოგები და ფსიქიატრები), კოლექტიურ (სოციოლოგების, კულტურის მეცნიერებათა და ისტორიკოსთა ინტერესის სფერო) და ინსტიტუციურ (პოლიტიკის მეცნიერებები, კულტურის მეცნიერებები და ისტორიკოსები).

ჩვენი მოცემული კვლევებისთვის მეტად საინტერესო იქნება კოლექტიური მეხსიერების განხილვა. კერძოდ, განვიხილავთ ცნობილი მკვლევრის, ჯეიმს ვერჩის სტატიას ნარატივის სქემა-

ტური შაბლონის ჩამოყალიბებაზე და 2008 წლის ომის ორი ნარატივის შედარებას, რომელთაგან თითოეული სხვადასხვა კოლექტიურ მეხსიერებას ეყრდნობა. სტატიის განხილვის მიზანია იმის დადგენა, რამდენად განსხვავებულია ორი კულტურის მიერ ერთი მოვლენის ინტერპრეტაცია და რა ხერხებს იყენებენ ინდივიდები მოვლენების ნარსულთან დასაკავშირებლად, მიმართავენ თუ არა ისტორიულ მაგალითებს და რამდენად ამარტივებენ ისტორიულ მოვლენას.

**Nino Tabeshadze**

*PhD*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**CREATION OF NARRATIVE TEMPLATE  
AFTER THE 12<sup>TH</sup> OF AUGUST IN 2008 AUGUST WAR**

Studies of collective memory became very popular in recent years. Some scholars argue that resurrection of collective memory and local traditions, returning to indigenous roots was the result of globalization. Most cultures started to perceive globalization as the process of homogenization and tried to oppose it. Apart from that, shared collective memory forms nations as mnemonic (groups with same memory) unities.

Societies remember and analyze the past based on collective memory. Generally, memory is perceived as an attempt of individuals, groups and states to define themselves with historical interpretation, reflection of past experiences and commemoration of significant events [Kansteiner 2006: 8]. Memory presents a medium between the past and present. It either makes societies and groups forget something, or trigger them to remember particular aspects and events. Memory studies can be held on three levels: Individual (Psychology and Psychiatry), Institutional (Political studies, Cultural Studies and History) and Collective (Sociology, Culture Studies, and History).

For this paper I have chosen study of collective memory. The paper aims to explore the article written by James V. Wertsch about the templates of narrative. The study will try to apply the theory of Wertsch to the War of August 2008 and see two different narratives to see how collective memory influences the perception of the same event.

## თეა ტეტელოშვილი

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი/  
თბილისი/საქართველო

### **„გულის“ შემცველი ქართული ფრაზეოლოგიზების სტრუქტურულ-სინტაქსური ანალიზი**

საენათმეცნიერო ლიტერატურაში ფრაზეოლოგიზმად განიხილება „განუყოფელი ლექსიკური ერთეული, რომელიც ფორმით ჩვეულებრივ შესიტყვებას ემთხვევა, მნიშვნელობით კი – სიტყვას“ [ქართული ენა 2008: 486]. ამგვარ გამოთქმათა კვლევა საინტერესოა როგორც სემანტიკური, ისე სტრუქტურულ-სინტაქსური თვალსაზრისით. ჩვენ ამ ეტაპისთვის შევვებით „გულის“ შემცველ ფრაზეოლოგიას, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანია ქართულში და გამოირჩევა მრავალფეროვნებით. საანალიზო ფრაზეოლოგიურ ერთეულებად ვიყენებთ თ. სახოკიას ნაშრომის „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“, ალ. ონიანის „ქართული იდიომებისა“ და ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მასალას, ამავდროულად ვითვალისწინებთ ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემებსაც.

ჩვენი კვლევა ძირითადად ეხება ორ უმთავრეს საკითხს: (1) რა სტრუქტურისაა „გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულში და (2) რა სინტაქსურ მიმართებას ქმნიან ისინი წინადადების სხვა წევრებთან.

პირველი საკითხი უშუალოდ უკავშირდება ამგვარი ფრაზეოლოგიის შემადგენელი კომპონენტების კლასიფიკაციას, მათ ადგილს სხვა კომპონენტთა ჯაჭვში, ამ ადგილის მკაცრად განსაზღვრულობის გარკვევას, ამ ჯაჭვში სხვა არაფრაზეოლოგიური სიტყვის ჩართვის შესაძლებლობას და სხვ.

რაც შეეხება ფრაზეოლოგიურ ერთეულთა სინტაქსურ კვალიფიკაციას, უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ვიზიარებთ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ფრაზეოლოგიზმის „სემანტიკური მონოლი-

თურობა (ნომინაციის ერთიანობა) სძლევს მის შემადგენელ ელემენტთა სტრუქტურულ დანაწევრებულობას, რის შედეგადაც წინადადების შედგენილობაში მისი ფუნქცია ერთი სიტყვის (წევრის) ფუნქციის იდენტურია“ [აკ. დავითიანი, ქართული ენის სინტაქსი 1973: 367]. აღნიშნული თვალსაზრისით მოხსენებაში განვიხილავთ „გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიის მონაწილეობით შექმნილ წინადადებებს, ასევე შევხებით ამგვარ ერთეულთა ფუნქციურ დატვირთვას სემანტიკურ-სინტაქსური ტრანსპოზიციის გათვალისწინებით.

Tea Teteloshvili

*TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics/  
Tbilisi/Georgia*

### **STRUCTURAL-SYNTACTIC ANALYSIS OF GEORGIAN PHRASEOLOGY CONTAINING “HEART”**

In linguistics phraseology is considered as an “undivided lexical unit, which coincides with an ordinary phrase by form and with a common word by meaning” [The Georgian Language 2008: 486]. It seems interesting to research such expressions in semantic, as well as structural-syntactic overview. Now we would like to discuss the phraseology containing the word “heart” as they are one of the numerous and various ones in Georgian. Researched phraseological units are from “Georgian Figurative Words and Expressions” by T. Sakhokia, “Georgian Idioms” by A. Oniani and Georgian Explanatory Dictionary (8 books). We consider data got from The Georgian National Corpus as well.

The paper deals with two main issues: (1) the structure of the phraseology containing “heart” and (2) how they apply syntactically to other parts of a sentence.

The first issue is directly related to classification of the components of phraseology, their places within the word-order, clarifying how fixed they are and if there is an opportunity to insert any word in phraseology etc.

As for the syntactic analysis of phraseological units, it should be noted, that we agree with the opinion on which “monolithness (parts unity for nominating) of phraseology dominates structural segregation of containing parts and therefore its function in a sentence is identical of a common single word” [A. Davitiani, Syntax of the Georgian Language 1973: 367]. From this point of view in our paper we’ll analyse the sentences that include the phraseology containing the word “heart”, we’ll also deal with their functional role considering semantic-syntactic transposition.

## მარინე ტურაშვილი

დოქტორანტი

*შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი/  
თბილისი/საქართველო*

### ერთი თქმულების კვალდაკვალ

(„გოგილიანთ ქალქვა“)

მინის დროული დამუშავება და მოსავლიანობა ამინდზეა დამოკიდებული. ძველად ფიქრობდნენ, რომ ამინდის მართვა შესაძლებელი იყო. გვალვიანობის ან ხშირი წვიმების შემთხვევაში ქალები აწყობდნენ “დიდებას”, რაც გულისხმობს მოსახლეობაში კარდაკარ ჩამოვლას, კვერცხის, სასმელის, ფულის და ა. შ. აგროვებას, შემდეგ შიშველი ფეხით უღელში შებმასა და წყალში შესვლას. აგროვებული ფულით აუცილებელი იყო საკლავის ყიდვა და ადგილის დედისთვის შეწირვა, რაც სასურველი ამინდის – გვალვის შემთხვევაში წვიმის და წვიმების შემთხვევაში მზის – გამოხმობის საშუალებად მიაჩნდათ. სწორედ ასეთი თქმულებაა „ქალქვა“.

კახეთის 1961 წლის ფოლკლორული ექსპედიციის ვრცელ ანგარიშში მ. ჩიქოვანი საინტერესო ცნობას იძლევა ყვარლის რაიონის სოფლების: ენისლისა და საბუის – მიდამოებში ჯერ კიდევ შემორჩენილი ამინდის მართვის რიტუალების შესახებ. მკვლევარი ასახელებს შემდეგი სამი სახის რიტუალს: ა) დიდება, ბ) ქალ-ქვების დატირებასა და გ) წყალში გუთნის გათრევას (ჩიქოვანი 1964: 229).

ექსპედიციის ანგარიშისა და გაანალიზებული ტექსტებიდან ჩანს, რომ არქივში დაცული უნდა ყოფილიყო აღნიშნული რიტუალის დროს შესასრულებელი დიდებისა და ქალ-ქვების დატირების აუდიოჩანაწერები, ასევე, სავარაუდო იყო რიტუალის შესრულების წესთან დაკავშირებული ჩანაწერების არსებობაც. ყოველივე ამის ცოდნა, ცხადია, ამძაფრებდა შესაბამისი ხმოვანი ჩანაწერების გამოვლენისადმი ინტერესს.



უნდა აღინიშნოს, რომ ფონოარქივში „ქალქვაზე“ არსებული ავთენტური ვერბალური ტექსტების ნიმუშების კვალდაკვალ აღმოჩნდა მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშებიც. დღეისათვის ჩვენთვის ხელმისაწვდომია ამინდის მართვის რიტუალის დროს შესასრულებელი ოთხი არაჩვეულებრივი სიმღერა: „გოგილანთ ქალო“ (ID 34559), „დიდება“ (ID 34567), „იავნანა“ (ID 34568), „გონჯაობა“ (ID 34569) და მდინარის გუთნით მოხვნის რიტუალთან დაკავშირებული განმარტებაც (ID 34566).

ამრიგად, ტექსტური და აუდიომასალების ანალიზმა საშუალება მოგვცა მეტ-ნაკლები სიზუსტით აღგვეჩინა „ქალქვასთან“ დაკავშირებული რიტუალი, თუმცა სურათის სრულყოფილად წარმოდგენა შეგვეძლება ფოლკლორის არქივში დაცული ფოტო და კინონოგრაფიების დიგიტალიზაციით, რაც არქივის ელექტრონული დამუშავების სტრატეგიული გეგმის შემდეგ ეტაპზეა ნავარაუდები.

## Marine Turashvili

*PhD Student*

*/Shota Rustaveli Institute of Georgian literature/*

*Tbilisi/ Georgia*

### **FOLLOWING THE ORAL TRADITION**

*(“Gogilaant Qalqva”)*

The weather determines the time of working on the land and its productivity. In ancient times people thought that it was possible to operate the weather. During drought women conducted “glorifying” ritual which included going from door to door for gathering eggs, drink, money and etc. Then they yoked up walked barefoot and entered into the water. On gathered money they bought the cattle for sacrificing them to the protective spirit of a place for getting the desirable weather. The folk-tale “stonewoman” is connected to this tradition.

In the report of the folklore expedition of 1961 from Kakhetian region prof. M. Chikovani gives an interesting information on the ritual of weather

operation in the villages Eniseli and Sabue. The scientist names the following rituals: a) Gloria; b) Mourning of the stonewomen; c) Ploughing in the water.

While working on the project “Accessibility of the Audio Materials Kept in the Folklore Archives by Means of Digitalization and Electronic Systematization” we hoped to find the audio recording of the above mentioned weather ritual and our hopes were realized. There were discovered four folk songs of the ritual of weather operation: Gogilaant woman (ID 34559); Gloria (ID 34567); lavnana / Violetnana – traditional Georgian Lullaby (ID 34568); Gonjaoba – rain-making ritual (ID 34569) and the commentaries of the performers of the river ploughing (ID 34566).

We hope that the retro digitalization of the visual materials of the Archive which is the part of the future strategic plan will help us to make full restoration of the above mentioned weather ritual.

## ნათია ფონიავა

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### ინტერფერენციული მოვლენები კოდორის ხეობის სვანურ მთხვეულებში

კოდორელ სვანთა მეტყველებაში ინტერფერენციული პროცესების შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა. ჩვენ ამ საკითხს განვიხილავთ კოდორელთა მეგრელი და იმერელი რძლების სვანური მეტყველების მიხედვით, რაც ენათმეცნიერული კვლევის საგანი აქამდე არ გამხდარა.

საანალიზო მასალა მოძიებულია ავტორთა კოლექტივის (იზა ჩანტლაძე, ქეთევან მარგიანი-დადვანი, ქეთევან მარგიანი-სუბარი, მედეა სალიანი, რუსუდან იოსელიანი) ნაშრომის „კოდორული ქრონიკები (გამოკვლევებითურთ)“ მიხედვით.

მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყველაზე გავრცელებულია ლექსიკური ინტერფერენცია – ესა თუ ის სვანური ლექსემა ჩანაცვლებულია სათანადო ქართული სიტყვებით. მაგ.: იხმარება **ბიცოლა, მამიდა, დეიდა**, არადა სვანურში მათი საერთო სახელია **გიგა**... განსაკუთრებით რთულადაა საქმე რიცხვით სახელებთან დაკავშირებით. მთქმელები თითქმის ყოველთვის იყენებენ ქართულ რიცხვით სახელებს: **პირზელ, მეცამეტე**...

არცთუ იშვიათად სვანურად მეტყველებისას არა მხოლოდ ქართული ზმნური ფუძე გამოიყენება, არამედ ზმნა მთლიანად ქართული გაფორმებით იხმარება: ამნემ **გადამატანინა** „ამან გადამატანინა“, ...ი ეჯლა **უნჭალობთ** „...და იმიტომ ვწვალობთ“.

---

\* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [217848, კოდორული მეტყველების ადგილი სვანური ენის სისტემაში (ინტერდისციპლინური გამოკვლევა სვანურ-გერმანული ლექსიკონითურთ)].

იმერელი მთქმელის სვანურ მეტყველებაში ნათესაობითში უმეტესად გამოყენებულია ამ ბრუნვის ქართული სუფიქსი **-ის** და არა სვანური **-იმ** / **-ემ**: ხუითუჭრიდას სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს „ვსნავლობდი სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს(ში)“.

ტექსტებში დასტურდება სვანური **ი-ს** ნაცვლად ქართული **და** კავშირიც: ქართული ენისა **და** ლიტერატურის მასწავლებელ ლი „ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია“.

გაბმულ სვანურ მეტყველებაში ქართულად ჩართულია მთელი შესიტყვებაც, ძირითადად დალოცვის ფორმულები, იდიომები: **ჯუარი სწერიათ!** **ერე თაჭი ერჩინა** „რომ თავი ერჩინა“...

ამდენად, კვლევამ აჩვენა, რომ ქართულის გავლენით გამოწვეული ინტერფერენციული მოვლენები გვხვდება ლექსიკაში, მორფოლოგიასა და სინტაქსში. მეგრელთა სვანურ მეტყველებაში ვერ დავადასტურეთ ისეთი ინტერფერენციული ფაქტები, რომლებიც ზანურის, კერძოდ, მეგრულის გავლენით შეიძლება აგვეხსნა, რადგან მთქმელებს ძირითადად სვანურად და ქართულად უწევთ მეტყველება.

Natia Poniava

*PhD student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## INTERFERENCE FACTS

### IN SVAN SPEECH OF KODORIAN RAVINE

A number of researches have been devoted to the study of interference processes in Kodorian Svan's speech. We will discuss this issue based on the Svan speech of Megrelian and Imeretian daughters-in-law of Kodorians, who have not been the subject of the linguistic research yet.\*

---

\* This work was supported by Shota Rustaveli National Science Foundation (SRNSF) [217848, Place of Kodorian speech in Svan system (Interdisciplinary studies with Svan-German dictionaries)].

The analyzed materials were obtained from “Kodorian chronicles (with research)” created by co-authors (Iza Chantladze, Ketevan Margiani--Dadvani, Ketevan Margiani-Subari, Medea Sagliani, Rusudan Ioseliani).

According to the analyzed materials the most common occurrence is lexical interference – Svan lexemes are replaced by the relevant Georgian equivalents. For instance, **bicola, mamida, deida** is used instead of a Svan word **Giga** for all of them... the situation seems more complicated with the numerical names, because they are always replaced by Georgian numbers: **pirwel, mecamese**.

Speakers of the Svan language frequently use not only a Georgian verb stem, but also the formation of a Georgian verb: **amnem gadamasani-na** “it helped me”, ... **i eJma wwwalobt** “...and that’s why we are toiling”.

An Imeretian respondent uses **-is** “Georgian suffix of genitive” to replace the same Svan **-iř / -eř**, when she speaks Svan: **xwitwridas soxumis pedagogiur inssisuss** “I was studying at Sokhumi pedagogical institute”.

There are attested Georgian **da** “and” instead of Svan **i** in the texts: **kartuli enisa da liserasuris maswawlebel li** “she is a teacher of Georgian language and literature”.

Georgian collocations, basically the phrases used for blessings and idioms are added in the ongoing Svan speech: **Jwari sweriat!** “god help him”, **pere tawi erzina** “...to be earned his living”.

Thus, the research has shown the facts of interference in vocabulary, morphology and syntax caused by Georgian influence. We could not attest such facts in Svan speech of Megrelians that could be explained by the influence of Zan, namely by Megrelian influence, because they basically speak Svan and Georgian.

## მარიამ ფრიდონაშვილი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### „ქალის საქმე“ ხელოვნებაში

ქალები ხელოვნებაში წარმოგვიდგებიან, როგორც უმცირესობა და, შესაბამისად, მნიშვნელოვანია მათი ხელოვნების პოპულარიზაცია და კვლევა. რა გზებსა და ხერხებს მიმართავენ ისინი გამომსახველობის ფორმების ძიებისას, რას ქმნიან, როგორ და რა ფორმით წარდგებიან მაყურებლის წინაშე?

თუ გავითვალისწინებთ პატრიარქალური წყობისთვის მახასიათებელ სხვადასხვა ნიშან-თვისებებს, თეთრკანიანი მამაკაცების სამყაროში ხელოვნებაც სარკისებურად ირეკლავს სოციალურ და კულტურულ მდგომარეობას. ქალი ხელოვნების მხრიდან ხშირია ამ მოცემულობასთან ბრძოლა, პროტესტი და ამისთვის მიზანმიმართულად შემუშავებული გამომსახველობის სხვადასხვა ფორმები. აქცენტი მინდა გავაკეთო სწორედ იმ ფორმებზე რაც გულისხმობს ქალის სოციალურ სტატუსს, მას როგორც რეპროდუქციის უნარის მქონე არსებას, ნაზ და სუსტ სქესს და სხვა, ამიტომ სხვადასხვა არტისტებმა შეიმუშავეს ძალიან საინტერესო ფორმები, ისეთი როგორიცაა ქარგვა, ქსოვა, სუფრის თემატიკა და სხვა. ეს სწორედ ის დამოკიდებულება და ის სასაუბრო ენაა, რითიც ისინი პირდაპირ უპირისპირდებიან პატრიარქალურ სამყაროს, მათი მხრიდანვე მინიჭებული სოციალური სტატუსის შესაბამისობაში.

ქარგვით და ქსოვით გადმოცემული ქალების პრობლემატიკა ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო მეთოდია თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში, კონცეპტუალური ხელოვნების ერთ-ერთი მიმდინარეობა, რაც საჭიროებს კვლევას და განვითარებას. ნამუშევრები შეიძლება ეხებოდეს როგორც გლობალურ

პოლიტიკურ თუ სოციალურ მდგომარეობას, ასევე მედიის გავლენას და სხვა ეგზისტენციალურ პრობლემებს. რაც მთავარია გამომსახველობის ეს გზა აღმოჩნდა ძალიან ეფექტური და ვიზუალურად საინტერესო.

ამ მიმდინარეობას განვიხილავ ხელოვნებაში ქალთა ემანსიპაციის ჭრილში, როგორც კონკრეტულ მდგომარეობას არსებული დისკრედიტაციის წინააღმდეგ, ბრძოლის ფორმას და ახალ სასაუბრო ენას ხელოვნების სფეროში. განვიხილავ როგორც მეთოდს ასევე მისი რეალიზების საკითხებს, როგორცაა ნამუშევრის მუზეუმში ან წამყვან გალერეებში მოხვედრა, არტისტის პოპულარობის კოეფიციენტი და გაყიდვადობის მაჩვენებელი.

**Mariam Pridonashvili**

*PhD student*

*Avane Javakhishvili Tbilisi State University /*

*Tbilisi/Georgia*

### **“WOMEN CRAFT” IN ART**

Women are presented in art as minorities and consequently it is very important to research and popularize their art thoroughly. More interesting aspect is how do women artists manage to create or present their works for the audience or which methods and ways do they use for searching for forms of expression.

If we take into consideration some peculiarities and characteristics of the patriarchal system, it is obvious, that art in the world of white men also reflects the socio-cultural realities and conditions of the society. Women artists are often struggling and protesting against the reality using intentionally elaborated different forms of expressions. My aim is to emphasize these forms of expressions which means first of all the societal status of women, a status of a gentle and weak sex with reproductive ability. So different artists rebel against the patriarchal system and have developed very interesting forms of expression like knitting, embroidery, cuisine etc.

Expressing the existing problematic issues among women by knitting and embroidery is quite an interesting and important method in the modern art history. It is a new tendency in the conceptual art which requires deep research and development and can express different problematic issues, like global political or social situation, influence of media and other existentialism problems. Moreover this way of expression is quite effective and visually interesting.

I discuss this tendency from the angle of emancipation among women, as a concrete reality against the existing discredit, this idea is like a new way of struggle and way of communication in art which can be fulfilled by realization of ideas in museums, leading galleries, promoting the popularity of artists and increase sales of their works. As a result this novelty could be the logical perspective of modern culture and cause revolutionary changes both in the sphere of women rights and say a new word in the art space.



## ნათია ფურცელაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **ბრიტოლ რობაქიძის წერილები სტაფან ცვაიგს**

*(ეპისტოლური მასალის კულტურული ღირებულება)*

1928 წელს გერმანიაში, იენაში, დიდერისის გამომცემლობაში, დაიბეჭდა გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“. რომანი გამოიცა მსოფლიოში ცნობილი მწერლის – შტეფან ცვაიგის – წინასიტყვაობით. უაღრესად საინტერესოა მათი პირადი მიმოწერა, რომელიც „გველის პერანგის“ თარგმნისა და გამომცემის შესახებ საუბრით დაიწყო.

ცნობილია, რომ გრიგოლ რობაქიძის საზღვარგარეთული არქივი დაკარგულად ითვლება, მისი ცხოვრებისა და შემოქმედების ჩვენთვის უცნობი დეტალების გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი ახალი ინფორმაციის, მასალის გამოჩენას. შტეფან ცვაიგის გრიგოლ რობაქიძისადმი გაგზავნილი წერილები, რომლებიც მეტად საყურადღებო იქნებოდა, არ მოგვეპოვება. ქართული (ქართულენოვანი) საზოგადოებისთვის ბოლო დრომდე უცნობი იყო გრიგოლ რობაქიძის შტეფან ცვაიგისადმი მიწერილი წერილებიც.

ეს ეპისტოლური მემკვიდრეობა დაცული აღმოჩნდა ამერიკაში, ნიუ-იორკში, ფრედონიის უნივერსიტეტის დანიელ რიდის ბიბლიოთეკაში, შტეფან ცვაიგის არქივში, ხოლო ასლები ინახება საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში.

სადოქტორო კვლევის ფარგლებში გავეცანით ამ საარქივო მასალას და სწორედ მაშინ გადავწყვიტეთ, გვეთარგმნა. 2016 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა ჩვენი თარგმანი „წერილები სტეფან ცვაიგს“.

გრიგოლ რობაქიძის წერილები შტეფან ცვაიგისადმი ბევრ სიახლეს, მეტად ღირებულ ინფორმაციას შეიცავს და მხოლოდ

იმით არ არის მნიშვნელოვანი, რომ მათი საშუალებით ორი მწერლის ლიტერატურული ურთიერთობების შესახებ გვექმნება წარმოდგენა, ეს მასალა დასაფასებელია იმის გამოც, რომ ვეცნობით, როგორ წარადგინა გრიგოლ რობაქიძემ ქართული კულტურა და ლიტერატურა ავსტრიელი მწერლის წინაშე. მოხსენებაში მიმოხილული იქნება სწორედ ეს საკითხები და ამ ეპისტოლური მასალის მნიშვნელობა ქართული კულტურის ისტორიისათვის.

**Natia Purtseladze**

*PhD Student*

*/Avane Javakishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/ Georgia*

**LETTERS OF GRIGOL ROBAKIDZE TO STEFAN ZWEIG**

*(Cultural value of epistolary material)*

In 1928 Grigol Robakidze's novel *The Snake Skin* was published by Deiderich Verlag, Yena, with the introduction of the famous writer, Stefan Zweig's. The correspondence that started between the two writers at the time of translation and publication of *The Snake Skin* is very interesting.

G.Robakidze's foreign archivement is considered to be lost; accordingly, any new information or material, connected with unknown facts of his life and work, will be of an utmost importance. There are no letters written by Zweig to Grigol Robakidze, which would also have been very useful. Georgian society, until recently, was not familiar with letters written by Robakidze to Zweig.

Fortunately, this epistolary heritage was discovered in New York, in Daniel Reed Library in The University of Fredonia, in Stefan Zweig's archive, while copies are kept in Giorgi Leonidze museum of literature in Georgia.

Within the doctoral research, we have familiarized with these archive materials and decided to translate them. In 2016, publishing house "Artanuji" published our translation "Letters to Stefan Zweig".

Grigol Robakidze's letters to Stefan Zweig include very valuable information; they reveal literary relationship of the two writers, but this is not the only importance about them; by means of these letters we learn how Grigol Robakidze presented Georgian culture and literature to Austrian writer. The report will consider these issues and the importance of this epistolary material in the history of Georgian culture.

## ნათია ფუტყარაძე

დოქტორი

*ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### მესამე დიათეზის ზმნათა კონსტრუქციისათვის მეგრულში

ვეყრდნობით რა მოსაზრებას, რომ გრამატიკაში გრამატიკულ ერთეულთა კლასიფიცირება უნდა მოხდეს არა სემანტიკური, არამედ ოდენ გრამატიკული – მორფოსინტაქსურად მარკირებული კატეგორიებით (არნ. ჩიქოვაძე, დ. მელიქიშვილი), მეგრულ ზმნურ ფორმათა შესწავლისას ვიხელმძღვანელებთ დიათეზათა მორფოსინტაქსური კლასიფიკაციის ინდუქციური კვლევის პრინციპებით, რომელიც ჯერ კიდევ 1978 წ. დ. მელიქიშვილის მიერ იქნა შემუშავებული.

მესამე დიათეზის მეგრული ზმნები სემანტიკურად სტატიკურია; მოქმედების აღმქმელ-განმცდელი პირი მიცემით ბრუნვაშია დასმული. ეს კი გამორიცხავს მესამე დიათეზის R-Ø და R-უ(ნ) სტრუქტურის ფორმათა დამთხვევას I-II დიათეზის მსგავსი სტრუქტურის ზმნებთან. (1) მესამე დიათეზაში შედის ისეთი ზმნური ფორმები, რომელთაც აქვთ დატიური კონსტრუქცია: ზმნით გამოხატული მოქმედების აღმქმელ-განმცდელი **ბრუნვა-უცვლელი** პირი, სუბიექტურ წყობაში, უგამონაკლისოდ, მანის რიგის პირის ნიშნებით არის გამოხატული (**მ-იყორს მა<sub>dat</sub>** თინა „მიყვარს მე<sub>dat</sub> ის“...); (2) მესამე დიათეზის ყველა ზმნის ორპირიან ფორმაში **მეორე აქტანტი, რომელიც არ არის მოქმედების აღმქმელ-განმცდელი**, პირველ, მესამე და მეოთხე სერიებში სახელობითი ბრუნვის ნიშნით, ხოლო **აორისტში** მოთხრობითი ბრუნვის ნიშნით იქნება გაფორმებული. მაგ., „**ქიმმაშქირინ ოჭკუშალ-ქ მომშივდა (მე<sub>dat</sub>) საჭმელმა**“ **მეზობელს ცუდე-ქ ვაკეთინუ** „მეზობელს სახლმა ვერ გაეკეთა“ და სხვ.

სტრუქტურული თვალსაზრისით, მესამე დიათეზაში ორი სტრუქტურა გვხვდება, ორივე მანის რიგის პირის ნიშნებითაა მარკირებული: R-th.s.- $\emptyset$  (მიყორს „მიყვარს“) და R-th.s.-*უ/ე(ნ)* (მოჭიჭარუ(ნ) „მებატარავენ“, ოჭიფარუ(ნ) „ვეინროვენ“, აბაზე(ნ) „შეუძლია ცემოს“, აბათილინე(ნ) „შეუძლია გააბათილოს“, აბათქე(ნ) „შეუძლია ცემოს/დაბეთქოს“...);

სემანტიკურად, მესამე დიათეზის ყველა ზმნა შეინიცობს ინაქტიურ სუბიექტს, სუსტი ნებელობის მქონე მოქმედების აღმქმელ-განმცდელ პირს. შინაარსობრივად ამითაც განსხვავდება მესამე დიათეზის ყველა ზმნა პირველი და მეორე დიათეზის ზმნათაგან.

Natia Putkaradze

PhD

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## TOWARDS THE CONSTRUCTION OF THE 3<sup>RD</sup> DIATHESIS IN MEGRELIAN

Taking into account the point of view according to which the classification of the grammatical units should be performed with only the grammatical – **morphologically** and **syntactically** marked criteria, instead of semantical ones (Arn. Chikobava, D. Melikishvili), I have decided to classify Megrelian verb forms within the boundaries of morpho-syntactic category of Diathesis, that includes the research inductive methods and was developed by D. Melikishvili in 1979.

The third Diathesis contains stative verbs. The perceiver person/agent is marked with the markers of the dative case, and accordingly, it is marked by the personal markers of **m**'s row. In the 3<sup>rd</sup> Diathesis we have both structures: **R- $\emptyset$**  and **R-u/-e(n)**. Though the structures with their general endings look similar to verbs of the 1<sup>st</sup> and the 2<sup>nd</sup> Diathesis, because of the personal markers of **m**-s row the structures of the third group/construction will never coincide with the verb structures of the 1<sup>st</sup> and the 2<sup>nd</sup>

constructions (which are always marked with the personal markers of **v**'s row). In the third Diathesis I locate the verb forms with the permanent dative construction. The perceiver/agent, as a rule, is a person, who apprehends the action that is expressed by the verb form. It is marked always with the markers of the dative case, and **never** changes its case in the all available series: *მიტორს მა თინა [mi'ors ma tina]* “*I<sub>d</sub> love himnom*”, etc.

The second actant/argument of the construction of the 3<sup>rd</sup> Diathesis is not the perceiver of the action; in the 1<sup>st</sup>, 3<sup>rd</sup> and 4<sup>th</sup> series it is marked with the markers of the nominative case, as for the Aorist, the second actant/argument will be marked with the markers of the ergative case (in the 2<sup>nd</sup> series). e.g.: *ქიმმაშკირინ ოჭკუმაღლ-ქ [kimmaškirin ožkumal-k]* “*I am hungry (literally: the food make me houngr)*”, *მეზობელს ჭუდე-ქ ვაკეთინუ [mezobels 'udek vadetinu]* “*the neighbor could not make/build the house (literally: the houseerg could not be built to neighbor*”, etc.

The person, who is the perceiver of the action expressed by the verb, is always marked with the markers of the **m**'s row and always is in the dative case. As we mentioned above, in the 3<sup>rd</sup> Diathesis we have both structures: **R-Ø** (*მუკოზანს [მუკოზანს] ‘is binded’*) and **R-u/-e(n)** (*მოჭიჭარუ(ნ) [მოზიზარ-უ(ნ)] ‘it seems small to me’*, *აბაზე(ნ) [abaze(n)] ‘he can beat her’*), etc. Though these structures with their general endings look similar to verbs of the 1<sup>st</sup> and the 2<sup>nd</sup> Diathesis, BUT because of the personal markers of **m**-‘s row the structures of the third group/construction will never coincide with the verb structures of the 1<sup>st</sup> and the 2<sup>nd</sup> constructions (which are always marked with the personal markers of **v**-‘s row).

Semantically, all the verbs of the 3<sup>rd</sup> Diathesis are connected with the inactive perceiver person, who involuntarily feels the action expressed in the verb form. On the semantic level this factor is the main distinctive marker of the 3<sup>rd</sup> Diathesis compared with the 1<sup>st</sup> and the 2<sup>nd</sup> ones.

## სოფიო ქადაგიშვილი

დოქტორანტი

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

*/თბილისი/საქართველო*

### **ეთნიკურობის პერსაფსია „ნმ. აბო თბილელის წამებასა“ და „ნმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“**

ქართული ჰაგიოგრაფია, რომელიც ღრმა ისტორიზმით გამოირჩევა, წარმოადგენს განსაკუთრებულ ისტორიულ წყაროს ეთნიკურობის საკითხების შესწავლისათვისაც.

ეთნიკურობის გამომხატველი ტერმინების სიუხვე და წყაროთა ავთენტურობა გვეხმარება კარგად გავიაზროთ აღნიშნული საკითხი. ეთნიკურობის ფენომენის რეპრეზენტაციის თვალსაზრისით ქართულ ჰაგიოგრაფიაში შესაძლებელია გამოვყოთ რამდენიმე ეტაპი. პირველი, რომელიც ხასიათდება რელიგიის საკითხის წინ წამოწევი და მისი დაცვით, მეორე: გარდამავალი პერიოდი, რომელიც ერთგვარი მდგრადობით ხასიათდება, თუმცა ქართულ ჰაგიოგრაფიაში ამ დროს უკვე შეინიშნება ეთნიკურობის გამომხატველი ტერმინების მოჭარბება და ეროვნული იდეალების კონტურების გამოსახვა. მესამე ეტაპი, კი ეროვნული იდეალების განვითარებით და მათი წინა პლანზე წამოწევი ხასიათდება.

მოხსენების მიზანი ქართულ ჰაგიოგრაფიის სწორედ ამ გარდამავალ პერიოდზე, კერძოდ კი, VIII-X საუკუნეების ძეგლებზე დაკვირვებაა. ამიტომ კვლევის ფოკუსში მოექცა „ნმ. აბო თბილელის წამება“ და „ნმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელთა ლიტერატურულ თუ წყაროთმცოდნეობით ღირებულებაზე ბევრი თქმულა თუ დაწერილა. ამჯერად მე ყურადღებას გავამახვილებ დასახელებულ ძეგლებში ეთნიკურობის გამომხატველ ტერმინებზე, რომელნიც განსხვავებით წინა პერიოდის ჰაგიოგრაფიული ტექსტებისა, უფრო მეტად გამოკვეთს ჩვენ-ჯგუფს. აღნიშნულ ძეგლებში ეთნიკურობის ამსახველი ტერმინების შინაარსის ცვლი-

ლება, ცხადია, ქართულ ერთობაში შიდა სოციალური ბმების პერ-  
ცეფციების აღქმის ცვლილებაზე მეტყველებს. სწორედ ამიტომ  
არის საინტერესო დავაკვირდეთ ეთნიკურობის გამომხატველ  
ტერმინებს დასახელებულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში.

**Sopio Kadagishvili**

*PhD student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

### **ETHNIC PERCEPTIONS ACCORDING TO THE MARTYRDOM OF ST. ABO OF TIFLIS AND VITA OF ST. GREGORY OF KHANDZTA**

The most available of Georgian hagiographical monuments are aut-  
hentic sources; they are characterized by deep historicism and among the  
other evidences contain many terms representing ethnic perception of me-  
dieval Georgian community. Accordingly, Georgian hagiography is reliable  
source for study ethnic phenomenon.

The research reveals that in the hagiographical texts three phases in  
representing phenomenon of ethnicity can be traced. The first one hig-  
hlights the issue of religion, the second is transitional and marked with in-  
terest to collective cultural identity in general, i.e. ethnicity, while the last  
one is marked with development of national ideas and their advancement.

In the paper two monuments of Georgian hagiography, namely, the  
*Martyrdom* of Saint Abo of Tiflis (8<sup>th</sup> c) and *Vita* of Saint Grigol of Khandzta  
(10<sup>th</sup> c) are studied with the purpose to reveal the data reflecting ethnic  
perceptions of medieval Georgian community. Both these monuments  
contain valuable information on ethnicity. They reflect the changes which  
occurred in Georgian community regarding the perception of ethnic bonds.



## ოქტაი ქაზუმოვი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **ქართული საგლობლებისა და აზერბაიჯანული მარსიების შიპირისპირებითი ანალიზი** (გლოვის ჟანრი)

გარდაცვლილის გლოვას ყოველი ერის ისტორიაში და ადათ-ნესებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. გლოვის ჟანრი უძველესი და, ამდენად, ფოლკლორული წარმოშობისაა. აღნიშნულ ნაშრომში ჩვენ გვაინტერესებს გლოვის არა ფოლკლორული წარმოშობა (ეს საკითხი დამუშავებულია ამირან არაბულისა და ლელა მახაურის სადისერტაციო ნაშრომებში), არამედ გლოვის რელიგიური გამოხატვის თავისებურებები (მსგავსება-განსხვავებები) ქრისტიანულ და მუსლიმურ სამყაროში, კერძოდ კი, განვიხილავთ ქართულ და აზერბაიჯანულ სასულიერო ლიტერატურაში მოწამე წმინდანთა დატირებებს, რისთვისაც მივმართავთ კომპარატივისტიკულ-ტიპოლოგიურ ანალიზს. უნდა აღინიშნოს, რომ კ. კეკელიძის შემდეგ ქართულ სასულიერო ლიტერატურაში გლოვის საკითხი არავის უკვლევია, გარდა ამისა, აზერბაიჯანული სასულიერო ლიტერატურაც ერთგვარად უცხოა ქართული სამეცნიერო საზოგადოებისთვის (მით უმეტეს, რომ მისი კვლევა აზერბაიჯანშიც ფრაგმენტულია).

ნაშრომში მოყვანილია იოანე მინჩხის, თეოფანე გრაპტოსის საგლობლების ეფრემ მცირისეული და სხვ. თარგმანები და შედარებულია აზერბაიჯანელი მარსია-ნოჰების ავტორებს – მუჰამად ფიზულის, კასიმ ბეგ ზაქირს, აბასყული ალა ბაქიხანოვს, სეიდ აზიმ შირვანელს, ნათავანს, რაჯისა და სხვებს. გამოკვეთილია გლოვის გამოხატვის, წმინდანთა ღვანლის წარმოჩენის, მათი მანამებლების დაკნინების მაგალითები.

Oktai Kazumov

*PhD Student*

*/Tsu Shota Rustaveli Institute of Georgian literature/*

*Tbilisi/Georgia*

**COMPARATIVE ANALYSIS  
OF GEORGIAN CHANT AND AZERBAIJANI MARSYAS**

*(Mourning as a Genre)*

The mourning over the deceased has an important place in the history and customs of every nation. The mourning genre is ancient and, therefore, of folkloristic origin. In this work we are not interested in the folkloristic origins of mourning (this issue was studied in the PhD thesis by Amiran Arabuli and Lela Makhaouri), but in the features of religious manifestation of mourning (similarities and differences) in the Christian and Muslim world, in particular, we consider the mourning over martyr saints in Azerbaijan and Georgian ecclesiastical literature in comparative-typological analysis. It should be noted that After K. Kekelidze, nobody in the Georgian ecclesiastical literature has ever studied the issue of mourning as a genre. In addition, Azerbaijani ecclesiastical literature is somehow unfamiliar to the Georgian scientific society (what is more, the research of this question is fragmental in Azerbaijan).

In the work the translations of Ioanne Minchky's and Theophane Graptos' chants, done by Efrem Mtsire and others, are presented in comparative analysis with Azerbaijani authors of marsya-nohebi \_ Mohammad Fizuli, Qasim Beg Zakir, Abbasqulu Agha Bakikhanov, Seyd Azim Shirvannel, Natavan, Raaj and others. The examples of expressing mourning, presenting saints' merits and diminishing of their tormentors are presented.

## ლანა ქარაია

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **თანამედროვე მუზეუმი და მისი აუდიტორია – პრობლემები და განვითარების გზები**

უკანასკნელი ათწლეულების წლის მანძილზე მუზეუმის როლმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცდა, რაც „რალაციისთვის არსებობიდან ვილაციისთვის არსებობამდე“ (სტეფან ე. ველი) ანუ – კოლექციებზე ფოკუსირებიდან აუდიტორიაზე ფოკუსირებაში აისახა, რამაც თავის მხრივ შესაბამისი გავლენა მოახდინა თანამედროვე მუზეუმის მისიასა და მენეჯმენტის სტრატეგიულ განვითარებაში. ICOM-ის (მუზეუმების საერთაშორისო საბჭო) განახლებული განმარტების თანახმად „მუზეუმი წარმოადგენს არამომგებიან, მუდმივ და ღია ინსტიტუციას, რომელიც ზრუნავს საზოგადოების განვითარებაზე: აგროვებს, იცავს, იკვლევს, ინტერპრეტაციას უკეთებს და გამოფენს კაცობრიობის მატერიალურ და არამატერიალურ მემკვიდრეობას საზოგადოების განათლებისა და სიამოვნების მინიჭების მიზნით“.

მუზეუმების თანამედროვე როლისა და მისიის შესასრულებლად აუცილებელია სხვადასხვა ტიპისა და ასაკის აუდიტორიის (მათ შორის შშმ პირები, მიგრანტები, ეთნიკური უმცირესობა, ოჯახები, ასაკოვანი ადამიანები და სხვ.) მოტივაციისა და მოთხოვნების შესწავლა და ანალიზი – აუდიტორიის განვითარება, რომელიც მუზეუმს საშუალებას აძლევს ეფექტური კომუნიკაცია მოახდინოს და გრძელვადიანი ურთიერთობა დაამყაროს საკუთარ ვიზიტორთან.

მოხსენებაში განხილული იქნება მუზეუმის როლისა და მართვის ევოლუციის, მუზეუმის აუდიტორიის ტიპების, პრობლემებისა და განვითარების საკითხები მსოფლიოს რამდენიმე წარმატებული მუზეუმის მაგალითის საფუძველზე.

Lana Karaia

*PhD student*

*Avane Javakhishvili Tbilisi State University /*

*Tbilisi/Georgia*

## **CONTEMPORARY MUSEUM AND IT'S AUDIENCE – PROBLEMS AND DEVELOPMENT PERSPECTIVES**

In the last decades museum has seen a gradual transformation from “Being about something to Being for somebody: (Stephen E. Weil), i.e. from collections-focused to becoming audience-centred institutions, which on its own influenced the development of the mission and management of 21<sup>st</sup> century museum. According to the definition by ICOM (International Council of Museums) “A museum is a non-profit, permanent institution in the service of society and its development, open to the public, which acquires, conserves, researches, communicates and exhibits the tangible and intangible heritage of humanity and its environment for the purposes of education, study and enjoyment”.

In order to efficiently implement the contemporary role and mission of the museum it is necessary to understand the motivation and needs of different audience (including those with special needs, non-visitors, migrants, ethnic minorities, families, older people etc.) – audience development what allows museums to better reach current and potential visitors, effectively communicate and develop stronger on-going relationships with its audience.

The paper will overview issues regarding the evolution of museum role and management, types of museum audience, problems and development perspectives based on the examples of several successful museums in the world.

## მიხეილ ქართველიშვილი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება საეკლესიო წმინდა ნაწილების ეკლესიაში დაბრუნების საკითხისადმი** *(XX საუკუნის 40-50-იანი წლები)*

საბჭოთა საქართველოს შესწავლისას განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიიდან ცალკეული ფაქტების სიღრმისეული შესწავლა, მიუხედავად იმისა, რომ პოსტსაბჭოთა ისტორიოგრაფიაში ამ კუთხით ბევრი გაკეთდა სრულიად აშკარაა, რომ ახალი წყაროების გამოვლენა და მათი ახლებური ინტერპრეტაცია ძალიან ბევრ საკითხს მოჰფენს ნათელს.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, წმინდა დიდმოწამე არგვეთის მთავრების დავითისა და კონსტანტინეს წმინდა ნაწილებთან დაკავშირებული საკითხი. ისტორიოგრაფიიდან კარგად არის ცნობილი, რომ მოწამეთას ეკლესიიდან სასულიერო წარმომადგენლების პროტესტის მიუხედავად წმ. დავითისა და კონსტანტინეს ნეშტები ამოასვენეს და გადაიტანეს ქუთაისში, სადაც ხალხს არწმუნებდნენ, რომ ისინი არავითარი წმინდანები არ იყვნენ. ათეისტურად განწყობილმა ბრბომ წმ. დიდმოწამეთა წმინდა ნაწილები ანტირელიგიური პროპაგანდისათვის გამოიყენა.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა რელიგიურმა პოლიტიკამ რამდენამდე ლიბერალიზაცია განიცადა. ცენტრალური ხელისუფლება დათანხმდა რუსეთში მოწვეულიყო საეკლესიო კრება, რომელმაც ახალი პატრიარქი აირჩია, გარდა ამისა გაიხსნა

მოსკოვის სასულიერო სემინარია-აკადემია. რუსეთის ეკლესიას დაუბრუნდა სინმინდეები, რომლებიც მანამდე მუზეუმებში იყო გადატანილი, ყოველივე ამან ქართველ სასულიერო იერარქებს იმედი გაუჩინა, რომ შესაძლებელი იქნებოდა წმინდა დავით და კონსტანტინეს ნეშტების მონამეთას ეკლესიაში დაბრუნება.

აღნიშნული საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენადმე ფრაგმენტულად არის შესწავლილი, უკანასკნელ წლებში ამ საკითხს ორი საინტერესო პუბლიკაცია მიუძღვნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ელდარ ბუბულაშვილმა, რომელმაც ჯერ გამოაქვეყნა საქართველოს საპატრიარქოს არქივში დაცული სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, იმხანად ქუთათელ გაენათელი მიტროპოლიტის ეფრემ II-ის საინტერესო მოგონება ამ საკითხთან დაკავშირებით, ხოლო შემდგომში კვლავ საპატრიარქოს არქივის მასალებზე დაყრდნობით საკითხით დაინტერესებულ სამეცნიერო და ფართო საზოგადოებას გააცნო ამ საკითხის საინტერესო და მანამდე უცნობი დეტალები. გარდა ამისა ამ საკითხს შეეხო ასევე ისტორიის დოქტორი ლევან ტყეშელაშვილი თავის ბროშურაში მონამეთას ეკლესიის შესახებ. დიდმონამე დავით და კონსტანტინეს წმინდა ნაწილების მონამეთას ეკლესიაში დაბრუნების ფაქტს ერთი ფრაზით ეხმაურება ამერიკელი ქართველოლოგი სტივენ ჯონსიც.

ნაშრომის მიზანია შესწავლილ იქნეს როგორც საკითხის წინაპირობა თუ რა მიზეზებით იყო განპირობებული ხელისუფლების დამოკიდებულების ცვლილება, რა კონკრეტულ მიზნებს ისახავდა იგი, გარდა ამისა გვსურს ახლად მიკვლეული საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით გავარკვიოთ საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების დამოკიდებულება დავით და კონსტანტინეს წმინდა ნაწილების მონამეთას ეკლესიაში დაბრუნებასთან დაკავშირებით.

Mikheil Kartvelishvili

*PhD Student*

*Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**THE ATTITUDE OF SOVIET GEORGIAN GOVERNMENT TOWARDS  
THE RETURN OF THE HOLY RELICS**

*(40-50s of Twentieth Century)*

In the process of research of Soviet Georgia the special interest causes the intense research of the facts from the history of Georgian Orthodox Church. Despite the great work which was conducted in Soviet historiography, revealing the new sources and their new interpretation will cast the light on many issues.

In the history of Georgian Orthodox Church during the Soviet era, the major importance has the issue of Holy Relics of St. David and Constantine – the princes of Argveti (province in Western Georgia). It is well-known fact from historiography that, despite of protest of Orthodox clerics, the Holy Relics were brought from the church of Motsameta, were these relics were preserved during centuries, to Kutaisi. In Kutaisi the Bolshevik officials persuaded the population that St. David and Constantine were not saints and these Holy Relics were fraud. The crowd of atheists used these Holy Relics for atheistic propaganda.

After the World War II the atheistic propaganda became more liberal. The Kremlin authorities agreed to summon the ecclesiastic council in Russia to elect the new patriarch and to open the Theological Seminary and Academy. The Holy Relics were returned to the Russian church, which were scattered in different museums before that. This fact gave rise to the hope among Georgian clerics regarding the return of the Holy Relics of St. David and Constantine to Motsameta church.

This issue is scarcely studied by scholars. Recently the two articles were dedicated to this very issue by historian Eldar Bubulashvili who firstly published the interest memoir of than the metropolitan of Kutatis-Gaenati Ephrem the II, preserved in archive of Georgian Patriarchate. After the publication of this document he researched and presented the various unknown details concerning these Sacred Relics of St. David and Constantine. Historian Levan Tkeshelashvili also reviewed the return of Holy Relics of St. David and Constantine in his brochure about the church of Motsameta. American historian Stephen Jones also briefly reviewed this historical event.

5. The aim of this paper is to research the circumstances which caused the changing attitudes of Bolshevic officials towards the Holy Relics: What was the reason and purpose of these transforming attitudes; and we also want to find out the attitude of Soviet Georgian Govenement towards the return of Holy Relics of St. David and Constantine.



## მამუკა ქაფიანიძე

დოქტორი

*საქართველოს ეროვნული მუზეუმი,  
სიმონ ჯანაშიას სახ. საქართველოს მუზეუმი/  
თბილისი/საქართველო*

### **ზურაბ კობიაშვილის უსწობი კოლექცია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში\***

საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმს 1926 წელს შეემატა უძვირფასესი კოლექცია საბრძოლო იარაღისა და ბუდისტური ნივთების სახით, რომელიც ეკუთვნოდა კერძო კოლექციონერს, პოლკოვნიკ ზურაბ სიმონის ძე კობიაშვილს.

ზურაბ კობიაშვილს სამხედრო სამსახურის დროს ხშირად უწევდა მოგზაურობა ევროპისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. იგი იარაღის კარგი მცოდნე და შემფასებელი იყო. წლების განმავლობაში მან შეაგროვა მეტად ფასეული კოლექცია, როგორც მხატვრული, ისე ისტორიული მნიშვნელობით. 1924 წელს იგი მეუღლესთან ერთად დაბრუნდა თბილისში და გადაწყვიტა საკმაოდ დაბალ ფასად 8500 მანეთად მიეყიდა კოლექცია (184 იარაღი და 207 ბუდისტურ-ინდუისტური ნივთები) მუზეუმისთვის. მუზეუმის მცირე სამეცნიერო საბჭომ (გ. ჩუბინაშვილი, გ. ჩიტაია, გ. გრინევსკი) უსახსრობის გამო კობიაშვილს უარი უთხრა. არსებობდა რეალური საშიშროება კოლექციიდან კულტურული მემკვიდრეობის ბევრი მნიშვნელოვანი ძეგლის საზღვარგარეთ გადინებისა. ამიტომ რამდენიმე თვეში სამეცნიერო საბჭო კვლავ მიუბრუნდა აღნიშნულ საკითხს (ნ. ყიფიანი, გ. ჩიტაია, გ. შვეარდნაძე). 1926 წლის ივნისის

---

\* კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით YS-2016-32. პროექტის სახელწოდება: „ეთნოკულტურული მემკვიდრეობის ნიმუშები საქართველოს ეროვნულ მუზეუმში – ზურაბ კობიაშვილის უცნობი კოლექცია“.

თვეში შედგა შეთანხმება ერთის მხრივ მუზეუმის დირექტორს ალ. ჯანელიძესა და მეორეს მხრივ ზ. კობიაშვილს შორის. ხელშეკრულების თანახმად იარაღისა და ბუდისტური კოლექცია გადავიდა მუზეუმის საკუთრებაში. თავის მხრივ მუზეუმი ვალდებულია იღებდა მის მიერ ნაყიდ კოლექციაში ზურაბ და თამარ კობიაშვილებისთვის გადაეხადა 15000 მანეთი ოქროთი. მუზეუმმა ამ თანხის დაფარვა, მხოლოდ მეცხრე წელს, 1935 წლის ბოლოსთვის შეძლო.

წარმოდგენილი იქნება კოლექციაში დაცული საბრძოლო იარაღების კლასიფიკაცია, მემორიალური ნივთების (გიორგი სააკაძის, ჰაჯი მურატისა, გენერალ ლინევიჩის თოფები, გირეის მუზარადი, მეიარაღე ანდრეა ფერარას და საამ კობიაშვილის ხმლები, ასევე ალექსანდრე ბატონიშვილის ნაჩუქარი ცხენის მოსართავები) წარმომავლობა და ზურაბ კობიაშვილის ბიოგრაფიული მონაცემები, რომელიც კვლევის საგანი არასდროს გამხდარა.

## Mamuka Qapianidze

*PhD*

*/Georgian National Museum, S. Janashia Museum of Georgia/*

*Tbilisi/Georgia*

### **UNKNOWN COLLECTION OF ZURAB KOBIAHVILI IN THE NATIONAL MUSEUM OF GEORGIA \***

In 1926 National Museum of Georgia. Simon Janashia Museum of Georgia acquired the precious collection of weapons and Buddhistic objects, which belonged to a private collector, colonel Zurab Kobiashvili.

Zurab Kobiashvili, while in the military service, often travelled to Europe and oriental countries. He was an expert and perfect connoisseur of

---

\* The research was implemented at the financial support of Shota Rustaveli National Science Foundation YS-2016-32. The project title is: "Specimens of Ethnocultural Heritage in the National Museum of Georgia – The Unknown Collection of Zurab Kobiashvili" .

arms. During these years he managed to gather a very valuable collection, both of artistic and historic significance. In 1924 year he returned to Tbilisi together with his spouse and decided to sell his collection (184 weapons and 207 Buddhist –Hinduist objects) for a rather low price , 8500 rubles, to a Museum. The small scientific council of the Museum (G.Chubinashvili, G.Chitaia, G.Grinevsky) refused to buy this collection because of scarcity of Museum resources. There was a real danger of leakage abroad of many important monuments of cultural heritage. Therefore, several months later the scientific council of the Museum returned to this issue (N.Kipiani, G.Chitaia, G. Shevardnadze). In June 1926 the agreement was achieved between Al.Janelidze, director of the Museum, from one side, and Z.Kobiashvili, from the other. According to the agreement the weapon collection and Buddhist objects passed into the ownership of the Museum. On its turn, the Museum was obliged to pay to Zurab and Tamar Kobiashvili 15000 rubles, in gold for the collection purchased by it. The Museum had paid the sum only during the nine years, by the end of 1935 year.

Classification of the weapons of the collection, origin of memorial objects (guns of Giorgi Saakadze, Hadji Murad, general Linevich; helmet of Girey, swords of weapon makers Andrea Ferrera and Saam Kobiashvili, as well as horse decorations bestowed by prince Alexnader) and biographical data of Zurab Kobiashvili, which has never been the subject of study, will be presented.

## მაგული ღამბაშიძე

დოქტორანტი

/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

/თბილისი/საქართველო

### „შეუძლია“ მოდალური ზმნის ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი ქართულში

ქართულ ენაში დინამიკური, შესაძლებლობის მოდალობის სემანტიკის გამოხატვა „ძალ“ ძირს უკავშირდება.

როგორც ცნობილია, ძველ ქართულს გარკვეულ შემთხვევებში უჭირდა ზმნური შინაარსის ორგანულად გამოხატვა და ამისთვის პერიფრასტულ წარმოებას მიმართავდა, რომელიც შემდეგ ორგანულმა წარმოებამ შეცვალა. დინამიკური მოდალობის გამომხატველი „ძალ-უც“ ზმნაც ძველ სამწერლობო ქართულში თავდაპირველად რთული ზმნით იყო წარმოდგენილი, რომელიც დაახლოებით IX საუკუნიდან ორგანულმა „უძლავს“ ფორმამ ჩაანაცვლა, ხოლო X საუკუნიდან ამ მნიშვნელობით „შეუძლია“ ზმნა გამოიყენება. ეს ცხადად ჩანს სახარების სხვადასხვა რედაქციის შედარებისას .

ამგვარად, აღნიშნულმა მოდალურმა ზმნამ განვითარების შემდეგი გზა განვლო: ძალ-უც > უძლავს > შეუძლია. ფორმობრივი ცვლილების მიუხედავად „შეუძლია“ ზმნის სინტაქსური კონსტრუქცია არ შეცვლილა.

აღსანიშნავია, რომ დინამიკური სემანტიკის გამოსახატავად ობიექტური წყობის „შეუძლია“ ზმნა დასტურდება სამივე პირისა და ორივე რიცხვის ფორმით.

ძველ ქართულში ამ სტატიკურ ზმნას როგორც აღწერითი (ძალ-უც), ისე ორგანული (უძლავს) წარმოებისას უჭირს მწკრივთა წარმოება, „შეუძლია“ ზმნა კი მწკრივთა წარმოების თვალსაზრისით უფრო პროდუქტიულია. ის დასტურდება ყველა მწკრივის ფორმით, გარდა მესამე კავშირებითისა. თუმცა უნდა ითქვას ის-

იც, რომ ზოგიერთ მნკრევში „შეუძლია“ ზმნას არ მოეპოვება ყველა პირისა და რიცხვის ფორმა.

რაც შეეხება „შეუძლია“ ზმნის სემანტიკას, ის დასტურდება როგორც „ნეიტრალური“, ისე – „სუბიექტზე ორიენტირებული“ მოდალობის გამომხატველ კონტექსტებში, როგორც დადებითი, ისე – უარყოფითი კონოტაციით. საშუალ ქართულში „შეუძლია“ ფორმის პროდუქტიულობა თანდათან იზრდება. თანამედროვე ქართულში აღნიშნული მოდალური ზმნა წარმოადგენს შესაძლებლობის სემანტიკის გამომხატველ ძირითად საშუალებას.

**Maguli Ghambashidze**

*PhD Student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **FUNCTIONAL-SEMANTIC ANALYSIS OF MODAL VERB “SHEUDZLIA” IN GEORGIAN LANGUAGE**

The semantic of dynamic modality (modality of ability) in Georgian language is connected to the root “dzal” (power).

As it is known, sometimes it was difficult to make simple forms of the verb in Old Georgian language. In such cases the language used descriptive forms of the verb, though later it was changed by the simple formation. The verb “dzal-uts” which expressed the dynamic modality firstly in Old Georgian language was presented by the descriptive form, which was changed by the simple form “udzlavs” at about ninth century, but from the tenth century we have had the form “sheudzlia” to express this semantic. This is obvious when we compare the redactions of Gospel.

Thus this modal verb developed in such way: “dzal-uts”>“udzlavs”>“sheudzlia”. We should mention that despite of the formal changes this verb has kept the primary syntactic construction.

It is important that the verb of objective structure (“sheudzlia”) is confirmed by the forms of the three persons and two numbers.

In Old Georgian language it is hard for this static verb to make tense paradigms of descriptive (“dzal-uts”) and simple (“udzlavs”) forms as well. As for “sheudzlia”, it is not more productive in Old and Middle Georgian languages, but it is characterized by the variety of tenses in Modern Georgian language.

As for the semantic of “sheudzlia” it is confirmed in the contexts which express the “Neutral” and “Subject oriented” modality as well with positive and negative connotations. The productivity of “sheudzlia” grows in Middle Georgian language and it is the main expression of dynamic modality in Modern Georgian Language.

## ხათუნა ყანდაშვილი

თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი/  
თბილისი/საქართველო

### საზოგადო არსებითი სახელის კუმშვის საკითხისთვის კახურსა და ფერეიდნულში

სალიტერატურო ქართულსა და მის დიალექტებში თანხმობან-ფუძიანი საზოგადო სახელები იკუმშება სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში. შეიძლება შეიკუმშოს როგორც ერთმარცვლიანი, ისე ორი და ორზე მეტმარცვლიანი სიტყვები (რედუცირდება **ა** და **ე** ხმოვნები).

მოხსენებაში განვიხილავთ კუმშვა-უკუმშველობის საკითხს კახურსა და ფერეიდნულში იმის მიხედვით, თუ რა მსგავსებას ან განსხვავებას გვიჩვენებენ ეს დიალექტები. ფერეიდნულში **ა** და **ე** ხმოვნები უმეტეს შემთხვევაში არ რედუცირდება ერთმარცვლიან, ორ და ორზე მეტმარცვლიან სიტყვებში. ჩვენს საკვლევ მასალაში გამოვლინდა შეკუმშული ფუძეებიც, ზოგჯერ ვხვდებით ერთი და იმავე ფუძის პარალელურ ფორმებს: **მოზობელის // მოზობლის** (ქ.დ.კ., მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, 2017, <https://corpora.co>) კუმშვა-უკუმშველობის პარალელიზმი უპირატესად ორზე მეტმარცვლიან ფუძეებში დასტურდება. მრავლობით რიცხვში არ გვხვდება შეკუმშული ფორმები. სამეცნიერო ლიტერატურაში ფუძეთა უკუმშველობა სპარსულის გავლენითაა ახსნილი (დ. ჩხუბიანიშვილი).

უკუმშველი ფუძეები გვხვდება კახურშიც არა ისეთი სიხშირით, როგორც ეს ფერეიდნულისთვისაა დამახასიათებელი. ეს მოვლენაც სპარსულის გავლენას მიეწერება: **წმალთი** (ქ.დ.კ., მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, 2017, <https://corpora.co>).

ქართულში ერთმარცვლიან და ორზე მეტმარცვლიან ფუძეებში ხმოვანთა შეკუმშვის ფაქტი გვიანდელი მოვლენაა (თ. უთურგაიძე, გ. გოგოლაშვილი). ძველ ქართულშივე დასტურდება ფუძეთა პარალელური ვარიანტები ძირითადად ორმარცვლიან წარ-

მოქმნილ ფუძეებში: **საბელის // საბლისა, საზლუარის // საზლურისა** (გ. გოგოლაშვილი).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ კახურსა და ფერეიდნულში უკუმშველი ფორმების არსებობა სპარსული ენის გავლენით არ უნდა იყოს გამონეული. აღნიშნული დიალექტების ვითარება გარკვეულ მსგავსებას ავლენს ძველი ქართულის ვითარებასთან.

Khatuna Kandashvili

*TSU Arn. Chikobava Institute of Linguistics/  
Tbilisi/Georgia*

### **ON SYNCOPE OF COMMON NOUNS IN KAKHETIAN AND FERAYDANIAN**

In the literary Georgian language and its dialects certain vowels in common nouns, the bases of which end in consonants are lost in the following cases: possessive, instrumental and equative. Syncope may occur in words having one, two or more syllables (the vowels a and e are lost).

The paper deals with the issues of similarities and differences between Kakhetian and Fereydanian in terms of syncope. In Fereydanian, in most cases the vowels a and e are not lost in words having one, two or more syllables. In the research material we have also attested syncopated bases and sometimes we even find the parallel forms of the same base, e.g. **mozobelis // mozoblis** (GDC, M. Beridze, L. Bakuradze, 2017, <https://corpora-co>). Such parallel forms are attested in bases with more than two syllables. In the plural, words are not syncopated. In the scientific literature unsyncopated bases are explained by the influence of Persian (D. Chkhubianishvili).

Unsyncopated bases can be found in Kakhetian as well but not as frequently as it is typical to Fereydanian. This fact is also attributed to the influence of Persian, e.g. **qmalit** (GDC, M. Beridze, L. Bakuradze, 2017, <https://corpora-co>).

In Georgian the loss of vowels in bases with one or more than two syllables is the late phenomenon (T. Uturgaidze, G. Gogolashvili). Even in old



Georgian the parallel versions are mainly attested in two-syllable derivative bases, e.g. **sabelis** // **sablisa**, **sazGuaris** // **sazGurisa** (G. Gogolashvili).

We think that the existence of unsyncopated forms in Kakhétian and Fereydanian is not conditioned by the influence of the Persian language. The situation of the said dialects shows some similarities with the situation of old Georgian.

## შორენა შამანაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **ტრანსნაციონალური გადაადგილებებისა და ბიოგრაფიების ლიტერატურა, როგორც ლიტერატურათმცოდნეობის ახალი გამოწვევა**

*(ტერეზია მორას „ყოველდღიურად“ და  
ზაზა ბურჭულაძის „ტურისტის საუზმე“)*

გლობალური მიგრაციული პროცესების დაჩქარების კვალდაკვალ აქტიუალური ხდება თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შეფასება ლიტერატურათმცოდნეობის პერსპექტივიდან, როდესაც ავტორები ამა თუ იმ მიზეზის გამო აქტიურად იცვლიან საცხოვრებელ ადგილებს და ნაწარმოებებს ქმნიან სამშობლოს დაკარგვისა და შეგუება/ვერშეგუების კრიტიკულ და ამავე დროს პროდუქტიულ დინამიკაში. ისინი გამუდმებით რომანტიკულ უტოპიასა და ტრავმულ გამოცდილებას შორის მოძრაობენ და ეს გამოიხატება წერის ტრანსნაციონალურ მანერაში, რომელიც გულისხმობს სხვადასხვაგვარ მრავალენოვნებას, იქნება ეს მიმღები ქვეყნის ენაზე დაწერილ ტექსტში ჩართული მშობლიურ ენაზე დაწერილი ტექსტები (იოკო თავადა), ასევე მიმღები ქვეყნის ენაზე დაწერილ ტექსტებში მშობლიური აზროვნების კვალი, გამოსატყული იდიომებში, მეტაფორებში (ნინო ხარატიშვილი, ლევან ბერიძე).

მოხსენებაში ამ თემის გაშლას ვაპირებთ გერმანიაში მცხოვრები ორი ავტორის, რუმინელი ტერეზია მორასა და ქართველი ზაზა ბურჭულაძის რომანების მაგალითზე. ამ ორ რომანს აერთიანებს ის ფაქტი, რომ ორივე ნაწარმოების პროტაგონისტი არაორდინალური პიროვნებაა, რომლებმაც დატოვეს სამშობლო, მოხვდნენ ბერლინში და ცდილობენ შეეგუონ რეალობას. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ავტორს წერის განსხვავებული მანერა და სამ-

ნერლო გამოცდილება აქვს, ბევრი საერთოც მოეძებნება, რომელ-  
თაგან ამჯერად ჩვენთვის მნიშვნელოვანია – უხვი ციტატაცია,  
მათ შორის მშობლიური წიგნებიდან, კინოფილმებიდან, ლექსები-  
დან. ეს მოვლენა ლინგვოკულტუროლოგიურ თუ ფსიქოსოცია-  
ლურ კვლევებში ცნობილია, როგორც „პრეცედენტის ფენომენი“  
(იური კარაულოვი), მას უწოდებენ აგრეთვე ტერმინს Replikantia  
(პაველ დონეკი) და იგი შეიძლება ჩაითვალოს ლიტერატურაში ინ-  
ტერკულტურული კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებად.

## Shorena Shamanadze

*PhD Student*

*Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/ Georgia*

### **THE LITERATURE OF TRANSNATIONAL MOVEMENT AND BIOGRA- PHIES AS A NEW CHALLENGE TO LITERARY STUDIES**

*(Terezia Mora's 'AlleTage' ('All days') and  
Zaza Burchuladze's 'Tourist's Breakfast')*

In the footsteps of global migration processes it becomes important to analyze modern literary processes in the context of literary studies; when authors due to different reasons actively change living places and create works in the critical and at the same time productive dynamics of the loss of homeland and sense of coping/non-coping. They permanently move between the romanticist utopia and traumatic experiences and it is expressed in the transnational writing manner, which results in diverse multilingualism, be it texts in native language involved in the works written in the language of host country (Yoko Tawada) or the tracks of native thinking in the texts written in the language of host country, expressed in idioms, metaphors (Nino Kharatishvili, Levan Beridze).

We intend to open the given topic in our report based on the example of novels by two authors, Romanian Terezia Mora and Georgian Zaza Burchuladze. These two novels are similar by the fact that protagonists of both literary works are extraordinary individuals who have left their homelands, have appea-

red in Berlin and are trying to cope with the reality. Despite the fact that these two authors have different writing manners and literary experience, they still have a lot in common, from which significant to us are the following – abundant citations, amongst others, from native books, movies and poems. This can be considered as the expression of intercultural communication in literature.

## სოფია შამუგია

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### სამეცხველო კოდების შერევის საკითხი სარფელი ლაზების მეცხველეებაში

უარყოფის კატეგორია უნივერსალურია, იგი ყველა ენაში დასტურდება, მაგრამ მისი გამომხატვა სხვადასხვა ენობრივი მონაცემებით ხდება. ამ თვალსაზრისით ქართველური ენები, მიუხედავად მათი საერთო გენეტური წარმომავლობისა, მსგავსებასაც გვიჩვენებენ და განსხვავებასაც.

ლაზურსა და მეგრულში უარყოფის გამოსახატავად ვა/ვარ „არ“/„არა“ ნაწილაკებთან ერთად გამოიყენება განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელებიც:

ლაზ. მითხანი ვარ = ქართ. არავინ ეტიმ. „ვინც იქნება რომ, არა“ ზუსტად ვინმე არა;

ლაზ. მითხანი ვამოხთუ = ქართ. არავინ მოვიდა ეტიმ. „ვინც იქნება რომ, არ მოვიდა“ ზუსტად ვინმე არ მოვიდა;

მეგრ. მითინი = ქართ. „ვინმე“, ეტიმ. „ვინც იქნება რომ არა“;

მეგრ. მითინი ვაჰიდულენც = ქართ. „არავინ ყიდულობს“, ეტიმ. „ვინც იქნება რომ, არ ყიდულობს“.

სარფელი ლაზების ქართული მეტყველება საინტერესო მასალას იძლევა სამეცხველო კოდების შერევის თვალსაზრისით, როცა ისინი ქართულად მეტყველებენ, ლაზურისებურად გადმოსცემენ უარყოფას: ვინმე არ მოვიდა, ქართული არავინ მოვიდა-ს ნაცვლად.

რაც შეეხება მეგრელების ქართულ მეტყველებას, ამ თვალსაზრისით განსხვავებას არ იძლევა და ქართულისებურ ვითარებას გვიჩვენებს.

Sofia Shamugia

*PhD student*

*Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **THE QUESTION OF MIXING THE SPEECH CODES IN SARFELI LAZ'S SPEECH**

The category of refusal is universal, it is proved in all languages but its expression is based on different language data. In this regard Kartvelian languages, regardless of their common genetic origination, show as similarities as differences.

In the Laz and Megrelian languages, along with the particles I am/am "no" / "no". indefinite pronouns are applied as well.

Laz მითხანი ვარ = Georgian "nobody" არავინ Etym. "Whoever will be, did not „ვინც იქნება რომ, არა“ exactly ვინმე არა **“someone not”**.

Laz მითხანი ვამოხთუ = Georgian არავინ მოვიდა nobody came Etym. Whoever will be, **did not come**“ exactly **nobody came**

Megr. მითინი = Georgian "Someone" Etym. "Whoever will be, did not „ვინც იქნება რომ არა““.

Megr მითინი ვაჭიდულენც = Georgian "nobody buys" Etym „ვინც იქნება რომ, არ ყიდულობს“ **“whoever will be does not buy”**.

The Georgian speech of Sarfeli Lazs gives interesting material in terms of mixing the speech codes when they speak in Georgian, they are lazy, refusing in Laz Language: someone did not come, instead of Georgian nobody came.

As for the Georgian speech of Megrelians, it does not give a difference in this view and shows the Georgian situation.

## ქეთევან შეყილაძე

დოქტორანტი

*ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისის/საქართველო*

### კომპოზიციები და კოლოკაციები

*(გერმანულ-ქართული იურიდიული ტექსტების მაგალითზე)*

მოხსენების მიზანია, კონტრასტული ლინგვისტიკის პერსპექტივიდან განიხილოს ცნების კომბინაციური წარმოქმნის ორი საშუალება, კომპოზიცია და კოლოკაცია. კოლოკაციის შემთხვევაში საქმე გვაქვს რამდენიმე ლექსემის თანაარსებობასთან, კომპოზიტებთან კი მხოლოდ ცალკეულ სიტყვებთან. მათ აქვთ ასევე მსგავსი ფუნქციები, შესაძლებელია ზოგჯერ ერთმანეთი ჩაანაცვლონ კიდეც. კომპოზიცია გერმანულ ენაში წარმოადგენს სიტყვაწარმოების ერთ-ერთ პოდუქტიულ სახეს. მას განიხილავენ როგორც ენის გამოყენების ყველაზე კომპაქტურ და პროდუქტიულ საშუალებას, გერმანულ დარგობრივ იურიდიულ ენაში იგი განსაკუთრებით ხშირია. დარგობრივი კომპოზიტები, მათ შორის იურიდიულ ენაში, უმეტესწილად მყარ შესიტყვებებს წარმოადგენენ. რაც შეეხება ქართულს, კომპოზიცია ქართულში ისეთი მოქნილი არ არის როგორც გერმანულში. ამ მხრივ ქართული და გერმანული ენები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისგან. საინტერესოა, თუ როგორ ხდება ერთ ტერმინში მოქცეული დარგობრივი ცოდნის მანიფესტაცია ქართულ იურიდიულ ენაში. მოხსენებაში აქცენტი კეთდება გერმანული კომპოზიტების ეკვივალენტებზე სამიზნე ენაში, ქართულში. ქართული ენა, მისი ტიპოლოგიური სპეციფიკიდან გამომდინარე, სხვა საშუალებებს მიმართავს იმისათვის, რომ ცოდნის რეპრეზენტაცია მოახდინოს. შედეგია ის, რომ ქართული ენაში ხდება ინფორმაციის განვრცობა და სხვა ენობრივი საშუალებებით, ამ შემთხვევაში კოლოკაციებით გადმოცემა იმისათვის, რომ ეს დარგობრივი ცოდნა გადმოიცეს.

# Ketevan Shekiladze

PhD Student

*Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **KOMPOSITIA UND KOLLOKATIONEN**

*(Am Beispiel der deutsch-georgischen Rechtstexten)*

Dieser Vortrag hat das Ziel, Kollokationen und Komposita, beide Mittel der *kombinatorischen Begriffsbildung*, aus der Sicht der kontrastiven Linguistik im Deutschen (Komposition) und Georgischen (Kollokation) vorzustellen. Bei Kollokationen handelt es sich um mehrere separate Wörter, bei Komposita um ein einziges. Sie haben sehr Ähnliche Funktionen, teilweise sind sie austauschbar, damit stehen Komposita in direkter Konkurrenz zu den Kollokationen (Roth:46).

Komposition im Deutschen ist durch eine sehr kompakte Form der Informationsvermittlung gekennzeichnet. Die Komposita sind in deutschen Rechtstexten stark vertreten und gehören in der deutschen Rechtssprache zu den häufig verwendeten Mitteln, im Gegensatz zu Georgischen, wo die Komposition nicht so produktiv ist. Mein Versuch ist, diese Phänomene aus kontrastiver Sicht (deutsch-georgisch) korpusbasiert zu untersuchen und zu beschreiben. Bei rechtssprachlichen Termini im Deutschen funktioniert die sprachökonomische Komposition. Fachsprachliche Komposita, darunter die auch in der Rechtssprache, stellen zum größten Teil feste Wortverbindungen dar. Der Fokus liegt mehr auf die Übersetzungsäquivalente der deutschen Komposita in der Zielsprache, im Georgischen. Das Korpus bilden deutsche rechtssprachliche Komposita und ihre entsprechende Kollokationen im Georgischen.

Die georgische Sprache muss wegen ihres typologischen Charakters im Bereich der Komposition bei sprachlicher Erfassung von Rechtsphänomenen Nominalausdrücke in syntaktischer Stellung von vorangestellten Attributen verwenden. Das Resultat ist, dass im Georgischen die Entfaltung und Kompensierung der Information durch andere sprachlichen Mittel erfolgt, d.h. ein deutsches Kompositum kann im Georgischen durch syntaktische Konstruktionen bzw. Kollokationen wiedergegeben werden, die das Fachwissen in der Zielsprache repräsentieren.



## აკაკი ჩიქოზავა

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **პოლიტიკონომიკური რეფლექსია ქართულ ფეოდალიზმზე კონკრეტული ისტორიული მაგალითების მიხედვით**

ფეოდალური ურთიერთობების კვლევას ქართულ ისტორიოგრაფიაში დიდი ხნის ისტორია აქვს. უმეტესწილად კვლევა ევროპული და ქართული ფეოდალიზმის საერთო კულტურული მახასიათებლების მიხედვით ხორციელდება. არის გამონაკლისებიც, როდესაც პოლიტიკურ ეკონომიკასაც შეისწავლიან. მოხსენების მიზანია პოლიტეკონომიკური მეთოდისადმი მიბრუნება და მის ფონზე ქართული ფეოდალური ურთიერთობების რამდენიმე ისტორიული ასპექტის განხილვა. პოლიტეკონომიკის მიზანია შეისწავლოს არა მხოლოდ მეურნეობის ეკონომიკა ან სანარმოო ძალების განვითარება/ათვისება, არამედ უპირატესად სანარმოო ურთიერთობები კონკრეტული ფორმაციის შიგნით. აღნიშნული მოხსენების მიზანია ხაზი გაუსვას ფეოდალური ურთიერთობების პოლიტეკონომიკურ მახასიათებლებს და იკვლიოს სანარმოო ურთიერთობები კონკრეტულ ისტორიულ მაგალითებზე.

ფეოდალიზმის დროს მთავარი სანარმოო საშუალება, მინა, ფეოდალის საკუთრებაშია და მისი მხრიდან ხორციელდება შრომის პროდუქტის სრული ან უმეტესი ნაწილის მითვისება რენტის მეშვეობით. მოხსენებაში განხილულ იქნება თუ როდის გადადის მინა სენიორის ხელში და როდის ქრება თავისუფალი მწარმოებელი, რომელიც გარეკონომიკური იძულებით კონკრეტულ ადამიანზე, უფრო სწორად კონკრეტულ კლასზე სრულად ხდება დამოკიდებული.

მოხსენებაში განვიხილავ შესაძლებელია თუ არა ფეოდალურ ეპოქაში, ანუ იმ ისტორიულ ფორმაციაში, სადაც სენიორის სიმდიდრეს და ძალაუფლებას მიწასთან ერთად უპირატესად მისი

ყმების რაოდენობა განსაზღვრავს, გლეხი, მთავარი საწარმოო ძალა, გახდეს ყიდვა-გაყიდვის საგანი. რა ეკონომიკურ როლს თამაშობს ადამიანით ვაჭრობა დიდი ომიანობის პერიოდის ეგრისში, რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში მონიშნულია როგორც ე.წ. „ფეოდალური რევოლუციის“ პერიოდი და რა იგულისხმება XI საუკუნის დოკუმენტში „ნიკორწმინდელის დაწერილი“, სადაც საუბარია მინის და გლეხის ყიდვაზე და ამ უკანასკნელის მინაზე მიმაგრებაზე. ასევე განხილული იქნება ფეოდალური მეურნეობა და ფეოდალური რენტის ბუნება IX საუკუნის ე.წ. „ფავნელის დაწერილის“ და მისი თანადროული დოკუმენტების მაგალითზე.

ცნობილია რომ ფეოდალური ეპოქის საქართველოში გლეხთა მასობრივი აჯანყებები და გამოსვლები არ დასტურდება. ადასტურებს თუ არა ეს ისტორიული მოცემულობა, სტრუქტურული ჩაგვრის არარსებობას და როგორ შეგვიძლია განვიხილოთ ამ ფონზე მთისა და ბარის დაპირისპირება, მთის მოსახლეობის გამოსვლები მეფის ან კონკრეტული ფეოდალის წინააღმდეგ? მოხსენებაში ნაჩვენები იქნება მთის მოსახლეობის უკმაყოფილების კლასობრივი ასპექტი და ამ გამოსვლების პოლიტიკონომიური შინაარსი ფეოდალური საწარმოო ურთიერთობების წინააღმდეგ.

**Akaki Chikobava**

*PhD student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**POLITICAL-ECONOMICAL REFLECTIONS  
ON GEORGIAN FEUDALISM  
ON THE BASIS OF SOME HISTORICAL EXAMPLES**

Georgian Historiography boasts a long tradition of research of feudal relations. The research proceeds mainly on the basis of shared cultural characteristics of European and Georgian feudalism. Still, the study of the political economy of Georgian feudalism comes across some exceptions. In

this paper I intend to return to the method of political economy and to observe some historical aspects of Georgian feudal relations through its lenses. Political economy tries to analyze not only the economy or the development/exploitation of productive forces, but first of all the sum of productive relations within the given formation. This paper aims at highlighting political-economical characteristics of feudal relations and to research into the productive relations via concrete historical examples.

In feudalism, the principal means of production, the land, is owned by a feudal and it is him who appropriates the entirety or the biggest part of the fruit of labor through rent. In the paper I will discuss the historical moment when the land becomes the property of a feudal seigneur, while independent producers cease to exist, having become, due to extra-economic coercion, fully dependent on a certain person, or, more precisely, on a certain class.

I will also discuss whether or not it is possible in the feudal epoch, where the wealth and power of a seigneur is determined by the amount of the land and serves he owns, for a peasant, i.e. the principal force of production, to become an object of trade. What role does human trade play in Egrisi (Western Georgia) during the period of the Great Wars, which in Georgian historiography is designated as the period of the so called “Feudal Revolution”? What does the 11<sup>th</sup> century document “Nikortsimindelis Datserili” mean when it describes the purchase of land and peasants and the “attachment” of the latter to the first? Besides this question, I will deal with the issues of feudal production and the nature of feudal rent on the basis of the example of a 9<sup>th</sup> century document “FavnelisDatserili” and some other contemporary documents .

It is well known that there are no cases of big scale peasant revolts or rebellions in feudal Georgia. Is it true that this historical fact disproves the existence of structural oppression? How can we discuss the conflict between the mountainous and non-mountainous regions of Georgia or the revolts in the mountains against the King or a certain feudal in this context? At the end of my paper, I will discuss the political economic aspects of resistance on the part of the mountainous population of Georgia and its opposition to feudal productive relations.

## **მარიეტა ჩიხლაძე**

*ფილოლოგიის დოქტორი*

*/ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

## **მარია დუ ლოზარიუ სალემა დე კარვალიუ**

*ფილოლოგიის დოქტორი*

*/ლისაბონის უნივერსიტეტი/  
პორტუგალია*

## **XVIII საუკუნის აზულეჟოს პანოზა შესრულებული ქეთევან დედოფლის მონამებრივი აღსასრულის სცენა და მისი ადგილი პორტუგალიელ მისიონერთა ნარატივში – ლისაბონის ბრასას მონასტერი**

წინამდებარე მოხსენების მიზანია ლისაბონის გრასას მონასტერში არსებული XVIII საუკუნის აზულეჟოს პანოს იკონოგრაფიული და მხატვრული შესწავლა, რომელიც მოგვითხრობს ქართლის დედოფლის ქეთევანის შირაზში ყოფნას, მის მონამებრივ სიკვდილს სპარსთა შაჰის მიერ 1624 წელს და ავგუსტინელ მისიონერთა მიერ ქეთევან დედოფლის ცხედრის ნაწილების გადაცემას მეფე თეიმურაზისადმი. დასახელებული სცენები, გაშლილი ტრიპტიქის იკონოგრაფიულ ფორმატში, რომელიც შესრულებულია თვითმხილველი პორტუგალიელი მისიონერის, ამბროზიო დუშ ანჟუშის ვრცელი რელაციის კვალდაკვალ – „ნამდვილი ცნობები საქართველოს დედოფლის ქეთევანის მონამებრივი სიკვდილის შესახებ“ [...] – წარმოადგენს ნაწილს პორტუგალიელ ავგუსტინელთა ორდენის მისიონერთა აღმოსავლეთში მოღვაწეობისა და მონამებრივი სიკვდილის ამსახველი ნარატივის, შესრულებული ქაშანური-სა და ფაიფურის ცისფერ და თეთრ 8665 ფილაზე.

როგორც სხვადასხვა ენაზე არსებული ისტორიული წყაროები მოწმობს, ქრისტიანი დედოფლის მონამებრივ აღსასრულს იმთავითვე მიუპყრია სპარსეთში მცხოვრები უცხოელი დიპლომატების, ისტორიკოსებისა თუ კათოლიკე მისიონერების საგანგებო ყურადღება, განსაკუთრებით კი პორტუგალიელ მისიონერთა, რომელთანაც დედოფალს ახლო ურთიერთობა აკავშირებდა. ყოველივე ეს პორტუგალიურ ტექსტუალურ და ვიზუალურ წყაროებში ჰპოვებს ასახვას, რაც ერთის მხრივ განპირობებული იყო პორტუგალიასა და სპარსეთს შორის არსებული მყარი დიპლომატიური ურთიერთობებით, ხოლო მეორეს მხრივ სტრატეგიული სამისიონერო საქმიანობით აღმოსავლეთში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პორტუგალიელ ავგუსტინელ ორდენტა გოას არქიეპისკოპოსები, სადაც შემდგომ ქეთევან დედოფლის წმინდა ნაწილები წაიღეს მალულად ორმა მისიონერმა (პედრო დუშ სანტოში და ამბროზიო დუშ ანჟოში).

არსებულ წერილობით და ვიზუალურ წყაროებზე დაყრდნობით, მოხსენება მიზნად ისახავს დასახელებული აზულეჟო პანოს იკონოგრაფიულ და მხატვრულ ანალიზს, რომელიც პორტუგალიაში XV საუკუნიდან იწყებს გავრცელებას და XVII-XVIII საუკუნეებში პოვებს თავის განვითარებას იტალიელ და ჰოლანდიელ მხატვართა ზეგავლენით, და რომლის დამკვეთნი მეტწილად საეკლესიო და დიდებულთა წრეებია. ასევე, გათვალისწინებული იქნება XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოსა და პორტუგალიას შორის არსებული დიპლომატიური ურთიერთობები, რამაც განაპირობა შემდგომ ქეთევან დედოფლის ამბავის წარმოჩენა, როგორც ნაწილი პორტუგალიელ მისიონერთა მოღვაწეობის ამსახველი ნარატივისა.

Marietta Chikhladze

*Dr. of Philology*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

Maria do Rosário Salema de Carvalho

*Dr. of Philology*

*/University of Lisbon/*

*Portugal*

**SAINT KETEVAN'S MARTYRDOM DEPICTED ON XVIII CENTURY  
AZULEJO PANEL AND ITS REPRESENTATION INTO PORTUGUESE  
MISSIONARIES' NARRATIVE – GRAÇA MONASTERY OF LISBON**

This paper aims to study the iconographical and artistic aspects of 18<sup>th</sup> century *Azulejo Panel*, that describes the Georgian Queen Ketevan's life in Shiraz, her martyrdom by Persian Shah in 1624 and the delivery of her relics to her son King Teimuraz by the Portuguese missionaries. The scenes depicted on triptych iconography represent the narrative part of Portuguese missionaries' lives and martyrdoms in the lands of the *Orient*, performed with 8665 *azulejo* tiles in blue and white patterns, according to the vast text report by Frei Ambrósio dos Anjos – *Relação Verdadeira Do Glorioso Martírio da Rainha Ketevan da Geqrgia [...]*.

As different historical and literary sources confirm, the Martyrdom of Georgian Christian Queen attracted attention of many foreign diplomats, historians and missionaries residing in Shiraz in 17<sup>th</sup> century. Later it became an inspiration of several literary works (among them the Poem *Martyrdom of Queen Ketevan* by her son, King Teimuraz). However, her death deserved special praise in textual and visual depictions among the Portuguese Augustinian Mission, partly due to the Portuguese diplomatic presence in Persia and partly because of their strategic mission in Orient coordinated

from Goa, where the parts of Saint Ketevan's relics were transported by two missionaries: Frei Pedro dos Santos and Frei Ambrósio dos Anjos.

Taking into consideration the various textual, visual sources and the Portuguese context in which the Georgian Queen Ketevan's *story* is represented, the present paper will mainly focus on the iconographical studies of azulejo panel, especially developed in 17<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries under influence of Italian and Dutch painters and inspired by ecclesiastic and noble classes. Special attention will be dedicated to the representation of Queen Ketevan's *story* in Portuguese missionaries' textual and visual narratives, taking into account historical, diplomatic and political relations between Georgia and Portugal during 17<sup>th</sup>-18<sup>th</sup> centuries.

## მარიამ ჩორგოლიანი

*ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი*

*/აპ. ქუთათელაძის სახ. თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია/  
თბილისი/საქართველო*

### **მოდერნისტული ძიებები XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ კინოხატვრობაში – კოტე მიქაბერიძის ფილმის „ჩემი ბები“ მხატვრობის მაგალითზე**

ნაშრომი ეხება კოტე მიქაბერიძის 1929 წლის ფილმის „ჩემი ბებიის“ მხატვრობას. ფილმი ექსპრესიონისტული ანტიბიუროკრატიული სატირა-კომედიაა, უხმოა და შავ-თეთრია; მხატვრები იყვნენ ქართველი მოდერნისტები ირაკლი გამრეკელი და ვალერიან სიდამონ-ერისთავი; სცენარის ავტორები – თავად კოტე მიქაბერიძე, გიორგი მდივანი და სიკო დოლიძე; ოპერატორები – ანტონ პოლიტკვეჩი და ვლადისლავ პოზნანი; მსახიობთა ჯგუფი კი შედგებოდა ალექსანდრე თაყაიშვილის, ბელა ჩერნოვას, აკაკი ხორავას, ე. ოვანოვის და სხვათაგან.

ექსპრესიონისტული ფილმის მხატვრობის შესასწავლად და გასაანალიზებლად დახასიათებულია XX საუკუნის დასაწყისის ქართული კულტურა – ქართული ავანგარდი და ექსპრესიონიზმის ფენომენი მსოფლიო კინემატოგრაფში.

ნაშრომში განხილულია ფილმის ისტორია – შექმნა, აკრძალვა და პრემიერა დაახლოებით 40 წლის შემდეგ; საუბარია ფილმში ნაჩვენებ ბიუროკრატიულობასა და სატირაზე.

ფილმის მხატვრობის შესაფასებლად და საკვლევად აღწერილია კადრები, გამოყოფილია ირაკლი გამრეკელისა და ვალერიან სიდამონ-ერისთავის დამახასიათებელი ნიშნები „ჩემი ბებიის“ მხატვრობაში, საუბარია ამ ორი მხატვრის სინთეზის შესახებ ფილმში; ასევე, XX საუკუნის დასაწყისის მხატვრული ტენდენციების გავლენაზე ფილმის მხატვრობაში და თუ რატომაა ფილმი ექსპრესიონისტულად აღიარებული და რა ქმნის ამ ექსპრესიონიზმს.



ნაშრომში საუბარია კინოზე, როგორც სინთეზურ ხელოვნებაზე. ნაშრომი არის ნაწილი მარიამ ჩორგოლიანის სამაგისტრო თემისა „კოტე მიქაბერიძის ფილმის „ჩემი ბებია“ მხატვრობა“ და სამაგისტრო თემისა „მოდერნისტული ძიებები XX ს.-ის პირველი ათწლეულების ქართულ კინომხატვრობაში“.

**Mariam Chorgoliani**

*MA in Art History*

*/Tbilisi State Academy of Arts/*

*Tbilisi/Georgia*

**QUEST FOR MODERNISM IN 20<sup>TH</sup> CENTURY GEORGIAN MOVIES –  
THE EXAMPLE OF KOTE MIQABERIDZE’S FILM  
‘MY GRANDMOTHER’**

The theme of this work explores the painting pieces showcased in the work of Kote Miqaberidze’s film ‘My Grandmother’(1929). “My Grandmother” is Georgian expressionistic anti-bureaucratic silent satire-comedy film, directed by Kote Miqaberidze, and written by Giorgi Mdivani, Siko Dolidze and Kote Miqaberidze, cinematography by Anton Polikevich and Vladimer Poznan, painting by Georgian modernist artists Irakli Gamrekeli and Valerian Sidamon-Eristavi, starring – Alexander Takaishvili, Bela Chernova, Akaki Khorava, E. Ovanov and others.

The paper describes the role of zeitgeist and culture in the 20<sup>th</sup> century society – Georgian avant-garde and Expressionism in world cinematography.

This work reviews and discusses the history of creation, censorship of ‘My Grandmother’ and the success that followed its premiere about forty years later. Bureaucracy and satire of this art is thoroughly analyzed.

Shots of the movie are still examined in the purpose of thorough inspection of the featured paintings in ‘My Grandmother’. This work discusses in individual sections the art of Irakli Gamrekeli and Valerian Sidamon-Eristavi, used in the production of ‘My Grandmother’. The work furthermo-

re explores the tendencies of the early 20<sup>th</sup> century art and its influence on the paintings that were featured in the movies of the same era; what makes this movie to be expressionistic; the discussion about cinema as synthetic art. The paper is part of Mariam Chorgoliani's MA Thesis – Modernism in Georgian Movies in 20<sup>th</sup> century (1910-1920) and BA Thesis Kote Miqaberidze's film 'My Grandmother' (1929) painting.

## მაია ცერცვაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის პოეტური სემანტიკის ფორმირების საკითხი**

ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა უმთავრესად ორ ნაწილად იყოფა: პოეტური ნიმუშები და პირადი წერილები.

ჩვენამდე პოეტის მხოლოდ თვრამეტმა პირადმა წერილმა მოაღწია და ქართული ეპისტოლური მემკვიდრეობის „ოქროს ფონდის“ კუთვნილება და ფასდაუდებელი შენაძენია. მათი შესწავლა მრავალი კუთხით არის საინტერესო. ისინი იძლევიან საგულისხმო მასალას პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების მრავალი მხარისა თუ საკითხის გასარკვევად. ამავდროულად იქ აღწერილი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების გამო ეს პირადი წერილები წარმოადგენენ სანდო წყაროებს ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპოქის – საქართველოს ისტორიის ერთი ურთულესი და უმნიშვნელოვანესი პერიოდისა და საზოგადოების შესასწავლად.

უაღრესად საინტერესოა ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების მხატვრული ენაც – წერილების პოეტიკა და მდიდარი გამომსახველობითი საშუალებები, რაზეც არაერთმა ლიტერატურათმცოდნემ, ენათმეცნიერმა, მკვლევარმა თუ მწერალმა მიუთითა. შეიძლება ითქვას, რომ მათი საშუალებით წერილების ადრესანტი ისევე წარმოგიდგენს თავის დამოკიდებულებას საგნებსა და მოვლენებთან, თავის ჩანაფიქრსა და შეხედულებებს, როგორც საკუთარ პოეტურ მემკვიდრეობაში. ამასთან პოეტური ნიმუშებისგან განსხვავებით ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტური სტილისტიკის შესწავლა სათანადოდ ჯერ არ მომხდარა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების მხატვრული სტილისტიკის შესწავლის ერთი რგოლი, ბუნებრივია, მისი პოეტური სემანტიკის საკითხების კვლევა უნდა გახდეს – წერილების ტექსტი გაჯერებულია ტროპებით, ზოგადად, პოეტური სემანტიკის კომპონენტებით.

ნიკოლოზ ბარათაშვილის პირადი წერილების პოეტური სემანტიკის შესწავლა მნიშვნელოვანია იმით, რომ იგი წარმოდგენას შეგვიქმნის მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის თბილისელი განათლებული ახალგაზრდა არისტოკრატის მეტყველების თავისებურებებზე, კერძოდ, მის ტროპულ მეტყველებაზე, რაც საინტერესოა როგორც ენათმეცნიერული, ასევე ლიტერატურათმცოდნეობითი თვალსაზრისით.

წარმოდგენილი მოხსენება ნიკოლოზ ბარათაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობის პოეტური სემანტიკის ზოგად დახასიათებასა და მისი რამდენიმე საკითხის შესწავლას ეძღვნება.

## Maia Tsertsvadze

*PhD Student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/ Georgia*

### **ON SEVERAL ISSUES REGARDING POETIC SEMANTICS OF NIKOLOZ BARATASHVILI'S EPISTOLARY HERITAGE**

Nikoloz Baratashvili's literary heritage can be divided roughly into two parts: poetry and personal letters.

18 personal letters written by the poet, which have reached us, have become a priceless possession of Georgian epistolary heritage. The exploration of these letters is interesting due to many reasons. Firstly, they present remarkable material for studying both, the poet's life and his works. At the same time, due to the historical facts and events described in them, they become a reliable source for exploring history and society of Georgia

of the epoch Baratashvili lived in, considered to be one of the most complex and significant periods in the history of Georgia.

On the other hand, as indicated by a number of Georgian scholars (linguists, literary critics or writers), rich stylistic devices and imagery employed by the author in his letters are also extremely interesting. It can be argued that Baratashvili reveals his attitudes and thoughts about certain objects and events through his personal letters as well as through his poetry. In addition, unlike his poetic heritage, poetic stylistics of his personal letters has not yet become an object of a thorough study.

Arguably, exploration of poetic semantics of Baratashvili's letters, which reveal a number of tropes and other components of poetic semantics, should also become a part of general research. In addition, a semantic study of the personal letters will be significant as it will depict speech peculiarities, specifically, the imagery and tropes employed by young, educated, upper class people living in Tbilisi in the first part of the 19<sup>th</sup> century. This kind of research raises interest from the point of view of linguistics as well as that of literary studies.

The present paper is dedicated to general properties of poetic semantics employed by Baratashvili in his epistolary heritage with the particular emphasis on several issues.

## სალომე ციხისელი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### ჩინური სიბრძნე ქართულად

ჩვენი თემის – „ჩინური სიბრძნე ქართულად“ – მთავარ საკვლევ თემატიკას წარმოადგენს ჩინური სიბრძნე-იდიომები, რომლებიც ხალხის გამოცდილების, შეხედულებებისა და ემოციების გამოხატულებაა. ისინი ძალიან დიდ როლს თამაშობენ ნებისმიერ ენაში.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი თემა ასახავს ჩინური სიბრძნის – იდიომატური გამოთქმების ქართულ თარგმანს, რომელიც წარმოდგენილია არა მხოლოდ იმ თანმიმდევრული ოთხსიტყვიანი გამოთქმით, რასაც ჩინური სიბრძნის სტრუქტურული გამოხატვა გულისხმობს, არამედ იმ საინტერესო ზღაპრების, ამბების, ისტორიების თარგმნით, რომლიდანაც ჩინური იდიომატური გამოთქმა ჩამოყალიბდა. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი თემა იმდენად აქტუალურია, რამდენადაც ჩვენი ენისგან განსხვავებული ენის ფრაზეოლოგიური ერთეულების კვლევა გვაძლევს იმის პერსპექტივას, რომ საფუძვლიანად შევისწავლოთ კონკრეტულ ენათა ტიპოლოგია, განსხვავებული ფსიქოლოგია და კულტურა, ასევე დავადგინოთ ენათა სტილისტური თავისებურებები.

ჩვენი კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენს ჩინური იდიომების სტრუქტურულ და სემანტიკურ დონეზე შესწავლა და მათი საკუთარ ენაში გამოყენება.

ცხადია, რომ იდიომატური გამოთქმების ღრმა ცოდნა ხელს უწყობს ნებისმიერი ადამიანის მჭევრმეტყველური დონის ამაღლებას. აგრეთვე, შესაძლებელია, საკუთარი ენის გაფართოება სხვა ენის იდიომატური გამოთქმების შესწავლისა და მათი საკუთარ ენაში გამოყენების საშუალებით. სამომავლო პერსპექტივად ისახება ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ ნათარგმნი ჩინური იდიო-

მატური გამოთქმების შედეგად, მოხდება ჩინური ფრაზეოლოგიური ერთეულების დამკვიდრება და მოხმარება ქართულ ენაში, რაც ხელს შეუწყობს ენობრივი კომუნიკაციის გამდიდრებას, ემოციურად უფრო დატვირთულს და ეფექტურს გახდის მას.

## Salome Tsikhiseli

*Ivane Javakishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

### CHINESE WISDOM IN GEORGIAN

Our topic – “Chinese Wisdom in Georgian” – The main topic of discussion is the idioms, which represent people's experience, opinions and emotions. They play a great role in any language.

The theme presented by us reflects the Georgian translation of the idiomatic expressions of Chinese wisdom, which is presented not only by the consistent four-word expression of Chinese wisdom's structural expression, but also by the translation of interesting fairy tales and stories from which Chinese idiomatic formation has been formed. We think the topic presented by us is so up to date that research of the phraseological units of the language different from our language gives us an opportunity to study the typology of the specific languages, different psychology and culture, as well as establish the stylistic features of the language.

The main goal of our research is to study the Chinese idioms on structural and semantic level and use them in our own language.

It is obvious that deep knowledge of idiomatic expressions contributes to the increase of the eloquence level of any human being. It is also possible to expand our own language by studying idiomatic expressions of other languages and using them in our native speech. The future perspective is that the Chinese idiomatic translations translated by us will establish and use Chinese phraseological units in Georgian language that will promote to enrich language communication.

## გიორგი ცომია

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის მეთოდები**

### **უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ**

### **II მსოფლიო ომის შემდეგ**

სტატიიში აღწერილი იქნება, თუ როგორ იბრძოდა საბჭოთა ხელისუფლება უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციას, კერძოდ, ჩამოთვლილი და განხილული იქნება საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლის მეთოდები უკრაინელი ნაციონალისტების წინააღმდეგ. სტატიიში განხილული იქნება ის მდგომარეობა, რომელიც დადგა უკრაინაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რა ვითარებაში იმყოფებოდა უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაცია 1945 წლის მაისისათვის. ასევე, განხილული იქნება ის მეთოდები, რომელსაც იყენებდნენ უკრაინელი ნაციონალისტები თავისი ბრძოლის განმავლობაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

სტატიის მიზანია აჩვენოს მკითხველს პროცესების დინამიკა, ცვლილებების მიზეზები, თუ როგორ და რა მიზნით იცვლებოდა საბჭოთა ხელისუფლების მეთოდები. სტატიიში განხილული იქნება ცალკეული მეთოდების შედეგიანობა. სტატიის მიზანია, აჩვენოს, თუ რა მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უკრაინელი ნაციონალისტები საბჭოთა ხელისუფლების მიერ გამოყენებული მეთოდების შედეგად.



Giorgi Tsomaia

*PhD Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

**SOVIET GOVERNMENT METHODS OF FIGHTING  
AGAINST UKRAINIAN NATIONALISTS  
AFTER WORLD WAR II**

This paper deals with the ways the Soviet government fought against Organisation of Ukrainian Nationalists. The methods that Soviet government applied in order to put down Ukrainian nationalists' activity will be listed and examined. The article will analyse the situation in Ukraine after World War II and the situation in Organisation of Ukrainian Nationalists in May 1945. Also, the methods the Ukrainian nationalists used during their own fight after World War II will be analysed.

The aim of this paper is to show the reader the dynamics of these processes, the reasons of changes, and how and for what reasons Soviet government changed its methods. The article will analyse the results of different methods. The aim of this article is to show what was the situation for the Ukrainian nationalists after Soviet government had applied its methods.

## სოფიკო ძნელაძე

ფილოლოგიის დოქტორი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **90-იანელთა თაობა და პოსტსაბჭოთა რეალობა აკა მორჩილაძის ნაწარმოებებში „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“ და „მოგზაურობა ყარაბაღში“**

აკა მორჩილაძე ცნობილი თანამედროვე მწერალია. სამოქალაქო ომმა და აფხაზეთის დაკარგვამ მის შემოქმედებაზე დიდი კვალი დატოვა. „მოგზაურობა ყარაბაღში“ პირველი ნაწარმოებია, რომლითაც ის ქართულ ლიტერატურაში შემოვიდა 1992 წელს, რომანიც სწორედ გარდამავალი პერიოდის ქართულ სინამდვილეს ასახავს. მას 1995 წელს მოჰყვა მეორე ნაწარმოები „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, სადაც თითქმის იმავე სატკივარს უტრიალებს ავტორი. ქალაქელი ბიჭების ცხოვრების ჩვენებისას მწერალი გულახდითად გვიხატავს მისი თაობის ადამიანების ნაკლოვანებებს, რომელთაც გარკვეული პერიოდის შემდეგ დაკარგულ თაობად მოიხსენიებენ. ამ რომანებში აისახა 90-იანი წლების თბილისი.

პრობლემის ასახვა სხვადასხვა კუთხით ხდებოდა, ორივე ნაწარმოები ერთსა და იმავე თემაზეა, თბილისი, სადაც ყოველ ფეხის ნაბიჯზე ტყვიების ზუზუნი ისმოდა, კიდევ უფრო თუ დავავინროვებთ გეოგრაფიულ არეალს, მისი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული კრიმინალური უბანი ვაკე და იქ მცხოვრები ახალგაზრდების პრობლემები. მასში აისახა პოსტსაბჭოთა პერიოდის უარყოფითი მოვლენები. ნამალი, რომელმაც დალუპა თაობა, რომლის შოვნის გამოც გმირები ერთი ქვეყნიდან მეორეში გარბიან, ისე რომ არ უშინდებიან ომს. იმ დროს ეს თუ კარგის ნიშანი იყო, ახლა ამ თაობაში პირიქით არის აღქმული. აფხაზეთისა და თბილისის სამოქალაქო ომმა ფაქტობრივად გაანახევრა თაობა, ვინც გადარჩა ხსნა ნარკოტიკსა და სასმელში ნა-

ხა. ტრავმა, რომელიც 90-იანი წლების ქართულ საზოგადოებაში იყო, ძალიან კარგად აისახა მწერლობაშიც, მწერლობა ხომ თავისი დროის გამოძახილია, შეუძლებელია, მწერალი მოწყდეს რეალობას და მთავარ თემად მის ირგვლივ არსებული პრობლემები არ გაიხადოს, ასეც მოხდა, აკა მორჩილაძემ მის ირგვლივ რეალურად არსებული სამყარო ასახა, სამყარო, სადაც ერთმანეთის გვერდიგვერდ ომი, ბოროტება, სიყვარული და იმედი არსებობდა. ავტორი თანაუგრძნობს თავის გმირებს ისიც მათთან ერთად განიცდის, მას ეცოდება ცხოვრებისგან გარიყული ადამიანები, თუმცა, მთავარი სათქმელიც ხომ ესაა გვიჩვენოს გმირები, რომლებიც დროის მსხვერპლნი არიან. ისინი გაორებული პერსონაჟები არიან, ბოროტებისა და სიკეთის ზღვარზე მყოფნი, რომლებმაც არ იციან როგორ აუღონ ალლო ცხოვრებას, როგორ შეცვალონ საკუთარი მომავალი.

თემაც სწორედ ამ საკითხის ასახვას ეხება, დაკარგული თაობა, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცის ნაწილია, მათი დანიშნულება ცხოვრებაში გაურკვეველია, მომავალი ბუნდოვანია, ან აქვთ კი მათ მომავალი? აკა მორჩილაძე ერთ-ერთი იმ მწერალთაგანია, რომელმაც თავისი თაობის სათქმელი ამ ორი მხატვრული ტექსტით გადმოგვცა, ის გვიყვება იმაზე, რაც ქართველი ერის მეხსიერებაში არსებობას, თუმცა, ის ტრავმული ნარატივია, რომელზეც საუბარი ბევრს არ სურს.

## Sophiko Dzeladze

*Doctor of Philology*

*Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

### **90'S GENERATION AND POST-SOVIET REALITY IN AKA MORCHILADZE'S BOOKS**

#### **“DOGS OF PALIASHVILI STREET” AND “WALK IN KARABAKH”**

Aka Morchiladze – the famous modern Georgian writer. Civil war and loss of Abkhazia have left an indelible trace in his creativity. “Walk in Karabakh” is the first work which Morchiladze ushered into the Georgian litera-

ture in 1992; the Georgian reality of a transition period is displayed in the nove. In 1995, the book was followed by another work “Dogs of Paliashvili street” in which the author develops a similar theme. By transfer of a life of city guys the writer frankly describes the defects of people of his generation which some time later are referred to as “The Lost Generation”. In The novels show Tbilisi of the 90s of last century.

The problem I was reflected from different angles, the both works – on the same theme. It is Tbilisi where the hiss of bullets could be heard every now and then; In order to narrow down the geographical area we find ourselves in Vake – one of the central and most criminal areas of a city and face the problem of the young men living there. The negative effect of the post Soviet era could also be observed. The drugs which have become by a cause of death of the whole generation: to get them, the heroes drive to another country and even the war can not stop them. At that time it was worth it, a sign of validity. However the present generation regards it as negative. War in Abkhazia and Civil war in Tbilisi, actually, have warped the generation, those who survived have found salvation in drugs and alcohol. The public trauma of 90-s' has found display in the literature, after all the literature is an echo of the time and it is impossible for the writer to be torn off from a reality and not to plunge into the reality of essential problems. And happens, Aka Morchiladze has drawn the real-life world, the world in which side by side co-existed war, harm, love and hope. The author sympathises with the heroes, empathizes them, feels pity towards the outcasts, it is the essence of the work – the author wishes to show the heroes who are victims of time. They are the doubled characters who are on the verge, between good and the harm, not feeling a correct way to life, they are people, which do not know how to change the future.

Our theme displays problems of “The lost generation”, being a part of a Post-Soviet reality, its vital appointment is not known, the future is foggy, if it, in general, has the future. Aka Morchiladze – is the writer who told us the story of the generation. These two works tell us the story that remains in the memory of Georgians, despite being a traumatic narrative, from which many have distanced themselves.

## გვანცა ჭანტურია

ფილოლოგიის დოქტორი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### მანიპულაციის ენობრივი ხერხები

*„სიტყვებს ყოველთვის იყენებდნენ მმართველი კლასები...“  
ნიცშე*

ადამიანთა შორის კომუნიკაციის დამყარების ერთ-ერთი საუკეთესო, უპირატესი და უნივერსალური საშუალება არის ენა. შესაბამისად, ადამიანთა საზოგადოება დამყარებულია ინფორმაციის გაცვლაზე და გულისხმობს ამ უკანასკნელის ისევე, როგორც მოლაპარაკე პირისა და მსმენელის არსებობას.

ეთნომეთოდოლოგიის ერთ-ერთი ბაზისური პოსტულატი ის არის, რომ სოციალური ცხოვრება და მისი თავისებურებები წარმართულია გარკვეული პროცესებით. საუბრის ეთნომეთოდოლოგიის მიდგომის ერთ-ერთი გასაღებია ინტერაქტიანტა მიერ განხორციელებული დისკურსი – ურთიერთობა, მოლაპარაკე პირთა განზრახვა ან სოციალური ნორმები, რომლებიც უფრო ზოგად ინტერაქციულ სტრატეგიებს გვთავაზობენ. მათ შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს არგუმენტაციას, რომლის მიზანია დარწმუნება და რომლის გარეშეც არცერთი პოლიტიკური დისკურსი არ წარიმართება.

მანიპულაციის უამრავი ხერხი არსებობს და მას იყენებენ სხვადასხვა მიზნის მისაღწევად. თუმცა ჩვენ სტატიაში განვიხილავთ მანიპულაციას პოლიტიკაში და ხალხის მართვის (მასების მანიპულაციას) ხერხებს.

კომუნიკაცია და პოლიტიკა ერთმანეთისაგან განუყოფელი ტერმინებია. საზოგადოების ნაწილის აზრით, პოლიტიკური კომუ-

ნიკაცია მხოლოდ შელამაზებული სახელწოდებაა და ის ადამიანებთან ურთიერთობას/კომუნიკაციას კი არა, მათ მართვას გულისხმობს. ისინი აცხადებენ, რომ სადავოა, სად მთავრდება პროპაგანდა და სად იწყება კომუნიკაცია, რადგან დღეს კომუნიკაცია ყველა იმ აპრობირებულ და გამოცდილ ტექნიკას აერთიანებს, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში გამოიყენეს და რომელიც მასების დარწმუნების თვალსაზრისით წარმატებული აღმოჩნდა.

თანამედროვე საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მედიას, რადგან ეს არის უახლესი ინფორმაციის მოპოვების საშუალება ყველა ადამიანისათვის, ხოლო პოლიტიკოსებისათვის თავიანთი აზრების გადმოცემის საშუალებაა, რათა ხალხს გააგებინონ თავიანთი სურვილები, მოსაზრებები ამა თუ იმ მნიშვნელოვან საკითხებზე. მედია კი მათ ამაში ეხმარება, რადგან ერთი და იმავე ინფორმაციის მასობრივი გავრცელება საშუალებას იძლევა იმოქმედო ხალხზე და დაარწმუნო ისინი შენი აზრების სისწორეში, მოახდინო მათი მანიპულირება.

ჩვენ შევეცდებით, სტატიაში განვიხილოთ მანიპულაციის ის ხერხები, რომლებიც მნიშვნელოვანია პოლიტიკური დისკურსის წარმართვისათვის. არსებობს გარკვეული კოდექსი და პირობითობა, რომელიც წარმართავს თითოეული ადამიანის არსებობას და ცხოვრებას საზოგადოებაში. ეს წესები ამარტივებს ინდივიდთა შორის ურთიერთობებს და გარკვეული წვლილი შეაქვთ სოციალური ჰარმონიის ჩამოყალიბებაში. ისინი ასევე განსაზღვრავენ რა არის მოსალოდნელი, ნებადართული ან აკრძალული გარკვეულ სიტუაციებში და გკარნახობენ გარკვეულ მოვალეობებს სოციალური იერარქიის მიხედვით.

Gvantsa Chanturia

*PhD of Philology*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## LINGUISTIC MEANS OF MANIPULATION

*“The words were always used by the ruling classes...”*

**Nietzsche**

Language is the best and universal ways of communication between humans. Consequently, the community of people is based on the exchange of information and implies the existence of the latter as well as the speaker and the listener.

One of the basic postulates of ethnomethodology is that social life and its peculiarities are conducted by certain processes. One of the key points of speech ethnomethodological approach is the discourse carried out by the interactants – communication, the intent of negotiators or social norms that offer more general interactive strategies. Among them the argumentation takes an important place to convince and without it there is no any political discourse.

There are lots of ways of manipulation used for the achievement of different goals. But in the article we will discuss manipulation in policies and some methods of mass manipulation.

Communication and politics are indivisible terms from each other. Part of the society believes that political communication is only an embellished term and implies not communication with people, but ruling over them. There is a sharp dispute and debate about where the propaganda ends and the communication begins. Today communication is combined with all the proven and practical techniques used in different countries and which have proved to be successful in terms of convincing masses.

In the modern society, media assumes an important role, as it is the best way to obtain the latest and newest information in the world. For politicians it is the great opportunity to express their opinions, to understand people's wishes on important issues. The media helps them to mold public opinion, because mass dissemination of the same information helps the ruling classes to manipulate people and convince them that they are right.

We will try to discuss the manipulation methods that are important for political discourse. There is a certain code and condition that controls and guides each person's existence and life in society. These rules simplify relationships between individuals and contribute to the development of social harmony. They also determine what is expected, permitted or prohibited in certain situations and dictate certain duties under the social hierarchy.



## მარია ქიტანავა

დოქტორანტი

*ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### ქრისტიანული ეთიკისა და პაიდეიას საკითხი

#### წმ. გრიგოლ ნაზიანზელთან

წმინდა გრიგოლ ნაზიანზელი თავისი ეპოქის მოღვაწეთა შორის ერთ-ერთი ინოვატორია, რომელიც პირველად აღწერს იმ ნიშან-თვისებებსა და სათნოებებს, რითაც უნდა ხასიათდებოდეს იდეალური ქრისტიანი ქალი. ამ კუთხით უნიკალურია თავად კაპადოკიელი მღვდელმთავრის და – ნეტარი გორგონია, რომლის ცხოვრების სტილი მოიცავს როგორც ოჯახის შექმნას და, შესაბამისად, თავისი მონაგარის – შვილებისა და შვილიშვილების ღმრთისადმი წარდგენას, ასევე მონაზვნობას. სწორედ ქორწინებიდან და მონაზვნობიდან საუკეთესო ნაწილების აღება და ერთად შეთვისება გახლავთ სასურველი მდგომარეობა წმინდა მამისათვის, რომელიც თავის მერვე სიტყვაში ხოტბას ასხამს გარდაცვლილი დის მოღვაწეობას.

ზოგადად, ბიზანტიური ეპოქის დამოკიდებულება ქალისადმი ამბივალენტურია. ის ასოცირდება როგორც ბიბლიურ ევასთან, რომელიც სისუსტის, არამდგრადი ნებელობისა და ცდუნების სახეა, ასევე, ეკლესია ქალს განიხილავს როგორც ღვთის ხატს და მამაკაცის თანასწორს სულიერი მოღვაწეობის გზაზე. თავად სამოღვაწეო ასპარეზიც ქალისთვის ორგვარია: ისაა დედა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საფარქვეშ და, როგორც უკეთესი ღვანლის გამომრჩევი – მონაზონი. გრიგოლ ნაზიანზელის მიერ მის მერვე სიტყვაში შექმნილი ქალის იდეალური სახე მოღვაწეობის ამ ორივე ფორმას აერთიანებს და ამით იგი ქმნის ქალის ახალ პორტრეტს, რომელიც საერო-სასულიერო მოღვაწეობის აკრიბით აღწევს სრულყოფილებას.

გრიგოლ ნაზიანზელი ჰომილიის დასაწყისშივე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დის ქება მიკერძოების გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს, თუმცა დუმილის შემთხვევაში ყველასათვის დაფარული იქნება ის მოშურნეობა, რაც მისაბაძი მაგალითი უნდა იყოს საზოგადოებისთვის, ამიტომ თავს უფლებას აძლევს სააშკარაოზე გამოიტანოს გორგონიას განვლილი ცხოვრება სულიერ ასპარეზზე (Tor. 8.1.1).

მერვე სიტყვის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ გრიგოლ ღვთისმეტყველი გორგონიას ღვანლის წარმოჩენით ცხადყოფს ქრისტიანული ეთიკის ძირითად ნორმებს. ქრისტიანულმა მოძღვრებამ ცალსახად გადაიტანა აქცენტი ფიზიკურიდან სულიერ სრულყოფილებაზე და დაამკვიდრა ადამიანის იდეალისაკენ სწრაფვის ახალი მორალურ-ზნეობრივი კრიტერიუმები, რომელთა მიზანია აბსოლუტური სიკეთის ბაძვის გზით სულიერი წინსვლა, რაც ვნებათა დათრგუნვით, განსაცდელთა დათმენით, დაუმრომელი ღვანლითა და მოშურნეობით მიღწეულ დინამიკურ პროგრესს გულისხმობს და რისი შედეგიც მაღლისმიერი განღმრთობაა. ენკომიონის შექმნის მიზანი მხოლოდ კონკრეტული ღვანლმოსილი პიროვნების სახელის უკვდავყოფა კი არა, მომავალ თაობათა ახალი ზნეობრივი ნორმებით პარადიგმატული განათლებაა.

**Marika Tchitanava**

*PhD Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **THE ISSUE OF CHRISTIAN ETHICS AND PAIDEIA ACCORDING TO GREGORY OF NAZIANZUS' VIII HOMILY**

Saint Gregory of nazianzus is one of the first innovators among the figures of his epoche, who describes the traits and virtues, which should be characteristic for the ideal Christian lady. On this side the Cappadocian bishop's sister st. Gorgonia is unique for her life-style, which consists of both

– marriage (to have children and grandchildren and to bring them to God) and virginity. To join together these two life forms is a desired state for the saint father, who eulogizes his dead sister.

It must be mentioned, that Byzantistic attitudes toward women were ambivalent. On the one hand she is associated to Eva, as female inferiority and essential weakness and on the other hand as creature of God and is redeemed in same way as man.

Gregory of Nazianzus declares at the beginning of his eight homily, that laudation of his sister may be charged as partiality, but, on the other side her hard-working will be unknown for everyone, becoming a good example for the society. That's why he decides to make Gorgonia's spiritual life familiar for all.

One can say, that according to the oratio 8th Gregory of Theologian reveals the basic norms of Christian ethics. Christian doctrine transfers its accent from physical world to spiritual perfection and establishes new moral criterions for becoming ideal. It might be got with practice, patience and hard-working. The main target to create a new genre like encomion is to educate young people with new moral norms.

## ანა ჭკუასელი

დოქტორანტი

*/ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **ევროპელი მისიონერები და ქართულ სივრცეში დამკვიდრებული „უხსოს“ კულტურული იდენტობა**

ქართულ საისტორიო ტრადიციაში ეთნიკურად უცხოს „ჩვენი-ანად“ აღქმა და მის მიმართ გარკვეული ლოიალობა იშვიათი მოვლენა არ ყოფილა. ვფიქრობთ, „უცხოს“ ქართულ გარემოში ადაპტაციის საილუსტრაციოდ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და აქტუალურია საქართველოში ევროპელი მისიონერების საქმიანობა.

XVII-XVIII საუკუნეებში ქართულ კულტურულ სივრცეში ევროპელი კათოლიკე მისიონერები საკუთარი ენით კი არა, ადგილობრივი, ქართული ენის კათოლიკური რელიგიის ენად დამკვიდრებით და ძველი ქართული რელიგიური ტექსტების აღიარებით იმკვიდრებენ ადგილს. საქართველოში კათოლიკეები მნიშვნელოვან ქართულენოვან სივრცეს ქმნიდნენ. პირველ ეტაპზე ისინი კომუნიკაციის მიზნით სწავლობდნენ ქართულ ენას, რამაც თანდათანობით განაპირობა ქართულის როგორც კათოლიკეთა მნიშვნელოვანი და რელიგიური საქმიანობის ენად ქცევა. მისიონერების საქმიანობის მეშვეობით ქართული ენა გახდა ახალი კულტურული კონტექსტის მაფორმირებელი და ქართულენოვანი კათოლიკური იდენტობის წამყვანი მარკერი.

საკვლევად შევარჩიეთ უცხოები მისიონერის მიერ XIX საუკუნეში შედგენილი ქართულ-იტალიურ-ლათინური ლექსიკონი, რომელიც ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრშია დაცული (Q ფონდი 510). მოცემულ ლექსიკონში სიტყვები განმარტებულია ძირითადად ფრაზასა და კონტექსტში, რაც შესაძლებლობას გვაძლევს აღვწეროთ მაშინდელი ქართული ყოფითი კულტურისა და სოციალური გარემოს წამყვანი ასპექტები. ლექსიკონის ანალიზის საფუძ-

ველზე შევეცდებით ვაჩვენოთ, როგორ მიდიან განსხვავებული კულტურის „მატარებელი“ მისიონერული ჯგუფები ქართული ადგილობრივი ენისა და გეოგრაფიული სივრცის აღიარებამდე და როგორაა მათ განმარტებებში წარმოდგენილი ქართულენოვანი კათოლიკური იდენტობის მაკონსტრუირებელი სენსიტიური მარკერები, რომლითაც მისიონერებმა მონიშნეს ორი კულტურული სივრცის (ქართულ-ევროპული) ერთიანობა და საკუთარი არსებობა ამ სივრცეში.

კვლევის შედეგი გვიჩვენებს, რომ მისიონერების მიერ შედგენილი ლექსიკონი ნათლად ასახავს „ჩვენის“/„აქაურის“ კონცეპტის ფუნქციონირებას და ქართულ ენობრივ და ტერიტორიულ სივრცესთან როგორც მშობლიურთან მიკუთვნებულობის ტენდენციას.

Ana Chkuaseli

*PhD Student*

*Alia state University/*

*Tbilisi/Georgia*

## **EUROPEAN MISSIONARIES AND CULTURAL IDENTITY OF THE "STRANGER" ESTABLISHED IN THE GEORGIAN SPACE**

The perception of ethnically foreign as someone close and being tolerant to him has long become a part of Georgian historical tradition. We believe, the activity of European missionaries in Georgia has proved to be essential for depicting the adoption of the term "foreign" by Georgian environment.

The European Catholic missionaries of the XVII-XVIII centuries were promoting the local, Georgian tongue as the language of Catholicism in Georgia; this strategy together with recognition of ancient Georgian religious texts helped them to settle in the local religious space.

Catholics were contributing to the case of creating the important Georgian-speaking space.

The first stage was studying the Georgian language, which led to its transforming into the language of Catholic literacy and religious rituals.

Due to the missionary activity, the Georgian language had an important part in forming cultural context, thus becoming the leading factor in terms of establishing Georgian Catholic identity.

The object of the present study is a Georgian-Italian-Latin dictionary, created by an unknown European missionary in the 19<sup>th</sup> century, saved at the National Centre of Manuscripts (Qfund510).

The dictionary defines words mainly through phrases and context, enabling us to recreate the leading aspects of the Georgian cultural and social reality of the period.

Through the dictionary analysis, we will make an attempt to demonstrate the way in which the missionary groups, come to the acknowledgment of the Georgian linguistic and geographical identity, along with markers of Georgian and European Georgian-speaking Catholic realms and their own fixed place in them.

The results of the study show that the dictionary created by the missionaries is the vivid example of how the concept of “own” or “local” relates to the Georgian linguistic and geographical spaces and the tendency of identifying them as native.

## ეთერ ჭურაძე

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **მხატვრული თარგმანის ეკვივალენტობის შეფასების საკითხისათვის**

ჰუმბოლდტი მიიჩნევდა, რომ სიტყვა მხოლოდ ცნების ნიშანი არ არის, ცნება ვერ იარსებებს და გაიგება სიტყვის გარეშე. აზრის განუსაზღვრელი ძალა ყალიბდება სიტყვად. სიტყვას აქვს თავისი ინდივიდუალური ხასიათი და ამ სპეციფიკური ბუნების, ფორმისა და ძალის მეშვეობით ზემოქმედებს სულზე (ვ. ფონ ჰუმბოლდტი, „ნაწყვეტი „აგამემნონის“ თარგმანის შესავლიდან“). ამდენად, სწორედ სიტყვაა ის ერთეული, რომლის კვალდაკვალ შეიძლება განიხილებოდეს და შეინსწავლებოდეს მხატვრულ ტექსტში გადმოცემული მსოფლმხედველობა, იდეა, არსი თუ მნიშვნელობა. სიტყვა ქმნის ქვაკუთხედს, რასაც ემყარება ტექსტი, მისი სემანტიკური თუ სტილისტური მახასიათებლები.

მხატვრული ტექსტის სტილში აისახება მწერლის დამოკიდებულება და ხედვა სამყაროს მიმართ. მაგრამ წარმოუდგენელია სტილის არსებობა შინაარსის გარეშე. ასევე თარგმანში შინაარსის შენარჩუნების გარეშე ირღვევა ნაწარმოების ხასიათი და თვით სტილიც. ამიტომ მიგვაჩნია, რომ თარგმნის დროს შეუძლებელია შეველიოთ შინაარსის დაკარგვას, რომელიც ფორმის, ანუ სტილის საშუალებით გადმოიცემა და ხორცს ასხამს მწერლის იდეას. დედნის ლინგვისტიკური სიღრმისეული ანალიზი და ინტერპრეტაცია, სიტყვის გააზრება ტექსტის ძირითად საყრდენად, მოგვცემს შესაბამისი თარგმანის შესრულების საშუალებას და მხატვრულ-ესთეტიკური ანალოგის შექმნის წინაპირობას. ამისათვის ტექსტში უნდა გამოვყოთ ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც თარგმანში სათანადოდ უნდა აისახოს. აქედან გამო-

მდინარე, ჩვენ ტექსტს მივუყენებთ ლინგვისტურ და სტილისტურ კატეგორიებს, როგორც ტექსტის ძირითად მახასიათებლებს, რომლებიც ქმნის სტილისტურად რელევანტურ ინფორმაციას, საბოლოოდ კი ემსახურება მთელი ტექსტის შინაარსის შექმნას. სწორედ ამ ლინგვისტიკისტიკური კატეგორიების აღდგენა თარგმანში შეიძლება მივიჩნიოთ ობიექტურ კრიტერიუმად, რომლითაც უნდა შეფასდეს თარგმანის ღირსება და უარყოფითი მხარე. თუმცა ობიექტურობა არ არის გაზომვადი კატეგორია და თარგმანის კრიტიკა არ არის დაზღვეული სუბიექტურობისაგან, ვინაიდან თითოეული მთარგმნელის მიერ ტექსტის აღქმა ორაზროვნებისა და ინტერპრეტირების საშუალებას იძლევა და დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, რაც, რა თქმა უნდა, არ გამოორიციხავს თარგმანის კრიტიკის აუცილებლობასა და შეფასების მართებული კრიტერიუმების ძიებას.

Eter Churadze

*PhD student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **ON THE ISSUE OF EQUIVALENCE EVALUATION IN THE FICTION TRANSLATION**

Humboldt states that a word is not simply the sign of a concept, the concept cannot come into existence and be understood without a word. The indeterminate force of a thought forms itself into a word. The word has its own individual nature and with its specific character, form and power affects the spirit (W. von Humboldt, "From the Introduction to his Translation of Agamemnon"). Thus the word is a unit along which the world view, idea, essence or meaning conveyed in a fictional text may be discussed and investigated. The word creates a cornerstone upon which the text, its semantic and stylistic characteristics are based.



Style of fiction reflects a writer's attitude and mindset. However, style cannot exist without content. Moreover, the nature of the literary work and the style itself are disrupted without maintaining the content in the course of translation. Therefore, we consider that we should not lose the content which is expressed by means of form, i.e. style and which materializes a writer's idea. An in-depth *lingua-stylistic* analysis and interpretation of the original and a conceptualization of a word as the basic foundation for the text give us an opportunity to perform proper translation and a precondition to reproduce an artistic and aesthetic analogue of the original. For this purpose we identify main features in the text that have to be represented appropriately in the translation. As a result, we examine the texts with linguistic and stylistic categories envisaged as basic features of the text that yield stylistically relevant information and finally serve to retrieve the content of the whole text. Therecreation of these linguistic and stylistic categories in the translated text might be considered as an objective criterion evaluating the merits and drawbacks of the translation. But objectivity is not a measurable category and translation criticism does not ensure subjectivity because the perception of any text by each translator leads to ambiguity and interpretation and depends on several factors that do not eliminate either the necessity or the usefulness of translation criticism and the quest of reliable criteria for translation assessment.

## ელზა ხაინდრავა

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### ერთანმინდის წარწერები

მოცემულ სტატიაში განხილულია ერთანმინდის ტაძრის გარეთა ფასადებზე შემორჩენილი 6 ნაკანრი წარწერა, გამოუცემელი. აქედან 5 ასომთავრული ანბანით არის შესრულებული, ხოლო ერთი ნუსხურწარწერი ასომთავრულით. წარწერები სავედრებელი ხასიათისაა – მლოცველი შეწყალებას სთხოვს წმინდა ესტატეს, რომლის სახელზეც არის აგებული ერთანმინდის XIII ს. ტაძარი. მათი შესწავლა პალეოგრაფიული თვალსაზრისითაც მეტად საინტერესოა.

ტაძრის ინტერიერში განთავსებულია XVIII-XIX სს. საფლავები (როგორც ცნობილია, ერთანმინდის ტაძარი 1610 წლიდან მოურავ გიორგი სააკაძის შთამომავალთა საძვალე გახდა). XVIII ს. ეპიტაფიები გამოქვეყნებული აქვთ პლ. იოსელიანს, ექ. თაყაიშვილს და ს. მაკალათიას.

მოხსენებაში მოცემულია XIX ს. თავად თარხნიშვილების გვარის წევრების 40-მდე ეპიტაფია. ისინი შეიცავენ ინფორმაციას დასახლებულ პირთა გენეალოგიური მონაცემების, სოციალური მდგომარეობისა და სტატუსის შესახებ. ასევე, XIX ს. საარქივო მასალაზე დაყრდნობით, განხილულია ერთანმინდის ტაძარში დასაფლავებულ თარხან-მოურავთა საგვარეულოს ცალკეულ წარმომადგენელთა შესახებ დაცული ცნობები. ეს ცნობები შეჯერებულია არქივის როგორც გამოქვეყნებულ, ისე დღემდე უცნობ დოკუმენტურ მასალასთან.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი საფლავი, რომელიც მიჩნეულია დიდი მოურავის გიორგი სააკაძის შვილის, სპარსეთში დაღუპული პაატას საფლავად. როგორც ეპიტაფიის ამოკითხვამ აჩვენა, აქ მოხსენიებული პაატა არის არა გიორგი სააკაძის ძე, არა-

მედ მოურავი, თარხნიშვილი და მეჯინიბეთუხუცესი პაატა. ამას ადასტურებს ეპიტაფიის ბოლოს დართული გარდაცვალების თარიღი – 1715 ან 1717 წელი. როგორც ცნობილია, პაატა გიორგის ძე სააკაძე სიკვდილით დასაჯეს 1625 წელს.

**Elza Khaindrava**

*PhD Student*

*/Ivane Javakhishvili Tbilisi State University/  
Tbilisi/Georgia*

### **THE INSCRIPTIONS OF ERTATSMINDA**

In this article 6 inscriptions on the outer facade of the Ertatsminda church are discussed. These inscriptions are not published. Five of them are written using Asomtavruli script and one is written with the mixture of both Asomtavruli and Nuskhuri scripts. These inscriptions are of a praying nature – the prayer begs for forgiveness to St. Estaté, for whom the church of Ertatsiminda (XIII century) is built for. Researching these manuscripts is quite interesting from the paleographic standpoint.

There are XVIII-XIX century graves in the interior of the church (as it is known, the church of Ertatsmindawas the sepulcher of the descendants of the feudal lord GiorgiSaakadze). The epitaphs of the XVIII century have been published by P. Ioseliani, E. Takaishvili and S. Makalatia.

Up to 40 epitaphs of Lord Tarkhnishvili house name (XIX c.) are given in this paper. These epitaphs contain information about the genealogy, social situations and status of these individuals. Also, facts about certain representatives of the Tarkhanmouravi clan, who are buried in the Ertatsminda church, are discussed based on the archive materials of the XIX century. These facts are compared with the archive materials, some of which were published and some of which were unknown.

One of the graves is particularly notable. This grave is thought to be the resting place of Paata who died in Persia and who was the son of the great feudal lord Giorgi Saakadze. The epitaph of the grave showed that

here mentioned Paata is not the son of Giorgi Saakadze, but rather the governor, Tarkhnishvili and the head royal stable-keeper Paata. This is confirmed by the dates at the bottom of the epitaph – 1715 or 1717. As we know Paata, the son of GiorgiSaakadze was executed in 1625.

## ლაშა ხარაზი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### თარგმანის პოლიტიკურობა

პოლიტიკური ცხოვრების რეალობისთვის ენასთან ურთიერთობის გამოცდილება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ამ ურთიერთობას არაფერი აქვს საერთო ენის ფორმალურ პარამეტრებთან, პრობლემების იმ სიმრავლესთან, რომელსაც ენათმეცნიერება სწავლობს და იგი არც წმინდა აბსტრაქტულობაა, რომლის შესახებაც მხოლოდ მოსაზრებებისა და ვარაუდების დახმარებით შეიძლება ფიქრი. პოლიტიკური, როგორც არსებულის ყველაზე პრაქტიკული ნაწილი, ყველა სხვა არსებულის მსგავსად ენის საშუალებით გამოითქმება, ოღონდ პოლიტიკურად გამოითქმულის თავისებურებაა ისაა, რომ ის, რასაც ჩვენ პოლიტიკურად ვამბობთ, თავს ზედმეტად იშვიათად თუ აღიქვამს ასეთად. აღქმის ამ ნაკლოვანებით იმ ეთიკურის ნიშნით აღბეჭდილ აცდენაზე კი არ მივუთითებთ, რომელიც აზრის ისტორიაში თქმასა და ქმედებას შორის მოცემული ასიმეტრიის სახით კონვენციურად არსებობს და არც ამ ასიმეტრიის თეორიისა და პრაქტიკის ერთმანეთთან დაპირისპირების კრიტიკული ვარიაციების განვრცობის აუცილებლობას ვიგულისხმებთ მასში, არამედ უშუალოდ ნათქვამის, როგორც ყოველთვის უკვე პოლიტიკური მოქმედების საკუთარ თავთან დამოკიდებულების პერსპექტივიდან შევეცდებით პოლიტიკური ცხოვრების ენასთან ურთიერთობის შინაარსების გარკვევას.

მოხსენების თემიდან გამომდინარე მთავარ ყურადღებას ენის იმ შესტის პოლიტიკურად ამეტყველებას დავეუთმობთ, რომელსაც თარგმანი ჰქვია. გარდა იმისა, რომ ენის ინსტრუმენტებიდან თარგმანი პოლიტიკურად ყველაზე საინტერესოა, იმდენად რამდენადაც იგი ტექსტების და ამდენად, კულტურების ერთმანეთთან

შეხვედრის ადგილია, თარგმანის პოლიტიკურ იდენტობაშივეა მოცემული ურთიერთობის, როგორც პოლიტიკურად ყველაზე საყურადღებო სემანტიკის ძირითადი ასპექტები. ასე მაგალითად, მთარგმნელის სათარგმნ ნაწერთან ურთიერთობა იმაზე უსასრულოდ ბევრს შეიძლება გვასწავლიდეს პოლიტიკურ ცხოვრებაზე, ვიდრე პოლიტიკაზე თუნდაც ყველაზე მართებული განზრახვებით დაფიქრებული პოლიტიკოსის მოქმედებები. მოხსენებაც სწორედ რომ ამ უკანასკნელი აზრის პოლიტიკურად აქტუალიზაციას დაეთმობა.

Lasha Kharazi

*PhD student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **POLITICITY OF TRANSLATION**

For the reality of political life the relation with a language has a significant importance. The given relation has nothing in common with the formal parameters of language, with those problematic multiplicities elaborated by linguistics and neither it is a pure abstraction, limiting our thinking with mere opinions and suppositions. Political, as the foremost practical part of being like any other given being is outspoken through language, although the very peculiarity of a thing outspoken politically is that too rarely it conceives itself in a political manner. With this defect of perception we do not aim to hint on a disproportion marked by sign of ethics, conventionally represented in the history of thought via asymmetry between saying and acting and neither do we imply the necessity for extending the critical variations while opposing theory and practice to each other, but we will try from the perspective of self attunement of an ordinary saying, as something always already politically formalized to proceed through the dynamics of relation between political life and language.

In accordance with the theme of symposium, the main subject of a paper will be the goal to politically outspoke the translation as a gesture of language. Despite the fact that translation from the instruments of language is politically the most interesting, as far as it's a place for encounter between texts and therefore cultures, the very identity of translation subsumes in itself all the basic aspects of politically noteworthy concept of relation. For example, the relation of translator to the translated text might teach us endlessly more valuable things about political life, than a Politian even with the deepest righteous intentions. The paper will be oriented to actualize this last thought politically.

## თეა ხეცურიანი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **ჟურნალისტურ ჟანრსა და ტექსტს შორის მიმართება, როგორც ლინგვოკულტუროლოგიური პრობლემა: საინფორმაციო ცნობის ტექსტობრივი სივრცე ინტერტექსტუალურობის თეორიაზე დაყრდნობით**

სტატიის მიზანია, განვსაზღვროთ ურთიერთმიმართება ჟურნალისტური სფეროს (უფრო ზუსტად, ჟურნალისტური დისკურსის) ისეთ ორ ფენომენს შორის, როგორცაა ჟურნალისტური ჟანრი და ჟურნალისტური ტექსტი. და რაც შეეხება ამგვარი ჩვენი მცდელობის მეთოდოლოგიურ ასპექტს: ამ მეთოდოლოგიის ძირითად ვექტორს უნდა წარმოადგენდეს ინტერდისციპლინარულობა. ბუნებრივია მივიჩნიოთ, რომ მოცემულ შემთხვევაში ინტერდისციპლინარულობა გულისხმობს უკვე ხსენებული ურთიერთმიმართების დადგენას ისეთ მეცნიერულ დისციპლინებზე დაყრდნობით, როგორცაა ლინგვისტიკა, ჟურნალისტურ ჟანრთა თეორია და კულტუროლოგია (კონკრეტულად კი თანამედროვე მედიაკულტურის თეორია. იქედან გამომდინარე, რომ ჩვენი მიზანია ამ წმინდა ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისა და ინტერტექსტუალური ანალიზის სინთეზი.

ყოველივე ზემოთ ნათქვამის საფუძველზე შეგვიძლია, შემდეგნაირად განვსაზღვროთ საინფორმაციო ცნობის სტატუსი (თუ ადგილი) იმ ზოგადჟურნალისტური საინფორმაციო კონტინუუმის ფარგლებში, რომლის გარეშე ნებისმიერი ჟურნალისტური ჟანრი დაკარგავდა თავის ფუნქციურ სპეციფიკას (ანუ ვეღარ იქნებოდა ჟურნალისტური დისკურსის ესა თუ ის ქვეტაპი). თუ ამ თვალსაზრისით შევადარებთ ერთმანეთს, ერთი მხრივ, ჟურნალისტურ ჟანრთა საინფორმაციო ჯგუფს, მეორე მხრივ კი, ორ დანარჩენს, ად-



ვილი იქნება, ვთქვით შემდეგი: ანალიტიკური და მხატვრულ – პუბლიცისტური ჟანრები ვერ შეინარჩუნებდნენ თავის ჟურნალისტურ არსს იმ შემთხვევაში, თუკი მათში ეს ფუნქციური არსი არ იქნებოდა უზრუნველყოფილი საინფორმაციო ჯგუფის მიერ. მაგრამ, ამავე დროს, უნდა დავსვათ კითხვა: თუ თვით საინფორმაციო ჟანრთა ჯგუფი არ არის შინაგანად ერთგვაროვანი – და ეს კი, რა თქმა უნდა, ასეა – მაშინ სწორედ კონტინუალურობის პრინციპის თანახმად უნდა განისაზღვროს საინფორმაციო ცნობის სტატუსი ამ ჯგუფის ფარგლებში.

Tea Khetsuriani

*PhD Student*

*/v. Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **INTERRELATION OF THE JOURNALISTIC GENRE AND THE TEXT AS A LINGUOCULTURAL PROBLEM**

The aim of the following article is to define interrelation between two phenomena of journalistic discourse such as journalistic genre and journalistic text. And as for the methodological aspect of our research: The basic vector of this methodology should be represented by inter-discipline.

It is natural for us to consider that in the given case, inter-discipline means to analyze the interrelation on the basis of such scientific disciplines, as linguistics, the theory of journalistic genres and history of culture. Our aim is the synthesis of this pure linguistic-cultural analysis and inter-textual analysis.

On the basis of the given realizations we can define the status or the place of informational news in the bounds of general journalistic informational continuum, which is crucial for any journalistic genre. Without this continuum any journalistic genre would lose its functional specifications (it means that it would not be this or that subtype of journalistic discourse any more). If we compare informational group of journalistic genres on the

one hand to two of the rest on the other hand, it will be easy to say so: analytical and functional genres would not preserve their journalistic concept in case of not having supported this functional concept by informational group. But at the same time we should make a question like this: if the group of informational genres is not internally similar and it is of course \_ the status of informational news should be realized according to continuity principle, though, the aim of the given research will be to specify this methodological task.

## ანა ხვედელიანი

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### **განათლების პოლიტიკა საბჭოთა საქართველოში, როგორც ქართული საბჭოთა იდენტობის შექმნის საფუძველი (1921-1925 წწ.)**

საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ სულ უფრო აქტუალური ხდება საბჭოთა წარსულის შესწავლის, საბჭოთა მემკვიდრეობის პოლიტიკური, სამართლებრივი, მორალური თუ კულტურული პასუხისმგებლობის გააზრება, ასევე, კრიტიკული ანალიზისა და განსჯის საფუძველზე, ამ ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგიური საწყისების შესწავლა.

ტოტალიტარული რეჟიმების არსი მდგომარეობს ხელისუფლების მიერ სრულ კონტროლში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე. საზოგადოებრივი ცხოვრება მთლიანად იდეოლოგიზირებულია და ამ იდეოლოგიის გარშემო ხდება მასების დარაზმვა სხვადასხვა მექანიზმების საშუალებით. ერთ-ერთი ასეთი გამომხატველი და მაკონტროლებელი მექანიზმი არის განათლების პოლიტიკა. საბჭოთა რეჟიმის დამკვიდრებისთანავე იგი წარმოადგენდა საბჭოთა პოლიტიკის პროპაგანდის იარაღს, როგორც საბჭოთა იდენტობის მაფორმირებელ მნიშვნელოვან ფაქტორს.

მოხსენების მიზანია განათლების, მისი როგორც ერთ-ერთი უმთავრესი იდეოლოგიური ვექტორის როლის გააზრება, მისი ობიექტური შეფასება „საბჭოთა ადამიანის“, „საბჭოთა იდენტობის“ ჩამოყალიბების თვალსაზრისით არსებულ მაშინდელ რთულ პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ გარემოში. ასევე, შევეცდებით გავიაზროთ, როგორ ხდებოდა განათლების პოლიტიკის დაგეგმვა; დაგეგმილი საგანმანათლებლო პოლიტიკის ფარგლებში კი რა არის საბჭოთა იდენტობის ის მთავარი მარკერები, რომლე-

ბიც აუცილებელია „ახალი ცხოვრების შექმნისა და გამაგრებისათვის საჭირო ახალი ხალხის“, ანუ საბჭოთა იდენტობის მატარებელი ახალი ადამიანის ჩამოყალიბებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რომ ახალი იდეოლოგიისა და ახალი ადამიანის/ საბჭოთა იდენტობის მქონე ინდივიდის ჩამოყალიბება შეუძლებელი იქნებოდა წერა-კითხვის უცოდინარ საზოგადოებაში. შესაბამისად, ამ საკითხის მოგვარების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა მიენიჭა: გაიხსნა წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლები, ბიბლიოთეკა-სამკითხველოები, ამუშავდა სააგიტაციო-საპროპაგანდო ორგანიზაციები. გატარდა მთელი რიგი ადმინისტრაციული ღონისძიებები განათლებისა და კულტურის დონის გასაუმჯობესებლად.

მოხსენებაში გამოყენებულ ემპირიულ მასალას სხვადასხვა მედიაგამოცემებთან ერთად შეადგენს არქივში დაცული დოკუმენტური მასალები, რომელთა ანალიზიც საშუალებას გვაძლევს, დავაკვირდეთ განათლების პოლიტიკის დაგეგმვის მექანიზმებს და მათი გამოყენების პოლიტიკურ კონტექსტებს.

Ana Khvedeliani

*PhD Student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/georgia*

## **EDUCATIONAL POLICY IN THE SOVIET GEORGIA AS THE BASE FOR GEORGIAN SOVIET IDENTITY CREATION (1921-1925)**

After the dissolution of soviet union, it is becoming increasingly important to research the historical, political, legal, moral or cultural responsibilities of the Soviet heritage. As well as, to study totalitarian state's ideology on the base of critical analysis and judgement .

Full control of all areas of public life lies beneath the essence of totalitarian regimes. Public life is completely ideological and around this ideology is going uniting masses through different mechanisms. One such ex-

pression and controlling mechanism is the education policy. After the establishment of the Soviet regime it represented Soviet politics's weapon of propaganda as a crucial factor for the formation of Soviet identity

The aim of the report is to understand the role of education as one of its main ideological vectors, its objective assessment in the complex political, social and cultural environment in terms of "Soviet man" and "Soviet identity". Also, we will try to understand how was planned educational policy ; Within the framework of the planned educational policy, what are the main markers of Soviet identity, which are essential for the "new people who need to create and strengthen new life", or to form a new human.

The Soviet government was well aware that a new ideology and the formation of a new person/soviet identity person would be impossible in illiterate society. Accordingly, this issue had national significance: special schools for illiterate people, libraries, reading halls and agitational organizations were opened. A number of administrative measures have been implemented to improve the level of education and culture.

Various media editions and documentary materials protected in the archive are presented in this report as empirical materials.. Its analyze gives us possibility to monitor the educational policy planning mechanisms and utilization within political context.

## ნინო ხიდიშელი

ფილოლოგიის დოქტორი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### სინკლერ ლუისის მოთხრობების სიუჟეტური ხაზები

პირველი ამერიკელი ნობელიანტი მწერლის, სინკლერ ლუისის შემოქმედება ამერიკულ თუ ზოგადად, მსოფლიო ლიტერატურაში თვითმყოფადი მწერლური ნიჭითა და ოსტატობით გამოირჩევა. მისი ავტორობით მე-20 საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული სხვადასხვა რომანი და მოთხრობა დაისტამბა.

ჩვენი მოხსენების თემა ეხმიანება სინკლერ ლუისის მოთხრობებს: „სიჩქარე“, „ფარვანები ლამპიონების შუქზე“ და „ჭაბუკი აქსელბროდი“. აღნიშნულ ნაწარმოებებზე დაკვირვებისას ამერიკელი შემოქმედი გვევლინება, როგორც საინტერესო და თავისი მწერლური ხელწერით განსხვავებული ავტორი. მას ძალუძს ორიგინალური და ამავე დროს ყოველდღიური, ცხოვრებისეული ეპიზოდები თუ მოვლენები გადმოსცეს მახვილგონივრულობით, იუმორითა და სარკაზმით. სინკლერ ლუისი თხზულებებში ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავებულ ადამიანთა ხასიათებს და ტიპაჟებს დამაჯერებლად, შთამბეჭდავად ხატავს.

მოთხრობების „სიჩქარე“, „ფარვანები ლამპიონების შუქზე“ და „ჭაბუკი აქსელბროდის“ კითხვისას მკითხველი საგულისხმო სიუჟეტური ხაზების განვითარების მოწმე ხდება. ამერიკელი ნობელიანტის ნაწარმოებების მთავარი პერსონაჟების, იქნება ეს ბაფამის, აურელია რივერსის, ბეიტსის, სარა პარდის, კნუტ აქსელბროდის თუ სხვათა მოულოდნელობებითა და სიახლეებით სავსე ცხოვრების აღწერის ფონზე იხატება სინკლერ ლუისის დროინდელი ამერიკული ყოფა, რომლისთვისაც დამახასიათებელია რომანტიკული და რეალისტური იდეალები თავისი ადამიანური ურთიერთობებითურთ.

ჩვენი მიზანია, მოხსენებაში სინკლერ ლუისის ზემოთ დასახელებულ თხზულებებზე ვრცლად და ამომწურავად წარმოვადგინოთ დაკვირვებები, შეხედულებები.

Nino Khidisheli

*PhD*

*/Ivane Javakishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

### **THE PLOT LINES IN HARRY SINCLAIR LEWIS' SHORT STORIES**

Harry Sinclair Lewis is the first writer from the United States to receive the Nobel Prize in Literature. His works in the American or generally, in world literature are distinguished by the independent writing talent and skillfulness. His various novels and short stories were published in the beginning of the 20<sup>th</sup> century.

Our paper regards the author's short stories, *Speed*, *Moths in the Arc Light* and *Young Man Axelbrod*. According to the study, Lewis appears to be an interesting, featured writer with his own, unique writing style. He manages to create everyday life episodes and events in a distinctive way and simultaneously, describe them with wit, humor and sarcasm. His characters strongly differ from one another; however they are very convincing and impressively described.

In the short stories *Speed*, *Moths in the Arc Light* and *Young Man Axelbrod* a reader witnesses the development of the significant plot lines. On the background of the suddenness and eventful lives of the main characters, J. T. Buffum, Aurilla Rivers, Bates, Sarah Pardee, Knute Axelbrod and many others is reflected the life-style of the period of Lewis' everyday America and its typical romantic and realistic ideals along with the human relationships.

Our goal is to represent the complete and exhaustive observations as well as viewpoints based on the above-mentioned works of Sinclair Lewis.

## ანა ხურცილავა

თსუ არნოლდ ჩიკობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი  
/თბილისი/საქართველო

### ბენიკურ ტერმინოლოგიაზე მუშაობის თავისებურებანი და თანამედროვე პრობლემები

როგორც ცნობილია, პირველი ქართული ტექნიკური ტერმინოლოგია 1920 წელს გამოვიდა. აქედან დღემდე გამოცემულია გადამუშავებული და შევსებული ექვსი ვარიანტი. 1977 წელს გამოიცა ყველაზე სრული რუსულ-ქართული ტექნიკური ტერმინოლოგიური ლექსიკონი (რედაქტორები: ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი როგნედა ლამბაშიძე და აკადემიკოსი რაფიელ დვალი). ეს ლექსიკონი სამაგიდო წიგნად იქცა ტექნიკური დარგის (და არამარტო) სპეციალისტთათვის.

მაღევე დაიწყო ახალ რედაქციაზე მუშაობა, თუმცა, სამწუხაროდ, 1994 წელს, როცა სპეციალისტებმა და საგანგებო კომისიამ მუშაობა დაასრულეს, მისი გამოქვეყნება ვერ მოხერხდა. გამოუქვეყნებელ ფონდებს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ლამბაშიძის ფონდს ვუწოდებთ. იგი სამენოვანია და სრულიად განსხვავებულ მასალას შეიცავს. მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლიდან მრავალი წელია გასული, ამ მასალასმნიშვნელობა არ დაუკარგავს. უპირველესად იმიტომ, რომ ბოლო ვერსიაც ისე, როგორც ყველა სხვა ლექსიკონი, ერთობლივი მუშაობითაა შექმნილი და ტერმინები საგანგებო სხდომებზეა დამტკიცებული.

ენათმეცნიერების ინსტიტუტში ტერმინოლოგიაზე მუშაობა არსებული ქართული სკოლების მიერ დასახულ გზას მიჰყვება. უმთავრესი ამოცანაა, რომელიც დღეს ჩვენ წინაშეა, საზოგადოებისთვის ტერმინოლოგიის ნორმატიული ელექტრონული ლექსიკონის შეთავაზებაა. ამ მიზნით მიმდინარეობს ძირითადად არსე-



ბული მასალის შესწავლა-გადამუშავება და ინგლისური შესატყვისების დაძებნა. მუშაობა რამდენიმე ეტაპადაა დაყოფილი:

1. ინგლისურ-რუსულ ტერმინებზე მუშაობა;
2. ქართული შესატყვისების რედაქცია. აქ განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს სინონიმია. გარკვეული მიზეზების გამო ლექსიკონში ცნებათა უმეტესობას ორი – ქართული და უცხო წარმოშობის – შესატყვისი აქვს;
3. ტერმინთა ისტორიაზე მუშაობა, რომელიც ასევე აისახება ტექნიკური ტერმინოლოგიის ელექტრონულ ლექსიკონში.

მოსხენებისას წარმოვადგენთ ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტექნიკური ტერმინოლოგიის ბაზებს და განვიხილავთ ტექნიკურ ტერმინოლოგიაზე მუშაობის პრინციპებს.

Ana Khurtsilava

*TSU Arnold Chikobava Institute of Linguistics*

*/Tbilisi/Georgia*

## **MODERN PROBLEMS AND PECULIARITIES OF TECHNICAL TERMINOLOGY WORK**

As it's known the first Georgian Technical Dictionary was published in 1920. Six re-edited Technical Dictionaries have been published since then. The complete Russian-Georgian Technical Terminology dictionary was published in 1977 (editors: the head of Terminology Department, Arnold Chikobava Institute of Linguistics, Rogneda Ghambashidze and academician Raphael Dvali). Dictionary became the most important book for technical specialists (and not only).

Working on new edition soon started but unfortunately after the specialists and special committee finished working on dictionary in 1994, it wasn't published. Unpublished funds are called funds of Ghambashidze at Arnold Chikobava Institute of Linguistics. It's trilingual and contains completely different materials. Despite the fact that many years have passed

since 1994, the the material is still important. The team of specialists worked on the dictionary and terms were confirmed at the special committees.

Terminology work at Arnold Chikobava Institute of Linguistics continues the way Georgian terminology schools paved. The main task is to offer the society the normative online terminology dictionary. The material is being studied and worked on. We are searching English equivalents. Work consists of several steps:

1. Working on English-Russian terms;
2. Editing of Georgian equivalents. The main problem is synonymy. Because of different reasons most of the concepts have two – Georgian and foreign equivalents;
3. Working on the history of terms which will also be reflected in online terminology dictionary.

We will discuss the principles of technical terminology work and represent technical terminology databases of the Institute of Linguistics.

## ირინა ჯავახაძე

ფილოლოგიის დოქტორი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/ საქართველო*

### სასწაულთა სახეები „წამებათა“ შანრის ნათარგმნ აგიოგრაფიაში

ნაშრომის მიზანია სასწაულთმოქმედებების, როგორც ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული აგიოგრაფიული მოტივის წარმოჩენა „წამებათა“ ჟანრის ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში. ტიპური და ორიგინალური სასწაულები შესწავლილი, კლასიფიცირებული და სქემატურად დაჯგუფებულია შემდეგი კიმენური აგიოგრაფიული თხზულებების მიხედვით: „ლუკიანოზის მარტილობა“, „მიქაელის წამება“, „პანსოფი ალექსანდრიელის წამება“, „ბოას მარტილობა“, „ელიანოსის მარტილობა“ და „ევეგენიას წამება“.

პირველ ჯგუფში გავაერთიანეთ ხილვები და ღვთაებრივი გამოცხადებები, რომელშიც გამოვყავით ხილვები ცხადში, რომელიც თავის მხრივ აერთიანებს არა მარტო წმინდანის, არამედ მისი სამყოფლის ნათლით მოფენისა და სასულიერო პირებს გარდა ჩვეულებრივ ადამიანთა ხილვათა ტიპებს; ხილვები ძილის დროს და ხილვები გარდაცვალებისას. ამ უკანასკნელ ქვეჯგუფში ვხვდებით გარდაცვალების წინ წმინდანზე სიტყვიერი ფორმით ღვთაებრივი გამოცხადების ფაქტს.

მეორე ჯგუფში თავმოყრილია წმინდანთაგან ადამიანებზე განხორციელებული სასწაულები, კერძოდ ურწმუნოთა დასჯის, ეშმაკთა განდევნისა და წმინდანთაგან მოვლენათა წინასწარმეტყველების შემთხვევები.

მესამე ჯგუფში გავაერთიანეთ წმინდანთა მონაწილეობის გარეშე უფლისაგან მოვლენილი სასწაულები უკეთურებსა და ურწმუნოებზე თავსდამტყდარი ღვთაებრივი რისხვისა და წმინდანზე უფლის თანადგომის სახით.

მეოთხე ჯგუფში კი შესულია მიცვალებულთა სამყაროსთან დაკავშირებული სასწაულთმოქმედებები, რომელშიც გამოვარჩიეთ საფლავთა და წმინდა ნაწილთა სასწაულები (წმინდანთა საფლავზე ან წმინდა ნაწილზე ხელის შეხებით სწეულთა განკურნება, უკეთურთა დასჯა, ეშმაკეულთა განდევნა და გარდაცვლილი წმინდანის ცხედრის გამობრწყინება), არეთვე გარდაცვლილი წმინდანის ნებით ადამიანის გარდაცვალების შემთხვევა.

Irina Javakhadze

*Doctor of Philology*

*/Ivane Javakishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **MIRACLE TYPES IN TRANSLATED HAGIOGRAPHY OF THE GENRE OF *MARTYRDOMS***

The aim of the work is demonstration of miracles, as one of the widespread motifs in translated hagiographic works of the *Martyrdoms* genre. Typical and original miracles are studied, classified and grouped according to the following keimenic hagiographic works: *The Martyrdom of Lukianos*, *The Martyrdom of Michael*, *The Martyrdom of Pansophius of Alexandria*, *The Martyrdom of Boa*, *The Martyrdom of Elianos* and *The Martyrdom of Eugenia*.

The first group unites visions and divine appearances. This group further includes visions in reality, uniting in its turn types of clothing in light not only of the saint but also of the place of his presence, and along with the clergymen, visions of ordinary people as well; visions in sleep and visions at the time of death. In the latter subgroup a fact of a verbal divine appearance to the saint before death is recorded.

The second group includes miracles worked by saints with respect to human beings, namely, cases of the punishment of unbelievers, casting out of devils and the prophesying of events by saints.

The third group unites miracles happening by the will of God without the participation of saints in the form of the wrath of God befalling the wicked and unbelieving and the encouragement shown by the Lord to the saint.

The fourth group unites miracles linked with the world of the deceased, in which miracles of tombs and holy relics (healing of the sick by touching a saint's tomb or holy relics, punishment of the wicked, casting out unclean spirits and shining forth of the body of a deceased saint) and death of a human being by the wish of a deceased saint have been singled out.

## მაია ჯანგიძე

დოქტორანტი

*/იაკობ გოგებაშვილის სახ. თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თელავი/ საქართველო*

### **კვლევები გურამ რჩეულიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანისათვის**

მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანის შედგენაში მნიშვნელოვნად გვეხმარება მისი პირადი წერილების დათარიღება. გურამ რჩეულიშვილის მიერ 1942 წელს თბილისიდან მენჯში ბებიისთვის გაგზავნილი წერილი უთარილოა, მაგრამ მასში მოხსენიებული ერთი ფაქტით ხერხდება დათარიღება. ბარათში ნათქვამია: „მოუთმენლად ველოდები 10 ივნისს და შენს ჩამოსვლას“. რამდენადაც 10 ივნისი მომავალ დროს უკავშირდება, ბუნებრივია, ბარათი მანამდე უნდა იყოს დაწერილი.

1956 წელს გურამის მიერ ოჯახისადმი გაგზავნილი ერთი წერილის მიხედვით, რომელიც ასევე უთარილოა, ჩანს, რომ იგი ლვოვში ახალჩასულია. სხვა პირად წერილში რომელიც 1956 წლის 31 იანვრს არის გაგზავნილი კიევიდან, ვკითხულობთ: „31-ში 11 საათზე გამოვედით კიევიდან. ლვოვში 1-ში 3 საათზე ვიქნებით“. შესაბამისად, ზემოხსენებული უთარილო წერილი მომდევნო დღეს დაწერილია და 1 თებერვლით უნდა დათარიღდეს.

ასევე სხვა წერილის საშუალებით მოხერხდა კიდევ ერთი ბარათის დროის დაზუსტება. 1958 წლის 14 თებერვალს მოსკოვიდან მშობლებისადმი გაგზავნილი წერილიდან ვიგებთ, რომ მწერალმა წინა დღეს თბილისიდან მიიღო დეკეშა და შეიტყო, რომ მისთვის სამხედრო ბილეთი გაუგზავნიათ. მწერლის ექვსტომეულში 1956 წლის თებერვლით დათარიღებული წერილი, რომელიც ასევე მშობლებისადმი გაგზავნილი მოსკოვიდან, დაწერილი უნდა იყოს 14 თებერვლამდე, რადგან მასში გურამი მშობლებს სთხოვს სამ-

ხედრო ბილეთის გაგზავნას: „გამომიგზავნეთ სამხედრო ბილეთი“. შესაბამისად, ეს ბარათი 14 თებერვლამდე უნდა იყოს დაწერილი.

ჩვენ მიერ 14 თებერვლით დათარიღებული წერილი თავის მხრივ დაგვეხმარა კიდევ ერთი ბარათის დათარიღებაში, რომელსაც ექვსტომეულში 1958 წელი უწერია. ამ ბარათში გურამი თავის ბიძაშვილს – ედიშერ რჩეულიშვილს უყვება შემფოთებული მშობლების მიერ წინა დღით მისი დიასახლისისთვის გაგზავნილ დეპეშაზე, რომელშიც ნათქვამი იყო: „სასწრაფოდ გვაცნობეთ გურამის ჯანმრთელობა“. რამდენადაც ეს ფაქტი, როგორც წინა დღეს მომხდარი აღწერილია მშობლებისთვის გაგზავნილ იმავე წერილში, რომელიც ჩვენ 14 თებერვლამდე პერიოდით დავათარიღეთ, ეს ბარათიც იმავე დღეს უნდა იყოს დაწერილი.

**Maia Jangidze**

*Phd Student*

*/Iakob Gogebashvili Telavi State University/*

*Telavi/Georgia*

## **STUDIES ON GURAM RCHEULISHVILI LIFE AND WORK CHRONOLOGY**

Personal Letters contain a lot of interesting facts about the writer's life. Therefore dating of undated letters is very important for this kind of bibliographical edition and we carried out special researches in this direction. In Guram Rcheulishvili's letter sent by him to his grandmother from Tbilisi to Menji in 1942, exact date is not specified but some facts mentioned in the text helped us to date it. The letter says: "I am looking forward to your arrival on June 10". So, the letter should be written before that date.

Textual analysis of the letter sent by the writer to his family in 1956 reveals that Guram has just arrived in Lvov while another letter of the same period says that he arrived in Lvov on the 1-st of February. So, the undated letter should be written on the 1-st of February.

The letter sent to his parents on the 14-th of February in 1858 from Moscow says that the previous day he received a telegram from Tbilisi and got information that the military card had already been sent to him. This fact helped us to date another letter in which Guram Rcheulishvili asks his parents to send the military card. So the undated letter should be written before the 14-th of February. Its dating helped us to date one more letter which in the 6-th volume of the writer's works is dated to the year 1958 but the exact date is not specified. In the letter Guram tells his cousin that his parrents were worried about his health and sent his hostess a telegram inquiring about his illness. The same fact is described in the letter dated by us before the 14-th of February. So, the letter sent by the writer to his cousin should have been be written on the same day.

As a result of our investigations all the facts described in these letters will take their place in the chronology of the writer's life.



## გიორგი ჯღარკავა

დოქტორანტი

*/ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/  
თბილისი/საქართველო*

### **უარყოფის გამოხატვის ენობრივი საშუალებები ლაზურ ანდაზებში**

ანდაზების შესწავლა ლინგვისტური თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ეროვნული კულტურის მრავალფეროვნების წარმოსაჩენად, ერის მენტალიტეტის, მისი სპეციფიკურობის გასაგებად. პარემიათა ენა ემსახურება ხალხის ხანგრძლივი გამოცდილების განზოგადებას, ბრძნული აზრის სხარტად, ლაკონიურად და ადვილად დასამახსოვრებლად ჩამოყალიბებას. ანდაზის ენის შესწავლისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია უარყოფის კატეგორიის მექანიზმზე დაკვირვება და ნეგაციის გამოხატვის სხვადასხვა საშუალების გამოვლენა.

უარყოფის შინაარსის გადმოცემა ყველა ენას შეუძლია, მაგრამ ამისთვის საჭირო ლინგვისტური ინვენტარით ერთმანეთისგან სხვაობენ როგორც მონათესავე, ისე არამონათესავე ენები. ჩვენი მიზანია უარყოფის კატეგორიის გამოხატვის ენობრივ საშუალებათა განხილვა ლაზურის, როგორც ერთ-ერთი უმწერლობო ქართველური ენის, ანდაზური ფონდის მაგალითზე და მიღებული შედეგების შედარება სხვა ქართველური ენების მონაცემებთან. საანალიზოდ პარემიული ერთეულების შერჩევა, ერთი მხრივ, განპირობებულია იმით, რომ ნეგაციის საკითხი ლაზური ანდაზების ენაში ჯერაც შეუსწავლელია, ხოლო, მეორე მხრივ, ანდაზებში კარგად ჩანს ენის იმანენტური ბუნება.

მოხსენებაში განხილულია:

- უარყოფის გადმოცემის მექანიზმი ლაზური ნაცვალსახელებისა და ზმნისართების საშუალებით;
- სიტყვანარმოებითი მოდელები უარყოფის გამოხატვის აფიქსური საშუალებების მონაწილეობით.

Giorgi Jgharkava

*PhD Student*

*/Avane Javakhishvili Tbilisi State University/*

*Tbilisi/Georgia*

## **LINGUISTIC MEANS OF THE EXPRESSIONS OF NEGATION IN LAZ PROVERBS**

The study of proverbs, in linguistic terms, is very significant to show the diversity of national culture, to understand the mentality of the nation and its specificity. The language of paremia serves for the generalization of long-term experience of people, forming a wise opinion as laconic and easily memorable. One of the most important issues in studying the language of the proverb is to observe the mechanism of the category of negation and reveal various means of its expression.

Every language can express negative content, but either relative or non-relative languages are different from each other with the linguistic inventory necessary for that. Our goal is to examine the linguistic expression of the category of negation on the examples of the Laz language proverbs, as one of the unwritten Kartvelian languages; also the comparison of the results with the data of other Kartvelian languages. On the one hand, selection of paremic units for analysis is due to the fact that the issues of negation in the Laz proverbs hasn't been yet studied, and, on the other hand, the immanent nature of the language is clearly visible in the proverbs.

The article presents:

- Mechanism of the negation through Laz pronouns and adverbs;
- The models of the compound words with affixes of negative expression.

Elnur Hasanov

*Senior specialist*

*/Azerbaijan National academy of sciences/*

*Ganja/Azerbaijan*

**THE RESEARCH  
OF SOME XIX C. BASIC HANDICRAFT TRADITIONS OF GANJA,  
ON THE BASIS OF MULTICULTURALISM**

Architectural traditions of ancient and modern Ganja – one of the ancient cities of Azerbaijan have an importance as the multiculturalism sample from the point of historic-cultural view. Imamzade mausoleum, situated in one of the ancient scientific and cultural centers – Ganja State History-Culture Reserve, was built in 739.

The historic monument of Ganja – Imamzade tomb-complex attracts the attention of a number of features from the point of multiculturalism view. Ganja Imamzade is an important pilgrimage shrine. This place is visited by thousands of people every year. It should be noted that the number of visitors is increasing every year as well as foreign countries. Interesting fact is that non-Muslims are also among that memorial.

Another designation for Imamzade, also known as the Goy (Blue) Imam Turbe, according to different sources can be related to ancient belief of the Azerbaijanis to Goy Tanrı, from whom the Turkic dynasties claimed to have descended.

Ganja Imamzade complex also has been known for years as the shelter, that helped lonely people, people living in poor conditions, or facing sickness and homelessness. Subsidiary buildings of Imamzade complex were used as an orphanage during former Soviet reign in 1930-1944s. This sacred place became a shelter for the little children from various ethnic backgrounds who suffered in the World War II. Nowadays, the members of different religions still come to pay their respect to this holy place. The va-

luable experience of Azerbaijan in the sphere of interreligious dialogue and cooperation has been highly appreciated and is well-known to everyone in the world. The area of Imamzade complex was included in the property of the Sheykhzamanlis – the descendants of Nizami Ganjavi (1141-1209), the great Azerbaijani poet and philosopher.

Seyed Mohammad Hosseininejad

*Science and Research Branch of Tehran/*

*Islamic Azad University*

## **TRANSLATION COMPETENCE& THE ACADEMIC CAPABILITY OF TRANSLATORS**

Translation is the best way of connection in different languages and cultures. It is going to become one of the most important fields of study which attracts the students all over the world and there has been significant enthusiasm within translation studies in the recent decades. The increasing number of students attending universities in translation major is a good evidence for this fact.

Regardless of this positive willingness, there should be a special focus on the academic capability of this large number of graduated experts in the field of language and translation studies. This paper aims to provide a comprehensive definition for translation competence and suggests "PACTE model (Process in the Acquisition of Translation Competence and Evaluation)" as a proper criterion to cover and evaluate this concept, and emphasize on its importance.

This process consists of an analysis on different translators, language teachers and other related groups. The research focuses on both product and process of translation. PACTE's model consists of a set of interrelated sub-competencies, which are interdependent, hierarchical and related to each other. The result is general information about the improved quality of translation by providing a theoretical background and framework on the concept of translation competence as a necessity in all of translation processes.





წიგნი გამოსაცემად მოამზადა  
**მარიაკა ერქომაიშვილმა**  
ინგლისური ტექსტის რედაქტორი  
**მარინა ჭყონია**  
გარეკანის დიზაინერი  
**ნინო ებრალიძე**

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Ave., Tbilisi 0179  
Tel: 995(32) 225 14 32  
[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)